ილია მამულაშვილი

ისტორიული მითები

UDK (უაკ) 811.353.1: 373.6.+94 (479.22)
მ – 251

რედაქტორები

მალხაზ ცირეკიძე
ისტორიის დოქტორი, ასოც. პროფესორი.
თამარ თამარაშვილი
ისტორიის დოქტორი, ასისტ. პროფესორი

რეცენზენტები

თეიმურაზ ახალმოსულიშვილი
ისტორიის დოქტორი, ასოც. პროფესორი
მადონა ქებაძე
ისტორიის დოქტორი, ასისტ. პროფესორი
გიორგი ბეჭიტაშვილი
ისტორიის აკადემიური დოქტორი

გამოცემის რედაქტორი:

მარინე მარკოზაშვილი

ტექნიკური რედაქტორი:

ალექსანდრე კუზანაშვილი

კორექტორი:

სოფიკო თორაძე


ოპერატორი:

ლია დარბაიძე


გამომცემლობა
„სვეტი“

© ისტორიული შორეთიდან. ელგუჯა მამუკელაშვილი. თბილისი 2013
ISBN 978-9941-0-5186-9

ბერძენი გოგონასთვის ვით ასტროლოგიის ჰკვირვებლის
ფსიქოლოგიაში ახალ მიმდინარეობაში „თეტოლა", თუ
„teleba", „თელეპატია", „თეზია"
ჩვენი თეტოლია?!.



კახეთის მეფეთა სასახლის ხედი თელავში



კახეთის მეორე დიდი ქალაქის სიღნაღის მთავარი შესასვლელის ხედი.

ნაშრომში გაანალიზებულია ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან მკვლევართა და უცხოელ მოგზაურ-მეცნიერთა შრომებში მოცემული შეხედულებები, მტკიცებები, კონცეფციები საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მხარის – კახეთის დასახლებისა და თელავის შესახებ.

უძველესია კახეთი – არა მარტო საქართველოსთვის! ისტორიული კახეთის დასახლებებს შემორჩენილი აქვს უძველესი დასახელებები, ნაწილი დროთა მსვლელობაში გადასხვაფერდა. სახელი გადაერქვა, ზოგს უცხოური (უფროსპარსული) პირველ წოდება აქვს დღესაც. სოფლების თუ ქალაქების სახელწოდებათა ეტიმოლოგიური განმარტება აღადგენს უძველესი ხანის მოვლენების შინაარსს.

თელავი ხნიერია უჯარმაზე და თბილისზე!

თელავი კვალში უდგას საქართველოს ადრეულ დედაქალაქ მცხეთას.

დღემდე არ განელებულა მეცნიერთა, მკვლევართა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდი ინტერესი კახეთის, ჰერეთის, ალბანეთის (კავკასიის) და თელავის ისტორიის ცალკეული პერიოდების შინაარსის გამოცნობისათვის.

XX-საუკუნის 60-იანი წლების საზოგადოებრივ ცნობიერებაში გაძლიერდა ფიქრი კახეთ-ჰერეთსა და თელავზე, მისი სახელწოდების წარმოშობაზე, მდებარეობაზე, მოსახლეობის რაოდენობაზე, მათ საქმიანობაზე, მის სოციალურ-პოლიტიკურ და სამეზობლო ურთიერთობებზე.

გთავაზობთ ჩვენეული დაკვირვების სრულიად განსხვავებულ, ახალ შეფასებას, ახალ შეხედულებას.

ვფიქრობთ, დავეხმარებით კახეთის, ჰერეთის, კავკასიის ალბანეთის, თელავისა და საერთოდ საქართველოს ქალაქების ისტორიით დაინტერესებულ საზოგადოებას.

ავტორი გულითად მადლობას უხდის თელავის ტექნიკუმსა
«გორდა»-ს გენერალურ დირექტორს
გ. მაჭუტაძეს მუდმივი თანადგომისა და მხარდაჭერისათვის. 30.IX.2011

რედაქტორისაგან

წარმოდგენილი სამეცნიერო გამოკვლევა ისტორიული შორეთიდან „ფიქრები კახეთზე და თელავზე" არის გაგრძელება ავტორის მიერ ჯერ კიდევ 2009 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფიის „ცოდნისკერა 70"-ის შინაარსში განვითარებული შეხედულებებისა საქართველოს, კახეთის, ჰერეთის, ალბანეთის (კავკასიის) ტოპონიმების შესაძლო განმარტებისა და თელავის ისტორიისა. ხანგრძლივი ისტორიული განვითარების ძნელ გზაზე კახეთმა, თელავმა გაუძლო ეპოქალურ მოვლენებს, შეინარჩუნა თავის-თავადობა, გაძლიერდა, გაფართოვდა, შეიძინა მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი დონე. ქ. თელავი გახდა საქართველოს, კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოს – კახეთის მხარის ადმინისტრაციულ-კულტურული ცენტრი.

დღემდე გრძელდება ბჭობა – ბაასი. უძველესი ეპოქის ალბანეთის (კავკასიის), ჰერეთის, კახეთის მატერიალური და სულიერი ძეგლების, თელავის შორეული ისტორიული წარსულის, მისი პირველი დასახლების, მისი სახელწოდების, ბუნებრივ-კლიმატური პირობების, გეოგრაფიული რელიეფის, დანიშნულებისა და გავლენის თაობაზე, თელავის დასახლების ქალაქურ ყაიდაზე ჩამოყალიბების შესახებ. თელავში მოღვაწე დიდი ადამიანების ღირსეული წვლილის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი პირობა არის ავტორის მიერ მომარჯვებული ობიექტური ისტორიზმისა და ლოგიკურობის პრინციპი.

„ვინც მცხეთის კვართის საუფლო ეკლესიაში შევიდეს და ვინც მოინდომოს მეფის ირაკლის საფლავის ნახვა ამბიონის გვერდზე, მარცხენა მხარეს, ღირსახსოვრისას და დაუვიწყარის, მეფის ირაკლის ღარიბ საფლავს იხილავს, რომელიცა საქართველოს ერთა ასე, ამ სახით უყვარდათ, რომ უსულოს იმის გვამისთვისაც კი სისხლი უნდა დაეღვარათ ქართველებსა...

ა. ორბელიანი



მეფე ერეკლე II
საქართველოს თავდადებული მოჭირნახულე

ავტორი გულწრფელად აღიარებს, რომ სამშობლოს ისტორია, მისი მრავალსაუკუნოვანი უმძიმესი თავგადასავალი, არის ყველა ჭეშმარიტებაზე ამაღლებული, ის რეალობაა დროსა და სივრცეში, ამიტომ ის ქართველი ერის სულიერების საფუძველთა-საფუძველია, რომელსაც გაფრთხილება და სათუთი მროპყრობა სჭირდება. მისთვის, ავტორისთვის სამშობლო, საქართველო მარადიული ჭეშმარიტებაა.

ნაშრომში ჩამოყალიბებული შეხებულებები, ავტორისეული ორიგინალური, ხშირ შემთხვევაში საკუთარი, შეფასებები აუცილებლად დაეხმარება საქართველოს ისტორიის პრობლემებით დაინტერესებულ საზოგადოებას.

ვფიქრობთ ნაშრომი „ისტორიული შორეთიდან“ „ფიქრები კახეთზე და თელავზე“ შინაარსითა და ხასიათით ორიგინალური მეცნიერული კვლევის შედეგია, რომელიც თავის ადგილს დაიმკვიდრებს საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

შესავლისათვის

დასრულდა კაცობრიობის ისტორიის მშფოთვარე XX – საუკუნე.

დასრულდა და გახდა სამყაროს კუთვნილება.

დასრულდა!!!

ამ საუკუნეში აღზევდა და დაემხო პოლიტიკური რეჟიმები.

ამ საუკუნეში ჩამოყალიბდა და გაცვდა იდეოლოგია-მსოფლმხედველობები.

ამ საუკუნეში განმტკიცდა და დაუძლურდა სახელმწიფო-იმპერიები.

ამ საუკუნეში რუსეთში გააძევეს საიმპერატორო ხელისუფლება.

ამ საუკუნეში რუსეთში შექმნეს უძლიერესი საბჭოთა კავშირი.

ამ საუკუნეში რუსეთში დაანგრიეს საბჭოთა კავშირი.

ამ საუკუნეში ადამიანთა მოდგმამ გაუძლო ორ მსოფლიო ომს

გაუძლო პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) ტკივილებს.

გაუძლო მეორე მსოფლიო ომის (1939-1945) მრისხანებას.

XX – საუკუნის უმკაცრესი ისტორია ჩვენი პატარა ქვეყნის ისტორიაც არის

XX – საუკუნის უახლესი ისტორია საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ლოგიკური ისტორიული პროცესიც არის.

XX – საუკუნის ისტორია ჩვენი ისტორიაც არის.

XX – საუკუნის საქართველოს ისტორია – ბედნიერიც და სამწუხაროც ჩვენი ისტორიაა.

XX – საუკუნის საქართველოს გაძლიერებაც და ჩამორჩენაც, ჩვენი, ქართველი ხალხის ისტორიაა.

XX – საუკუნის დასასრულის საქართველოს ისტორიის მოვლენებიც და ტკივილიც ჩვენი სამშობლოს, ჩვენი საქართველოს თავგადასავალია.

XX – საუკუნის დასასრული ქართველი ხალხის სიამაყისა და სიხარულის ისტორიაა.

XX – საუკუნის გრძელი ისტორია კი ერთიანია, ამ ისტორიის შეცნობა-გაგებაა აუცილებელი.

XX – საუკუნის ისტორია ჩვენი ერის, ქართველი ერის მდიდარი მეხსიერებაა.

XX – საუკუნის საქართველოს ცხოვრებაში მომხდარი მოვლენები მნიშვნელოვანია მომავლისათვის.

XX – საუკუნის უმკაცრეს გამოცდას გაუძლო საქართველომ.

XX – საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო და გაძლიერდა მეცნიერული კვლევა-ძიება კახეთის ისტორიისა და ქალაქ თელავის შესახებ. დაინტერესებული ინტელიგენციის ნაწილი მოურიდებლად სთავაზობდა საკუთარ თეორიებს, შეხედულებებს საზოგადოებას!

თანამედროვე მსოფლიოს თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნების თანადგომით დაიწყო დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობა. საქართველოს მშენებლობის ახალი ეტაპის საფუძველი გახდა 2003 წლის „ვარდების რევოლუცია"

დაიწყო 2012 წელი.

XXI – საუკუნის შემდგომი პირველი ათწლეული დამკვიდრდა.

XXI – საუკუნეში შორეთიდან მოვიდა საქართველო.

XXI – საუკუნეში ვეძებთ შორეულ ხლართებში ჩამჯდარ ისტორიულ სინამდვილეს.

XXI – საუკუნეში ვემყარებით მეცნიერთა ნააზრევს.
XXI – საუკუნეში ვეკითხებით ისტორიას შორეთში მომხდარ ისტორიაზე.

და მათგან:.

ამბობენ პატარა ერიაო ქართველობა.
ამბობენ მაჩვენებელიაო – ეს რაოდენობრივი.
ამბობენ დიდიაო საქართველო თვისობრივად.
ამბობენ მრავალმხრივიაო ქართველობა შორეთიდან მოსული.
ამბობენ განუმეორებელიაო მსოფლიო კულტურის საგანძურში.
ამბობენ იშვიათიაო ხელოვნებაში.
ამბობენ დაუშრეტელიაო ლიტერატურაში.
ამბობენ ერთსულოვანიაო ქრისტიანულ რელიგიაში.
ამბობენ ბრძენიაო პოლიტიკაში.
ამბობენ შემკულიაო ფილოსოფიაში.
ამბობენ უნიჭიერესიაო მეცნიერებაში.

დაუდეგარი ბრძოლით, დაუღალავი შრომით, დიდი ნებისყოფით, ძნელი თავგადასავლებით მოვიდა შორეთიდან ქართველობა, კაცთა მოდგმის ისტორიის მოწმე და მონაწილე. შორეული ისტორიის მატეანეში მრავალი ღირსეული და სასიქადულო ფურცელი ჩაწერეს შორეული საქართველოს შორეულმა შვილებმა. მათი სულის სამყაროს ამოცნობა უამრავ აუხსნელ კითხვას ბადებს.

კითხვას ვინ იყვნენ პირველი ბინადარნი?
კითხვას სად და როგორ ცხოვრობდნენ?
კითხვას განვითარება-კულტურის რა პერიოდი გაიარეს?
კითხვას როდიდან შექმნეს ოჯახი, ქალაქი, სახელმწიფო?
კითხვას ვისთან მეზობლობდნენ?
პასუხი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მეცნიერის სხვადასხვაგვარია.
პასუხი ხშირად საეჭვოა.
პასუხი ხშირად უზუსტოა.
პასუხი ხშირად სავარაუდოა.
პასუხი ხშირად მოითხოვს პასუხს.
პასუხი ხშირად საკითხავია.
პასუხი დედამიწის გულშია საიდუმლოდ ჩამარხული.
პასუხი ახალ არქეოლოგიურ მიგნებებს მოაქვს.
ასეთია დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენები.
ასეთია თბილისის აბანოს უბნის არქეოლოგიური ნივთები.
ასეთია კახეთში ნეკრესის ნაქალაქარის გათხრების მასალები.
ასეთია კახეთში მელაანის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები.
ასეთია მომავალი სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელი მიზნები.

ასე:

ხანიერიაო საქართველო მძლავრი წარსულით!
ხანიერიაო კახეთი ძნელი ისტორიით!
ხანიერიაო თელავი კავკასიაში, ხანიერი!
ხანიერიაო ქართველი სიბრძნით!
ხანიერიაო ქართველი ნიჭით!
ხანიერიაო ქართველი სულიერებით!
ხანიერიაო ქართველი კაცთმოყვარებით!
ხანიერიაო ქართველის სიყვარული მამულისა!
ხანიერი და მარადიულიაო საქართველო სამყაროში!
ხანიერი და ახალგაზრდააო საქართველო მუდმივად!
ამბობდნენ და ამბობენ ჩვენზე, ქართველებზე, საქართველოზე!

განსხვავებული შეფასებები.
განსხვავებული დასკვნები.
განსხვავებული შემოთავაზებები.
განსხვავებული დაკვირვებისათვის; განსახილველი მიმართუველებები.

1. სახელმწიფო „საქართველოს" წარმოქმნის პროცესი უძველესი ხანიდან დაწყებული, უმეტეს წილად V – საუკუნის ჩათვლით: ჩვენი კვლევისათვის ქრონოლოგიური ჩარჩოები IV – X. საუკუნეები, იმიტომ, რომ ადრეული „საქართველოს" მშენებლობის თვალსაზრისით ის დამაგვირგვინებელი პერიოდია.

2. ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხებიდან: (პროფ. დ. მუსხელიშვილი)

ა) კავკასია, ამიერკავკასია საერთოდ და საქართველო თავისი ფიზიკური გეოგრაფიით;

ბ). ისტორიული და ფიზიკური გეოგრაფიის მონაცემების ანალიზი:

გ) უძველესი ხანა, რა დროიდანაც ჩვენ შეგვიძლია ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ საქართველოს ტერიტორიაზე (ე. წ. ენეოლითისა და ადრე ბრინჯაოს ეპოქა);

დ). მომდევნო არქეოლოგიური პერიოდი (მოიცავს ძვ. წ. III ათასწლეულს), ეს არის ე. წ. „მტკვარ-არაქსის" კულტურა (განეკუთვნება ადრებრინჯაოს პერიოდს);

ე). ქონებრივი და სოციალური განსხვავებულობის შესამჩნევი გაზრდა.

ვ). ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანიდან ძველი სამოსახლო „გორები" ხელმეორედ ჩანს ათვისებული (ჩანს ახალი სამოსახლოებიც).

ზ). ადრეული აღმოსავლური და ბერძნული ცნობების ახლებური განსაზღვრა-განმარტებების საფუძველზე უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის – „კოლხეთის სამეფოს" – ისტორიას ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იწყებენ:

თ). ქართლის (ივერიის) სახელმწიფოს წარმოქმნა (ძვ.წ. IV-III საუკუნეები);

ი). რთულია ამ გეოგრაფიული გარემოს ეთნოგენეზის საკითხის განსაზღვრა;

კ). ისტორიული ქართული მატეანე „მოქცევაი ქართლისაი" (VI-ს). ქართლის სამეფოს თავდაპირველი სახელმწიფო ტერიტორიას წარმოგვიდგენს: აღმოსავლეთით ჰერეთი (?!) (ე. ი. კავკასიის ალვანეთი?!) მიგვაჩნია ჰერეთი სხვაა, ალბანეთი კავკასიისა სხვა;

დასავლეთით-ეგრისწყალი: სამხრეთით-სომხითი (სომხეთის სახელმწიფო?); ჩრდილოეთით მთა ტროლისა.

ვფიქრობთ: **პირველი** ერთმანეთისაგან განცალკევებულად უნდა განვიხილოთ ისტორიული საქართველო, მის შემადგენლობაში კახეთის სამეფო და საერთოდ კახეთის მხარე თავისი ისტორიულ-ფიზიკური გეოგრაფიით; **მეორე** საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიელი მეზობელი ხალხები და სამხრეთით შექმნილი სახელმწიფო წარმონაქმნები; **მესამე** რთული გასამიჯნია კახეთთან ისეთი ერთეულების ურთიერთობები, როგორც „ალბანეთი (კავკასიისა)", ერთ დროს აღზევებული ალბანეთის საზღვარი კახეთში მდ. თურდომდე ვრცელდებოდა, მან თავისი კვალი დაამჩნია გეოგრაფიულ სახელწოდებებს, შემოიტანა ტოპონიმური დასახლებები, რომელთა განმარტებები გაამდიდრებს ქართულ ლექსიკას; **მეოთხე** კახეთის სამეფოს თავისი სახელმწიფოებრივი, სამეზობლო, პოლიტიკურ-ეკონომიკური დაინტერესება ჰქონდა ჰერეთთან მიმართებაში, კახთა მეფემ „დაიპყრა ჰერეთიცა". ქართულ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული შეხედულებებია ჩამოყალიბებული ისტორიულ ჰერეთსა და ჰერებთან დაკავშირებით, რაც განსაკუთრებულ დაკვირვებას საჭიროებს.

თავი I. XX–XXI – საუკუნეების საქართველოსთვის

დღევანდელი საქართველო, ჩემი სამშობლო, მდებარეობს ევრაზიის კონტინენტზე. კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მას უკავია შავი ზღვის აღმოსავლეთით და კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთით მდებარე ტერიტორია. უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილი მდებარეობს სოფ. აიბგასთან, მდ. ფსოუს მარჯვენა ნაპირზე; სამხრეთი – მთა ოკუიზდამდე (საქართველო-სომხეთის საზღვარი); დასავლეთი – დაბა ლესელიძესთან, მდ. ფსოუს შავი ზღვის შესართავთან; აღმოსავლეთი – მდინარეების: აგრიჩაისა (გიშისსწყლისა) და ალაზნის შესართავთან.

საქართველოს ტერიტორიის ფართობია 69,7 ათასი კვ. კმ.

მოსახლეობის რაოდენობამ მიაღწია 5443 ათასს XX-ს 80-იან წლებში.

მეზობელი მოსაზღვრე სახელმწიფოებია: რუსეთი – ჩრდილოეთიდან 815 კმ მანძილზე; აზერბაიჯანი – აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – 460 კმ მანძილზე; სომხეთი – სამხრეთიდან 197 კმ მანძილზე; თურქეთი – სამხრეთ-დასავლდეთიდან 248 კმ. მანძილზე.

ასევე საქართველოს ესაზღვრება:

ა) კრასნოდარის მხარე – 72 კმ;

ბ) ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა – 173 კმ;

გ) ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა – 120 კმ;

დ) ოსეთის რესპუბლიკა-ალანია – 170 კმ;

ე) ინგუშეთის რესპუბლიკა – 58 კმ;

ვ) ჩეჩნეთის რესპუბლიკა – იჩქერია – 79 კმ;

ზ) დაღესტნის რესპუბლიკა – 143 კმ.

საქართველოს საზღვრების საერთო სიგრძეა 1970 კმ. მათგან სახმელეთო საზღვარზე მოდის – 1655 კმ; საზღვაოზე – 315 კმ.

XXI – საუკუნის 10-იანი წლების მოვლენებმა კერძოდ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებმა დროებითი ცვლილებები შეიტანა მასში.

უშუალოდ საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნები – სამხრეთ კავკასიაში.

თანამედროვე საქართველოსათვის მოსაზღვრე ქვეყნებიდან სამი – რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი პოსტსაბჭოური და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წეუვრია; ხოლო ერთი კი – თურქეთი ჩრდილო-ატლანტიკური ბლოკის (ნატოს სამხედრო გაერთიანება) წევრი.

უშუალოდ არა მოსაზღვრე მეზობელი ქვეყნები: – ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკები: უკრაინა, ყაზახეთი, თურქმენეთი. ასევე ყოფილი სოციალისტური მიმართულების ქვეყნები – რუმინეთი, ბულგარეთი. მუსლიმანური სამყაროს სახელმწიფოებიდან – სირია, ერაყი, ირანი.

ასე, საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნების დიდი ნაწილი მუსლიმანურ რელიგიას მისდევს. ქრისტიანული აღმსარებლობის სამყაროსთან საქართველოს სახმელეთო საზღვრის მცირე ნაწილი, ერთი მეოთხედი მოდის.

გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით საქართველო ცენტრალური სახმელეთო და ზღვისპირა მიდგომით ხასიათდება, რაც დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

საუკუნეების მანძილზე არაერთხელ შეცვლილა საქართველოს ტერიტორიული სივრცე; ჯერ კიდევ XV-ს. 40-იან წლებში მან, საქართველომ დაკარგა სივინიეთი (ახლო ყარაბაღი), ნახჭევანი, ქ. ანისი და მისი ოლქი. შემდგომ საუკუნეებში მის ფარგლებში აღარ შედიოდა შაქ-შარვანი, სომხეთის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი.

ხოლო მას შემდეგ, რაც XIX საუკუნეში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა კვლავ განიცადა ცვლილებები ქვეყნის სამხრეთმა საზღვარმა. საქართველომ დაიბრუნა ისტორიული მიწა-წყალი: შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო, ჩრდილის (ჩილდირის) ტბის მიდამოები, მდინარეების – ჭოროხის (ქვემო წელის), მტკვრის (ზემო წელის), არეზის (შუა წელის) აუზები და სხვ. ქართულ ქვეყანას დაუბრუნდა ძირძველი მხარეები – კლარჯეთი, აჭარა, პარხალი, თორთომი, კოლა, არტაანი, ხორტევანი, შავშეთი, სამცხე, ჯავახეთი, ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი (ოლთისი).

მეოცე საუკუნის 20-იან წლებში კი საბჭოთა რუსეთმა თურქეთს დაუთმო 1878 წელს შემოერთებული ყველა ქართული პროვინცია (აჭარის გარდა); აზერბაიჯანს – საინგილო; სომხეთს – ლორე.

XX-ს. ბოლოს და XXI-ს. დასაწყისისათვის კვლავ შეიქმნა საფრთხე საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის დარღვევისა. განსაკუთრებული პოლიტიკური სიმძაფრე შეიძინა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განვითარებულმა მოვლენებმა. **კვლავ დაირღვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და მთელი სიცხადით გახდა აუცილებელი საქართველოს ერთიანი ძლიერი ქვეყნის გამთლიანებისათვის გადამჭრელი მოქმედებისა. საქართველო ერთიანი, ძლიერი, დამოუკიდებელი, თავისუფალი, მდიდარი, აღიარებული, ღირსებით დამკვიდრებული სახელმწიფო გახდება უახლოეს წლებში.**

XXI-საუკუნის 10-იან წლებში ძირეული ცვლილებები მოხდა საქართველოში, რაც შეეხო განათლების სისტემასაც. განათლების რეფორმის განხორციელების შედეგად გადასხვაფერდა სწავლების ფორმა და შინაარსი. სავალდებულო გახდა ინგლისური ენა და კომპიუტერი. იგი, ეს ცვლილებები მუყაითად მიიღო და გადაიტანა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა თაობამ მთელმა უნიტვერსიტეტმა, რომელიც ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის ურთულეს საქმეს უძღვება თანამედროვე მკაცრი მოთხოვნების შესასრულებლად.

მკაცრი ისტორიის მკაცრ გამოცდას გაუძლო საქართველომ.

ძნელი გზით იარა ქართულმა სახელმწიფომ.

და, მაინც ამაყობს თავისი წარსულით ამაყი ქართველი.

და, მაინც მოითვლის ავბედობას კეთილი მომავლისათვის.

და, მაინც იგონებს დაკარგულს თუ წართმეულს.

და, მაინც ჰპატრონობს თავისას.

და, მაინც ეძებს თავის ძმებს.

და, მაინც დგას საქართველო თავისი და სხვის საიმედოდ.

და, მაინც გაჰყვება საუკუნეებს ქართული გონიერება, ნიჭი და შემართება.

1921 წ. 16 მარტის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებით საქართველოს ჩამოერთვა და თურქეთის შემადგენლობაში გადავიდა: –

არტაანის, ართვინის,

ოლთისის ოლქები – 12115 კვ. კმ. ტერიტორია, 164 ათასი მოსახლეობით. ცოტა მოგვიანებით საქართველოს ჩამოაცილეს და მეზობელ რესპუბლიკებს – სომხეთსა და აზერბაიჯანს გადასცეს ბორჩალოს მაზრის ნაწილი (3812 კვ.კმ.) ზაქათალის ოლქი (3564 კვ. კმ.) 1921 წელს საქართველომ დაკარგა 20 ათასი კვ. კმ. ტერიტორია.

XX-საუკუნის დასასრულისათვის, 1980-90-იან წლებში საქართველოში ე. წ. ეროვნული მოძრაობის ტალღაზე ხელისუფლებაში მოვიდა პოლიტიკურად გამოუცდელი, თვითდარწმუნებული, ჯიუტი და ეროვნული დამოუკიდებლობის, იზოლაციის მქადაგებელი მთავრობა. მათ, ამ მთავრობამ ძალადობის მეთოდი დაუპირისპირეს მაშინდელ სამყაროში მიმდინარე მოვლენებს, კერძოდ საერთაშორისო არენაზე მსოფლიო სოციალისტური სისტემის და საბჭოთა კავშირის დაშლის ისტორიულად შეუქცევადი პროცესი საკუთარი განდიდებისათვის გამოიყენეს და ქვეყნის დამოუკიდებლობის უკვე მიღწეული დონე სამოქალაქო ომში, სხვა ქვეყნებთან პოლიტიკურ-ეკონომიკურ გათიშვაში, ქვეყნის სახელმწიფო-ადმინისტრაციულ მხარეებში ეროვნული შუღლის, ეთნიკური დაპირისპირებისათვის გამოიყენეს. რამაც უკიდურესად დაძაბა საქართველოს განვითარება 90-იან წლებში. ჯერ კიდევ შეუფასებელია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენები, რის გამოც საქართველომ დროებით დაკარგა თავისი ტერიტორიის ეს საუკეთესო ნაწილი თავისი მოსახლეობითა და ეკონომიკური შესაძლებლობებით.

ასეთი ხელისუფლება გაეთიშა ერის ძირითად ინტერესებს და განწირული აღმოჩნდა. მალე ის გააძევა ხალხმა, დაიქსაქსა და პოლიტიკურ ემიგრაციაში წავიდა, სხვადასხვა ქვეყანას შეაფარა თავი. მისი თავკაცი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილი აღესრულა თვითმკვლელობითა თუ საიდუმლო სიკვდილით. ახალგაზრდა პრეზიდენტი გამსახურდია 1994 წელს.

თითქოს განმეორდა XX-ს 20-იანი წლების საქართველოს ხელისუფლების ისტორიული ბედუკულმართობა ემიგრაცია ევროპაში, ამავე საუკუნის 90-იან წლებში კი აქვე კავკასიაში ლტოლვილობით.

2007 წლის მარტის თვის ბოლოს ჩრდილოეთ კავკასიის ჩეჩნეთის ტერიტორიაზე, უცხო მიწაში ჩასვენებული ზვიად გამსახურდიას, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნეშტის ნაწილებს მიაგნეს ქართველებმა. 14 წლის მანძილზე ოთხჯერ დამარხულ-გაპატიოსნებულის საბოლოო განსასვენებლად, ახლა უკვე საქართველოში, ახლა უკვე მეხუთედ, ახლა უკვე ქართველ თავდადებულთა პანთეონში თბილისში, მთაწმინდაზე, მამადავითზე თავის სულიერ თანამოძმეთა გვერდით მიუჩინეს საპატიო ადგილი.

გაორდა ადამიანთაგან ზვიადის თვისებებისა და თავისებურებების შეფასება:

ა) ერთნი მიიჩნევენ მეცნიერად, მორწმუნედ, პოლიტიკოსად, მოღვაწედ, საქართველოს განმათავისუფლებლად, პირველ პრეზიდენტად და არ ითვალისწინებენ XX-ს. 90-იანი წლების უურთულესი მოვლენების შედეგებს. აქცენტს აკეთებენ ზ. გამსახურდიას პირველ პრეზიდენტობაზე.

ბ) მეორენი და ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი წარმომადგენლობა ცდილობს გაიგოს პირველი პრეზიდენტის საქმიანობის ტრაგიკული შედეგების შინაარსი:

ეს იყო დაპირისპირება რუსეთსა და ამერიკასთან;

ეს იყო დაპირისპირება ქვეყნის შიგნით;

ეს იყო დაპირისპირება ეთნიკურ წარმომადგენლობასთან;

ეს იყო სამოქალაქო ომი საქართველოში;

ეს იყო საქართველოს ძირძველი მხარეების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვა და სხვ.

გ) შეფასებას ითხოვს 1991-92-93 წლების მოვლენების სიმძაფრე საქართველოში. განვითარებულმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ შეიწირა საქართველოს ახალგაზრდობის ათასობით (მარტო აფხაზეთში 16.000) საუკეთესო წარმომადგენელი. საქართველოში სამოქალაქო ომი გარდაუვალი გახდა, ქართველების მიერ დაიღვარა ქართველების სისხლი. რა გამართლება შეიძლება ჰქონდეს ნაჩქარევ, გაუთვლელ, ამბიციურ პოლიტიკურ

გადაწყვეტილებებს ერის ისტორიაში, ერის მომავლის განსაზღვრაში? ჰქონდა კი ვისმე თვითნებური გადაწყვეტილებების უფლება?! ვის მოსთხოვს ისტორია პასუხს უბრალო მინდობილ მოქალაქეს თუ ქვეყნის ხელისუფალს? ქვეყნის ხელისუფლების მოღვაწეობა ერის, ხალხის სასიკეთო შედეგების მიხედვით უნდა ფასდებოდეს და იმკვიდრებდეს საპატიო ადგილს ერის სულიერ სამყაროში სამარადისოდ.

ასეთია სინამდვილე.

XX-საუკუნის დასაწყისიდან XXI-საუკუნის 10-იანი წლებისათვის საქართველოს ფაქტობრივი (სახეზე მყოფი) მოსახლეობის ცვალებადობა გამოწვეული იყო სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ზემოქმედებით. 2002 წლისათვის 1913 წელთან შედარებით ქვეყნის მოსახლეობა თითქმის 1,8 მილიონი კაცით გაიზარდა, მათგან ქალაქის მოსახლეობის რაოდენობამ 2-ჯერ გადააჭარბა სოფლის მოსახლეობის ზრდას, ხოლო 1990 წლიდან მოყოლებული ეს პროცესი თანდათან შენელდა. რაც აშკარად შესამჩნევი გახდა მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის პროცესის დროს.

ისევ შედარებით შეიძლება მოსახლეობის ზრდის რაოდენობაზე დასკვნების გაკეთება. 1939-1959 წლების აღწერათა შორის პერიოდში სრულიად უმნიშვნელო იყო ზრდის ტემპი. მან მხოლოდ 0,7 პროცენტი შეადგინა, ეს კი განაპირობა მეორე მსოფლიო ომის დროს დიდ სამამულო ომში (1941-1945 წ.წ.) საქართველოს მონაწილეობის შედეგებმა. ომის დამთავრების შემდეგ (1959-1990 წ.წ.) საქართველოს მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა (საშუალოდ წლიურად 1,2 პროცენტით). მარტო 1959 წლიდან 1970 წლამდე 11 წელიწადში საქართველოში 1070 ათასი კაცი დაიბადა, ე. ი. ქვყნის მოსახლეობა ფაქტობრივად 643,6 ათასი კაცით, ანუ 13,8 პროცენტით გაიზარდა. ეს პერიოდი იყო საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული პოლიტიკური მოვლენებით დატვირთული (1979-1989) წლები, რამაც ძირითადად განსაზღვრა და შეცვალა საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარება.

2002 წლის მონაცემებით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციაში მყოფ (კონტროლირებად) ტერიტორიაზე (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოკლებით) 4355,7 ათასი ფაქტობრივი (სახეზე მყოფი) და 4371,5 ათასი კაცი მუდმივი მოსახლეობა აღირიცხა. მათგან 2061,7 ათასი მამაკაცი, 2309,8 ათასი ქალი.

სამწუხაროდ საქართველოს მუდმივი მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირება აშკარა გახდა 2002 წლიდან: ა) დაბალი შობადობა; ბ) სიკვდილიანობის ზრდა; გ) მიგრაციული პროცესების გაძლიერება; დ) ეკონომიკური გაჭირვების გამო და მის საფუძველზე. 2010 წლიდან აშკარაა დემოგრაფიული ზრდის მაღალი ტემპი საქართველოში.

ადრე არსებული ცვლილებები განპირობებულია ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესებით, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისა და მიგრაციული პროცესების ინტენსიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემებით, რამაც უმნიშვნელოვანესი დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუარესებაში იჩინა თავი.

საქართველოს ქალაქისა და სოფლის ფაქტობრივი (სახეზე მყოფი) მოსახლეობის რიცხოვნობა

წლები	მოსახლეობა – სულ (ათასი კაცი)	მათ შორის		პროცენტობით მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან		საშუალო წლიური ცვლილება (მატება +, კლება -)
		ქალაქის მოსახლეობა	სოფლის მოსახლეობა	ქალაქის მოსახლეობა	სოფლის მოსახლეობა	
1913 წ. (წლის ბოლოსათვის)	2601,0	666,0	1935,0	25,6	74,4	
1926 წ. აღწერით (17 დეკემბრისათვის)	2677,0	594,0	2083,0	22,2	77,8	+5,8
1939 წ. (17 იანვრისათვის)	3540,0	1066,2	2473,8	30,1	69,9	+71,9
1959 წ. აღწერით (15 იანვრისათვის)	4044,0	1712,9	2331,1	42,4	57,6	+25,2
1970 წ. აღწერით (15 იანვრისათვის)	4686,4	2239,8	2446,6	47,8	52,2	+58,4
1979 წ. აღწერით (17 იანვრისათვის)	5014,8	2600,5	2414,3	51,9	48,1	+36,5
1989 წ. აღწერით (12 იანვრისათვის)	5443,3	3035,7	2407,6	55,8	44,2	+42,9
2002 წ. აღწერით (17 იანვრისათვის)	4355,7	2282,3	2073,4	52,4	47,6	-83,7

XX-საუკუნის დასასრულისა და XXI-საუკუნის საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, მისი მსხვილი ერთეულები (მხარეები) მოსახლეობის 2002 წლის აღწერის დროისათვის ასეთი სახით არის მოცემული საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სტატისტიკური კრებულის მასალებში:

ა. XX-საუკუნის 90-იანი წლების შემდგომ პერიოდში (1989 წ.) საერთოდ და მნიშვნელოვნად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მწყობა: 1) გაუქმდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი; 2) დაიკარგა (ცხადია დროებით) აფხაზეთი; 3) ქვეყანა დაიყო მსხვილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად (მხარეებად); 4) რაიონულ დაქვემდებარებაში გადავიდა ქალაქები გორი,მარნეული, ზუგდიდი, ტყიბული, წყალტუბო, ჭიათურა.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის პერიოდისათვის

ცხრილი №2

	ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები					
	რაიონები (შიგა საქალაქო რაიონების ჩათვლით)	ქალაქები		საქალაქო ტიპის დასახლებები (დაბა)	სასოფლო (თემების) საკრებულოები	სასოფლო დასახლებული პუნქტები
		სულ ერთეული	მათ შორის განსაკუთ. სტატუსის			
1	2	3	4	5	6	7
1.საქართველო (სულ)	65	54	5	44	896	3668
2.ქ.თბილისის მერია	5	1	1	1	-	1
3.აფხაზეთი (კოდორის ხეობა)		-			1	23
4. აჭარის ა/რ	5	2	1	7	56	333
5.გურიის მხარე	3	2	-	5	61	186
6.იმერეთის მხარე	11	11	1	3	161	544
7.კახეთის მხარე	8	9	-	-	119	280
8.მცხეთა-მთიანეთის მხარე	5	2		7	51	567
9.რაჭა-ლეჩხუმის და სვანეთის მხარე	4	3		-	57	250
10.სამეგრელო-ხემო სვანეთის მხარე	8	8	1	2	138	488
11.სამცხე-ჯავახეთის მხარე	6	5	-	7	77	258
12.ქვემო ქართლის მხარე	6	7	1	8	104	348
13. შიდა ქართლის მხარე	4	4	-	2	21	390

დემოგრაფიული მონაცემები: საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა დინამიურობით ხასიათდება, იგი ხან იზრდებოდა, ხან კი უაღრესად მცირდებოდა, რასაც განსაზღვრავდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და მწვავე პოლიტიკური პირობები.

საქართველოში ჩატარებული აღწერების ზოგიერთი მონაცემების მოშველიება არის შესაძლებელი. ჯერ კიდევ VII საუკუნის პირველ ნახევარში, სტეფანოზის მეფობის ხანაში ჩატარებულა ქართლში მოსახლეობის აღწერა. სამწუხაროდ ციფრობრივი მონაცემები არ შემორჩა. შემდეგ XIII-საუკუნეში, 1254 წელს მონღოლთა ვეზირს არღუნს ჩაუტარებია საქართველოს მცხოვრებთა აღწერა. რის მიხედვითაც მონღოლთა ხელისუფლებას დაუდგენია, რომ საქართველოს ცხრა სრულუფლებიანი კომლიდან ერთი მოლაშქრე უნდა გამოეყვანა და ყოველწლიურად 90 ათასი კაცი მიეცა სალაშქროდ.

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით 90 ათასი მოლაშქრე, მაშინდელ საქართველოში 810 ათას სრულფუძიან მოსახლე კომლს გვაგულისხმევინებს, რაც გვაძლევს ვივარაუდოთ კომლზე 5 კაცის რაოდენობა, ეს კი მაშინდელ საქართველოს სამეფოში 5 მილიონამდე მცხოვრებია. XIII საუკუნის II ნახევრიდან კი უცხო ტომთა გამუდმებული თარეშის გამო მოსახლეობის რაოდენობა კლებულობდა. 1801 წლისათვის ქართულ სამეფო-სამთავროებში მოსახლეობის რაოდენობა მხოლოდ 785 ათასი კაცით განისაზღვრებოდა, რაც XII-საუკუნესთან შედარებით 6-ჯერ ნაკლები იყო, 1832-1865 წლებში საქართველოს მოსახლეობა 397,1 ათასით გაიზარდა და 1289,2 ათასს მიაღწია. XIX-საუკუნის მიწურულს (1897) 2109,5 ათასი იყო, 1926 წლისათვის საქართველოს მოსახლეობამ 2677,2 ათასი შეადგინა, ხოლო 1986 წლისათვის მათმა რიცხვმა 544,3 ათასით ზრდას მიაღწია. ძალიან მალე, 1998 წლისათვის 543,8 ათას კაცამდე შემცირდა.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ქვეყნის შიგნით საგრძნობლად შემცირდა XX-ს. ბოლოსა და XXI-ს. დასაწყისში, ახალგაზრდობა ტოვებდა საქართველოს სხვა ქვეყნებში სამუშაოს ძებნისათვის. ეს პროცესი შეეხო თელავსა და თელავის რაიონს.

XX-ს 40-50-იანი წლებისათვის თელავში ცხოვრობდა 5.100 ოჯახი, სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენელი. დღეისათვის 2007 წლისათვის თელავში და რაიონში ცხოვრობს 70589 მოსახლე.

ეთნიკური შემადგენლობა სხვადასხვა რაიონში სხვადასხვაგვარია.

ცხრილი №3.

მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებები ძირითადი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (1926, 1939, 1959, 1970 ფაქტობრივი (სახეზე მყოფი) და 1979, 1989, 2002 წ. მუდმივი მოსახლეობა)

წლები	სულ			მათ შორის						
		შრომისუნარიანზე უმცროსი		შრომისუნარიანი		შრომისუნარიანზე უფროსი	ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ⁉% ჯამის მიმართ		დასაქმებული მოსახლეობის რიცხოვნობა	
	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%		ათასი კაცი	%		ათასი კაცი	%
მთელი მოსახლეობა										
1926	2666	100	1091	40,9	1311	49,2	264	9,9	100	1165	43,7
1939	3540	100	1378	38,9	4781	50,3	380	10,7	100	1520	42,9
1959	4044	100	1221	30,2	2269	56,1	554	13,7	100	1859	46,0
1970	4686	100	1520	32,4	2466	52,6	688	14,7	100	2110	45,0
1979	4993	100	1398	28,0	2837	56,8	753	15,1	100	2519	50,5
1989	5401	100	1423	26,3	3039	56,3	938	17,4	100	2634	48,8
2002	4372	100	916	21,0	2797	64,0	656	15,0	100	1652	47,8
ქალაქის მოსახლეობა											
1926	594	100	186	31,3	361	60,8	47	7,9	22,3	228	38,4
1939	1966	100	317	29,7	664	62,3	85	8,0	30,1	433	40,6
1959	1713	100	445	26,0	1072	62,6	196	11,4	42,4	72	42,2
1970	2240	100	635	28,3	1299	58,0	301	13,7	47,8	1055	47,1
1979	2549	100	665	26,1	1531	60,1	350	13,7	51,1	1322	51,9
1989	2991	100	773	25,8	1749	58,5	470	15,7	55,3	1488	49,7
2002	2285	100	462	20,2	1521	66,6	300	13,1	52,3	619	27,1

სოფლის მოსახლეობა											
1926	2072	100	905	43,7	950	45,8	217	10,5	77,7	937	45,2
1939	2474	100	1061	42,9	1117	45,1	295	11,3	69,9	1087	43,9
1959	2331	100	776	33,3	1198	51,4	357	15,3	57,6	1136	48,7
1970	2446	100	885	36,2	1167	47,7	387	15,8	52,2	1055	43,1
1979	2444	100	733	30,0	1306	53,4	403	16,5	48,9	1197	49,0
1989	2409	100	650	27,0	1290	53,5	469	19,5	44,6	1146	47,6
2002	2087	100	454	21,8	1276	61,1	356	17,1	47,7	1033	49,5

- 1926-1989 წ.წ. მამაკაცები – 16-59 წ. ქალები – 16-54;
- 2002 წ. – მამაკაცები – 15-65 წ. ქალები – 15-60.

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა დაკვირვებისა და მეცნიერული შესწავლა-განზოგადების ობიექტს წარმოადგენს.

საქართველო არ არის მონოეთნიკური სახელმწიფო. აქ 120-ზე მეტი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს. ამასთანავე, წინა აღწერებთან შედარებით, ბოლო ათწლეულში არსებითი ცვლილებები მოხდა ქვეყნის მოსახლეობის ეროვნულ სტრუქტურაში.

2002 წელს, 1989 წელთან შედარებით, საქართველოს მუდმივი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის 19,1 პროცენტით კლების პირობებში ქართველთა რაოდენობა მხოლოდ 126,2 ათასი კაცით (3,3 პროცენტით) შემცირდა. ამის გნამო მათი ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რი ცხოვნობაში 13,7 პროცენეტული პუნქტით, ანუ 70,1 პროცენტიდან 83,8 პროცენტამდე გაიზარდა.

2002 წლის აღწერის მონაცემებით, ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მკვეთრად შემცირებულია აფხაზებისა და ოსების რაოდენობა, რომელთა რიცხვმა, შესაბამისად, 3527 და 38028 კაცი შეადგინა.

საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, აგრეთვე, საქართველოდან ყოფილი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების წასვლამ, რის გამოც, ეთნიკურ მიგრაციასთან ერთად, ქვეყანაში რუსების რიცხვი 1989 წლის 341172 კაციდან 67671 კაცამდე, ანუ 6,3 პროცენტიდან – 1,5 პროცენტამდე შემცირდა. გარდა ამისა, ექსპერტული შეფასებით, აფხაზეთში ამჟამად 31,6 ათასი რუსი ცხოვრობს (კონფლიქტამდე 74,9 ათასი ცხოვრობდა).

1990-იანი წლების პირველ ნახევარში ქვეყანაში შექმნილმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა სერიოზული გავლენა მოახდინა მიგრაციული პროცესების გაძლიერებაზე საქართველოში მცხოვრებ თითქმის ყველა ეროვნებასა და ეთნი კურ ჯგუფში.

საქართველოში შექმნილი დემოგრაფიული ვითარებისათვის დამახასიათებელი დინამიურობა გავლენას ახდენს ქვეყანაში მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობასა და ეროვნულობის შემადგენლობაზე. ძირითადად იცვლება მოსახლეობის რაოდენეობა წლების განმავლობაში, რასაც კარგად ასახავს საცხრილო დემოგრაფიული მონაცემები საერთო აღწერების შედეგებით შეჯამებისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს XX-საუკუნის 20-30-იანი წლებისა და შემდგომი ისტორიული პერიოდის საქართველოს ძირითადი მოსახლეობის შემადგენლობის გარკვევას საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებში.

საქართველოს მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობა ეროვნებების მიხედვით* ცხრილი №4
შესაბამისი წლების მოსახლეობის აღწერების მონაცემებით

თელავის რაიონი	70589	60370	38	412	460	381	8373	20	63	58	357
ლაგოდეხის რაიონი	51066	35376	15	2239	561	1204	11392	16	48	-	25
საგარეჯოს რაიონი	59212	39409	21	125	231	377	18907	27	21	4	33
სიღნაღის რაიონი	43587	42226	26	45	419	539	118	16	15	-	60
ყვარელის რაიონი	37658	34296	25	762	248	158	17	31	12	1	7
მცხეთა-მთიანეთი	125443	116476	60	3977	532	757	2248	163	143	5	96
ახალგორის რაიონი	7703	6520	6	1110	37	20	2	2	1	-	1
დუშეთის რაიონი	33636	32229	31	1167	43	103	5	19	18	3	-
თიანეთის რაიონი	14014	13777	3	147	20	37	4	13	6	-	1
მცხეთის რაიონი	64829	58808	20	1464	427	583	2236	129	148	1	94
ყაზბეგის რაიონი	5261	5142	-	89	5	14	1	-	5	1	-

საქართველოს მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობა ეროვნებების მიხედვით*(ცხრილი №4
შესაბამისი წლების მოსახლეობის აღწერების მონაცემებით

	1926 წ.**		1939წ.		1959 წ.		1970 წ.		1979 წ.		1989 წ.		2002წ.	
	ს.წილ.	%	ს.წილ.	%	ს.წილ.	%	ს.წილ.	%	ს.წილ.	%	ს.წილ.	%	ს.წილ.	%
საქართველო ს.წილ	2677233	100	3540023	100	1044045	100	4686358	100	4993182	100	5400841	100	4371535	100
მათ შორის:														
ქართველი	1788186	66,8	2173922	61,4	2600588	64,3	3130741	66,8	3433011	68,8	3787393	70,1	3661173	83,8
აფხაზი	56847	2,1	57226	1,6	62878	1,6	79449	1,7	85285	1,7	95853	1,8	3527	0,1
ოსი	112598	4,2	147292	4,2	141178	3,5	150185	3,2	160497	3,2	164055	3,0	38028	0,9
ხოხები	107018	11,5	415013	11,7	442916	11,0	452309	9,7	448000	9,0	437211	8,1	248929	5,7
რუსი	96085	3,6	308684	8,7	407886	10,1	396694	8,5	371408	7,4	341172	6,3	67671	1,5
აზერბაიჯანელი	137021	5,2	187841	5,3	153600	3,8	217758	4,6	255678	5,1	307556	5,7	284761	6,5
ბერძენი	54051	2,0	84036	2,4	72938	1,8	89246	1,9	95105	1,9	100324	1,9	15166	0,3
ებრაელი	30534	1,1	42300	1,2	51502	1,2	55382	1,2	58298	0,6	24795	0,5	3772	0,1
უკრაინელი	14156	0,5	45595	1,3	52236	1,3	49622	1,1	45036	0,9	52443	1,0	7039	0,2
ქურთი	10217	0,4	12915	0,4	16212	0,4	20690	0,4	25688	0,5	33331	0,6	2514	0,0
ოსეტინელი	2262	0,1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	18329	0,4
ჩეჩენი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	7110	0,2
დანარჩენი	46458	2,5	64599	1,8	42031	1,0	44282	0,9	44967	0,9	56708	1,0	13516	0,3

*მონაცემები მოყვანილია შესაბამისი წლების მოსახლეობის აღწერებისათვის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში.

**მასალების დამუშავების პროგრამის შესაბამისად,1926, 1939, 1959, 1970 წლების მონაცემები მოყვანილია სახეზე მყოფი, ხოლო 1979, 1989, 2002 წლებისა – მუდმივი მოსახლეობის მიხედვით.

***1939 წლის აღწერის შემდეგ იეზიდები აღირიცხებოდნენ ქურთებთან ერთად. 2002 წლის აღწერის დროს ისინი ცალკე გამოიყვნაპენ იეზიდთა ტრადიციების ცენტრის „რაზიბუნ"-ის მოთხოვნით.

****2002 წლის აღწერამდე ქისტები „დანარჩენი ეროვნებიდან" არ გამოიყოფოდნენ.

მუდმივი მოსახლეობის განაწილება ცალკეული ეროვნებების მიხედვით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (მხარეების), ქალაქებისა და რაიონების ჭრილში

მხარეები	მოსახლეობა სულ	მათ შორის									
		ქართველი	აფხაზი	ოსი	სომეხი	რუსი	აზერბაიჯანელი	ბერძენი	უკრაინელი	ქისტი	იეზიდი
საქართველო სულ	4371535	3661173	3527	38028	248929	67671	284761	15166	7039	7110	18329
ქ. თბილისის მერია	1081679	910712	471	10268	82586	32580	10942	3792	3328	73	17116
აფხაზეთის არ -											
(კოდორის ჩათვლით)	1956	1912	9	2	1	23	6	-	2	-	-
აჭარის არ	376016	351132	1558	208	8848	9073	542	2168	1056	8	76
ქ. ბათუმი	121806	104313	800	142	7517	6300	301	587	770	8	69
ქედის რაიონი	20024	19958	15	2	8	26	7	-	3	-	-
ქობულეთის რაიონი	88063	83367	50	36	958	1692	79	1487	176	-	7
შუახევის რაიონი	21850	21796	25	5	5	14	1	1	2	-	-
ხელვაჩაურის რაიონი	90843	88321	645	19	355	1029	151	91	103	-	-
ხულოს რაიონი	33430	33377	23	4	5	12	3	2	2	-	-

ცხრილი №5

საქართველოს მუდმივი მოსახლეობა ცალკეული ეროვნებების მიხედვით

	2002	1989		მოსახლეობის ზრდის ტემპი	წილი მთელ მოსახლეობაში (პროცენტებში)	
			კაცი	%	2002	1989
ა	1	2	3	4	5	6
სულმოსახლეობა	4371535	5400841	-1029306	80,9	100.0	100.0
მათ შორის						
ქართველი	3661173	3787393	-126220	96,7	83,8	70,1
აზერბაიჯანელი	284761	307556	-22795	92,6	6,5	5,7
სომეხი	248929	437211	-188282	56,9	5,7	8,1
რუსი	67671	341172	-22795	92,6	6,5	5,7
ოსი	38028	164055	-126027	23,2	0,9	3,0
აფხაზი	3527	95853	-92326	3,7	0,1	1,8
იეზიდი	18329	...	18329	-	0,4	-
ბერძენი	15166	100324	-85158	15,1	0,3	1,9
ქისტი	7110	...	7110	-	0,2	0,0
უკრაინელი	7039	52443	-45404	13,4	0,2	1,0
გერმანელი	651	1546	-895	42,1	0,0	0,0
თათარი	455	4099	-3644	11,1	0,0	0,1
ბელორუსი	542	8595	-8053	6,3	0,0	0,2
თურქი (ოსმანი)	441	1375	-934	32,1	0,0	0,0
პოლონელი	870	2014	-1144	43,2	0,0	0,0
ქურთი*	2514	33331	-30817	7,5	0,1	0,6
ჩეჩენი	1271	609	662	208,7	0,0	0,0
მოლდოველი	864	2842	-1978	30,4	0,0	0,0
ებრაელი	3772	24720	-20948	15,3	0,1	0,5
ბოშა	472	1744	-1272	27,1	0,0	0,0
ასირიელი	3299	6206	-2907	53,2	0,1	0,1
სხვა	4651	27753	X	X	0,1	0,5

*1989 წ. აღწერისას „იეზიდი" ეროვნების მოსახლეობა აღირიცხა „ქურთი" ეროვნების შემადგენლობაში.

და იცვლებოდა ეროვნული თანაფარდობა

და მოდიოდნენ საქართველოში სხვანი და სხვანი

და მოდიოდნენ სხვანი სამტროდ

და მოდიოდნენ სხვანი სამოყვროდ
და მოვიდნენ უცხოდ-უცხონი
და დარჩნენ საქართველოში.
და ქართველობენ
საუკუნეთა მანძილზე:

ყივჩაღები: XII-საუკუნის საქართველოში ჩამოასახლეს ჩრდილოეთ კავკასიიდან 45000 ყივჩაღი, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს სასაზღვრო ზოლში – შიდა ქართლში და ჰერეთში. მათი წარმომავლები კახეთსა და თელავშიც მოხვდნენ.

ბერძნები: მათი მიგრაცია რამდენჯერმე მოხდა.

ა) ჯერ კიდევ ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებობდა ბერძნული კოლონიები, მათი ნაწილი შეერია ქართველ ტომებს;

ბ) XVIII-საუკუნის II ნახევარში საქართველოში ჩამოსახლდა ბერძნების მცირე ჯგუფი;

გ) XIX-საუკუნის დასაწყისში ახტალაში 800-მდე ოჯახი, მარნეულის რაიონში (სოფ. ოფრეთი, ყოფილი წინწერიო) 120-მდე ოჯახი, ხოლო თრიალეთში 7 ათასი ბერძენი დასახლდა.

ბერძნები ცხოვრობენ თელავში საუკუნეების მანძილზე.

ოსები: XIII-XIV საუკუნეებში მტერთაგან შევიწროებული ოსები საქართველოში ჩამოსახლდნენ ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე.

ა) პირველი ოსური ახალშენები საქართველოს ტერიტორიაზე XVI საუკუნეში გაჩნდა: 1) დიდი ლიახვის სათავეში.

2) სამხრეთით პატარა ლიახვის, ქსნის, არაგვის, ყვირილისა და ჯეჯორის ხეობისაკენ გამოჩნდნენ.

ბ) გაიზარდა ოსების მიგრაცია XVIII საუკუნის 40-50-იან წლებში:

გ) XIX საუკუნის მეორე ნახევარში ოსები დასახლდნენ კახეთსა და ქვემო ქართლში.

ოსური მოსახლეობა საქმიანობს თელავსა და თელავის რაიონში. საქართველოში დასახლდნენ და ცხოვრობენ რუსები, ესტონელები, ლატვიელები, უკრაინელები, ბელარუსები, პოლონელები და სხვ.

ებრაელები: საქართველოში რამდენჯერმე აღინიშნა მათი იმიგრაცია:

ა) პირველი ჩამოსახლება უნდა მომხდარიყო ძვ. წ. IV საუკუნეში განსახლების ადგილი კი მცხეთა იყო;

ბ) მეორე მძლავრი ნაკადი დასახლდა შავი ზღვისპირეთში, მესხეთში, ჯავახეთში, იმერეთში, გურიაში, ქიზიყში.

გ) არსებობს მოსაზრება, რომ დაახლოებით 10.000 ებრაელი დასახლდა ფანასკერტში (ისტორიულ ტაოში. ამჟამად თურქეთშია);

დ) XX საუკუნის 70-80-იან წლებში დაიწყო ემიგრაცია ებრაელებისა ისრაელში.

თელავში საუკუნეების მანძილზე დამკვიდრდნენ ნიჭიერი ებრაელი ხალხის წარმომადგენლები.

თურქები: ქართველებისაგან თავისუფალ მიწებზე ჩამოასახლეს თურქული მოდგმის მოსახლეობა – „ბორჩალუს" ტომი. ნაწილი მათი მოხვდა თელავში.

იეზიდი-ქურთები: 1915 წელს თურქეთიდანპ, აღმოსავლეთ ანატოლიიდან საქართველოში ჩამოსახლდა ათასობით ი ეზიდი-თურქი. ისინი დასახლდნენ რუსთავში, ბათუმში და თელავში.

სომხები: საქართველოში სომეხი მოსახლეობის რამდენიმე მიგრაციული ნაკადი შემოვიდა VII-VIII საუკუნეებში, შემდეგ XIII და XIV საუკუნეებში, ისინი დასახლდნენ

საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებთან. მომდევნო ნაკადი აღინიშნა XVIII-XIX საუკუნეებში. XIX-საუკუნის დასაწყისისათვის ისინი ჯერ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე (სომხითი, ლორი), ხოლო მოგვიანებით – ჯავახეთსა და თრიალეთში დასახლდნენ. ხოლო ამავე საუკუნის ბოლოსათვის თურქეთიდან გამოძევებული, გამოქცეული სომხები აფხაზეთში, აჭარაში დასახლდნენ. მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის (1902) საქართველოში ჩამოასახლეს 55 ათასი სომეხი (დასახლდნენ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში) მათგან თელავსა და თელავის რაიონში.

სომხების, სომხური ეთნოსის ისტორიული წარმომავლობისა და რასობრივი კუთვნილების შესახებ მეცნიერებაში გაორებული მოსაზრება არსებობს: – ერთნი სომხებს მკვიდრ კავკასიურ ეთნოსად თვლიან, სამხრეთ კავკასიელ (სამხრეთ ამიერკავკასიის) აბორიგენ ხალხს მიაკუთვნებენ, – მეორენი მათ, სომხებს აქ, ამიერკავკასიაში სამხრეთიდან მოსულ სემიტურ ტომებად – არამეელებად მიიჩნევენ, – მესამენი მათ კიმერიელების შთამომავლებად თვლიან, – მეოთხენი სომხებს ჩრდილო-დასავლეთიდან გადმორხვეწილ ინდო-ევროპულ რასას, – მეხუთენი კი სომხებს ბოშების ტომობრივ წარმომადგენლობასთან აიგივებენ.

საქართველოშისომხების გამოჩენისა და დასახლების შესწავლას არა ერთი მეცნიერ-მკვლევარი შეხებია. მათგან განსაკუთრებით გამოიყოფა:

ა) გურამ მაისურაძის ნაშრომი: „საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII-ს.ს.)“;

ბ) ანზორ თოთაძის – „სომეხი ვაი-მეცნიერების ანტიქართული ისტერია“;

გ) იაკობ ახუაშვილი – „ახალი ქვათა ღაღადი, ანუ, ვართ თუ არა მდგმურები“;

დ) შ. და ო. თეთვაძეების – „სომხები საქართველოში“)

ე) ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს ... სომეხმა მეფეებმა მოახერხეს და ქვემო ქართლის რაღაც ნაწილი დაიპყრეს, მათ შორის ტაშირი, ანუ „ქართველთა ველი“...

ასევე, მეცნიერთა შორის განსხვავებული შეხებულებებია სომხური მოსახლეობის საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე არსებობის შესახებ:

ა) ლეონტი მროველის მიხედვით სომხური მოსახლეობა საქართველოში ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის ამიერკავკასიაში ლაშქრობამდე, ე.ი. ძვ. წ. აღ. IV-III საუკუნეებამდე ყოფილა გამოჩენილი.

ბ) 1918 წლის 9 ნოემბრის გაზეთი „საქართველო“ კი ვახტანგ გორგასალის სახელს უკავშირებს. ვახტანგმა აღაშენა ახპატის ეკლესია, ვრცელი, გუმბათიანი, იგი სომხებს უპყრიათო.

გ) სომხური მოსხლეობის გამოჩენა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ამიერკავკასიაში არაბთა ბატონობის დროიდან იწყება.

XIX-საუკუნის სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების შედეგად:

ა) რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წ.წ. ომი;

ბ) რუსეთ-თურქეთის 1977-1878 წ.წ. ომი;

გ) 1890-იანი წლებიდან სომეხ ლტოლვილებს ნება მიეცათ დასახლებულიყვნენ მესხეთ-ჯავახეთში, თრიალეთში, თბილისში, საქართველოს შავიზღვისპირეთში სოხუმსა და ბათუმის გარშემო.

დ) 1897 წლიდან 1902 წლამდე პერიოდში სომეხ ემიგრანტთა რიცხვი შეადგენდა დაახლოებით 55000, ხოლო თბილისის სომეხთა მოსახლეობა 191– წლამდე 46700-დან 125000-მდე გაიზარდა. სომეხთა დიდი რაოდენობით შემოსვლა 1915 წლის შემდეგ აღინიშნა, დაახლოებით 25000 კაცი, მათი უმრავლესობა სამხრეთ საქართველოში მოთავსდა.

დღეისათვის სომეხთა დემოგრაფიული მასალა ასეთია:

ცხრილი №6

სომეხი

		მათ შორის	
	სულ	მამაკაცი	
მოსახლეობა სულ	248929	116408	132521

აზერბაიჯანელი

ცხრილი№7

მოსახლეობა სულ	სულ	მამაკაცი	ქალი
	284761	141237	143524

მრავალსაუკუნოვანმა მჭიდრო ურთიერთობამ მეზობელ ხალხებთან, ეთნიკურ ჯგუფებთან, განვითარებულ თუ კულტურის დაბალი დონის ხალხების წარმომადგენლებთან საქართველოში ჩამოაყალიბა სრულიად მისაღები ახალი მიდგომა უცხოთა მიმართ: შემწყნარებლობა, თანადგომა, თანაცხოვრება, რელიგიური აღმსარებლობის პატივისცემა, მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირი, ეროვნული ტრადიციების, ადათების, ცხოვრების წესის, საკუთარი ენისა და სულიერების განვითარებისათვის ხელშეწყობა.

მიგვაჩნია, რომ დღევანდელი XXI საუკუნის 10-იანი წლების კაცობრიობისათვის საქართველოში ჩამოყალიბებული და განმტკიცებული ეროვნული ტოლერანტობა არის მისაბაძი მისი, ამ გამოცდილების ცხოვრების ჩვეულებრივ წესად დანერგვას განუსაზღვრელი შემეცნებითი ღირებულება აქვს ადამიანთა ბუნებრივი ღირსების დაფასებისათვის.

ცხრილი №8

საქართველოს მოსახლეობა (2002 წლის მონაცემებით)

	მოსახ-ლეობა სულ	მათ შორის		მშობლი-ური ენის მიხედვით				
		თავისი ეროვნე-ბის	ქართული	აფხაზური	რუსული	აზერბაი-ჯანული	სომხ-ური	სხვა
საქართველო სულ	4371535	4335202	18582	143	16355	218	122	913
მათ შორის	-	-	-	-	-	-	-	-
ქართველი	3661173	3659413	X	9	1493	71	151	172
აფხაზი	3527	3209	244	X	71	-	1	2
ოსი	38028	31372	6189	34	389	5	7	32
აზერბაი-ჯანელი	284761	283414	934	2	383	X	19	7
სომეხი	248929	235531	5692	37	7525	12	X	132
ბერძენი	15166	10707	1041	11	3143	110	16	138
ებრაელი	3772	2049	1337	16	349	1	6	14
უკრაინელი	7039	5466	310	10	1156	-	2	95
ქურთი	2514	2313	87	2	98	3	2	9
იეზიელი	18329	16829	728	1	621	-	28	122
ქისტი	7110	7080	22	-	3	-	-	3
დანარჩენი	13516	11167	1058	6	1122	11	15	137

გურია	143357	138942	78	152	2134	1558	91	49	194	2	23
ლანჩხუთის რაიონი	40507	39868	7	33	160	345	33	18	28	-	-
ოზურგეთის რაიონი	78760	75142	59	103	1944	1133	55	29	159	2	23
ჩოხატაურის რაიონი	24090	23932	12	16	30	80	3	2	7	-	-
იმერეთი	699666	689490	388	639	1890	4924	274	242	636	-	56
ქ.ქუთაისი	185965	181465	92	245	613	2223	132	127	293	-	52
ტყიბულის რაიონი	31132	30656	29	35	41	282	6	10	40	-	-
წყალტუბოს რაიონი	73889	72885	48	58	130	576	55	16	73	-	2
ჭიათურის რაიონი	56341	55802	17	22	217	190	10	40	20	-	-

მხარეები	მოსახლეობა სულ	მათ შორის									
		ქართველი	აფხაზი	ოსი	სომეხი	რუსი	აზერბაიჯანელი	ბერძენი	უკრაინელი	ქისტი	იეზიდი
ბაღდათის რაიონი	29235	29073	7	10	22	91	5	1	7	-	-
ვანის რაიონი	34464	34279	24	13	8	96	18	9	9	-	-
ზესტაფონის რაიონი	76208	75412	53	56	141	370	7	6	72	-	-
თერჯოლის რაიონი	45496	45220	29	13	38	150	4	1	15	-	-
სამტრედიის რაიონი	60456	58883	33	39	615	635	24	22	80	-	-
საჩხერის რაიონი	46846	46591	11	117	20	84	-	5	8	-	1
ხარაგაულის რაიონი	27885	27728	7	22	20	85	8	2	5	-	-
ხონის რაიონი	31749	31496	38	9	25	142	5	3	14	-	1
კახეთი	407182	341503	175	6109	3789	3844	40036	285	222	6997	495
ახმეტის რაიონი	41641	31237	10	1961	100	134	152	6	6	6928	2
გურჯაანის რაიონი	72618	71148	32	463	484	350	58	16	36	-	6
დედოფლისწყაროს რაიონი	30811	27441	8	102	1286	701	1019	153	21	6	5

თელავის რაიონი	70589	60370	38	412	460	381	8373	20	63	58	357
ლაგოდეხის რაიონი	51066	35376	15	2239	561	1204	11392	16	48	-	25
საგარეჯოს რაიონი	59212	39409	21	125	231	377	18907	27	21	4	33
სიღნაღის რაიონი	43587	42226	26	45	419	539	118	16	15	-	60
ყვარელის რაიონი	37658	34296	25	762	248	158	17	31	12	1	7
მცხეთა-მთიანეთი	125443	116476	60	3977	532	757	2248	163	143	5	96
ახალგორის რაიონი	7703	6520	6	1110	37	20	2	2	1	-	1
დუშეთის რაიონი	33636	32229	31	1167	43	103	5	19	18	3	-
თიანეთის რაიონი	14014	13777	3	147	20	37	4	13	6	-	1
მცხეთის რაიონი	64829	58808	20	1464	427	583	2236	129	148	1	94
ყაზბეგის რაიონი	5261	5142	-	89	5	14	1	-	5	1	-

მხარეები	მოსახლეობა სულ	მათ შორის									
		ქართველი	აფხაზი	ოსი	სომეხი	რუსი	აზერბაიჯანელი	ბერძენი	უკრაინელი	ქისტი	იეზიდი
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	50969	50565	36	121	28	109	47	8	16	-	
ამბროლაურის რაიონი	16079	15991	10	6	9	46	-	3	8	-	-
ონის რაიონი	9277	9093	7	108	13	19	4	1	2	-	-
ცაგერის რაიონი	16622	16539	10	5	6	29	22	4	4	-	-
ლენტეხის რაიონი	8991	8942	9	2	-	15	21	-	2	-	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	466100	459614	423	163	476	4163	142	86	528	-	2
ზუგდიდის რაიონი	167760	166039	172	44	90	1142	47	13	109	-	-
აბაშის რაიონი	28707	28474	32	14	11	124	10	-	15	-	-
მარტვილის რაიონი	44627	44399	37	8	16	131	8	6	14	-	-
სენაკის რაიონი	52112	51532	36	19	92	263	10	5	41	-	-
ჩხოროწყუს რაიონი	30124	29895	36	2	30	127	1	1	20	-	-
წალენჯიხის რაიონი	40133	39764	42	5	26	224	7	7	42	-	-

ხობის რაიონი	41240	40929	29	6	6	216	16	1	21	-	-
მესტიის რაიონი	14248	14168	12	3	11	52	-	-	1	-	-
ქ.ფოთი	47149	44414	27	62	194	1884	43	53	265	-	2
სამცხე-ჯავახეთი	207598	89995	42	822	113347	2230	59	740	162	-	1
ადიგენის რაიონი	20752	19860	13	28	698	101	17	7	20	-	-
ასპინძის რაიონი	13010	10671	4	9	2273	34	-	8	5	-	-
ახალქალაქის რაიონი	60975	3214	3	10	57516	157	3	51	14	-	-
ახალციხის რაიონი	46134	28473	12	52	16879	410	13	129	42	-	-
ბორჯომის რაიონი	32422	27301	10	719	3124	585	24	540	75	-	1
ნინოწმინდის რაიონი	34305	476	-	4	32857	943	2	5	6		

მხარეები	მოსახლეობა სულ	მათ შორის									
		ქართველი	აფხაზი	ოსი	სომეხი	რუსი	აზერბაიჯანელი	ბერძენი	შერაინელი	ქისტი	იეზიდი
ქვემო ქართლი	497530	222450	183	2184	31777	6464	224606	7415	527	22	463
კრწანისის რაიონი	116384	102151	44	1410	2809	3563	4993	257	395	15	293
ბოლნისის რაიონი	74301	19926	35	80	4316	414	49026	438	14	-	-
გარდაბნის რაიონი	114348	60832	48	412	1060	994	49993	236	65	6	162
დმანისის რაიონი	28034	8759	9	12	147	156	18716	218	7	-	-
მარნეულის რაიონი	118221	9503	29	47	9329	523	98245	396	29	1	6
თეთრი წყაროს რაიონი	25354	18769	16	205	2632	689	1641	1281	14	-	-
წალკის რაიონი	20888	2510	2	18	11484	125	1992	4589	3	-	2
შიდა ქართლი	314039	288382	104	13383	3521	1946	5768	218	225	3	1
გორის რაიონი	148686	137957	45	6405	1972	1136	607	97	123	-	-
კასპის რაიონი	52217	44162	13	3479	254	271	3962	27	35	-	-
ქარელის რაიონი	50422	45593	25	2755	542	217	1183	52	21	-	-
ხაშურის რაიონი	62714	60670	21	744	753	322	16	42	3	1	

თავი II. კახეთის უძველეს დასახლებათა განმარტებისათვის

კახეთი უძველესია, უძველეს საქართველოში!

კახეთი ცხოვრობდა, ცხოვრობს და იცხოვრებს მთლიანი საქართველოს ცხოვრებით.

კახეთი იდგა ქვეყნის ბურჯად საუკუნეთა მანძილზე.

კახეთი დგას XXI-საუკუნის საქართველოსათვის

კახეთი ძლიერი და მადლიანი მხარეა ქვეყნისათვის.

კახეთი ასეთი იყო ადრიდან!

კახეთი ასეთი იქნება მომავალშიც საქართველოში.

მაინც მცირე რამ ისტორიიდან, ერთ დროს კახეთის სამთავრო (ანუ საქორეპისკოპო) იყო ვრცელი და მოიცავდა დიდ სივრცეებს მდინარეების: თერგის, ასის, არღუნის, ანდის ყოისუს, ალაზნის (ზემო წელის), ივრის (ზემო და შუა წელი) და აღსტაფის აუზებს.

კახეთი აერთიანებდა ახლანდელი გარეკახეთის ნაწილს, ერწო-თიანეთს, ხევს, ფხოვს და ქვემო ქართლის ნაწილს.

ერთნი გვარწმუნებენ – კახეთის სამეფოს შემადგენლობაში იყო ხევსურეთი, თუშეთი, ფშავი, თვით კახეთი (შიდა და გარე კახეთი) ჰერეთი, ქვემო ქართლის (მტკვრის მარცხენა სანაპირო);

შემდეგ კი, წლების მერე, XVIII-საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს ფარგლებში მოექცა ერევნის, ნახჭევანის, განჯის სახანოები.

ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს... და არის სრულიად აწინდელი კახეთის საზღვარი: სამხრით – დიდის ალაზნისა და პატარას ალაზნის შესართავი და მუნიდამ ხაზი კავკასამდენ გავლილი და კუალად ხაზი მტკვრამდე მისული; აღმოსავლით – მთა კავკასი, ლეკეთსა და კახეთს შორის; დასაელეთ საზღვარი ქართლისა: ... და მწარე წყალს ქვეით, მტკვარი და ჩრდილოთ მთა კავკასიენ".

კახეთზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზები.


კახეთის სამეფო საზღვრები მოიცავდა: დასავლეთით მდ. ქსნიდან, აღმოსავლეთით ალჯიგანჩაიმდე, და ჩრდილოეთით დიდოეთ-ხუნძახიდან. სამხრეთით მდ. მტკვრამდე. სამეფოს ფარგლებში შედიოდა ჰერეთის სამეფოს აღმოსავლეთი ნაწილი (ახლანდელი აზერბაიჯანის ჩრდ. დას. ნაწილი (ბელაქნის, ზაქათალის, კახის და შაქის რაიონები).

კახეთის სამეფოს ისტორიის პერიოდები:

კახეთის სამეფოს წარმოქმნიდან XVII-საუკუნის დასაწყისამდე:

კახეთის სამეფო XVII-საუკუნის დასაწყისიდან 1744 წლამდე.

კახეთი 1744-1762 წლებში.



№1. სურათზე, უძველესი კახეთის სატახტო ქ. გრემის ხედი, 2012 წლისათვის სრულიად გამოკვეთილად გალამაზებული და აღდგენილი.

№2. სურათზე. ძველი და განახლებული თელავის ხედი.

კახეთის ტერიტორიული საზღვრები ძველი ცნობებით ასე წარმოგვიდგება:

ა) დასავლეთით – მდ. არაგვი:

ბ) სამხრეთით და სამხ. დასავლეთით – მდ. მტკვარი;

გ) ჩრდილოეთით – კავკასიონის მთავარი ქედი (სახელმწიფო საზღვარი ქედის გადაღმაც გადიოდა: პირიქით ხევსურეთი და თუშეთი, ზოგჯერ კი დიდოეთი კახეთის საზღვრებში შედიოდა);

დ) აღმოსავლეთი – საზღვარი ადრიდანვე იწყებოდა იქ, სადაც მდინარეები იორი და ალაზანი მდ. მტკვარს უერთდებოდა, მიემართებოდა ჩრდილოეთით აღინიურის ტბის გასწვრივ, გადიოდა მდინარე აგრიჩაის, მდინარე გიშის წყლის (გიშჩაი) გაყოლებით გადიოდა კავკასიონის ქედამდე. შემდეგ საზღვარმა დასავლეთით ყიფიჩაიმდე (კარის მდინარე) გადმოინია;

ე) ჩრდილო-აღმოსავლეთით – და ჩრდილოეთით დაღესტანის ფეოდალური სამფლობელოები:

ვ) სამხრეთ-აღმოსავლეთით კახეთს შექის (შაქის) ფეოდალური სამფლობელო ესაზღვრებოდა:

ზ) სამხრეთით კახეთის სამეფოს საბეგლარბეგოს ყაზახის სამფლობელო საზღვრავდა.

თ) დასავლეთით კახეთს ქართლის სამეფო ემიჯნებოდა.

ი) ქართლისა და კახეთის სასაზღვრო ხაზი გადიოდა: ავჭალა – პატარა ლილო, ამართულის მთა (სართიჭალის სამხრეთით) მდ. აჯისუს ანუ მწარე წყლის მიდამო (ავჭალა და გლდანი კახეთში შედიოდა. ხოლო ლილო კი ქართლში).

XVII-ს-ის 70 წლებიდან კახეთის დედაქალაქი გახდა თელავი. აქ, კახეთში კულტურულ-საგანმანათლებლო, სულიერი თუ სამეცნიერო განვითარების ცენტრებს წარმოადგენენ: გრემი, თელავი, ალავერდის საეპისკოპოსო კათედრა, დავით გარეჯის მონასტერი, იყალთო:

ქ. თელავი გახდა ქართული სულიერებისა და განათლების საუკეთესო კერა კახეთში. თელავი აგრძელებს ისტორიულად ჩამოყალიბებულ მდიდარ გამოცდილებას. გეოგრაფიული მდებარეობითაც, ეთნიკურადაც კახეთი ძველთაგანვე იყო ქართული სამყაროს განუყოფელი ნაწილი.

კახეთის ისტორიის, მისი ცხოვრების, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის, მისი განათლებისა და კულტურის შესახებ არც თუ მრავალრიცხოვანი სამეცნიერო შრომაა. მათგან: ვ. ჩოჩიევი – კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან XVI ს-ის. 60-იან წლებში. თსუ შრომები, ტ. 118, თბ. 1967; დ. მუსხელიშვილი – ციხე ქალაქი უჯარმა, თბ. 1966; ნ. ასათიანი – გლეხობა XVI-XVII საუკუნეების. კახეთის სამეფოში თბ. 1960; ნ. ასათიანი – კახეთის სამეფო XV – XVI ს.ს. თბ., 1989; გ. ჩუბინაშვილი – კახეთის არქიტექტურა (რუსულ ენაზე), თბ. 1959; ლ. ჭილაშვილი – კახეთის ქალაქები, თბ. 1980; პ. ზაქარაია – ნაქალაქარ გრემის არქიტექტურა, თბ., 1975; აკ. კლიმიაშვილი – მასალები XV-XVII საუკუნეების ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის; გ. აკოფაშვილი – აზნაურთა ფენა XV – XVIII სს. კახეთში; თ. პაპუაშვილი – რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1971; ვ. ელანიძე – თუშეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში, თბ., 1968; მისივე – თუშეთის ისტორიის საკითხები. თბ., 1988; მისივე – კახეთის ისტორიის პრობლემური საკითხები. თბ., 2006; გ. ჯავახიშვილი – ფილტვად აქვს კახეთს თელავი, თბ., 2000.; მ. ქებაძე – კახეთი ლევან მეფის პერიოდში – 1520-1574.

2009 წელს ჩემს მიერ გამოცემულ სქელტანიან მონოგრაფიაში „ცოდნისკერა 70" საკმაოდ ვრცლად წარმოვაჩინეთ კახეთის უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა საქართველოსათვის. ამ ნაშრომში გამოთქმული

ჰიპოტეზები, შემდგომში გამოვიყენეთ და გავავრცეთ თ. თამარაშვილის ნაშრომის – კახეთი XX – საუკუნის 50-იან წლებში. თბ., 2010 (რედაქტორობის დროს) და თელავი XX-ს. 40-50-იან წინ.

ჩემს მონოგრაფიებში „ცოდნის კერა 70“, „წლები“ კახეთის თაობაზე სრულიად სამართლიანად ვემყარებოდი კახეთის ისტორიული განვითარების არა მარტო წარსულის გრანზოგადებას, არამედ მისი მომავალი ცხოვრებისათვის აუცილებელი მიზნების ჩამოყალიბებასაც. კახეთზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზები, რაც ხელს უწყობდა მის ზრდას. ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობის გამო დროთა ვითარებაში მის გარშემო გაერთიანდა მომიჯნავე – მეზობელი პოლიტიკური ერთეულები. ადრინდელ ფეოდალურ ხანაში კახეთი უკვე ერწო-თიანეთისა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიასაც მოიცავდა. VIII-საუკუნის ბოლოს კახეთის შემადგენლობაში შევიდა „კუხეთი და ჰერეთის ტერიტორიის ნაწილი. X-საუკუნიდან კახეთის პოლიტიკური ცენტრი თელავი. (XV-ს-დან გრემი. დროებით).

P.S. სოფელ ალავერდისა და ალავერდის ტაძრის სახელწოდების ეტიმოლოგიური განმარტების ერთ-ერთი შესაძლო ვერსია შემოგვთავაზა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ნ. გოგოჭურმა. „ალავერდის“ შინაარსში ის ხედავს სიტყვის ძირს – „ვედრება-ვედრებული“, „სავედრებელი“, „დალია-ვერდ (დალი ქალღმერთის) სამლოცველო; დალის ვედრება, დალის სავედრებელი.

ხოლო „კახეთის“ – განმარტების საფუძვლად სთვლის მთაში, ფხოვში, ხევსურეთში ხალხთა მეტყველებაში გავრცელებულ გამოთქმას – „კოხი, კუშტი, კუხი, – უხეში.

ცხადია ასეთ ვარაუდებს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ რამდენად მისაღები და სარწმუნოა მომავალი კვლევა დაადასტურებს.


კახეთში ბევრი მდებარეობის, ქალაქის, სოფლის, დასახლებული ადგილის, მდინარის, ხეობის სახელწოდებებში იკითხება არა მარტო წმინდა ქართული, არამედ მეზობელი ხალხების ლექსიკიდან შემოსული ტერმინები: მაგალითად ზოგი დასახელების ნიმუში კახეთში:

ალავერდი (სოფელი)
ნეკრესი (თუ ნელქარისი)
სიღნაღი
ლაგოდეხი
წითელ წყარო (თუ დედოფლის წყარო)
ნასომხარი (თუ ნასამხრალი)
ტოღნიანი
შილდა,
კაბალი,
ვერონა
მარკიანი,
გედიქი,
ტიბაანი
ჯუგაანი
გურჯაანი,
ჯუღაანი,
მუკუზაანი,
მაჩხაანი,
მირზაანი,
ცლუნკაანი,

ხორანთა
ჰებერი (ტბერ)
ჟალეთი
ოზაანი
ომალო
დუისი
ჯოყოლო
ხადორი
კონდოლი,
ყიტაანი
ახატელი
ყარაჯალა (თუ გარაჯალა)
მულალნო
ახშანი
წუქეთი (იგივე წახეთი თუ წახური)
ხენუკები (ალბანური ტომი?)
ბაშ (სოფელ შექის რაიონში)
აშაგაგენიუკი (ძვ. ქართ. წყაროებში ღანური)
ჰენიორები (შავი ზღვის ნაპ. მცხ.)
უდები (ნიჯსა და ვართაშენში მცხ.)

კუნხი, ხარახი, ხუნზახი, მუსრუხი, ანწუხი, კახი – ეს დასახლებანი ი. ჯავახიშვილმა დაუკავშირა ურარტულში მოხსენებულ სახელებს: ერიახი, იგანებქი, კუმუხი, ვიტირუხი.

შარომატები (ჩრდ. კავკ. ქართულ. მონათეს. ტომი,





№1. სურათზე. დავით გარეჯი. კომპლექსის ნაწილის ხედი, აღდგენილი 2005-2010 წლებში.
№2. სურათზე. კახეთის მეფეთ სასახლის შიდა ეკლესიის ხედი, თელავში. კახეთის მეფეთა სასახლის ძირითადი სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყო 2012 წლის მარტის თვეში.

&1. კახეთისა და მისი დედაქალაქის თაობაზე:

1. კახეთის სამთავრო პირველად მოიხსენება ფარნავაზის საერისთავოებში: მარგვის, კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, წუნდის, ოძრახის, კლარჯეთის და ეგრისის საერისთავოები: – ასე გამოჩნდა უძველეს ისტორიაში კახეთის სამთავრო.

განსხვავებული აზრისათვის: მეცნიერთა ნაწილი გვარწმუნებს „...ეს არ ნიშნავს იმას, რომ მთელი აღმოსავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე იმ თავითვე ქართული ტომები მოსახლეობდნენ: პირუკუ, გვაქვს საფუძველი იმ დროსვე აღმოსავლეთ პერიფერიაზე ვეინახურ-დაღესტნური ანუ ჰერულ-ალვანური ტომების არსებობაც ვივარაუდოთ". მეტად საინტერესოა!!

PS. როგორც ჩანს ავტორი სრულიად ცალკე გამოყოფს ქართული ტომების მოსახლეობას, რაც სრულიად კანონზომიერად მიგვაჩნია.

მიუღებელია ჩვენთვის შემოთავაზებული – ვეინახურ-დაღესტნური ტომების გათანაბრება ჰერულ-ალვანურ ტომებთან.

საეჭვო ვარაუდი: „...დღევანდელი კახეთის დიდ ნაწილს ქართული წყაროებით ადრეფეოდალური ხანიდანვე ჰერეთი ეწოდებოდა და ჰერული (ალვანური) ტომებით უნდა ყოფილიყო დასახლებული".

PS. აქაც გაიგივებულია ჰერული და ალვანური ტომები. ასეთი მიდგომა ადრეული საუკუნეების ხალხთა გადანაცვლების საკითხისადმი საჭიროებს მეცნიერულ სიზუსტეს. ვფიქრობთ ჰერები, ჰერული ტომები, ჰერული წარმომადგენლობის განსახლება ცალკე კვლევის საფუძველს იძლევა (პროფ. თ. პაპუაშვილს ჰერები – უძველესი ეთნოსი ქარველთა მონათესავე, მხოლოდ მონათესავედ მიაჩნია, ხოლო პროფ. დ. ჭუმბურიძე ჰერების ქართველ ერთან მჭიდრო კავშირს სიტყვა „ერი"-ს ეტიმოლოგიური განმარტებით ცდილობს). ასევე სრულიად ცალკე შესწავლას ექვემდებარება ალვანური თუ ალბანური (კავკასიის ალბანეთის) შორეული ისტორიული ხანა.

კვლავ ვარაუდი: „... რკინის ეპოქაში ჰერულ-ალვანური ანუ ჩაჩნურ-დაღესტნური მოსახლეობის არსებობა ვივარაუდოთ". (საუბარია კახეთის ადგილმდებარეობის დასახლებაზე).

კიდევ: „დღევანდელი კახეთის ანუ ისტორიული კახეთის, კუხეთის და ჰერეთის გვიან ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურის ეთნიკური კუთვნილების საკითხი ასეა დაყენებული: „რამდენადაც უძველეს ხანაში ისტორიული კახეთისა და ჰერეთის კულტურა ერთგვაროვანი ჩანს ამდენად შესაძლოებელია დასკვნა:

1.კახები და (კუხები), ისევე, როგორც ჰერები, ალვანური ტომი იყო და მათი (კახ-კუხების) ასიმილაცია და გაქართველება გაცილებით ადრე მოხდა, ვიდრე ჰერებისა. როდესაც ჰერების ასიმილაცია იწყება, კახები (და კუხები) უკვე ქართველები არიან".

PS. კახები (უძველესი ქართული წარმომადგენლობა) მიჩნეულია ალვანურ ტომად, რასაც ვერ გავიზიარებთ და ვერ დავეთანხმებით კახელების გაქართველების ასეთ ვარაუდს. კახები – კახელები ძირძველი ისტორიული შორეთიდან წამოსული უპირველესი ქართველები არიან.

კიდევ დასკვნა:

2. იმ ტერიტორიაზე, სადაც კახები (ცხოვრობდნენ) სახლობდნენ თავდაპირველად, შესაძლებელია, ჰერები ბინადრობდნენ და უფრო გვიან (არქეოლოგიურად გვიან) იწყება იქით კახების ქართული ტომის ექსპანსია და იქ დასახლება".

PS. სავარაუდო ასეთი თეორია შეიძლება არსებობდეს, მაგრამ სრულიად ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები (2010-2011 წლების კახეთის რაიონებში) მეტყველებს კახელების

ძირძველ, თავდაპირველ დასახლებებლზე ამ ტერიტორიაზე.

3. შესაძლებელია კახელები იმთავითვე ქართული მოდგმისანი ყოფილიყვნენ, ხოლო ჰერები კი ალვანურისა".

PS. კვლავ სადავო შემოთავაზებაა. კახელების ქართველობის ეჭქვეშ დაყენება ისტორიული სინამდვილისათვის სრულიად მიუღებლად მიგვაჩნია.

ვიზიარებთ შემოთავაზებას, რომ „... ქართული ტრადიციის მიხედვით (ხალხური), კახეთის ტერიტორიაზე უძველესი მოსახლე („პირველშენებული") ივერიული ტომი იყო. ან ლეონტი მროველის მიხედვით კახები.

4. ჰერულ-ალვანური (კავკასიის ალბანთა) ტომები კახეთის აღმოსავლეთით, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით უნდა ვივარაუდოთ, მათთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესის მიხედვით.

PS. სრულებითაც არ გამოვრიცხავთ კახებისა (კახელებისა) და ჰერულ-ალვანური ტომების მჭიდრო მეზობლურ ურთიერთობას ჯერ კიდე ისტორიულ შორეთში. ამ ურთიერთობას თავისი ზემოქმედება უნდა ჰქონოდა საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებაზე, კულტურაზე, სულიერებაზე.

კიდევ საინტერესო: უძველესი კახეთი გეოგრაფიულად მოიცავდა მდ. ივრის ხეობის ზემო წელს, დაწყებული ერწო-თიანეთიდან, ვიდრე უჯარმამდე (მის ჩათვლით), მისი უძველესი სახელი იყო ბერი ანუ ჩელეთი (შესაძლებელია ყოფილიყო იგივე ჟალეთი). ან ჟალეთი დღევანდელი სოფ. სიონის მახლობლად. ცხადია IV-საუკუნეში მდ. ალაზნის ველის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი უკვე კახეთად იწოდება.

PS. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ჩელეთი კახეთის უძველესი ცენტრის ბერის მეორე სახელწოდებაა; – ჩელეთს ადრე „ბერ ერქუა პირველშენებულსა კახეთისას".

მეტად საინტერესო: 2009 წლის აგვისტოში ე. ასაბაშვილი წერდა: „საინტერესო და მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქალაქ ნელქარისის თავდაპირველი უძველესი სახელწოდებაა ჰებერი (ტბერ), რომელიც შემდგომ სატომო, ანუ ეთნიკურ სახელად იქცა და აღმოსავლეთ საქართველოს სწორედ ასე მოიხსენიებდნენ; დაკვირვებულ თვალს არ გამოეპარება, რომ ბიბლიაში საქართველო ესოდენ დიდი დატვირთვით სწორედ ამ სახელით – ჰებერ –ით ფუნქციონირებს.

PS. აქ საინტერესო ის არის, რომ სიტყვის ძირი „ბერ" წმინდა ქართული წარმომავლობისაა.

კიდევ: თ. ბერაძე და მ. სანაძე წიგნში საქართველოს ისტორია. 1. (ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები) 2003 გვთავაზობენ: „დღევანდელი კახეთი სამი უძველესი ქართული ქვეყნის: – საკუთრივ კახეთის, კუხეთისა და ჰერეთის გაერთიანების შედეგია.

ძველი კახეთი კავკასიონის, ცივ-გომბორის ანუ კახეთის მთებსა და მდ. არაგვს შორის მდებარეობდა. მისი საზღვარი ჰერეთთან თელავის (ძველი ტყე-ტბა) სამხრეთით გადიოდა. თავდაპირველად კახეთის ცენტრი ჩელეთი იგივე ჟალეთი იყო...

...ჰერეთი კავკასიონის მთავარ ქედსა და ცივ-გომბორის მთებს შორის მდებარეობდა და თელავის სამხრეთით იორ-ალაზნის შესართავამდე ვრცელდებოდა. ჰერეთის ცენტრი თავდაპირველად იორ-ალაზნის შესართავში მდებარე ხორანთა იყო. მოგვიანებით ჰერეთის ცენტრი შაქი (ნუხა დღევანდელ აზერბაიჯანში) გახდა.

PS. ასეთი სირთულეებითაა მოცული ისტორიული შორეთიდან დაწყებული გზა. შორეთში, შორეულ ისტორიულ ლაბირინთებში იმალება უამრავი საიდუმლო ადამიანთა ცხოვრება – საქმიანობისა. დედამიწამ თავის წიაღში დაიმკვიდრა და მომავლებს შემოუნახა გასაოცარი საუკეთესო ნიმუშები ადამიანის გენიალური ნიჭის შემოქმედებისა, მათი აღმოჩენა და შესწავლა მომავალთა საპატიო სამოღვაწეო ასპარეზია.



უძველესი ქრისტიანული სამლოცველო კომპლექსი

კვლავ საინტერესო, – ისტორიული გეოგრაფიის მოშველებით ვცდილობდით სიტყვა კახეთის ეტიმოლოგიური შინაარსის ჩაწვდომას. მიგვაჩნდა მრავალსაუკუნოვანი სამეზობლო (სავაჭრო, სახელოსნო და სხვა) ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან თავისებურ გავლენას ახდენდა და ახდენს ადამიანთა ცნობიერებაზე. ძალიან ხშირი და უამრავი მაგალითია ხალხთა კულტურული განვითარების გავრცელება მეზობელთა წეს-ჩვეულებებსა და მეტყველებაში. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს აქ კავკასიაში უძველესი და უძლიერესი დამოუკიდებელი ენის, ნახური ენის ლექსიკაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ჩვენთვის საინტერესო ცნებების მოშველება.

ისტორიის პროფესორს ზ. გუმაშვილს, ჩეჩნური საზოგადოების ისტორიის, და ჩეჩენი ხალხის განვითარების, მისი კულტურის, მისი უძველესი ენის საუკეთესო მცოდნეს (წარმოშობით ჩეჩენთა მალხების ტომის წარმომადგენელია) თავისი განსაკუთრებული მეცნიერული შეხედულება აქვს კახეთის ეტიმოლოგიის მიმართ.

ზ. გუმაშვილი ემყარება ნახური ენის ცნებებს გამოთქმა კახეთის განმარტებისათვის. მას მიაჩნია გამოთქმა კახი (კახეთი) შეიძლება იწარმოებოდეს ორი სრულიად განსხვავებული ცნების შეერთებით.

დააკვირდით: ნახური ენის შინაარსიდან: ა) კა – (ნიშნავს ხორბალს. აქედან მკაყანის მ ასობგერა მოქმედებას აღნიშნავს).

ბ) ხი – (წყალი, მდინარე, სარწავი)

ამდენად თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ შემოთავაზებულ შესაძლო ეტიმოლოგიურ მიდგომას – ცნება „კახეთი“ – „კახი“ ასე წარმოგვიდგება. ვაინახური ენის შინაარსის ორი განსხვავებული ცნების მოთხოვნების შეერთება იძლევა შესაძლებლობას კა და ხი, წარმოვიდგინოთ სიტყვა – ტოპონიმ კახეთის შესატყვისად.

ამრიგად სრულიადაც არ არის გამორიცხული ხალხთა საუკუნოებრივმა სამეურნეო, სამეზობლო ურთიერთობამ მოგვცეს შესაძლებლობა ტოპონიმ – „კახეთის“ შინაარსის წარმოშობის ამოცნობისათვის.

ვფიქრობთ ვაინახურმა ენამ, მისმა ლექსიკურმა ძირძველმა შინაარსმა შემოუნახა ისტორიულ აზროვნებას უმდიდრესი მასალა ქართული შესაბამისი ეტიმოლოგიური განმარტებებისათვის.

2012 წლის 19 აპრილს ზ. გუმაშვილმა მოგვაწოდა რამდენიმე მეტად საინტერესო ტერმინის შესაძლო განმარტება ვაინახური ენის მოშველიებით და მის საფუძველზე.

ასეთი სიტყვებია განმარტებული:

„არიან-ქართლი“ – არიან ნიშნავს ბარის, (ვაკის) მდებარეობას. ე.ი. ბარის ქართლი. ეტყობა ცალკე მოიხსენება მთის ქართლი;

ქართველთა განსახლებაზე ისტორიულ წყაროებში მინიშნებულია „არიან-ქართლიდან“ მოსვლა. ის სადღაც სამხრეთში ჰქონიათ, სარწმუნოდ მიგვაჩნია ვაინახურ ენაში შემორჩენილი განსაზღვრა

ქართ – ნიშნავს ღობეს (ზოგადად), ქართების ტერიტორიის შემოსაზღვრა;

ქურ – ითქმის ამპარტავნობაზე, ამპარტავანი ადამიანი;

ალაროიდები – ალარიო – თეიფია ჩეჩნეთში;

აარინბერდი – აარინ ბარის, ბერდი-კლდე (ბარის კლდე არქეოლოგიაში):

აჭარა – ჰაჩარული – თეიფია ჩეჩნეთში;

გა-მარჯობა – (მარჩ)-ვოლოლ – მშვიდობით მოხველ.

ხიდი – ხი – ტი – ნიშნავს წყალზე


გერგეტი – ახლოსვე, ზედ. გერგე – ახლოსვე, ტი-ზედ.
წესი – წე – სახელი, სი – დიდება.
კოლხი – კელ – ნიშნავს ქვეშ, ხი – წყალი.
საყდარი – სააყ-დარ – ქველმოქმედება, სოსიმე გაცემა – გაღება. დრ – მიცემა.
ჯამაგირი – ჯა-ნიშნავს ცხვრები, მაგირ – მიაკუთვნეს.
ქაშ-უეთი – ქაშ ნიშნავს საფლავი.
ბეტეხი – ბეთე – ადგილს, ხი – წყალი.
ჭოროხი – ჭარა ნიშნავს თევზი, ხი – წყალი, თევზიანი წყალი.

ტოპონიმ „კახეთის" ამოცნობის თაობაზე კერძო, ზეპირი მსჯელობისას ჩამოყალიბდა ასეთი დამაჯერებელი მეცნიერული მიდგომა 2011 წლის 20 ოქტომბერს.

2011 წლის 30 ნოემბერს მაგისტრმა მ. თაგოშვილმა შემოგვთავაზა საინგილოდან: – „კახი" არის (გამხმარი ხორცი), ეს ხომ არ მიემსგავსება თუშებში (წოვებში, შემორჩენილ სიტყვა „ყაღს".

მონოგრაფიაში „წლები", თბ. 2003 წ. კახეთისათვის ვწერდი
კახეთი საქართველოს მადლიანი ძირძველი მხარე.
კახეთი ორგვარად იწოდება, შიგნი კახეთი და გარე კახეთი.
კახეთი მდიდარი იყო ადრიდანვე.
კახეთი ნაყოფიერი ველ-მინდვრებით სავსე იყო:
მარცვლით,
ვენახით,
ხილით,
პირუტყვით,
ნადირით,
ფრინველით,
თევზით
კახეთმა გაუძლო ჟამთა სვლას
კახეთმა გადაიტანა უცხო ტომელთა თარეში:
შემოსევები,
გაჩანაგება,
გადასახლება
ნგრევა.
კახეთმა შეძლო ჩრდილოელ მეზობლებთან თანაცხოვრება.
კახეთმა თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურაში.
კახეთმა აამაღლა ქრისტიანული რწმენა და სულიერება.
ალავერდი,
ნეკრესი,
ბოდბე,
დავით გარეჯი
გრემი,
იყალთო,
კახეთმა ისტორიას დაუმმკვიდრა:
წმინდა ნინოს საფლავი
დავით გარეჯელი,

შიო მღვიმელი,
იოსებ ალავერდელი,
აბიბოს ნეკრესელი,
ზენონ იყალთოელი.
დიდი ილია.



ისტორიულ ავბედითობით განადგურებული ქალაქის განგების ძალით გადარჩენილი საეკლესიო კომპლექსი დღეს აღდგენილ და გალამაზებულ გრემში.

კახელებზე მეისტორიე გვაუწყებს:

კახელებად წოდებული ქართველები ცხოვრობენ ალაზნისა და ივრის ნაპირებზე კახელები ძირძველი ქართველები არიან:

მშვენიერნი,
ჰაეროვანნი,
ლაღნი,
ამაყნი,
მეხოტბენი,
დიდ მთქმელნი,
მეჩხუბარნი,
შემმართებელნი,
ერთგულნი,
მაგარნი,
მხნენი,
მიმყოლნი.

კახელები დღესაც XXI-საუკუნის 10-იან წლებში გამოირჩევიან:

სიდინჯით,
სიდარბაისლით,
სიბრძნით,
თანადგომით,
ცოდნით,
განათლებით,
მოთმინებით,
შრომით,
მუყაითობით,
სტუმართმოყვარეობით,
თავდადებით,
ერთგულებით.

კახეთის მადლიან მიწაზე ცხოვრობენ გამორჩევით ახოვან-ლამაზი ადამიანები. მათი შთამომავალნი უშურველად ცდილობენ გაიმდიდრონ თეორიული ცოდნა მეცნიერების სხვადასხვა დარგში და გამოიყენონ შესაძლებლობა თავისი ნიჭის გამოვლინებისათვის.

კახეთში თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალგაზრდა თაობის საიმედო გზის მრომცემი და დამკვალიანებელია.

კახეთის და საერთოდ ადრეული საქართველოს მოსახლეობის აღწერას დასაბამი ეძლევა XIII საუკუნეში, როცა მონღოლებმა ჩაატარეს აღწერა 1254 წელს.

XX–საუკუნის 30-40-იან წლებში ჩატარებული აღწერების შედეგებით – 1926 წელს საქართველოს მთელ მოსახლეობაში ქართველების წილი 66,8 პროცენტს უდრიდა, 1939 წელს კი – 61,4 პროცენტს.

XX–საუკუნის დასასრულსა და XXI- საუკუნის დასაწყისის (1989; 2002) კახეთის მხარის მოსახლეობის რაოდენობაზე ცნობებს გვაძლევს ცხრილი №1.

ადმინისტრაციული ერთეულები	საქალაქო დასახლების ფორმირების წელი	საქალაქო დასახლების სტატუსი	მოსახლეობის რაოდენობა		2002 წლის პროცენტობით
			1989 წ.	2002 წ.	
ქ. ახმეტა	1966	რაიცენტრი	8850	8571	96,8
ქ. გურჯაანი	1934	რაიცენტრი	12594	10029	79,8
დედოფლის წყარო	1963	რაიცენტრი	10110	7724	76,4
ქ. თელავი	1801	რაიცენტრი	27848	21805	78,3
(მხარის ცენტრი)	1962	რაიცენტრი	8968	6875	76,7
ლაგოდეხი	1962	რაიცენტრი	14439	12566	87,0
საგარეჯო	1801	რაიცენტრი	3147	2146	68,2
სიღნაღი	1965	რაიცენტრი	2911	6066	208,4
წნორი	1964	რაიცენტრი	1127	9045	80,3
ყვარელი					

კახეთი 2002 წლის მონაცემებით: ცენტრი თელავი: ტერიტორია – 11,3 ათასი კვ.კმ მოსახლეობა – 322355; კაცი – 155616; ქალი – 166739

მოსახლეობის 81,3% – ქართველი; 12,3% – აზერბაიჯანელი; 2,2% -ქისტი; 1,7% –ოსი; 0,7% – რუსი.

ქართველი ეროვნება ჭარბობს 216 სოფელში

აზერბაიჯანელი – 14 სოფელში; ასევე – სომეხი – 1; ოსი – 29; ქისტი – 8; რუსი – 2; სხვა – 4 სოფელში.

სოფელი 5000 და მეტი მოსახლეობა. 8.

სოფელი 10 კაცი და ნაკლები მოსახლეობით – 7.

დაუსახლებელი სოფელი – 6.

XX-საუკუნის 50-იანი წლების კახეთის სოციალ-ეკონომიკური დონის, მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარების, სოფლის მეურნეობაში სტრატეგიული მნიშვნელობის კულტურების გაშენების, განათლების, კულტურის, ხელოვნების, საერთოდ სულიერი აღორძინების საკითხებზე გავამახვილეთ ყუოადღება ჩვენი რედაქტორობით გამოცემულ თამარ თამარაშვილის მონოგრაფიაში – „კახეთი XX-საუკუნის 50-იან წლებში". თბ. 2010.

მივუთითებდით: 1945-1953 წლებში საქართველოში შეიქმნა 43 ახალი მტს (მანქანა-ტრაქტორთა სადგური): 1946 წლის აგვისტოში დაიწყო ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მშენებლობა, რომელიც გაიხსნა 1951 წლის 4 ნოემბერს; 1951 წელს დაიწყო ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა 150,000 ჰექტარი მიწის მოსარწყავად.

ასევე:

I. დიდი ყურადღება ექცეოდა კოლმეურნეობებში საშემოდგომო ნათესი ფართობების მოვლა-პატრონობას; მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას, მათგან საწარმოო მიმართულებების გაძლიერებას ახმეტის – 8, თელავის 3, გურჯაანის – 4, სიღნაღის – 2, ყვარლის – 5.

II. გარე კახეთის მარცვლეული მეურნეობისა და მეცხოველეობის სრულყოფა გათვალისწინებული იყო: ა)თუშეთის მთის მეცხოველეობის მიკროზონა; ბ) პანკისის ხეობის მეცხოველეობის მიკროზონა; გ) ალაზნის ვაკის დასავლეთი ნაწილის მევენახეობის მიკროზონა; დ) ალაზნის ვაკის მარცხენა მხარის აღმოსავლეთი ნაწილის მეთამბაქოობის მიკ-

როზონა; ე) ცივ-გომბორის ქედის ჩრდილოეთი ფერდობის ტყის მეურნეობის მიკროზონა; ვ) გარე კახეთის ზეგნის მეცხოველეობისა და მარცვლეული მეურნეობის მიკროზონა: ზ) ალაზნის ვაკის მარჯვენა მხარის აღმოსავლეთი ნაწილის მევენახეობა, მარცვლეული მეურნეობისა და მეცხოველეობის მიკროზონა; თ) ივრის ვაკის მარცვლეული მეურნეობისა და მევენახეობის მიკროზონა; ი) ცივ-გომბორის ქედის სამხრეთ ფერდობის ტყის მეურნეობის მიკროზონა.

III. მეცხოველეობის დარგები: მეძროხეობა, მეცხვარეობა, მეღორეობა, მეცხენეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა (თელავის ძაფსაღები ფაბრიკა), მეთამბაქოეობა, კადრები.

IV. სარეწაო არტელები თელავში: ჩვენთვის საინტერესო პერიოდში არსებობდა საარტელო გაერთიანებები, თუ კერძო არტელები; „ქიმიკოსი", „ქალთა შრომა", „მკერავი", „განთიადი", „წითელი ოქტომბერი". „წინსვლა", „კახეთის კასრი", „ნალბანდი", „ეტლი", „გემო-კვება", „სილამაზე", „თელავმშენი"; „ახალმშენი", „გაერთიანება", „მათიკაშვილი" და „წითელი თელავი", „კუიბიშევის სახელობის", „ქიმპრომკოპი"; მეჩექმეთა ნადი „სოციალიზმის გზა" და სხვ. (შესწავლილი და განზოგადებულია საარქივო პირველწყაროებზე დაყრდნობით).

V. ცალკე წარმოვადგინეთ კახეთში საშენ მასალათა მოპოვება-წარმოების მონაცემები: საშენ მასალათა საწარმოები განლაგებული იყო თელავის, (წითელი წყარო) დედოფლის წყარო, გურჯაანის, საგარეჯოს რაიონებში. მათგან: ა) „საქართველოს მარმარილოს" კომბინატი („წოპის გორის" მარმარილოს კარიერი) ლოპოტის ხეობის საბადო:

ბ) ლოპოტის მარმარილოს მნიშვნელობა (ქართული მარმარილოთი მოპირკეთდა პოლონეთში ვარშავის კულტურის სასახლე; მოსკოვის მეტროპოლიტენისა და ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი);

VI ზოგადად განვიხილეთ ეთერ-ზეთების წარმოება კახეთში:
ა) არომატული ნედლეულის ბაზის დახასიათება.
ბ) მიღებული ეთეროვანი ზეთის გამოყენება.
გ) არომატული ზეთების წარმოების კონტროლი.

VII ასევე წარმოვაჩინეთ საზოგადოებრივ კულტურული ვითარება:
ა) განათლება (მასწავლებელთა კადრები);
ბ) კადრები.
გ) თეატრი.
დ) მუზეუმები.
ე) ფიზკულტურა და სპორტი.

ჩვენი რედაქტორობით შედგენილ წიგნში – „ნ. ბიწაძე. სახალხო განათლება და სოციალური ვითარება კახეთში (1939-1945 წ.წ) მივუთითებდით, რომ პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილი და განზოგადებულია კახეთის რაიონების საარქივო ფონდების ძირითადი მასალები. პირველწყაროები ნათლად წარმოგვიდგენენ ამ პერიოდის ურთულესი ისტორიული მოვლენების გავლენას საერთოდ ქვეყნის განათლების სისტემაზე, კერძოდ კახეთის მხარის ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაზე.

კახეთის მხარის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობამ ღირსეული კვალი დატოვა ისტორიაში. განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ ეთნიკური უმცირესობის (აზერბაიჯანული, რუსული, სომხური, ბერძნული, გერმანული, ოსური) სკოლების მრავალმხრივი საქმიანობის შესწავლა-გადმოცემას, რადგან, ვფიქრობთ, მრავალწლიან გამოცდილებას დღესაც აქვს უაღრესად დიდი პრაქტიკული ღირებულება, ამასთან მეცნიერული და შემეცნებითი მნიშვნელობა ქართული ენის შესწავლა-გავრცელებისათვის.

XX – საუკენის 20-30-იანი წლების მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ღონეს ეხება პროფ. მ. ნათმელაძე. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში გაიზარდა სკოლების რაოდენობა წლების მანძილზე: თუ 1920 წლის საქართველოში იყო 1293 ქართული, 88 სომხური, 30 თურქული, 42 ბერძნული, 10 გერმანული და სხვა ეროვნული სკოლები. მარტო 1925 წლისათვის მათი რაოდენობა თვალსაჩინოდ გაიზარდა. ამ წელს საქართველოში იყო 1428 ქართული, 120 სომხური, 79 თურქული, 59 რუსული: გარდა ამისა 1927-1928 წლებში შეიქმნა აფხაზური და ოსური დაწყებითი სკოლები.

ეთნოუმცირესობათა განათლებისა და სკოლების მოღვაწეობის შესახებ საინტერესო მასალებს იძლევა პროფ. ა. სონღულაშვილი.

კახეთის მხარეში საკმაო რაოდენობით ჩანს ასეთი სკოლების საქმიანობა: თელავსა და მის რაიონი (სომხური, აზერბაიჯანული, რუსული); სიღნაღსა და მის რაიონში (სომხური, რუსული); ლაგოდეხის რაიონში (აზერბაიჯანული, რუსული); ყვარლის რაიონში (ოსური); საგარეჯოს რაიონში (აზერბაიჯანული, რუსული).

XX-საუკუნის 30-40-იანი წლების საქართველოში მოღვაწეობდა 4933 სკოლა და 19 უმაღლესი სასწავლებელი, ამ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კახეთის მხარეს და განსაკუთრებით თელავის რაიონს თავისი განათლებისა და კულტურის დონით.

თელავი გვევლინება ქართული მეცნიერების, კელტურის, განათლების ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენად საქართველოში. ქ, თელავში არსებული სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებების მოღვაწეობა მისაბაძი და სანიმუშო გახდა, თელავის ინტელიგენცია ტოლს არ უდებდა დედაქალაქის წარმომადგენლობას.

აქ, თელავში XX-საუკუნის 20-იან წლებში არსებობდა 3 ცხრაწლიანი შრომის სკოლა, ორი ჰუმანიტარული ტექნიკუმი. – ვაჟთა და ქალთა, რამდენიმე დაწყებითი სკოლა, ჰუმანიტარული ტექნიკუმი (ქალთა და ვაჟთა) დაიხურა 1924 წელს. ქალთა ტექნიკუმში განთავსდა ერთი შვიდწლიანი სკოლა, ვაჟთა ტექნიკუმის შენობაში კი პედაგოგიერი ტექნიკუმი. ასეთ ვითარებაში 1924 წელს 1 სექტემბერს გაიხსნა პედაგოგიური ტექნიკუმი; რომელსაც გადაეცა ჰუმანიტარული ტექნიკუმის შენობა და ქონება. მან, პედაგოგიურმა ტექნიკუმმა იარსება 1939 წლამდე.

XX-საუკუნის 50-იანი წლებისათვის თელავსა და რაიონში ითვლებოდა 33 სკოლა: 8 დაწყებითი, 13 ა/სრ, საშუალო სკოლა და II საშუალო სკოლა. მათ ემსახურებოდა 481 მასწავლებელი. აქვე, თელავში გახსნილი იყო საფერშლო სკოლა; აქტიურად მოღვაწეობდა თელავის თეატრი, რაიონული გაზეთის რედაქცია და სტამბა; ჯერ კიდევ 1875 წელს

თელავის მაზრის სოფელ იყალთოში ქალთა ერთი ჯგუფის მცდელობით გახსნილია ბიბლიოთეკა, ეს იყო პირველი შესაძლებლობა თელავში და საერთოდ კახეთში ბიბლიოთეკის დაარსებისა; ასევე დიდი მნიშვნელობის მოვლენა გახდა თელავში მუზეუმის გახსნა 1927 წლის 7 ნოემბერს.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად მიგვაჩნია თელავის რაიონში აზერბაიჯანული სკოლის საქმიანობა. ამ სკოლას 2006 წელს არსებობის 120 წელი შეუსრულდა. მისი შექმნისა და პედაგოგთა მოღვაწეობა მონოგრაფიულად შეისწავლა აზიზ აბაზოვმა, რომელიც დაისტამბა ჩვენი რედაქტორობით, ამავე ავტორმა დამაჯერებლად გადმოსცა სოფელ „ყარაჯალის“ ეტიმოლოგიური განმარტება. მას მიაჩნია სოფლის სახელი უნდა იყოს გარაჯალა, გარას ტომის სახელწოდების მიხედვით, ადასტურებს, რომ აზერბაიჯანულ ენაში არ არის ასო ბგერა „ყ“, ამდენად სკოლაც უნდა მოიხსენებოდეს როგორც „სოფ. გარაჯალის სკოლა".

ლაგოდეხის რაიონი – 1917 წლამდე შედიოდა თბილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრაში. 1930 წლიდან ცალკე ადმინისტრაციული რაიონი, 1962 წლიდან მოიხსენება ქალაქად. დღეისათვის რაიონში შედის 1 რაიონული დაქვემდებარების ქალაქი ლაგოდეხი (რაიონის ცენტრი). 14 სასოფლო საგანმგებლო აერთიანებს 63 სოფელს XX-საუკუნის 80-იან წლებში რაიონში იყო 52 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, სამუსიკო სკოლა. პროფტექნიკური სასწავლებელი, 25 კლუბი, 42-ბიბლიოთეკა.

რაიონში მოქმედებდა: ა) აზერბაიჯანული სკოლები – კაბალის საშუალო სკოლა, მეორე კაბალის, უზუნთალის და განჯალის; ბ) ოსური სკოლა – ფონის განათლების საშუალო სკოლა; გ) რუსული – ჩადუნიანის, ერეთის კარი, ახალი ულიანოვკის არასრული, თამარიანის არასრული და ნაენდროვანის დ) სკოლა: დ) ბუდიონოვკის და სვობოდნოეს არასრული საშუალო სკოლა და სხვ.

სიღნაღის რაიონი – XX-საუკენის 40-იანი წლებისათვის რაიონში არსებული 15 დაწყებითი, 10 არასრული და 9 საშუალო სკოლაში სწავლობდა 10425 მოსწავლე (მის შემადგენლობაში სომხური, დ/წნორის რუსული სკოლების).

ყვარლის რაიონი – განათლების სისტემაში სწავლების ყველა დონეზე იმყოფებოდა 23 სკოლა, 260 კლასი, 7638 მოსწავლით.

გურჯაანის რაიონი – 1930 წლიდან კახეთში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ რაიონად. 1 ქალაქი, 28 სოფელი.

ამ პერიოდისათვის რაიონში 34 სკოლა და 2 სკოლა ინტერნატი, 1 ტექნიკუბი, მუსიკალური სკოლა, 25 საბავშვო ბაღი, 8 კულტურის სახლი, 27 კლუბი, 60 ბიბლიოთეკა: 3 კინოთეატრი. 1 პედაგოგიური ტექნიკუმი.

წითელწყაროს რაიონ (დედოფლის წყარო). ამავე პერიოდისათვის იყო 21 სკოლა, 5 საშუალო, 8 არასრული, 8 დაწყებითი, 230 ფასიანი კლასით 6511 მოსწავლით (მათ შორის რუსული სკოლა); წითელწყაროს რუსული საშუალო სკოლა შეადგენდა 30 კლასს 963 მოსწავლით.

აზერბაიჯანული სკოლები: ლაგოდეხში კაბალის სკოლა, კაბალის"№2 სკოლა, განჯალის საჯარო სკოლა, განჯალის საბაზო სკოლა, გარაჯალის საბაზო სკოლა, უზუნთალის სკოლა.

საგარეჯოს რაიონში – იორამუღანღოს საჯარო საშუალო სკოლა, ლამბალოს საჯარო სკოლა, დუზაგრამის საჯარო სკოლა, მუღანლოს საბაზრო სკოლა. (საინტერესოა ამ დასახლებათა ეტიმოლოგიური შინაარსის განმარტება).

ქახეთი
უცხოელის თვალით



მთებით გარშემორტყმულ, იდუმალებით მოცულ კუთხეში

...ეს რამდენიმე სარკმელიანი, კირით გათეთრებული ნათელი ოთახია, რომლის მშვენებას ნახევრად უცნაური აღმოსავლური ტაბეებით აჭრელებული თაღიანი ჭერი წარმოადგენს. ეს სასაფხულო სასახლის უბრალო დარბაზია, სადაც 1798 წელს გარდაიცვალა. სახელგანთქმული ქართველი მეფე ერეკლე მეორე (ჩვენი მეგზური ახალგაზრდა შავგვრემანი ქალი, თავისი საქმის კარგი მცოდნე, წარსულზე ბევრს მოგვითხრობდა). მისმა მეკვიდრემ გიორგი მეთორმეტემ სამი წლით გვიან თავისი გვირგვინი რუსეთის მეფეს ალექსანდრე პირველს გადასცა, ამით ბოლო მოეღო ათასი წლის განმავლობაში მრავალი შემოსევით გამოწვეულ ქართველი ერის გმირულ ტანჯვა-წამებას.

ეს იყო ქართლ-კახეთის მეფე, საქართველოს მიწა-წყლის უკანასკნელი გამაერთიანებელი, ერეკლე მეორე, რომლის ლეგენდარული მეხსიერება ვერსალამდე და პოტსდამამდე მიაღწია... მან სიკვდილის წინ სამი წლით ადრე, მიატოვა რა დედაქალაქი თბილისი, ერთხელ დაპყრობილი და გადამწვარი სპარსეთის შაჰის აღა - მახმად - ხანის ლაშქრის მიერ, ხელახლა შეიერთა თავისი საზაფხულო რეზიდენცია თელავში.

ფრიალო კლდეზე წამომდგარმა თბილისის უძველესმა ციხე-სიმაგრემ, შარის ციხის სახელწოდებით, შეინარჩუნა თავისი ლეგენდარული სახელი—შურისძიების ციხე. რამდენი საუკუნეა გასული მას შემდეგ, რაც ეს სახელი წარმოიშვა? ეს სახელწოდება დაკავშირებულია ქართველი ქალის ეთერას შამაცური საქციელის ხსოვნასთან. სპარსელ დამპყრობლების მეთაურმა მიიყვანა ამ ციხესიმაგრეში ახალგაზრდა ქალი, სურდა რა გაეხადა იგი თავის ხასად. იმ დროს, როდესაც იგი უნდა დაუფლებოდა ქალს, ამ უკანასკნელმა მას ხანჯალი ჩასცა, გადაარჩინა ამით დედაქალაქი, რომელიც მიატოვეს ამ ამბით საქციელწამხდარმა დამპყრობლებმა. თბილისის ყველაზე ლამაზ ხეივანში დღესაც გვიჩვენებენ იმ ადგილს, სადაც მეთხუთმეტე საუკუნეში კალო იყო; აქ სამუშაო სრულდებოდა უზარმაზარი ხის კვერის დახმარებით, რომელიც 50 წლის წინათ იყო შემორჩენილი სოფლებში.

სწორედ ამ ადგილზე, ულმობელმა თემურ-ლენგმა, რომლის მონღოლმა მეომრებმა შვიდკერ დაიპყრეს საქართველო, წაყვანებია და ბორბალივით გაასრესინა კერვრქვეშ თბილისის უბნების მცხოვრებთა ყველა ახალშობილი.

ორი საუკუნის შემდეგ შაჰ-აბას პირველმა ირანში გადაასახლა 100.000 ქართველი, ამასთან ერთად აჩეხა ყველა თუთის ხე, ქვეყნის სიმდიდრე და დიდება. ამ ქართველთა შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ირანის ოლქში, ფერეიდანში. მხოლოდ ირანში დაუცხრომელმა ბრძოლამ შეუშალა ხელი მონარქის განზრახვას, დაეცალა საქართველო და იქ ჩაესახლებინა სპარსეთის მომთაბარე ტომები.

საქართველოს მთელი ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ საზარელ ამბებთან, სადაც თვითეული გზის მოკვეთევი, ნანგრევები და ციხე-სიმაგრეები მძვინვარე ცეცხლისა და სისხლისღვრის მოწმეა.


ხახიდარი და „კოგედა“

დღეს, როგორც ყოველთვის, რესპუბლიკის შორეული აღმოსავლეთის მხარის, კახეთის სიმდიდრეს წარმოადგენს ბოთლებში ჩასხმული საუკეთესო ქართული ღვინო — „გურჯაანი“, „სფერავი“, „წინანდალი“, რომელიც ამჟამად მხარის შარნებში იწურება და დიდ დღესასწაულებზე ყველა საბჭოთა ხალხის სუფრის მშვენებას წარმოადგენს.

1858 წლის ზაფხულში საქართველოში ემგზავრა ფრანგი ეფრანგიანგა ვიდბერ ხლოკა. მან გრეიდი სტატია გამოაქვეყნა საქართველოს შესახებ. ეფრანგ „ᲡᲐᲖᲤᲠᲐᲜᲒᲝᲛᲝ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲖᲛᲘᲜᲐᲨᲘ“ (1938 წელი. № 6).

ვაქვეყნებთ აღნიშნული სტატიის ნაწყვეტს, რომელიც ახალგაზრდა კახეთის, კერძოდ ჩვენი რაიონის წარსულსა და აწმყოს.

კახეთი
უცხოელის თვალით



მთეგით გარშემორტყმულ, იდუმალებით მოცულ კუთხეში *)

თელავი, ისტორიული კახეთის სამეფო დედაქალაქი, პირდაპირი გზით რომ ვივარაუდოთ, თბილისიდან 50 კილომეტრით იქნება დაშორებული. მაგრამ ეს ორი ქალაქი ქედებმა დიდი მანძილით დააშორა და გზა, რომელიც ამ ქედებზე გადადის, მხოლოდ კარგ ამინდებშია მისაწვდომი. ცუდი ამინდების გამო ვერ შეეძელით მოკლე გზით წასვლა, რის გამოც გასაელელი გზა ოთხჯერ გაიზარდა. თუმცა აქით არ წამოგება, რადგან გზის ყოველ მოსახვევში თვალწარმტაცი პეიზაჟით ეტკბებოდი; მგზავრობამ, რომელსაც ბევრი დრო მოვანდომეთ უნაყოფოდ არ ჩაიარა. კლაკნილი გზა გასდევს მთების ფერდობებს, რომლებზეც გაშენებულია სოფლები.

საქართველოს, რომელიც საფრანგეთის თორმეტ ოლქზე მეტი არ იქნება, როგორც მისი ბუნების სურათების, ისე ხალხის განსხვავებულობის მხრივ განცვიფრებაში მოჰყავს მოგზაური. თუ დასავლეთი საქართველო გვაგონებს ჩვენს „ლაჟვარდოვან სანაპიროს“, კახეთი უფრო მოგვაგონებს ზემო პროვანსის პეიზაჟს, რომელიც უფრო დაემსგავსებოდა კახეთს, რომ 4.000 მეტრზე მეტი სიმაღლის მწვერვალებით გარშემორტყმული ყოფილიყო.

ნაკლები განსხვავება არც მოსახლეობაშია; აქ შეხვედით როგორც შავგვრემანი, ისე სპილენძისფერი სახის მქონე მამაკაცებს არწივისებური პროფილით და სქელი ტუჩებით. კედელზე წამოდებული შავი ხაბდის ქუდები, რომელსაც უმრავლესობა ატარებს, ამცილებს მათ აღმოსავლურ თვისებას. ახალგაზრდა ქალებს აქვთ მრგვალი სახე, ღამაზი შავი თვალები, ბაშრი და მოღუშული წარბები, გრძელი შავი ნაწნავები. გასაგებია, თუ რატომ ეძებდნენ აქ მარგალიტებს თურქები და სპარსელები თავიანთი ჰარამხანისათვის. და ეს არც თუ ისე დიდი ხანია, ბარის ერთერთ სოფელში ჩვენ მიგვიწვიეს 110 წლის გადაცილებულ მოხუცთან, რომელიც წინათ მეურნედ მუშაობდა ჭავჭავაძეების ოჯახში (ეს იყო თავადების ცნობილი ოჯახი საქართველოში, საიდანაც გამოვიდნენ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები და სახელგანთქმული მწერლები).

გამაოცა ძველი სახლების ფანჯრებმა, რომლებშიც ჩასმული იყო ვენახის რტოსაგან გაკეთებული ბადე, მიმაგრებული უჯრედოვან რკინის ძელებზე. ვერც ერთმა ჩემმა მეგობარმა ვერ ამიხსნა ეს თავისებურება. შეეკითხე ერთ მობუც ქალს; მან გვითხრა, რომ მის ახალგაზრდობაში ქცლავ განაგრძობდნენ ყაჩაღები სოფლებზე თავდასხმას და ატაცებდნენ ახალგაზრდა ქალებს თურქებზე და სპარსელებზე გასაყიდად.

გზაში „პობედებთან“ და სტეირთო ავტომანქანებთან ერთად ქცლავ შებედებით დიდი კალთებით დატვირთულ სახედრებს ან მათზე ამხედრებულ ბავშვებს, ორთელიან ეტლებს კაკასიური ჯიშის პატარა ცაგარი ცხენებით. ცხენებზე არიან ამხედრებული მწყემსებიც, რომლებიც მწყემსავენ ბუმბუმატყლიან ცხვრებს ან ჯაგრიანი ღორების ჯოგს. ამგვარად, უსოფარი წარსული ყოველ ნაბიჯზე დაკავშირებულია აწყოსთან და მომავალთან.


ზვეულმფრენი ავტობუსს ცვლის

თელავის მაღლობად შეეულმფრენების ჩრდილში მშვიდად ძოვენ კამეჩები.

ძნელად მისადგომ რაიონებში ადგილობრივი ჯოლმეურნეებისათვის თანდათან ხდება ხელმისაწვდომ ტრანსპორტად თვითმფრინავი ან ზვეულმფრენი. არსებობს ერთი რკინიგზის ხაზი თბილისიდან თელავამდე. დაკლაკნილად გაყვანილი რკინიგზა, რომელიც ძველ დროში კერძო პირების მიერ იქნა გაყვანილი, სიცილს იწვევს თანამედროვე თაობაში. ამიტომ ვისაც ეჩქარება, ამჯობინებს თელავიდან ან სიღნაღიდან თბილისში თვითმფრინავით მგზავრობას.

*) გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „ლიტერატურის ხმა“ № 4.

ქახეთი
უცხოელის თვალით



მთებით გარშემორტყმულ, იდუმალებით მოცულ კუთხეში*)

იმ დღესვე წავედით თელავის სასტუმრო „ინტურისტში", რადგან ყველა ნომერი დაკავებული იყო, ვეწვიეთ საბჭოთა მეურნეობის „ნაფარეულის" ვრცელ, კომფორტაბელურ პავილიონს, რომელმაც შეგვიკედლა და სადაც მეორე დღეს გავსინჯეთ ამავე სახელწოდების საბჭოთა მეურნეობის ორი ფერის ღვინო თეთრი „ნაფარეული", რომელიც ოდესღაც გაჰქონდათ საფრანგეთში და წითელი „საფირავი".

ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობას წელს 500 ჰექტარი ვენახი უჭირავს და 1963 წლისათვის ეკნება 1.500 ჰექტარი. მეურნეობა აშენებს ღვინის ქარხანას, რომელიც 130.000 ცენტნერ ყურძენს გადაამუშავებს. ის 2.000 მცხოვრებს ითვლის; აქვს ერთი სრული საშუალო სკოლა, საბავშვო ბაგა, ახალი უბანი. მეურნეობის მუშის საშუალო შემოსავალი, საკუთარი მეურნეობისა და პირუტყვის გამოკლებით, თვეში 500-დან 600 მანეთამდე აღწევს. მაგრამ ზოგიერთი, პრემიებთან ერთად, თვეში 1.000 მანეთამდე იღებს.

ქვეყნების გზაჯვარედინზე

გარიერაციისას აღტაცებაში მოვედი მთის ძირში გაშენებული აღტაცების ხის აყვავებული პლანტაციებით და მარმარილოს მთით, რომელიც მზის ამოსვლისას ელვარებს, როგორც ძვირფასი ქვა. ალაზნის ველის განსაკუთრებული ნაყოფიერება მორწყვის შედეგია. აქ ყურძნის მოსავალი ჰექტარზე 150 ცენტნერს აღწევს.

ახალგაზრდა ქალმა, რომელიც გვემსახურება მეგზურად, გვიჩვენა დაკბილული კრამიტის ნატეხი, რომელიც წარმოდგენილია მუზეუმად გადაკეთებულ ერეკლეს სასახლის პატარა ეკლესიაში. უკვე მე-12 საუკუნეში ალაზნის ველი ირწყვებოდა 119 კილომეტრის სიგრძის არხით, რომელიც 53.000 ჰექტარს ანაყოფიერებდა. მე-15 საუკუნეში კახეთის დედაქალაქის გრემის გზა აზერბაიჯანამდე დაგებული იყო ფილაქნით. მთელ გრემში კანალიზაციის გაყვანილობაც იყო.

გრემს ნაცრისფერი ცის ქვეშ უფრო მელანქოლიურს ხდის ქალაქის ძველი განადგურებული ნაწილი. ბორცვზე განშარტოებულმა ამ ეკლესია-ციხე-სიმაგრემ კონუსური სამრეკლოთი, განიცადა არაბების, მონღოლების, ყვარაზმელების, სპარსელების მრავალი თავდასხმა, რამაც გრემი საბოლოოდ XVII საუკუნეში დასცა, მაგრამ აქ ნანგრევები, როგორც სხვაგან, დიდებაზე მეტყველებენ: აყვავებული ბაზრები, ამბანები სამკურნალო წყლებით, ეკლესია ისლამური სტილის თაღით, რომლის მთავარ შესასვლელზე მოთავსებულ მეცნიერატს, მათარისის სახელწოდებით, თაღისი სელით გაუკეთებია წარწერა სამ ენაზე—ქართულად, სომხურად, არაბულად. ეს დანგრეული კედლები წარსული დიდების მოწმენი არიან. ის ადგილი, სადაც ახლა ძოვენ ცხვრები და თხები, სადაც მწყემსი უკრავს თავის სალამურზე, წინათ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვადასხვა ხალხის შესახვედრ ადგილს წარმოადგენდა.

მაგრამ ამ ზაფხულზე, სადაც კი თვალი მისწვდება, მინდორი მოირთვება სხვადასხვანაირი მწვანე ფერით: მწვანე ვენახებით, სამინდვრებით, საძოვრებით, ზურმუხტისფერი ხილის ბაღებით. ცხოვრებამ ჯერი გადაიარა; სარწყავი არხი აღსდგა, როგორც ტყეში მძინარე მშვენიერი ბასული, უფრო კარგი და დიდებული. ეს ნანგრევები აღარ წარმოადგენენ ოქროს ხანის ლანდებს.

*) დასასრული. დასაწყისი იხილეთ „ლიტერატურის ხმა" №№ 4, 5.

თავი III კახეთის მთავარი ქალაქი

თელავი

თელავი უძველესი დასახლებაა საქართველოში.

თელავი კახეთის ბედისა და უბედობის მატეანეა.

თელავს მომაჯადოებელი ხიბლი შემორჩა და ლამაზდება

თელავი ზღაპრულად ლამაზია ღამით მთვარიანზე და შორიდან მოციმციმე ლამპიონების შუქზე.

გვთავაზობენ – თელავი პირველად მოხსენიებულია ძველი ბერძენი გეოგრაფის კლავდიოს პტოლემეს „გეოგრაფიაში", ჯერ კიდევ II საუკუნეში „Teleda"-ს ფორმით. ასეთმა დასახლებამ და მისმა მიკუთვნებამ ისტორიული დასახელების მიმართ დაგვაეჭვა და დაგვაფიქრა.

თელავი ცივ გომბორის მთის ჩრდილოეთ ფერდობის ხუთ ცალკე ბორცვზეა შეფენილი. იგი, ქალაქი გადაჰყურებს ალაზნის ველსა და მთელს კახეთს.

თელავს ძალიან ხშირად მოიხსენიებენ საქართველოს მეისტორიენი:

მისი, თელავის ქალაქად აღშენებას მიაწერენ კვირიკე დიდს: – „თელავი ქალაქი, რომელი ჰყო კვირიკემ, კვირიკემ ჰყო თელავი სასახლედ". კვირიკე იყო კახეთის ქორიკოზის დავითის ძე. ასე, კახეთის ქორიკოზად დავითის შემდგომ – „დაჯდა ძე მისი კვირიკე ქორიკოზად... ამან კვირიკემ დაიპყრო (როგორ გავიგოთ კახეთის დაპყრობა?! ასევე კახეთის?! რატომ იწოდა მეფედ კახთა?! რატომ ააგო სასახლე თიანეთს?!) კახეთი და ჰერეთიცა და იწოდა მეფედ კახთა... კუალად ამანვე ჰყო სასახლე თიანეთს ხელოვანი, ამანვე ჰყო თელავი სასახლედ და ტახტად კახეთისა და ჰერეთისა. განმდიდრდა კვირიკე და მოირჭმა ყოვლითურთ და ამისათვის ეწოდა დიდი კვირიკე, რამეთუ გამეფდა ესე პირველად და ყვნა ესენი".

შემდგომ თელავის შემომტკიცებაში დიდი წვლილი გაიღო მეფე არჩილმა...

ვახუშტი თელავზე წერს: „ხოლო გულგულას ქვეით, თურდოს ხევს სამხრით არს თელავი, ვითარცა ქალაქი, ხოლო მისცვალა მცირედით მეფემ არჩილ და განაახლა... ამან არჩილ ჰყო სასახლე თელავს და განაახლა ეკლესიანი ყოველნი კახეთისანი და დასხნა ეპისკოპოზნი, მატა სჯულისა შენობასა ქვეყნისასა".

თელავმა გაუძლო ისტორიის სიმკაცრეს!

დღეს თელავი დიდი და ნათელი ქალაქია, ნიჭიერი და შემოქმედი ადამიანებით გალამაზებული.

თელავი გახდა საქართველოში ერთ-ერთი პირველი მძლავრი კერა განათლებისა და კულტურის მხრივ.

აქ, ამ ქალაქში 70 წლის წინ დაიწყო თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვანი შემოქმედებითი მოღვაწეობის გზა.

გზა, რომელსაც მრავალი თაობა მოსდევდა და მისდევს.

თელავისა და მისი შემოგარენის ადრეულ სახელწოდებები შემოგვინახა პედაგოგმა, ფიზიკის მასწავლებელმა და ქვეყნის წარსული ისტორიით დაინტერესებულმა გ. მელიაურმა.

საარქივო ფონდებში მოვიძიეთ და შემდგომ ჩვენი რედაქტორობით გამოცემულ თ. თამარაშვილის მონოგრაფიაში – „თელავი (XX-ს 40-50-იან წლებში) გამოვიყენეთ ძირითადი მასალები; ისინი, ეს მასალები უაღრესად ზედმიწევნით ახასიათებენ თელავის გეოგრაფიულ

რელიეფსა და ისტორიის საკითხებს, რომლებიც დღესაც იწვევენ ცხოველ ინტერესს მეცნიერთა შორის თავისი შინაარსობლივი (ეტიმოლოგიური) განმარტებისათვის.

მათგან: ა) თელავს უკავია – 624 ჰექტარი ფართობი;
ბ) სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთით – 3,34 კმ;
გ) სიგანე – 2,2 კმ;
დ) ჩრდილოეთიდან: – აღმოსავლეთით ესაზღვრება სოფელი შალაური;
ე) სამხრეთით მთა – ცივი:
ვ) დასავლეთით სოფელი – ვარდისუბანი:
ზ) ჩრდილოეთით სოფელი – კურდღელაური;
თ) მდებარეობს ზღვის დონიდან 238 მეტრ სიმაღლეზე.
ი) წლიური ტემპერატურა არის – $11,4^0$,; სიცხე 36^0; ყინვა 7^0;
აღწერილია გზები; ქალაქში ყველა სახის გზა – 34,5 კმ.
მათგან: ა) ასფალტირებული –) 4,2 კმ.
ბ) ქვაფენილი – 594 კმ.
გ) მოკირწყლული – 76 310 კვ.მ.
დ) ეკლარის ქვით – 3031 კვ.მ.
ე) მოხრეშილი – 155734 კვ.მ.
ქალაქში ამ დროისათვის იყო; ა) 65 ქუჩა;
ბ) 30 ჩიხი;
გ) 30 შესახვევი;
მათგან: ერთი შესახვევითა და ორი ჩიხით:
ა) 1905 წლის ქუჩა;
ბ) ახატლის ქუჩა;
გ) ჭავჭავაძის ქუჩა;
დ) ერისთავის ქუჩა;
ე) ახოსპირელის ქუჩა;
ვ) ნინოშვილის ქუჩა;
ზ) კურდღელაურის ქუჩა;
თ) კიროვის ქუჩა;
ი) პლეხანოვის ქუჩა;
კ) მიასნიკოვის ქუჩა;
ლ) რუსთაველის ქუჩა;
მ) ჭონქაძის ქუჩა;
ნ) სააკაძის ქუჩა;
ო) კამოს ქუჩა;
პ) ლენინის ქუჩა;
ჟ) რემედასის ქუჩა;
რ) მარქსის ქუჩა;
ს) ჯუღაშვილის ქუჩა;
ორი შესახვევით: ა) ფრუნზეს ქუჩა;
ბ) ორჯონიკიძის ქუჩა;
გ) მარქსის ქუჩა; (დროთა მსვლელობამ, ქალაქის გაფართოებამ ძირითადად შეცვალა ადრეული იერსახე, გაჩნდა ახალი დასახლებები, ახალი ქუჩები, განსაკუთრებული დატვირთვით შენდება აქამდე დაუსახლებელი ნაწილი ე.წ. „აჩინებული“, ლამაზდება მისი მთავარი ქუჩა „ალაზნის გამზირი“). **იყო ქუჩები**

სამი შესახვევით: ა) პირველი მაის ქუჩა:
ბ) ნარიმანოვის ქუჩა;
გ) ჯაფარიძის ქუჩა;
დ) მახარაძის ქუჩა;
ე) ცხაკაიას ქუჩა;

თელავის ძირითადი მოედანი ე.წ. „თავისუფლების მოედანი" მოიცავდა მხოლოდ 15000 კვ.მეტრს. ქალაქის სკვერებისა საერთო ფართი იყო 55000 კვ.მ.

მათგან: ა) სტალინის სახელობის ბაღი – 22000 კვ.მ.
ბ)ერეკლე II-ის სახელობის ბაღი – 5000 კვ.მ.
გ) ნადიკვარის პარკი – 33200 კვ.მ.
დ) მაწანწარის ახალი ბაღი – 1800 კვ.მ.

თელავი გაშენებულია გეოგრაფიულ რელიეფზე, ბორცვებზე, რომლებიც წარმოშობილია ჩამომდინარე ბუნებრივი ხევებისაგან: გამოიყოფა 6 ასეთი ხევი:

ა) თელავის – 62800 კვ.მ.
ბ) მაწანწარის – 40800 კვ.მ.
გ) ღვთისმშობლის – 8600 კვ.მ.
დ) ბატონისწყლის – 8500 კვ.მ.
ე) ჯინუას – 2240 კვ.მ.
ვ) ლეგიონის – 5600 კვ.მ.

თელავი განთქმული იყო სასარგებლო ბუნებრივი წყლების სიუხვით:
ა) ერეკლეს წყარო (ყრუხევის);
ბ) თეთრიანის წყარო;
გ) ჭადრის (ბატონის წყაროები)
დ) თეიმურაზის წყარო;
ე) გვირაბის წყარო;
ვ) უკვდავების წყარო;
ზ) კაკლის წყარო;
თ) სამლულიანი წყარო და სხვა.


გარდა ამისა მოსახლეობის ნაწილს საკუთარ ეზოებში ჰქონდა წყლის მარაგი, რომელსაც არავითარი კავშირი არ ქონდა წყალსადენთან.

ამ დროის თელავში არის ორი სამოქალაქო სასაფლაო – ერთი (ქართველების), მეორე – (სომხების); არის გაუქმებული სასაფლაო მაწანწარის სამხრეთით (ქართველების და სომხების) ასევე არის მწერალთა პანთეონი ციხე ქალაქის შიგნითმუზეუმის ეზოში.

თელავში ცხოვრობს (2008 წლის მონაცემებით) 2230 გვარის ადამიანი, 13284 სული. ერთ კვადრატულ მეტრზე მოდის 22,4 სული.


თელავში არსებული ეკლესიები:


1. ფერისცვალების „ღვთაება" (5-6 საუკუნის)
2. სობორო (სომხურ-გრიგორიალური)
3. ერეკლე II-ის კარის ეკლესია:
4. 4. გორიჯვარი (IX – საუკუნის)
5. 5. „სამება" ქართველების სასაფლაოზე.
6. „სომხების ეკლესია" (სომხების სასაფლაოზე)
7. სპარსული „მავზოლეუმი" ზუზუმბოზე.
8. ღვთისმშობელი (17-საუკუნის)



თელავის სამეფო სასახლის ციხე გალავანი აშენებული არჩილ მეფის მიერ, აღმოსავლეთის ხედი, ძირითადი შესასვლელი ალაყაფის კარი ჩუქურთმიანი აივნის კოშკით, კარის ეკლესიის ხედით. მტკიცედ ნაგებ გალავანს შიგნით მოთავსებულ უძველეს ნაგებობებში მოთავსებული იყო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები – იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (1939 წლიდან 1973 წლამდე), ზოგადსაგანმანათლებლო I და II სკოლები, თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

აღმოსავლეთის ძირითადი შესასვლელით მოძრაობდა აქ ადრე განლაგებული პედტექნიკუმის, შემდეგ სამასწავლებლო სასწავლებლის – 1950 წლიდან 1973 წლამდე სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა წარმომადგენლობა.





№1. სურათზე. კახეთის სატახტოს, თელავის ციხე კოშკის აღმოსავლეთი შესასვლელის ხედი

№2. სურათზე. 2011 წლის თელავის მოედანი



როინიშვილის ფოტო

თელავი 1840-60-იანი წლები.
ერეკლე მეფის კარის ეკლესიის სამრეკლო და მის წინ მდებარე შენობები.

თელავის მდებარეობის თაობაზე

ასე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია გვაუწყებს: ახლანდელი თელავის ტერიტორიაზე პირველი დასახლება გაჩნდა გვიანდელ ბრინჯაოს ხანაში: ელინისტურ ხანაში განვითარდა... პირველად მოხსენიებულია ძველი ბერძენი გეოგრაფის კლავდიოს პტოლემას (II-ს) „გეოგრაფიაში" – „ტელედა-ს" ფორმით. (ტ. 4. 1979, გვ. 644).

ასე, კლავდიოს პტოლემაიოსის მიერ ადრეული იბერია (ქართული) და ალბანეთი (კავკასიისა) ცალკ-ცალკეა აღწერილი. პტოლემე იბერიაში (ქართლში) არ ასახელებს რაიმე მიმსგავსებულ ტოპონიმს (თელავთან მიმართებაში).

ხოლო ალბანეთის (კავკასიის) ქალაქების და სოფლების ჩამოთვლისას პტოლემე ახსენებს ქ. ტელება-ს". მას იქ ოთხი ქალაქი აქვს დასახელებული – ქ. ტელაიბა. ქ. გელადა, ქ. ალბანა, ქ. გაიანა.

სავარაუდოა პტოლემაიოსის „ტელება" – „თებლა" – „თელადა" – ნიშნავდეს თელას (ხის ჯიში) და პირველ აქ დასახლებას ეწოდებოდა „თელა„?! რაც ადვილად გამოითქმებიდა თელავად.

ასე – X-საუკუნის მიწურულის არაბი ისტორიკოსი ალ-მუკადდასი გადმოგვცემს – ბარდავთან ქალაქებია: თბილისი, კალა (გარდაბანი), ხუნანი, შამქორი, განჯა, ბერდიჯი, შამახია, შარბანი, ბაქო, შაბისიანი, კართა-კარი (დარუბანდი), აბხაზი, კაბალა, შაქქი, მალაზკერტი და თებლა (თელავი?!)

PS. ვფიქრობთ ეს თელავი (ჩვენი თელავი) არ არის. ეს სულ სხვაა.

ასე – კვლავ ალ-მუკადდასი თელავი გზაზე იდო, რომლითაც ჰუვეიდან (?) შეიძლებოდა მისვლა თბილისს, შემდეგ შაქამდე და ლაქზანამდე ორი გადასასვლელი იყო, კართა-კარამდე (დარუბანდამდე) სამი გადასასვლელი.

ასე, ლ. რჩეულიშვილი გვამცნობს „უცხოელ გეოგრაფთა რუკებზე თელება-თელაივა-თელავზე ახლო აღმოსავლეთსა და ევროპას შორის სავაჭრო გზა არის დატანილი და ქარავანთა გასაჩერებელი დიდ სადგურად აღნიშნეს.

PS. ჩანს ემყარება პტოლემაიორს.

ასე. ჩ. ჩიკოიძე – თელავის ძველი სამოსახლოები როდის გაჩნდა, განვითარდა ქალაქის ტიპის დასახლებად, პირდაპირი მონაცემები არ გაგვაჩნია. ერთ-ერთი უძველესი ცნობა დაცულია ბერძენი გეოგრაფის კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიაში". ის ასახელებს ქალაქ თელაივა – თელადას(?!)

PS. შემდეგში კომენტატორები აიგივებენ თელავთან.

ასე, აკად. შ. ყაუხჩიშვილი -„როგორც ჩანს, კლავდი პტოლემე იცნობს აგრეთვე ქალაქ თელავს.

PS. იზიარებენ ნ. ლომოური, დ. მუსხელიშვილი, ლ. რჩეულიშვილი.

ასე, კვლავ ჩიკოიძე, „პტოლემაოსის თელადას თელავთან გაიგივება სარწმუნოდ გვეჩვენება, რადგან იგი თელავს მაინც და მაინც ალბანეთში ე.ი. ჰერეთში გვისახელებს".

PS. აქ ისტორიული გეოგრაფიის ცნებებია აღრეული.

ასე, ისევ ჩიკოიძე – „როგორც ჩანს თელავი ამ მაგისტრალურ სავაჭრო გზას თან

დაკავშირებული პუნქტია და ამდენად სარწმუნოდ გვეჩვენება მისი ტელედასთან გაიგივება".

PS. კვლავ პმოლემეს მონაცემებს ემყარება თელავის მდებარების შესახებ. რაც ჩვენთვის მიუღებელია. პტოლემეს „თელავი" სხვაგან უნდა ვეძიოთ.

ასე, ჯ. ხარიტონაშვილი – თელავი პირველად მოიხსენება ბერძენი გეოგრაფის პტოლემე კლავდიოსის (II-ს) „გეოგრაფიაში" – Teladas"-ს ფორმით.

PS. ის ადგილმდებარეობაზე არ საუბრობს. თელავს – აიგივებს თელადასთან. რაც საეჭვოდ გვეჩვენება.

ასე, ვ. ელანიძე. „მოქცევაი ქართლისაი", „მეფეთა ცხოვრება" თელავზე არაფერს ამბობს; „ახ. წ. II. საუკუნის ბერძენი გეოგრაფ-ასტრონომის კლავდიოს პტოლემაიოსის მიერ ალბანეთის სამეფოს (აღწერისას) ქალაქების ჩამოთვლისას მოხსენიებულ ქ. ტებლას (ტელადას) ზოგი ქ. თელავთან აიგივებს, ხოლო არიან ისეთებიც, რომელთაც არ სჯერათ, რომ ქ. ტელაიბა (ტელადა) და ქ. თელავი ერთი და იგივეა.

PS. კონკრეტული მტკიცებაა პტოლემაიოსის მიხედვით.

ასე, შემდეგი მტკიცება „... კლავდიოს პტოლემაიოსის წინამორბედ ბერძენ გეოგრაფ-ისტორიკოს მოგზაურთაგან (?!) ქალაქი თელავი არ მოიძებნება (?!), რომ შეჯერება-შედარების გზით დავადასტუროთ ქ. თელაიბასა და ქ. თელავის იგივეობის საკითხი. გვრჩება მხოლოდ ერთი შესაძლებლობა და ეს არის ადგილობრივი ტოპონიმიკური მასალის გათვალისწინება (?!) ამ მხრივ კი საქმე ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს: – ქ. ტელაიბია პირდაპირ შეესატყვისება ტოპონიმიკური თვალსაზრისით ქ. თელავს.

PS. საეჭვოა ადგილობრივი ტოპონიმი საერთდ არ არის დასახელებული.

ასე, დასკვნის მისეული ვარაუდი ... ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული თავისებურება უეჭველად უნდა გავითვალისწინოთ, მაშინ კლავდიოს პტოლემაიოსის ქ. ტელაიბა (ქ. თელავი) ახალი წელთაძრიცხვის II-საუკუნეზე ადრე უნდა ჩამოყალიბებულიყო.

ქ. ტელაიბას ქვეშ რომ ქალაქი ვიგულისხმოთ, როგორც ბერძნული ენისათვის შესატყვისი ფორმა. ვფიქრობთ, არ იქნება უსაფუძვლო".

PS. შესაძლო უსაფუძვლო ტელებას" თელავთან სმიტმასნება სრულიად მიუღებლად მიგვაჩნია რადგან გვაქვს წმინდა ქართული შესატყვისი მასალა.

ჩვენეული შეფასებები თელავის ისტორიის პრობლემებთან დაკავშირებით შემდგომში გავავრცეთ ჩვენი რედაქტორობით გამოცემულ თ. თამარაშვილის მონოგრაფიული გამოკვლევაში: თელავი (XX-ს 40-50-იან წლებში) რედაქტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაში მივუთითებდით:

ა) პირველი ისტორიული წყაროები უშორესი საუკუნის თელავის დასახლებული ადგილის შესახებ ადრიდანვე იღებს სათავეს: ქართულ ხალხურ ისტორიულ აზროვნებაში.

ბ) თელავის უძველესი დასახლება მოხერხებულ გეოგრაფიულ რელიეფზე ყალიბდება სავაჭრო-ეკონომიკური საჭიროების გამო – საქარავნო – სამიმოსვლო გზაზე მდებარეობით ადრიდანვე იქცეოდა უცხოელ მოგზაურთა ყურადღებას;

გ) პირველ ყოვლისა ბერძენ მოგზაურთა წერილობითი ცნობები იძლევა შესაძლებლობას ძველი თელავის ადგილმდებარეობის, მისი დასახლების, ადამიანთა მოსაქმეობის, მათი განვითარების, მათი კულტურული დონის თაობაზე.

დ) თელავი ეძველესი ქალაქური დასახლებაა არა მარტო საქართველოში, არამედ – კავკასიის გეოგრაფიულ სივრცეში.

თელავი კახეთის სამეფოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი ხდება.

თელავი სავაჭრო-საქარავნო ურთიერთობის პუნქტი.

თელავი განათლების, კულტურის, ხელოვნების, ბალავარი კახეთში:

თელავი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან სამეზობლო საზღვარი;

თელავი ჩრდილოეთის უდიდეს ქვეყანასთან, რუსეთთან დამაკავშირებელი;


თელავი სამხრეთში – სპარსეთი, თურქეთი, სომხეთი, შემდგომ აზერბაიჯანი და სხვებთან მიმართებაში.

მეცნიერთა და დაინტერესებულ პირთა პაექრობა, აზრთა სხვაობა გრძელდებოდა თელავის ისტორიის პრობლემებზე. მაგრამ, თითქმის მიუღწეველი, გაუგებარი დარჩა ძირითადი საკითხები. ეს დაინტერესება საბოლოოდ ერთ საკითხად იქცა – თელავი როდის გახდა ქალაქი?!

გაკვირვება გამოიწვია მოპაექრეთა სუბიექტურმა მსჯელობამ. უმრავლესობა „თავისუფლად" იყენებს ისტორიულ მასალას. აშკარად არა საკმაოა შეხედულებები ქალაქის სახელწოდების გაგების, მისი ადგილმდებარეობის, მოსახლეობის რაოდენობის, მისი ეთნიკური შემადგენლობის, მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის თაობაზე. გამოიკვეთა აღრევა ისტორიის მიერ დადასტურებულ სამეფო სახელმწიფო ტერიტორიების ტოპონიმების გაგებაში – კახეთი, ჰერეთი, ალბანეთი (კავკასიისა).

თელავის მდიდარი და საინტერესო ისტორია მომავალშიც გახდება მეცნიერთა შემოქმედებითი კვლევის საგანი, არა მარტო ქართულ ისტორიულ წყაროებში, არამედ მეზობელი ქვეყნების მასალებში.

ჩვენთვის საინტერესო ცნობებს მივაკვლიეთ თელავის დასახლების შესახებ სპარსული ცნობების ანალიზის დროს.





№1. სურათზე. თელავის უძველესი ქუჩა ასე გამოიყურება დღეს.
№2. სურათზე. აღდგენილი და განახლებული სიღნაღი.

ქართველი დიპლომატების (ბოგდან - „ბუხტამ“ – ბეგ გურჯიეცკისა და იოსება გურჯის) უცხოეთში მოღვაწეობის კვლევის პროცესში სხვა ისტორიულ მასალასთან ერთად.

თელავის სახელწოდების სრულიად განსხვავებული და საინტერესო შეხედულება შეგვხვდა სპარსეთში გადასახლებულ ქართველებში.

სპარსი ისტორიკოსი ისსკანდერ მუნში გვამცნობს – შაჰ აბასმა კახეთში ლაშქრობის დროს 1616 წელს გადაასახლა 130-ათასი ქართველი. ნაწილი ჩაასახლეს ისპაჰანში, ფერეიდანში, ფარსში, ხორასანში, გილანში, მაზანდარანში, ქერმანში.

დღეისათვის ქართველებით დასახლებული რაიონია ფერეიდანი, რომელიც ისპაჰანის ოსთანის შემადგენლობაშია და ისპაჰანიდან 120-150 კმ-ით არის დაშორებული.

ჩვენი დიდი ინტერესი გამოიწვია ფერეიდანში ქართული ტოპონიმების შინაარსმა (დღეისათვის 14 სოფელია).

ამ სოფლების სახელწოდებებშია ჩამარხული ქართველთა ისტორიული ბედის უკუღმართობა, მათი შინაარსი უდუდესი ეროვნული წუხილის, სულის ტკივილის გამომხატველია.

დააკვირდით:

1. ახორე-ფაინი (ქვემო მარტყოფი)
2. ახორე-ბალა (ზემო მარტყოფი)
3. ჩულრუთი (ჩულურეთი)
4. სიბაქი (ვაშლოვანი)
5. ქუდუბანაქი (ნინოწმინდა)
6. შაურდი (შავსოფელა)
7. დომბე-ქამარე (თოლუი, თელავი)
8. აფუსი (რუისპირი)

რას ნიშნავს ტოპონიმი – დომბე – ქამარე (თოლუი, თელავი), სად მდებარეობს, როგორია მისი მოსახლეობის რაოდენობა და კულტურის დონე, რამდენად შეინარჩუნეს მათ წინაპრებისაგან გადაცემული ქართული სულიერება, ტრადიციები სამომავლოდ მოხერხდება თუ არა მათთან ურთიერთობის დამყარება, აქაური თელაველების იქაურ თელაველებთან კავშირი.

მომდევნო წლებში გამოცემულ სქელთანიან მონოგრაფიაში „ცოდნის კერა 702 ვრცლად გადმოვეცით ჩვენი დამოკუდებულება თელავის ისტორიის საკითხზე.



ასე გამოიყურებოდა თელავის ცენტრის მჭიდროდ დასახლებული ნაწილი საუკუნე ნახევრის წინათ

თელავის ახალი ნაწილის ხედი 1890 წლისათვის. ფოტო თელავის სამაზრო სამმართველოს მდივნის ა. ი. კოლპაკოვის







ძველი და ახალი კახეთის ისტორიული ძეგლები.

თელავის ისტორიული ადგილის, მისი მნიშვნელობის, მისი სახელწოდების წარმოშობის თაობაზე მკვლევართა შორის აზრთა სხვაობაა; ზოგს იგი, თელავი ალბანეთში (კავკასიის ალბანეთი) ეგულება; ზოგს ჰერეთის ქალაქი ჰგონია, მცირენი იხსენიებენ კახეთის შემადგენლობაში. ასე, გაბნეული შეფასებები გვაიძულებს ვცადოთ გაერკვევა – 1. კახეთის,

2. ჰერეთის,

3. ალბანეთის (კავკასიის) ტოპონიმების სახელდებაში თელავის ტერიტორიული მდებარეობის საზღვრები.

ამასთან ქ. თელავზე გაბნეული, გავრცელებული შეხედულებების, ვარაუდების დალაგება:

ა) სახელწოდებისათვის,

ბ) ადგილმდებარეობისათვის,

გ) მნიშვნელობისათვის,

დ) მოსახლეობისათვის (ვინ ცხოვრობდნენ კახელები, ჰერები, ალბანელები),

ე) პოლიტიკურ ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრისათვის,

ვ) დღეისათვის

ზოგი რამ საგულისხმოდ: 1. ქართველ ისტორიკოს მკვლევართა დიდი ნაწილი დაინტერესდა ქ. თელავის წარსულის კვლევით: ი. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ლ. რჩეულიშვილი, ც. ჩიკოიძე, დ. მუსხელიშვილი, ლ. ჭილაშვილი, თ. პაპუაშვილი, ვ. ელანიძე, ნ. ლომოური, ჯ. ხარიტონიშვილი და სხვა. მათგან ზოგნი ყოველგვარი კრიტიკის გარეშე მიიჩნევენ ბერძენი გეოგრაფის პტოლემაიოსის (კლავდიოს პტოლემაიოსი – „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“) მიერ ნახსენებ სახელებს Teleba, თელადა, თელება, თელაივა, თელაიდას, – ზუსტად თელავის, თელავის დასახლების აღმნიშვნელად.

საინგილოში არსებობს გამოთქმა... დელი დიდი თებელა და ანანნდი“

თებლა გაგებულია ადამიანთა მცირე ჯგუფად. განმართება მოგვცა მ. თაგოშვილმა.

ჩვენ დაგვაეჭვა, პტოლემე ამ სახელწოდებებს (ტელება, თელადა, თელაივა) ასახელებს გეოგრაფიული ადგილმდებარეობის აღსანიშნავად – ალბანეთის (კავკასიის ალბანეთი) აღწერისას. შწორედ ალბანეთში (კავკასიის ალბანეთი) და არა ჰერეთში, და არა კახეთში.

ჰტოლემეს ტელება – თელადა – თელაიდა მხოლოდ ფონეტიკური მსგავსებაა და მისი მიჩნევა, მიეკუთვნება, მისადაგება თელავისათვის გაუგებრობას ქმნის. ე.ი. პტოლემე გეოგრაფიული ადგილმდებარეობის აღსანიშნავად – ალბანეთის (კავკასიის ალბანეთი) აღწერისას. სწორედ ალბანეთში (კავკასიის ალბანეთი) და არა ჰერეთში, და არა კახეთში.

პტოლემეს ტელება – თელადა – თელაიდა მხოლოდ ფონეტიკური მსგავსებაა და მისი მიჩნევა, მიკუთვნება, მისადაგება თელავისათვის გაუგებრობას ქმნის. ე.ი. პტოლემე სრულიადაც არ მიუთითებს ჩვენთვის საინტერესო ქალაქზე, ძველ თელავზე. თელება-თელაიდა ალბანეთში (კავკასიის ალბანეთში) უნდა ვეძიოთ და არა ჩვენთან კახეთში. (თებერდა?! სად მდებარეობს?!)

მცირე ცნობები ალბანეთის (კავკასიის ალბანეთის) ისტორიისათვის: 1. მკვლევართაგან ალბანეთი (კავკასიის) ხშირად გაიგივებულია ჰერეთთან, რაც მცდარია.


ა) თეიმურაზ ბაგრატიონი გვარნმუნებს: – „ალვანია არს ერთი უკეე ნაწილი ივერიისა, (ვფიქრობთ მისი დროის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფით – ე.მ.) ესე იგი ყოველი კერძო კახეთი, შაქისისა, რომელი ნაწილივე კახეთისა არს (აწ უწოდებენ შაქს), შარავანი ანუ შირვანი (რომელსა აწ შინვანს უწოდებენ) ვიდრე ზღვამდე კასპიისა და ვიდრე დარუბანდამდე და იგიცა“.

ბ) **ნ. ლომოურის აზრით** – „პომპეუსი უკვე მტკვარზე გადასვლისთანავე ალბანეთის ტერიტორიაზე შევიდა. მას, ნ. ლომოურს მიაჩნია – `იმ პერიოდში ალბანეთის ტერიტორია არა მარტო ალაზნის, არამედ ივრის დასავლეთითაც ვრცელდებოდა". რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს. შესაძლებელია ეს ვითარება დროებითი იყო მხოლოდ.

გ) **თ. პაპუაშვილი ირწმუნება:** – „როგორც ჩვენ დადგენილი გვაქვს ქართველთა მონათესავე (და არა ნათესავი ე.მ.) ჰერული ტომები: თვით ჰერები, სუჯები, ლბინიები, უტიები (იგივე უდინები) ან (უდები).

ჭილბები – წარმოადგენენ იმ ეთნიკურ ჯგუფებს, რომლებიც თავდაპირველად, გარკვეულ პერიოდში (გაურკვეველია რომელ პერიოდში ე.მ.) სხვა მრავალრიცხოვან ტომებთან ერთად ალბანურ გაერთიანებაში შედიოდნენ.

დ) **ზოგიერთი მკვლევარი** კი პირდაპირ მიუთითებს... `ალბანთა სამეფოს დასავლეთი საზღვარი იმ ტერიტორიით, სადაც წინარე საუკუნეში ქ. თელავი დაფუძნდა და მისგან დასავლეთით 4-5 კმ-ით მდინარე თურდომდე ვრცელდებოდა, და იქიდან კი, ე.ი მდინარე თურდოს სანაპიროდან იწყებოდა იბერიის (ქართლის) სახელმწიფო". სრული გაუგებრობაა. სად იყო ალბანთა სახელმწიფო?! ალბანთა რა ტომებით იყო დასახლებული? რატომ აერთიანებენ ჰერეთს – ალბანეთს – კახეთს თავისი ტერიტორიებით?!





№1. ძველი თელავის ხედი
№2 ძველი თელავის ბაზარი.

ე) დღემდე არსებულ წყაროებსა და ლიტერატურაში სარწმუნოდ გვესახება არაბი ისტორიკოსისა და მწერლის ალ-მუკადდასის გადმოცემა. ას, ალ-მუკადდასს X-საუკუნის მიწურულში შექმნილ არაბულ თხზულებაში დაცული აქვს ცნობა, რომ ბარდავთან ქალაქებია:

თბილისი,
კალა (გარდაბანი),
ხუნანი,
შამქორი,
განჯა,
ბერდიჯი,
შამახია,
კაბალა,
შაქქი,
მაღაზკერტი, და
თებლა (თელავი?!)

დააკვირდით გეოგრაფიულ, ტერიტორიულ განფენილობას:

ასეთი უძველესი ცნობა საფუძველს გვაძლევს ვირწმუნოთ გეოგრაფიული დასახელებების სახელწოდებების სინამდვილე, მისი გავრცელების მიმართულება, თბილისიდან შორს აღმოსავლეთით, და, ამასთანავე პტოლემაიოსის მიერ დასახელებული თებლა თუ თელაიდა ვეძიოთ სწორედ ამ სამყაროში. ამით , კიდევ მივანიშნოთ მეცნიერთაგან პტოლემაიოსის ცნობის კახეთის თელავთან გაიგივების სიმცდარე და უსაფუძვლობა.

ვ) ქართველ მეცნიერ მკვლევართაგან მხოლოდ დიდმა ივანე ჯავახიშვილმა შენიშნა, შეამჩნია და დაეჭვდა თელავის (კახეთის თელავის) სახელწოდება პტოლმაიოსის ბერძნულ სიტყვასთანუსაფუძვლო მიმსგავსებაში. მეცნიერმა ჩვეული სიდარბაისლით მიუსადაგა ქართველთათვის უცხოურ ცნობას წმინდა ქართული ძირძველი შესაძლო ვარაუდი: – იგი, ი. ჯავახიშვილი მიიჩნევს... სახელმწოდება თელავი წარმოქმნილია მცენარე თელადან, სადაც „ვი“ ძველ ქართულში მრავლობითი რიცხვის ნიშანია და ქართული ენის ნორმებით ნიშნავს თელები

ი. ჯავახიშვილი თელავის ქალაქად დასახელებას საფუძვლად მიიჩნევს ქართული ძირის სახელწოდებას – თელებ ის ხეების მიმართების სახით.

ვფიქრობთ ი. ჯავახიშვილის სარწმუნო შეხედულება უფრო მჭიდროდ უკავშირდება და განსაზღვრავს თელავის სახელწოდების წარმოშობას.

ი. ჯავახიშვილის მოსაზრებას ქ. თელავის სახელწოდების ქართული წარმომავლობის თაობაზე საფუძველს აძლევს საქართველოს ცალკეულ მხარეებში გავრცელებული და დღემდე შემორჩენილი წოდებები, რაც მცენარე თელასთან ასოცირდება. თელა საქართველოში დიდად გავრცელებული მერქნიან მცენარეთა გვარი თელისებრთა ოჯახისა, თელა ხის სახელი ადვილად გამოდგებოდა გეოგრაფიული მდებარეობის ან დასახლებული ადგილის აღსანიშნავად:

1) თელა, სოფელი ლაგოდეხის რაიონში (ცოდნისკარის საბჭო), მდ. ალაზნის ვაკეზე, მდ. ბაისუბნის (ალაზნის აუზი) ორივე ნაპირზე. ზღვის დონიდან 280 მ.

2) თელაგინა, სოფელი სამხრეთ ოსეთში ცხინვალის რაიონში (ღრიმის სოფლსაბჭო), შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. მეჯუდის ხეობაში, ზღვის დონიდან 200 მ. ცხინვალიდან 33 კმ.

3) თელაგორი, სოფელი კასპის რაიონში (წინარეხის საბჭო) მდ. კავთურას (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში. ზღვის დონიდან 740 მ. კასპიდან 18 კმ.

საცნობია ასევე: – 4) თელვა – მოქმედება, შრომის სახეობა საფეიქრო მრეწველობაში, შალის ნაწარმის (ქეჩა, მოთელილი ფეხსაცმელი, ფეტრი, მაუდი, ნაბადი) დამზადება მატყლის ბოჭკოების ერთმანეთთან შეჭიდებითა და გადახლართვით.

ასე, აკად. ი. ჯავახიშვილი ეხება თელავის ადგილმდებარეობისა და მისი სახელწოდების გარკვევის საკითხს, ემყარება ქართული, ადგილობრივი ტოპონიმების შინაარსს და არა პტოლემაიოსს.

PS. რაც ძირითად მეცნიერულ საფუძვლად უნდა მისილოთ.

ასე, აკად. ი. ჯავახიშვილი – „სახელწოდება თელავი წარმოქმნილია მცენარე თელადან, სადაც „ვი" ძველ ქართულში მრავლობითი რიცხვის ნიშანია: იზიარებენ სხვებიც. (ჯ. ხარიტონაშვილი).

PS. მაინც ვფიქრობთ ეს ერთ-ერთი შესაძლო მტკიცებულებაა. არსებობს სხვა ტოპონიმებიც (მაგ. თელვა).

ასე, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან: 1. თელა – დიდი ხე; აქვს ძვირფასი მერქანი: 2. თელადუმა – დიდი ხე თელის მსგავსი; გავრცელებულია მთის ტყეებში.

ასე, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონიდან: 1. თელა – დიდი ხე; აქვს ძვირფასი მერქანი: 2. თელადუმა – დიდი ხე თელის მსგავსი; გავრცელებულია მთის ტყეებში.

ასე, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონიდან: თელა (თელის), თელავს (თელავ, ვთელავ); თელავდა; თელავდეს; თელვა (თელავს)

ასე, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან:

თელავ-ს (გათელავს, მოთელავს): 1. ფეხით დასრესს, გააფუჭებს ზედგავლით, გაქელავს;

2. გადატ. გაანადგურებს, მოსპობს; შეად: გაათელვინებს, გაითელება, გაეთელვინება, გათელვა; გათელილი.

ასე, გათელვა სახელი გათელვას, ზმნის მოქმედება.

გათელილი: რაც გათელეს; 2. სიარულისაგან გატკეპნილი (გზა, ბილიკი).

თელავს გათელავს, მოთელავს.

თელვა სახელი თელავს ზმნის მოქმედებისა

თელიან-ი თელის ტყე.

თელილი, გათელილი.

ამრიგად, ქართულ მეტყველებაში საკმაოდ არის გამოყენებული სიტყვა თელავის ფუძე-ძირი – თელა. კლავდიოს პტოლემაიოსის გეოგრაფიაში მოხსენიებული Teleda – სრულებითაც არ უნდა აღნიშნავდეს აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი ქალაქის ადგილმდებარეობასა და სახელწოდებას. სავარაუდოა და დასაშვებია პტოლემეს მიერ შემოთავაზებული სახელწოდების ძირი უცვლელად ნიშნავდეს, თელა-ხეს ჯიშს.

ახლანდელი ქ. თელავის ტერიტორიაზე პირველი დასახლება გვიანდელი ბრინჯაოს ხანაში გაჩნდა, – ელინისტურ ხანაში განვითარდა, – ხოლო გვიანდელ ანტიკურ ხანაში იქცა ქალაქის ტიპის დასახლებად. იგი, ქ. თელავი დღეს საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული, კულტურულ-საგანმანათლებლოდა სამეცნიეროსასწავლო ცენტრია. ის 1917 წლამდე შედიოდა თბილისის გუბერნიის თელავის მაზრაში, 1921 წლიდან თელავის მაზრაში, 1929 დაყოფით – კახეთის ოლქის თელავის მაზრაში, 1930 წლიდან ცალკე რაიონად გამოიყო. მასში გაერთიანებულია ქალაქი (თელავი) და 30 სოფელი.

ჰერეთის ქალაქები:

წერილობითი წყაროების მიხედვით (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ვახუშტი) უკვე ანტიკურ პერიოდში და შემდგომ მთელი ადრეფეოდალური ხანის მანძილზე, ჰერეთში რა-

მოდენიმე ქალაქის არსებობა დასტურდება:

ა) ხორანთა – ითვლებოდა ჰერეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელოვან ცენტრად (ალაზან-ივრის შესაყარი, ორთავ ალაზნის მტკვართან შესაყარი).

ბ) ხორნაბუჯი (ჭოეთი) – ვახუშტის გადმოცემით, ყარაღაჯის სამხრით, სადაც დასწყდება ჰერეთის მთა ანუ ცივის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი, და აწ უწოდებენ „ჭოეთს".

V-საუკუნეში, ვახტანგ გორგასალის დროს, ხორნაბუჯში არსდება საეპისკოპოსო კათედრა, იგი საუფლისწულო ქალაქს წარმოადგენს. იგი ჰერთა მეფის ერთ-ერთი ერისთავის საჯდომი ადგილია.

გ) ნეკრესი –ძვ. წ. აღ. II-საუკუნეში, ქართლის მეფის ფარნაჯომ მირიანის ძის (დაახლოებით ძვ.წ. 155-140 წ.წ.) ხანაში, ჰერეთის ტერიტორიაზე, მდ. ყვარლის წყალზე, საფუძველი ჩაეყარა ქალაქ ნეკრესს. (თუ ნელქარისს)

დ) ჭერემი – V საუკუნის II ნახევარში, ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალის დროს, ჰერეთში აღმოცენდა მნიშვნელოვანი ქალაქი ჭერემი. ეს ქალაქი, ჭერემი უფლისწულ დაჩის საკუთრებას შეადგენდა.

ე) ნუხპატი – ციხე-ქალაქი, მისი ადგილმდებარეობა ზუსტად არ არის მიგნებული, სხვადასხვა მოსაზრებებია... მისაღებია ნუხპატის ვახუშტისეული ლოკალიზაცია: მდ. ბელაქნის წყლის აუზში, მის შუა დინებაზე. კავკასიონის ერთ-ერთ სამხრეთ კალთაზე.

ვ) შაქი: გიში – IX-X საუკუნეებიდან გვევლინება ჰერეთის სამეფოს პოლიტიკერ ცენტრად.

ალ-მუკადასის ჩვენებით, შაქი გზაზე იდო, რომლითაც ჰუვეიდან შეიძლებოდა მისვლა თბილისს, აქედან თებლამდე (თელავი?!), შემდეგ შაქამდე და ლაქზანამდე ორი გადასასვლელი იყო.

იბერიას აღმოსავლეთით უძველესი დროიდანვე ჰერეთის ქვეყანა ესაზღვრებოდა, რომელიც ქართველთა მონათესავე ტომებით იყო დასახლებული (თ. პაპუაშვილი).

მიაქციეთ ყურადღება: ჰერეთში ქართველები, ქართული ტომები კი არ სახლობენ, არა ქართველთა ძირძველი ნათესავები, არა! იქ, ჰერეთში „ქართველთა მონათესავე" ეთნიკური ჯგუფი ჩანს. მონათესავე ტერმინი კი მიანიშნებს მათს სრულიად განსხვავებულობას ქართველთ წინაპართაგან. რაც მეტად დამაფიქრებელია, რადგან ისინი საუკენეთა მანძილზე აუცილებლად შეერწყნენ უფრო მაღალ-კულტურულ დონეზე მდგარ ქართველებს, და დღეს ძნელად გასაგები ხდება მათი ისტორიული ურთიერთობის ადრინდელი ვითარება.

ჰერეთის ქვეყანას ესაზღვრებოდა „კავკასიის ალბანეთისა" და სომხეთის სამეფოების ტერიტორიები. „კავკასიის ალბანეთი" ანტიკური მწერლებისა და სომეხ ისტორიკოსთა მიხედვით, მოიცავდა მდინარეების: მტკვრისა და არაქსის ქვემო დინებას, ჩრდილოეთით იგი აღწევდა კავკასიონის მთავარ ქედამდე. აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე, დასავლეთით იგი ქართლის სამეფოს ესაზღვრებოდა, ხოლო სამხრეთით მის ფარგლებში შედიოდა მდ. არაქსისა და მუღანის ველები" (თ. პაპუაშვილი).

ეს სახელწოდება ალბანია, ალბანეთი ბერძნულ წყაროებშია მოცემული: აზრთა სხვაობიდან: ა) სომეხი ისტორიკოსის მოსე ხორენელის მიხედვით სახელწოდება უნდა ვეძიოთ ამდაგვარად – ერთ-ერთმა ტომმა, კერძოდ „... სისაკისაგან წარმომდგარმა ტომმა ალუანთა ველი და მისი მთიანეთი მდ. რახსიდან ჰნაკერტის ციხემდე დაიმკვიდრა... სახელწოდება ალუანქ-ი მომდინარეობს „ალუ"-დან, რაც კეთილს, სასიამოვნოს, ტკბილს უდრის.

ბ)აზერბაიჯანელი ისტორიკოსი აბას-ყული-აღა ბაკისანოვ-კუდსი გვატყობინებს:

1) იმის გამო, რომ სახელწოდებანი „ალანი" და „ალბანი" ძალზე ემსგავსებიან ერთმანეთს, შესაძლოა ვიფიქროთ ისინი ერთი მეორისაგან არიან წარმოქმნილნი; 2) ანდა „ალბა-

ნია" ამ ქვეყანას რომაელებმა შეარქვეს, სიტყვა albi გამო (რაც ნიშნავს „თეთრს");

გ) სახელწოდება „ალვანეთის" ახსნის ცდა მოცემული აქვს თეიმურაზ ბაგრატიონ-საც. მისი განმარტებით „ალვანეთი" წარმოდგება კახეთთა გეოგრაფიული პუნქტის „ალ-ვანისაგან". რაც საუთოო, სავარაუდო გვგონია.

დ) აკად. ნ. მარის მიხედვით „ალბანეთი" უნდა ნიშნავდეს მთიან ქვეყანას.

ე) კ. ვ. ტრეველი იძლევა ცნობებს შოტლანდიის ტოპონიმიკიდან, „რომ შოტლანდი-ის ქველი კელტური სახელი იყო „ალბანია". იგი ამ სახელწოდებას უკავშირებს სიტყვა ალპებს, რაც მისი აზრით კელტურია და ნიშნავს „მთას", „მაღალს".

ვ) ვ. მირონსკის აზრით „ალბანეთი" ბერძნულ-ლათინურ წყაროებში აღნიშნავდა ქვეყანას, რომელიც მდებარეობდა მდინარეების: მტკვრისა და არაქსის ქვემო დინების აუზში, იბერიასა და კასპიის ზღვას შორის.

ზ) რ. ერემიანის მიხედვით, „ალბანეთს" საფუძვლად დაედო ერთ-ერთი ალბანური ტომის სახელწოდება, რომელიც სომხურში „ლბინებს" ან „ლფნიქ"-ის ფორმით იხსენიება.

თ) ზ. იამპოლსკის შეხედულებით სახელწოდება „ალბანები" და `ალბანეთი" ამ ქვეყანას შეარქვეს უცხოელებმა, თვით ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა თავის თავს „უტიებს" უწოდებდა. „უტოები" ვფიქრობთ არიან უდიები" – „უდინები". „უდები".

ი) გ. კლაპორტი (1814) ალანებს აიგივებდა ალბანებთან. ალბანეთის საზღვრებში შე-ჰქონდა არა მარტო დაღესტანი, არამედ მთელი ჩრდილო კავკასიის ტერიტორია, სადაც ალანთა ტომი ცხოვრობდა.

კ) აკად. ვ. ბარტოლდი (1925) ფიქრობდა ალბანეთში ჩრდ. აზერბაიჯანის გარდა შე-დიოდა დაღესტანის ნაწილი, მისი ჩრდილოეთი საზღვარი დერბენდის ოლქის იქით აღარ ვრცელდებოდა.

ლ) ედუარდ ვიხვალდი (1838) ალბანეთის საზღვრებს ასე წარმოგვიდგენს:

აღმოსავლეთით – კასპიის ზღვა,

დასავლეთით – იბერია,

ჩრდილოეთით – კავკასიონის ქედი,

სამხრეთით – სომხეთი.

მ) ალბერტ ფორბიგერის (1844) მიხედვით, ალბანეთის ჩრდილოეთი საზღვარია კავკა-სიონის მთავარი ქედი, კერძოდ, მისი აღმოსავლეთი განტოტება – კერაუნის მთები; აღ-მოსავლეთით კასპიის ზღვა. – მდ. სულაკისა და მტკვრის შესართავამდე; სამხრეთით მტკვრის ქვემო დინება, დასავლეთით იორსა და ალაზანს შორის მდებარე ქედი.

მიგვაჩნია – ალბანეთი კავკასიისა, ერთ-ერთი უძველესი ადრინდელი კლასობრივი სახელმწოფოა ამიერკავკასიაში. მოიცავდა ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიას და დაღ-ესტნის სამხრეთ ნაწილს (მცირე კავკასიის მთიანეთიდან და მდ. რაქსისა და მტკვრის ქვემო წელიდან მოკიდებული კავკასიონის ქედის ჩრდ. აღმ. მონაკვეთამდე და კასპიის ზღვიდან ვი-დრე იორ-ალაზნის ქვემო წელამდე ანუ იბერიის სამეფოს საზღვრამდე).

„ალბანეთი" (Albania) პირველად IV-ს. ბერძნულ წყაროებში იხსენიება.

ალბანეთის მოსახლეობა: ალბანელები, გარგარელები, გელები, ლეგები, ჰერები, სუ-ჯები და სხვ. ანტიკურ ავტორთა ცნობებით სულ 26 ენაზე მოლაპარაკე ტომი.

ენა. ალბანური ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს განეკუთვნებოდა.

ალბანელთა წარმართული პანთეონის პირველი ღვთაება იყო მთვარე. მისი მთავარი ტაძარი იბერიის საზღვართან მდებარეობდა.

ალბანეთი ადრინდელი კლასობრივი სახელმწიფო იყო (დედაქალაქი კაბალა). მისი მეფე ორისი სომხეთის მეფე ტიგრან II-სა და იბერიის მეფე არტაგთან ერთად იგერიებდა რომის შემოტევას.

ალბანეთში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა გამოცხადდა IV-საუკუნეში.

მოსახლეობის ერთმა ნაწილმა აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბებაში მიიღო მონაწილეობა, მეორე ნაწილი კი კახელებს, მთიანი ყარაბაღის სომხებსა და დაღესტნის მოსახლეობას შეერწყა.

ალბანელები თვალადნი და ახოვანნი ყოფილან. ქერა თმა და ნაცრისფერი თვალები ჰქონიათ (რომაელი სამხედრო მემატიანის იულიუს სოლინუსის მიხედვით). ლაპარაკობდნენ ალბანურ ენაზე. ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა. კავკასიის ალბანელთა დამწერლობა, ფონეტიკური ხასიათისაა, შედგება 52 ნიშნისაგან. ტექსტი იწერება მარცხნიდან მარჯვნივ. სალიტერატურო ენა უნდა იყოს თანამედროვე უდიური ენის, ან მისი ახლო მონათესავე მთის კავკასიური ენების (წახური, მუხადური ანუ რუთურული, აღულური, ლეზგიური, ბუდუხური, ჯეკურ-კრიწული...) წინაპარი ენა.

ამრიგად – ალბანელები კავკასიისა, დას. კასპიის პირეთის ბინადარი უძველესი ტომი, კავკასიის ალბანეთის ძირითადი მოსახლეობა. ლაპარაკობენ ალბანურ ენაზე, მათი სალიტერატურო ენა დოკუმენტირებულია აზერბაიჯანის დასავლეთ რაიონებში ნაპოვნ მცირერიცხოვან ფრაგმენტულ წარწერებში

ა. შანიძის აზრით ალბანური ენა უნდა იყოს თანამედროვე უდიური ენის, ან მისი ახლომონათესავე მთის კავკასიური ენების: წახური, მუხადური ანუ რუთურული, აღულური, ლეზგიური, ბუდუხერი, ჯეკურ-კრიწული... წინაპარი ენა. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ალბანური ანბანის ასოთა და უდიური ენის ბგერათა რაოდენიბის ფარდობა, მორფოლოგიური, ლექსიკური, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები და უძველესი წერილობითი წყაროები.

ალბანური დამწერლობის ძიება დაიწყო ჯერ კიდევ XIX-ს-ში. ხოლო 1937 წელს ილ. აბულაძემ XV-ს სომხურ ხელნაწერთა ეჩმიაძინის ფონდში უძველეს ანბანთა ცხრილში აღმოაჩინა ალბანური ანბანი, რასაც დამწერლობის მიხედვით IX-X-სს. აკუთვნებენ. ანბანს სომხური ტრანსლიტერაციით მიწერილი აქვს თითოეული ასოს სახელწოდება, რაც იძლევა შესაძლებლობას შესაბამის ბგერათა (ფონემათა) რაობის დასადგენად.

მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ალბანური დამწერლობა უნდა მომდინარეობდეს ბერძნული ანბანის პრინციპებზე ორიენტირებული არამეული დამწერლობის ერთერთი სახეობიდან. ტიპოლოგიურად უახლოვდება ქართულ და სომხურ დამწერლობებს, ხოლო ანბანის რიგით განსხვავებულია მათგან.

1948 წელს და 1954 წლებს შუა პერიოდში მინგეჩაურში (აზერბაიჯანი) აღმოჩენილი ქვისა და თიხის ფილებზე ამოკვეთილი მრგლოვანი წარწერებიც (დაახლოვებით VI-ს.) მიჩნეულია ალბანურად.

XI-საუკუნისათვის ალბანელები გაითქვიფნენ თურქული მოდგმის ტომებსა და მეზობელ ხალხებში.

ე) ქართველი ხალხის ისტორიულმა მეხსიერებამ სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ფორმით შემოგვინახა თელავის დაარსებისა და მისი სახელის შინაარსი. **ერთ-ერთ ასეთ და სარწმუნოდ მიგვაჩნია ჯერ კიდევ შემორჩენილი, ხალხში გავრცელებული, თაობათა მრავალსაუკუნოვანი ცვლის გზაზე დაბეჭდითებით გამჯდარი შეხედულება თელავის თელავად მოხსენიებისათვის. უხსოვარ წინაპართაგან შერქმეული დასახელება – „მთელი ჰავიანი" ადგილმდებარეობა.**

ეს ტერმინი „მთელ ჰავიანი" თელავის აღმნიშვნელად მიჩნეული მოულოდნელად აღმოვაჩინეთ თელავის ძირითადი არქივის ფონდების მასალებში, სადაც, ამ მასალაში მოცემულია XX-საუკუნის 50-იანი წლების თელავის ადმინისტრაციული ხელისუფლების – თელავის რაიონული საბჭოს აღმასკომის – ისტორიული მიმოხილვა და 1954 წლის ვი-

თარების შეფასება სოციალური, ეკონომიკური, გეიგრაფიული, კლიმატური, განათლების, კულტერის, ეროვნებათა მიხედვით.

საარქივო დოკუმენტში მოთავსებული გამოთქმა – **„მთელ ჰავიანი“ სრულებითაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. ის, ეს გამოთქმა ძირძველი ქართულია და ზედმიწევნით სრულად ახასიათებს იმ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის კლიმატური პირობების თვისებას, რამაც ხელი შეუწყო აქ ადამიანთა პირველ დასახლებას. ორი სიტყვით შემდგარ სახელწოდებაში, თითოეულ მათგანს თავისი ძლიერი შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. აქ, „მთელი“ ახასიათებს ამ გეოგრაფიული სივრცის ჯანსაღ, ჯანმრთელ, სიცოცხლის სასარგებლო, ადამიანების განვითარებისათვის აუცილებელი სუფთა გარემოს. რაც ნამდვილად შეეფარდება თელავის მდებარეობას. მეორე სიტყვა „ჰავიანი“ – სრულყოფილად გვიხსნის პირველი სიტყვის შინაარსის მნიშვნელობას ნამდვილად ჯანსაღ, ნამდვილად მთლიან სასარგებლო ჰავას, კლიმატურ პირობებს. ამდენად, ქართველმა ხალხმა მთელ ჰავიანი უწოდა ცივის მთის ძირში გაშენებულ დასახლებას შორეულ ხანაში.**

მომდევნო საუკუნეებში, ცხოვრების ცვლილებებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების კვალდაკვალ შესაძლებელი შეიქნა ამ სიტყვათა გაერთიანება: – მთელ ჰავიანი, თელ ავიანი, თელავი, რაც სრულიად კანონზომიერ შედეგად მიგვაჩნია ქართული ენისათვის დამახასიათებელი ცვლილებების გამო. ამ სიტყვამ –„თელავი“, მართლაც ყველაზე სრულყოფილად ასახა, შემოგვინახა აქაური, ადგილობრივი, ქართული დასახელების შინაარსი.

მიგვაჩნია თელავის დასახელებისა და განვითარების ისტორია ამგვარი ქართულით უნდა ავხსნათ, გავითავისოთ, ადგილობრივ მკვიდრთაგან შერქმეული სახელით მოვიხსენიოთ და არ ვეძებოთ სხვაგან, სხვათა შეხედულებებსა და წარმოდგენებში. ამის დასტურია ჰერეთისა თუ ალბანეთის (კავკასიის) ქალაქების დასახლებაც:

თელავისა და თელავის მაზრის ტერიტორიული, ადმინისტრაციული და მოსახლეობის შემადგენლობაზე წარმოდგენას გვაძლევს 1897 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის საარქივო დოკუმენტაცია და სტატისტიკური კრებულის პირველ ტომში (1902) მოთავსებული ანგარიშის მასალა.

ი. ა). თელავის მაზრა ამ დროისათვის (1897) შეიცავდა 2.206,68. კვ.ვერსს (2,511,"24 კვ.კმ.) ანუ 229, 861 დესეტინას.

ბ) თელავის მაზრაში ცხოვრობდა -55073.

გ) ქ. თელავში – 1180 სული.

დ) სულ თელავსა და თელავის მაზრაში – 6683 სული.

ი‌ი. თელავის მაზრა დაყოფილი იყო ორ საპოლიციო უბნად (ყვარლის, წინანდლის) 33 სასოფლო საზოგადოებად. 63 სოფლად.

კომლების რაოდენობა:

ა) 1-დან 10 კომლამდე ცხოვრობდა – 3 სოფელში.

ბ) 11-25 კომლი – 7 სოფელში

გ) 26-50 კომლი – 14 სოფელში

დ) 51-100 კომლი – 9 სოფელში

ე) 100-200 კომლი – 15 სოფელში

ვ) 200 კომლზე ზევით – 15 სოფელში.

მაშ, ასე, სულ თელავის მაზრაში ცხოვრობდა – 12526 კომლი. მათგან მუდმივი კომლი 3182 და დროებით 480 ყვარლის საპოლიციო უბანში; წინანდლის საპოლიციო უბანში მუდმივი – 5449 და დროებითი 112 კომლი.

შედარებისთვის 1971 წლისათვის – „თელავში ცხოვრობს 5100 ოჯახი, 14700 სული

მცხოვრებით. 2670 გვარის ოჯახით. მის ტერიტორიას უკავია 940 ჰექტარი ფართი. ძირითადი სალაპარაკო ენა არის ქართული, გაიგონებდით რუსულს, სომხურს, XX-საუკუნის 50-იანი წლებისათვის თელავში ცხოვრობდნენ – რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ქურთები, ლეკები, ოსები, ებრაელები, იეზიდები, აისორები და სხვ. მათ სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობა გააჩნდათ, უმრავლესობა ქართველი ქრისტიანები.

ჯერ კიდევX-საუკუნის არაბი ისტორიკოსის ალ-მუკადდასის მონათხრობით – „თელავის მოსახლეობის დიდ ნაწილს ქრისტიანები შეადგენენ. სადაც მხოლოდ 500 კომლი იყო მაჰმადიანებისა".

მაშ ასე, თუ ამ წყაროს დავუჯერებთ და ვირწმუნებთ თელავი საკმაოდ ხალხმრავალი ქალაქი ყოფილა X-საუკუნეში.

XIX-ს ბოლოს და XX-ს დასაწყისში თელავი და თელავის მაზრა ადამიანთა რაოდენობისა და ტერიტორიის მიხედვით არც თუ დიდად გამოირჩეოდა. 1897 წლის საყოველთაო აღწერის საფუძველზე ვხედავთ თელავის მაზრის გავრცობასა და მის შემადგენლობაში შემავალი სოფლების საკომლო რაოდენობას – მაზრის მოცულობა უდრიდა 2.206,68 კ.ვერსს ანუ 2.511.24 კმ. იგი, ეს მაზრა ადმინისტრაციულად დაყოფილი იყო 2 საპოლიციო უბნად, 33 სასიფლო საზოგადოებად, 63 სოფლად. საპოლიციო უბნები მოიცავდა მდინარე ალაზნის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე მდებარე დასახლებებს: 1) ერთი ასეთი უბანი იყო ყვარლის საპოლიციო უბანი; 2) მეორეს წარმოადგენდა წინანდლის საპოლიციო უბანი თავისი ადმინისტრაციით.

1. საკმაოდ ვრცელი მოცულობით იყო წარმოდგენილი თელავის მაზრის ყვარლის საპოლიციო უბანი. მასში. ამ საპოლიციო უბანში აღირიცხებოდა 3.182 მუდმივი კომლი და 480 დროებითი. მცხოვრებთა უდიდესი უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი, განათლებას მოკლებული ადამიანები იყვნენ. არ არსებობდა რეალური პირობებში სოფლად სკოლების, სასწავლებლების, სამკითხველოების, ბიბლიოთეკების შექმნისათვის. ყოველივე თქმულის ნათელსაყოფად დავაკვირდით ამ საპოლიციო უბანში შემავალ სასოფლო საზოგადოებისა და სოფლების ვითარებას (მუდმივი და დროებითი მცხოვრებლებით); ადმინისტრაციულად 5 სასოფლო საზოგადოება არსებობდა:

1. გავაზის სასოფლო საზოგადოება – 557 მუდმ. ცხ. 80 დროებ.

ა) ახალი გავაზი – 26 მუდმივი, 16 დროებითი მცხოვრები;

ბ) საცხენისი – 12 მუდმივი, 3 დროებითი მცხოვრები;

გ) ძველი გავაზი – 556 მუდმივი, 53 დროებითი მცხოვრები (სოფლის საზოგადოების ცენტრი);

დ) ჭიკაანი – 63 მუდმივი, 8 დროებითი მცხოვრები.

2. ენისელის სასოფლო საზოგადოება – 713 მუდმივი, 13 დროებითი.

ა) აღდგომა – 32 მუდმივი, 13 დროებითი მცხოვრები.

ბ) ალმათი – 64 მუდმივი.

გ) გრემი – 160 მუდმივი, 3 დროებითი მცხოვრები.

დ) ენისელი – 250 მუდმივი, 5 დროებითი მცხოვრები. (სოფლის საზოგადოების ცენტრი).

ე) ნაქალაქევი – 10 მუდმივი.

ვ) საბუე – 197 მუდმივი, 4 დროებითი მცხოვრები.

3. ყვარლის სასოფლო საზოგადოება – 633 მუდმივი, 92 დროებითი.

ა) ყვარელი – 579 მუდმივი, 80 დროებითი მცხოვრები.

ბ) ჩუჩუტანი – 35 მუდმივი, 8 დროებითი მცხოვრებითი(კუჭატანი).

გ) სანავარდო (ხაჩმიანი) – 19 მუდმივი, 4 დროებითი მცხოვრები.

4. ნაფარეულის სასოფლო საზოგადოება – 433 მუდმივი, 169 დროებითი.

ა) არგოხი – 9 მუდმივი, 15 დროებითი მცხოვრები.

ბ) არტანი – 75 მუდმივი, 5 დროებითი მცხოვრები.

გ) ახატელი – 40 მუდმივი, 3 დროებითი მცხოვრები.

დ) ლალისყური – 30 მუდმივი, 3 დროებითი მცხოვრები.

ე) მაღრანი – 44 მუდმივი, 41 დროებითი მცხოვრები.

ვ) ნაფარეული – 192 მუდმივი, 65 დროებითი მცხოვრები (სოფლის საზოგადოების ცენტრი).

ზ) ფშაველი – 155 მუდმივი, 16 დროებითი მცხოვრები.

თ)სანიორე – 23 მუდმივი, 39 დროებითი მცხოვრები.

5. შილდის სასოფლო საზოგადოება – 646 მუდმივი, 14 დროებითი მცხოვრები.

ა) ზეგაანი – 22 მუდმივი, 1 დროებითი მცხოვრები.

გ) ტურისციხე – 20 მუდმივი, 1 დროებითი მცხოვრები.

დ) შილდა – 587 მუდმივი, 10 დროებითი მცხოვრები (სოფლის საზოგადოების ცენტრი).

თელავის მაზრის ყვარლის საპოლიციო უბანში შედიოდა ხუთი სასოფლო საზოგადოება; 26 სოფელი.

ამდენად, თელავის მაზრა საკმაოდ გავრცობილი ადმინისტრაციული ერთეული იყო საქართველოში თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობის რაოდენობით. ამასთან მოსახლეობის ეროვნული მრავალსახეობით, ეთნიკურ წარმომადგენლობათა ერთიანი დასახლებებით ის, თელავის მაზრა, განირჩეოდა სხვა მაზრებისა და მხარეებისაგან, რაც მოითხოვდა ხელისუფალთაგან ზომიერ მიდგომასა და ზრუნვას მათი სწავლა-განათლებისათვის.

ი. წინანდლის საპოლიციო უბანი. აქ აღირიცხებოდა 5449 მუდმივი და 112 დროებითი მცხოვრები. ადმინისტრაციულად 8 სასოფლო საზოგადოება არსებობდა (მუდმივი და დროებითი მცხოვრებით).

1. ვაჩნაძიანის სასოფლო საზოგადოება – 777 მუდმივი, 6 დროებითი მცხოვრებით.

ა) აკურა – 136 მუდმივი მცხოვრები.

ბ) ვაჩნაძიანი – 213 მუდმივი (სოფლის საზოგადოების ცენტრი).

2. ყარაჯალის სასოფლო საზოგადოება – 342 მუდმივი.

ა) კაპანახჩი – 63 მუდმივი მცხოვრები.

ბ) ყარაჯალა – 279 მუდმივი მცხოვრები (სოფლის საზოგადოების ცენტრი).

3. კისისხევის სასოფლო საზოგადოება – 757 მუდმივი, 15 დროებითი მცხოვრები.

ა) კისისხევი – 184 მუდმივი, 4 დროებითი მცხოვრები (სოფლის საზოგადოების ცენტრი).

ბ) კონდოლი – 359 მუდმივი, 8 დროებითი მცხოვრები.

გ) ნასომხარი – 24 მუდმივი.

დ) ტოღნიანი – 47 მუდმივი.

ე) შალაური – 152 მუდმივი.

4. კურდღელაურის სასოფლო საზოგადოება – 794 მუდმივი, 25 დროებითი მცხოვრებით.

ა) გულგულა – 190 მუდმივი.

ბ) კურდღელაური – 604 მუდმივი, 15 დროებითი (სოფლის საზოგადოების ცენტრი).

5. ოჟიოს სასოფლო საზოგადოება – 761 მუდმივი, 25 დროებითი მცხოვრები.

ა) ალავერდი – 27 მუდმივი, ი დროებითი მცხოვრები.

ბ) ახშანი – 29 მუდმივი.

გ) აწყური – 85 მუდმივი.

დ) ჯანაანი – 22 მუდმივი.

ე) ზემო ხოდაშენი – 125 მუდმივი, 3 დროებითი მცხოვრები.

ზ) კოლოთო – 40 მუდმივი, 1 დროებითი მცხოვრები.

თ) ოჟიო – 116 მუდმივი, 4 დროებითი მცხოვრები (სასოფლო საზოგადოების ცენტრი).

ი) ოსიაური – 24 მუდმივი.

კ) რჩეულეთი – 8 მუდმივი.

ლ) ხორხელი – 78 მუდმივი, 2 დროებითი მცხოვრები.

6. რუისპირის სასოფლო საზოგადოება – 868 მუდმივი, 31 დროებითი მცხოვრები.

ა) არტოზანი – 95 მუდმივი, 2 დროებითი მცხოვრები.

გ) ვარდისუბანი – 251 მუდმივი, 2 დროებითი მცხოვრები.

დ) იყალთო – 248 მუდმივი, 11 დროებითი მცხოვრები.

ე) მერე – 50 მუდმივი.

რუისპირი – 161 მუდმი, 11 დროებითი მცხოვრები (სოფლის საზოგადოების ცენტრი).

7. ურიათუბნის სასოფლო საზოგადოება – 663 მუდმივი, 11 დროებითი მცხოვრები;

ა) ურიათუბანი – 372 მუდმივი, 8 დროებითი მცხოვრები.

8. წინანდლის სასოფლო საზოგადოება – 619 მუდმივი, 12 დროებითი მცხოვრები:

ა) ბუშეტი – 113 მუდმივი.


ბ) ვანთა – 101 მუდმივი, 1 დროებითი მცხოვრები,

გ) ქვემო ხოდაშენი – 187 მუდმივი, 1 დროებითი მცხოვრები.

დ) წინანდალი – 218 მუდმივი, 10 დროებითი მცხოვრები (სოფლის საზოგადოების ცენტრი).

წინანდლის საპოლიციო უბანში შედიოდა 34 სოფელი 5449 მუდმივი და 112 დროებითი მცხოვრებლებით.

ამრიგად 1897 წლის აღწერის მონაცემებით თელავის მაზრის ტერიტორია შეიცავდა 2.206.68 კვ. ვერსს ანუ 251124 კმ-ს. მოსახლეობის სულადობრივი სტატისტიკა ასეთი ჩანს: ქ. თელავში ცხოვრობდა 11.810 სული; 2. თელავის მაზრაში 55.073 სული. სულ 66883 სული (ორივე სქესის წარმომადგენელი)



კახეთში თელავის მახლობლად, სოფ. წინანდალში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლმუზეუმი.

თელავი

ვინ არ მოუხიბლავს თელავის მშვენიერ მდებარეობას. ჰაერს, გემრიელ მარგებელ წყალს, ტყესა და მინდვრებს, ზედ რომ აკრავს მის გარეუბნებს.

ჭუჭყიანი ბაზარი, ბნელი და ვიწრო ქუჩები, უფრო ბნელი და ნესტიანი დარაბები, სავაჭრო დუქნები, სამიკიტნოები და ერთმანეთზე უწესრიგოდ მიდგმული საცხოვრებელი ბინები, – ასეთი იყო რევოლუციამდელი თელავი.

მთელ ქალაქში ერთი საავადმყოფო, ორი ექიმი, ერთი ბებია ქალი და ერთი აფთიაქი იყო. ერთ თუ ორ სკოლაში დიდგვაროვანთ, ჩარჩ-ვაჭართა და სასულიერო წოდების შვილები სწავლობდნენ, დანარჩენი მოსახლეობისათვის სკოლის კარი დახშული იყო.

* * *

აი, რას წერდნენ თელავის რაიონულ გაზეთში ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ალ. გვენცაძე: „გამარჯვების“ საკუთარი კორესპონდენტი ნ. იარალოვი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი ნ. კუხიანიძე.

რევოლუციამდელი ცნობებით თელავში 4.433 მოსახლე ყოფილა. საქართველო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თელავის ისტორიის ახალი ბრწყინვალე ფურცელი გადაიშალა.

სოციალიზმის მშენებლობის გაშლამ ქალაქი ზრდისა და აღორძინების გზაზე დააყენა.

მთლიანად ახლად აშენდა ლენინის ქუჩა, შვიდი მეტრის ნაცვლად ახლა მისი განი 30 მეტრია. ქუჩის შუაგულში გასდევს მწვანე ხეივანი, რომელიც ისე როგორც მთელი ქალაქი, განათებულია ელექტრონით. ამ ქუჩის მთელ სიგრძეზე მჭიდროდ ჩამწკრივებულან ორი, სამი და ოთხსართულიანი კოხტა სახლები. ამ ქუჩაზეა აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა დიდი საცხოვრებელი სახლი, რომლის სამომხმარებლო ფართობი 1.400 კვადრატული მეტრია. იგი შეიცავს 60 ოთახს. პირველი სართული უკავია სავაჭრო ორგანიზაციებს.

აქვეა თელავის რაისაბჭოს აღმასკომის სამრეწველო კომბინატის შენობა. ეს სახლი ქართული ჩუქურთმებით არის მოპირკეთებული და ერთი ულამაზესთაგანია მთელ ქალაქში.

ლენინის ქუჩაზე მეორე წელია საექსპლოატაციოდ გადაეცა სამტრესტის დიდი, სამსართულიანი შენობა. ამჟამად ამ ქუჩაზე შენდება ოთხი დიდი ნაგებობა: საშუალო სკოლის ტიპიური შენობა, ფიქალ-ფხვნილის ქარხნის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტთა საცხოვრებელი სახლები.

არა მარტო ლენინის ქუჩა, არამედ მთელი რიგი ქუჩები გარდაქმნილი და კეთილმოწყობილია, 45.000 კვადრატული მეტრი მოასფალტდა, რამდენიმე ათეული ათასი კვადრატული მეტრი ქუჩა-ფართობი შეკეთდა.

თელავის ქუჩებში ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ლოპოტის თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებული წყაროები. ქალაქის მშვენებას წარმოადგენს კულტურისა და დასვენების პარკი – „ნადიკვარი“. ეს შემაღლებული ადგილი, რომელიც ალაზნის ველს გადასცქერის, გარდაქმნის პროცესშია. ამ პარკში გასული წლის 20 ივლისს, თელაველთა ტრადიციულ დღეს – ილიაობას – გაიხსნა საზაფხულო თეატრი 500 ადგილით

ციხე-კოშკების გალავანს შიგნით მოთავსებულია ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. აქვეა ქართველ მოღვაწეთა პანთეონი, სადაც განისვენებენ რაფიელ ერისთავი, მუშა-მგოსანი იოსებ დავითაშვილი, მწერალი ქალი ბარბარე ჯორჯაძე.

სხვადასხვა ქუჩაზე მემორიალური დაფები გვამცნობენ, რომ აქ ცხოვრობდა რ. ერისთავი და დიდი უკრაინელი პოეტი ქალი ლესია უკრაინკა. იმ სკოლის შენობაში, სადაც ვაჟა ფშაველა სწავლობდა და ვასილ ბარნოვი მასწავლებლობდა, ახლაც სწავლობენ ბავშვები. ამ რამდენიმე თვის წინათ თელავის სამუსიკო სკოლას სახელმოხვეჭილი კომპოზიტორისა

და მომღერლის – თელავის მკვიდრის ნიკო პაატას-ძე სულხანიშვილის სახელი მიენიჭა.

თელავი ამაყობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტით, ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტით. ქალაქს აქვს სახელმწიფო თეატრი, კინო, კულტურის სახლი, სანიმუშო საქალაქო ბიბლიოთეკა, ბავშვთა ბიბლიოთეკა, მასწავლებლის სახლი და კულტურის სხვა კერები. აქვეა ცნობილი ათასწლოვანი ჭადარი, რომლის ჩრდილშიაც „ილიაობას“ ხშირად უნადიმნიათ და უოცნებიათ ილიას და აკაკის.

დიდი ყურადღება ექცევა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ქ არის თელავის ცნობილი დიდი საავადმყოფო, ბავშვთა საავადმყოფო, პოლიკლინიკა, ბავშვთა პოლიკლინიკა, ტროპიკულ დაავადებათა სადგური, სამშობიარო სახლი

თელავში არ არის ოჯახი, სადაც ერთი ან რამდენიმე მოსწავლე და სტუდენტი არ ჰყავდათ. აქ 7 საშუალო და ერთი რვაწლიანი სკოლაა, აქვეა სპორტ-სკოლა, ბავშვთა ტექნიკური აღზრდის სადგური, საფერშლო სკოლა, აღრიცხვის დარგის ფილიალი, ჭრაკერვის სკოლა, უდედმამოთა საბავშვო სახლი, 6 საბავშვო ბაღი, 3 საბავშვო ბაგა.

* * *

მძიმე და აუტანელი იყო თელავის ძაფსაღები ფაბრიკის მუშების მდგომარეობა ცარიზმისა და მენშევიკების დროს. ფაბრიკის კერძო მეპატრონეები აბუჩად იგდებდნენ მუშათა ინტერესებს. ერთ-ერთ გაფიცვის დროს მუშებმა სათანადო მოთხოვნა წაუყენეს ფაბრიკის მეპატრონეს, მათ შორის – „კვირა-უქმე დღეებში მუშაობის მოსპობა“ და სხვ. აქედან გასაგებია, თუ როგორი იყო ფაბრიკის მუშა-ქალების მდგომარეობა კაპიტალისტების ბატონობის დროს.

ახლა მშრომელ ქალთა ბედნიერი ცხოვრების წყაროა ძაფსაღები ფაბრიკა, სოფიო ორკოდაშვილი 67 წლისაა. ან პირველად ამ ფაბრიკაში მუშაობა 53 წლის წინათ დაიწყო. ჯერ კიდევ ბავშვს 13-14 საათი უხდებოდა ქანცგამწყვეტი სამუშაოს შესრულება, მისი დღიური გამომუშავება ძლივს აღწევდა 20-30 კაპიკს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახალისო გახდა ფაბრიკაში მუშაობა. სოფიო ორკოდაშვილი მას შემდეგ ყოველთვის მოწინავეთა რიგებში დგას. თავის მუშაობის მანძილზე მან 300-ზე მეტი ახალგაზრდა მუშა აღზარდა და მოამზადა. საბჭოთა ხელისუფლებამ მოწინავე ტექნიკა დანერგა ფაბრიკაში. ს. ორკოდაშვილი სწრაფად ითვისებს მას. ხლა იგი, როგორც კვალიფიციური მუშა, ძაფის ამოღების საანალიზო საცდელ ნიმუშზე მუშაობს. სოფიო ორკოდაშვილი ფაბრიკის მთელი კოლექტივის სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნინო დევიძეც 1929 წლიდან მუშაობს თელავის ძაფსაღებ ფაბრიკაში. 1938 წლიდან ის ცვლის ოსტატად დააწინაურეს. ახლა მის ცვლაში 6 ბრიგადა მუშაობს. ბრიგადები გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებენ. ფაბრიკა ამაყობს ნინო დევიძის შრომითი მამაცობით

ფაბრიკის კოლექტივმა გასული 1952 წლის დავალება 102,9 პროცენტით გაანაღდა. მიმდინარე წლის დავალებასაც წარმატებით სრულებენ. მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევიან ბრიგადები, რომლებსაც გალინა პაპოვა, ზალიკო ასლანოვი და ანო ჯიმუხაძე ხელმძღვანელობენ.

გეგმით გათვალისწინებულია პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება 40 პროცენტის რაოდენობით, ნოვატორი მუშა ქეთევან ქათიბაშვილი კი უშვებს 88 პროცენტს და სხვ. პირველი ხარისხის პროდუქციის პროდუქციის გამოშვებისათვის ბრძოლაში დაწინაურდნენ აგრეთვე ილია ბაბუევი, მარიამ ლომიძე, მარიამ გლურჯიძე და მარიამ გიგაშვილი.

თელავის მაზრის გლეხთა აჯანყება ცარიზმის წინააღმდეგ

(55 წლისთავი)

1905-1907 წ. წ. რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმულ საქართველოს მშრომელთა ფართო მასებთან ერთად ცარიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ თელავის მაზრის გლეხებიც.

კახელი გლეხები, ისე როგორც მთელი რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სხვა მაზრის გლეხები, მიწის დიდ სივიწროვეს განიცდიდნენ. მთელი მიწის 80 პროცენტს მემამულეები ფლობდნენ. ეკონომიურ შეზღუდვას ემატებოდა მწვავე ეროვნული ჩაგვრაც. ამის შედეგი იყო, რომ კახეთის მთელი მშრომელი მოსახლეობა აღსდგა გადამწყვეტი ბრძოლისათვის ცარიზმის რეაქციული პოლიტიკისა და მემამულე-თავადაზნაურთა წინააღმდეგ.

თელავის მაზრის მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობას ხელმძღვანელობდა რსდმ პარტიის თბილისის კომიტეტის თელავის ორგანიზაცია.

თელავის მაზრის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით აჯანყდნენ თელავის მაზრის თითქმის ყველა სოფლის გლეხები.

გლეხთა რევოლუციური მოძრაობა ფართო ხასიათს იღებს 1905 წლის თებერვალ-მარტში, განსაკუთრებით კი – აპრილში.

ნიშნად პროტესტისა, გლეხები ანადგურებდნენ მემამულეთა სახლ-კარს, ჭრიდნენ ვაზებს, კაფავდნენ ტყეებს, ხევდნენ მეეფის პორტრეტებს, ხელთ იგდებდნენ თავადაზნაურთა მინდვრების მოსავალს, უარს აცხადებდნენ ღალის მიცემაზე და სხვ.

1905 წლის 30 მარტს ვანთის, ბუშეტის, ქვემო ხოდაშნისა და წინანდლის 2.000 –მდე გლეხმა ააფრიალა წითელი დროშა, მათ შეჰფიცეს ერთმანეთის ერთობა და აიძულეს წანანდლის საუფლისწულო მამულის გამგე კუროედოვი ხელი მოეწერა წარდგენილ პირობაზე.

კახეთის გლეხთა აჯანყებით შეშფოთებული თავად-აზნაირთა წინამძღოლი შველას სთხოვდა მაზრის უფროსს, მაზრის უფროსი კი – მეფის ნაცვალს...

ძლიერი იყო რევოლუციური მოძრაობა სოფელ მატანში. ეს ამბავი მეფის ნაცვალსაც აცნობეს. მეფის ნაცვალმა ვორონცოვ-დაშკივმა აჯანყების ჩასაქრობად გენერალ-ლეიტენანტი ზ. ჭავჭავაძე გაგზავნა.„თუ მორიგება მშვიდობიანი გზით არ მოხერხდა – მიმართავდა ჭავჭავაძე აჯანყებულებს – მაშინ მატანში ჩავაყენებთ ეგზეკუციას“...

მატნელების გაბედულ მოქმედებას გამოეხმაურნენ ახმეტის გლეხებიც. ვაჟკაცურად ეჭირათ თავი გრემისა და კურდღელაურის გლეხობას. მსგავს მოვლენებს ადგილი ჰქონდა იყალთოში, გავაზში, საბუეში, ალმატში, თელავის მაზრის სხვა სოფლებში.

გრემის, ნაფარეულის და ენისლის გლეხკაცობამ პოლიტიკური მოთხოვნილება წაუყენა მემამულეებს. გადამწყვეტმა იერიშმა აიძულა დასახელებული სოფლების მემამულეები ხელი მოეწერათ გლეხთა მოთხოვნილებაზე.

გრემის, ნაფარეულის და ენისლის გლეხობას მიბაძა კონდოლის და კისისხევის გლეხობამ, აჯანყებული გლეხები წითელი დროშებით მიადგნენ მემამულეებს.

აჯანყებას მხარი დაუჭირეს ბუშეტის, წინანდლის, ქვემო ხოდაშნის და სხვა სოფლების გლეხებმა, რომლებმაც აიძულეს მემამულეები დათმობაზე წასულიყვნენ.

1905 წლის 1 აპრილს თბილისის გუბერნატორი თელავის მაზრიდან იღებს ცნობას იმის შესახებ, რომ „მღელვარებამ მოიცვა კალაური, ქვემო ხოდაშენი, კონდოლი, კისისხევი, კურდღელაური, რუისპირი, ფშაველი, სანიორე, ართანა, ლაფარეული, გრემი, ალმატი,

საბუე, ყვარელი, ძველი გავაზი".

აჯანყებულ სოფლებში ჯარის ნაწილები ჩააყენეს, მაგრამ წინანდლის „პრისტავი" აპუშკინი ატყობინებდა თელავის მაზრის უფროსს, რომ გლეხები უარს აცხადებენ ჯარისკაცთათვის ბინის და საკვების მიცემაზე. ისინი აშკარად ამბობდნენ, რომ თავადაზნაურობაა მოვალე გამოკვებოს დაბალი ჩინის სამხედრო პირები, რადგან მათი სოფლებში ყოფნა თავადაზნაურებს ანიჭებს სიამოვნებასო...

ამჯერადაც იმ დასკვნამდე მიდის აპუშკინი, რომ საჭიროა კვლავ ეგზეკუციის ჩაყენება, ჯარისკაცთა რიცხვის გაზრდა და სხვა ქმედითი ღონისძიების მიღება.

1905 წლის 5 აპრილს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი ატყობინებდა პოლიციის დეპარტამენტს, რომ ენისელში, ვაჩნაძიანსა და თელავის მაზრის სხვა სოფლებში აჯანყებულმა გლეხებმა დაკეტეს თავიანთი სოფლის კანცელარიები, სკოლები, დუქნები... მტკიცედ მოითხოვენ სახელმწიფო სამსახურში მყოფ ყველა ჩინოვნიკის განდევნას სოფლებიდან, მიწითა და ტყით უსასყიდლოდ სარგებლობასა და სხვა.

1905 წლის 12 აპრილს კი ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსმა შეიტყო, რომ „თელავის მაზრის გლეხები ძლიერ არიან აღშფოთებულნი მემამულეების წინააღმდეგ, ბევრ ადგილას გლეხები თვითნებურად ჩეხავენ მემამულეთა ტყეებს და ანადგურებენ ვენახებს აღელვებულ გლეხთა დასაწყნარებლად 7 აპრილს წინანდალში გაიგზავნა დრაგუნთა ერთი ესკადრონი, იმავე მიზნით 9 აპრილს ელოდებიან კაზაკთა ასეულს. თელავში მდგომ ბაშკადიკლარის ბატალიონიდან კი 4 „როტა" გაგზავნილია სხვადასხვა მხარის დასაცავად...".

რეაქცია უფრო გამძვინვარდა, მაგრამ გლეხები უკან არ იხევდნენ, გახშირდა ეგზეკუციები...

ეგზეკუცია ჩააყენეს ახატელში, ვანთაში, კურდღელაურში, მალე კავკასიის მთავარმართებლის განკარგულებით თელავის მაზრაში გამოგზავნეს ე. წ. „კავალერიის რაზმი", მაგრამ „კავალერიის რაზმმაც" ვერ შეაშინა თავისუფლებისათვის მებრძოლი გლეხობა.


მეფის ხელისუფლება შეტევაზეგადავიდა, დაიწყეს გლეხთა დაპატიმრება-გადასახლება დააპატიმრეს ფშავლის, კურდღელაურისა და სხვა სოფლების მეამბოხე გლეხები.

რეპრესიები 1905-1907 წლებში რევილუციონერთა მარცხით დამთავრდა, მაგრამ იგი მშრომელი მასების პოლიტიკური აღზრდის საუკეთესო სკოლა გახდა. ან გამოაღვიძა საუკუნეების მანძილზე დაბეჩავებული მილიონობით მუშა და გლეხი.




ქ. თელავი XIX-ს. ბოლოს XX-საუკუნის 10-იანი წლები.
ბატონის ციხის აღმოსავლეთი მხარე.

როინიშვილის ფოტო.



ქ. თელავის ხედი. XX-საუკუნის 20-იანი წლები. ქალაქის ცენტრალური ქუჩა.



თელავი XX-ს. 40-იანი წლები. სამეფო ციხე-გალავანი. მის წინ მდებარე შენობები. სულ წინ ჩანს კიკო ჩოლოყაშვილის სახლი.

ბაღდადიშვილის ფოტო. 1941 წ. მაისი.

ზოგადი შეფასება:

ისტორიული აზროვნება სათუთად ინახავს საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე ქ. თელავისა და ქვეყნის ნიჭიერ წინაპართა, თელაველთა, თელავის დამაარსებელ-ჩამომყალიბებელთა ღვაწლს.

მეცნიერები პირუთვნელად ეძებენ უშორესი ხანის შემორჩენილ ცნობებს თელავის, მისი ადმინისტრაციული ერთეულის გამოჩენის შესასწავლად. ისინი, მეცნიერები ემყარებიან ქართველ თუ უცხოელ მკვლევართაგან გამოთქმულ მოსაზრებას თუ ინტუიციით ნაკარნახევ შეხედულებებს: ასეთები შეიძლება შეგვხვდეს „მოქცევაი ქართლისაის" ქრონიკა, „ქართლის ცხოვრების" რვა ტომეული, ცალკეულ ავტორთა მონოგრაფიები, მათში განვითარებული მტკიცებანი.

ყურადსაღებია უძველესი უცხოური წყაროების ცნობები თელავზე:

ა) ერთ-ერთი ასეთი ცნობა მომდინარეობს ახ. წელთაღრიცხვის II საუკუნის ბერძენი გეოგრაფიის კლავდიოს პტოლემაიოსისაგან. იგი, პტოლემაიოსი თავის „გეოგრაფოაში" ალბანეთის აღწერისას იხსენიებს ქ. თელაივა-თელუდას.

ამ ცნობებს უკრიტიკოდ იზიარებენ ქართველი მკვლევარები. ისინი, ქართველი მეცნიერები სთელიან თითქოს II საუკენეში თელავი უკვე ქალაქია და მდებარეობს ალბანეთში, და მას თელაივა-თელუდად, – აღიქვამენ თელავად. რაც გვგონია სრულებითაც არ განეკუთვნება ჩვენს, საქართველოს, კახეთს. იქნება თელაიდა სულ სხხვაგან, ისტორიის უძველესი ლაბირინთებში უნდა ვეძიოთ. ამ აზრს გვიმტკიცებს ს. ყაუხჩიშვილის დაეჭვებული და ფრთხილი განმარტება: „როგორც ჩანს, კლავდი პტოლემე იცნობს ამგრეთვე ქალაქ თელავს", იგი, ს. ყაუხჩიშვილი მეცნიერული სიდარბაისლით აღარ აკონკრეტებს თუ სად? რა დროიდან? ვისგან გამოჩნდა თელავი დასახლებულ პუნქტად.

ვფიქრობთ გენიალურ უძველეს ბერძნულ ენას სრულებითაც არ გაუჭირდებოდა სიტყვის, გეოგრაფიული მდებარეობის, დასახლებული პუნქტის ზუსტად გადმოცემა და მას არ მოიხსენიებდა. „ტელედა" ან „თელაივა", ან „ტელადად", სარწმუნოა – „თელავს" უფრო გამარტივებული ფორმა აქვს გადმოცემისათვის.

ბ) ქართველ მეცნიერთა უმრავლესობა მცდარად იზიარებს და ემყარება პტოლემაოსის ცნობას, დასადასტურებლად იყენებენ უამრავ შესაძლო ეტიმოლოგიურ ანალიზს.

გ) გვგონია ჩვენი თელავი უფრო ძველია, უფრო ადრეული დასახლებაა, თუნდაც ძვ.წ. აღრიცხვის IV-III საუკუნეების პერიოდში.

დ) „ტელაიბა", „თელაივა" თუ „ტელლება" სულ სხვაგან და სხვა დროისა უნდა იყოს.

ლ. რჩეულიშვილმა როგორც ჩანს პირველმა სცადა თელავის ისტორიული განვითარება შესწავლა მონოგრაფიული გამოკვლევის სახით, რაც ცალკე მცირე მოცულობის წიგნში – „თელავი" მიმოიხილა (45 გვერდიან შრომაში მოცემულია 34 ფოტოსურათი, მათ შორის ქალაქისა და ისტორიული ძეგლების გეგმები).

ჩვენთვის საინტერესო თელავის სახელწოდების წარმოშობის შესახებ მხოლოდ ერთ გადმოცემას ასახელებს. ყურადღება არ მიუქცევია უმთავრესად გავრცელებულ შეხედულებებზე, რაც არსებობს თელავის სახელწოდების თაობაზე. ცხადია, მრავალი ავტორის ნააზრევის შეჯერებით გაირკვეოდა თუ რომელი მათგანი უფრო ზუსტად შეეფერება ან ასახავს ამ დასახლებული პუნქტის უძველეს სახელწოდებას.

მიგვაჩნია, რომ საუკეთესო გეოგრაფიულ რელიეფზე, შესაშური კლიმატური მონაცემების მქონე ჯანმრთელ ჰავიან გარემოში, თელავის უძველეს მიდამოებში ჩვენს

წინაპრებს, ქართველ ტომთა ნაწილს უცხოვრიათ ან დასახლებულან აქ ჯერ კიდევ ძველი წელთ აღრიცხვის შორეულ ხანაში. სავარაუდოა ეს ყოფილიყო ისტორიული ბრინჯაოს ხანის პერიოდი.

სრულიად განსხვავებული მსჯელობის საგანია თელავის ქალაქის მსგავს დასახლებულ ადგილად გადაქცევის ისტორიული ვითარების გაგება, მისი ქალაქური ცხოვრების წესით ჩამოყალიბება კვლევა-ძიების საინტერესო ნაწილია, რასაც მეცნიერული პრინციპულობით მიდგომა სჭირდება.

ასეთი მეცნიერული ღირებულების კვლევის დროსაც გამოიკვეთა მეცნიერთა სხვადასხვაგვარი მიდგომა, აზრთა სხვაობა, უმეტესწილად დაინტერესებულთა პირადი, სუბიექტური სურვილების დადასტურებულად მიიჩნევა.

თელავის სახელწოდების გამოცნობის თაობაზე აკ. მათიაშვილი იზიარებს გავრცელებულ შეხედულებას და წერს: „მიგვაჩნია, რომ თელავის სახელწოდების ახსნაში დიდი თავსატეხი პრობლემა არაფერია. საკითხი დგას მეტად მარტივად და უბრალოდ: ქალაქის სახელი წმინდა ქართული წარმოშობისაა. მას საფუძვლად დაედო საქართველოში ძალზე გავრცელებული ხის ჯიშის – თელის (თელა) სახელწოდება". ავტორი ემყარება პლატონ იოსელიანის – „საგზაო ჩანაწერები კახეთში" მოტანილ მასალას – „ტყით დაბურული მთის თვალწარმტაც ფერდობებზე მდებარეობს ქალაქი თელავი, რომელმაც თავისი სახელწოდება მიიღო ქართული სიტყვიდან – თელა. ეს ხეები ამჟამადაც იზრდებიან თელავის გარშემო".

მას, ავტორს მეტი რწმუნებისათვის მოაქვს მხარეთმცოდნე ივ. არჯევანიძის მიერ ნაშრომში „თბილისიდან ალაზნის ველისაკენ". ჩამოყალიბებული დასკვნა, რომ თელავის სახელწოდება წარმომდგარია ქართული სიტყვიდან – თელა.

მცირე დაკვირვებაც საკმაოა ვთქვათ აქ მოშველიებულ დსკვნებში ახალი არაფერია და ისინი იმეორებენ ი. ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებულ ახსნას თელავის სახელწოდების შინაარსზე.

გარკვევით ვცდილობთ სრულიად განსხვავებული, ჩვენეული და ქართველ ხალხში შემორჩენილი ქართველი უძველესი მეტყველებისათვის დამახასიათებელი სახელწოდების წარმოშობა თელავის შესახებ დავუკავშიროთ სხვა გარემოებას, ხოლო არა თელას ხის ჯიშს. მიგვაჩნია ჩვენი შეხედულება ასეთი საკითხის განმატრებისათვის მეტად განსაკუთრებულია, მეტად მნიშვნელოვანია მეტად ღირებულია და მეტად ახალია.

თელავის სახელწოდების ეტიმოლოგიური განმარტების ჩვენეულ შეხედულებას ამყარებს ორი საუკუნის წინ გამოთქმული აზრი, რაც გამოქვეყნდა კავკასიის კალენდარში. ძველად ყოველწლიურად ნიგნად გამოდიოდა Кавказский календарь, სადაც თავსდებოდა ქალაქების, მაზრების, გუბერნიებისა და სხვადასხვა დაწესებულებების წლიური მასალები.

სწორედ აქ, კავკასიის კალენდარში 1852 წელს გამოქვეყნდა ზოგიერთი საინტერესო ცნობა თელავის გეოგრაფიული მდებარეობის, მისი ისტორიისა და ეკონომიკის შესახებ. კალენდარი თვლის, რომ თელავის საუკეთესო მდებარეობა, ღამაზი ბუნება, საღი და ცივი წყაროები, სუფთა ჰაერი ქალაქის აქ დაარსების მიზეზად იქცა. იქვე აღნიშნულია, რომ ნიადაგი, მართალია ქვიანია, მაგრამ ხარობს თბილი ჰავის ყველა მცენარე.

„კავკასიის კალენდარი" იძლევა სახელწოდება „თელავის" ეტიმოლოგიასაც – მისი, „კალენდარის" აზრით ეს სახელწოდება წარმოდგება ორი სიტყვისაგან: მრთელი ჰავა, ე. ი. ჯანმრთელი ჰავა (მთელავიანი – თელავი) და არა თელასაგან, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ. „ახლო-მახლო ტყეებში თელა იშვიათად თუ შეხვდებოდა კაცს, ამიტომ ძნელი საფიქრებელია „თელავის" „თელასაგან" წარმოშობა.

ამასთანავე გვაძლევს საინტერესო მონაცემებს: 1) ქალაქი 200 დესეტინა ფართობზე ყოფილა გაშენებული, აქედან ქალაქის შენობებს ეჭირა 63 დესეტინა, ქუჩებს, მოედნებს, მდინარეს, გამოუყენებელ ადგილებს – 35, დანარჩენი კი – ბაღებს.

2) ქალაქში იმ დროს ყოფილა 567 ქვის სახლი, 129 ხის, 185 წნულისა და 267 დუქანი, 32 ქუჩა, 2 მოედანი, 2 ხიდი და ერთი აბანო.

3) მცხოვრებთა რიცხვი უდრიდა – 5.325-მდე აღწევდა, აქედან მამაკაცი – 2.939, დედაკაცი – 2.386, ყოველწლიურად საშუალოდ იბადებოდა 228, კვდებოდა 192, ქორწინდებოდა 174.

4) მოსახლეობა იყოფოდა სასულიერო წოდებად, ეკლესიის მსახურებად, ეკლესიის, სათავადაზნაურო და სახაზინო გლეხებად.

5) თელავში მისდევდნენ ხელოსნობის სხვადასხვა დარგს: იმ დროს იყვნენ დურგლები, ოქრომჭედლები, მღებავები, მეჩექმეები, მეჭურჭლეები, თოკისმგრეხავები, მჭედლები, ფეიქრები, მეკრამიტეები, მკერავები, მეუნაგირეები.

„კალენდარის" მასალები გაზეთ „კომეურნის ხმის" 1957 წლის 17 ნოემბრის №136(2608), გამოაქვეყნა გ. მელითაურმა.



XX-საუკუნის 40-50-იანი წლების თელავი. სამეფო ციხე-გალავნის დასავლეთი ნაწილი, უძველესი კედლების ქინგურებით, ახლად აგებული კინითეატრის შენობით, მისასვლელი ლამაზი მოედნით და დათოვლილი კავკასიონის მწვერვალების შორეული ხედით. ეს უკვე ახალი, განახლებული ცხოვრების ნიმუშია თელავში.



ახალი სანიმუშო დასახლება.

& III. კახეთის დედაქალაქის ადგილისათვის:

ძველი ისტორიული წყაროები და მეცნიერ მკვლევართაგან შემოთავაზებული ზოგიერთი შეხედულება:

„მატეანე ქართლისაი" გვაუწყებს – კახეთის მთავართა საბრძანებელი იყო „ბოდოჯის სასახლე", დარბაზი ბოდოჯისა, სახლი სახელოვანი, დიდისა კვირიკე მეფისა აგებული. ე. ი. ბოდოჯის სასახლე თიანეთში.

შემდეგ – კვირიკე დიდმა კახეთ-ჰერეთის დედაქალაქად თელავი ჰყო და მის ე. წ. „ძველ გალავანში" განათავსა სამეფო სახლი.

შემდეგ – აკად. დ. მუსხელიშვილს მიაჩნია კახეთის სამთავროს პირველ დედა ქალაქად ციხე-ქალაქი უჯარმა. მისი დაცემის მერე ციხე-ქალაქი ბოჭორმა, მომდევნო დროში თიანეთი.

შემდეგ – აკად. ჩგ. ჩუბინაშვილი თვლის, რომ კახეთის სამთავროს ცენტლად თელავში გადატანამდე იყო ციხე-ქალაქი ბოჭორმა.

შემდეგ – აკად. ლორთქიფანიძე გვარწმუნებს კახეთის სამთავროს ცენტრი ჯერ ციხე-ქალაქი უჯარმა უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდგომში თიანეთი.

შემდეგ აკად. ვ. ელანიძე – დავითის IV (აღმაშენებელი) „მცდელობით 1104 წელს არსებობა შეწყვიტა კახეთის სახელმწიფომ. სამეფო დედაქალაქის ფუნქცია დაკარგა თელავმა. თელავი აღარსად იხსენიება".

შემდეგ მეფე დემეტრე მეორემ 1278 წელს თელავი გადასცა სანდუნ მანკან-ბერდელს გასომხებულ ქურთს და „მასვე ეპყრა ხელთ ბელაქანი, დმანისი, კარი (ყარსი)".

შემდეგ – კახეთის დედაქალაქია გრემი, 1466 წლიდან. ვიდრე 1672 წლამდე.

შემდეგ – მეფე არჩილ II-ემ 1664-1672 წლებში კახეთი მართა გრემიდან.

შემდეგ – მეფე არჩილ II-ეს სამეფო სამყოფელი თელავში გადმოაქვს 1672 წელს.

შემდეგ – კახეთი სპარსეთის სახანოდ გამოცხადდა. ხანმა საბრძანებლად აირჩია ყარაღაჯი.

შემდეგ – მეფე დავით II (იმეფა 1722 წლამდე) კახეთს თელავიდან მართავდა და თელავი 1703 წლიდან კახეთის დედაქალაქი ხდება.

XX-საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ქ. თელავის ისტორიის გარკვევისადმი, როდის, ვის მიერ გახდა თელავი ქალაქად, რა ძირითადი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის ქალაქს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო განვითარების გზაზე.

50-იანი წლების თელავის რაიონულ გაზეთში – „კოლმეურნის ხმა", (1959 წლის №3, 4, 5,8, 11 და 1960 წლის №47) გამოქვეყნდა მეცნიერთა წერილები თელავის ისტორიის ადრეული პერიოდის გარკვევისათვის, მათგან გამოირჩევა თ. პაპუაშვილის, შ. მეგრელიძის, შ. როსტომაშვილის, ალ. გვენცაძის, ნ. იარალოვის, ვ. ელანიძის დამოკიდებულება. ხშირ შემთხვევაში აზრთა სხვაობა აშკარაა, მიუხედავად იმისა ყველა ესენი ემყარებიან ერთი და იგივე არსებულ მასალებსა და ლიტერატურას.

ადრიდანვე ქართველ ისტორიკოსთა უმრავლესობა (პლ. იოსელიანი, ალ. ხახანაშვილი, ექვთ. თაყაიშვილი და სხვები) დაინტერესებული იყვნენ თელავის ტერიტორიაზე არსებული უძველესი კულტურის ძეგლების აღწერით. ისინი არ ეხებიან თელავის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების ძირითად პრობლემებს. უცხოელთაგან გამოირჩევა დიდად ცნობილი ფრანგი მკვლევარის მარი ფელისიტე ბროსეს დაინტერესება თელავის ისტორიული წარსულით.

მასალების შესწავლა-გაანალიზებამ გვიბიძგა ხელმისაწვდომი ისტორიული წყარიების

საფუძველზე ჩამოვაყალიბოთ ქ. თელავის განვითარების ხანგრძლივი ისტორიის ეტაპები: I. ისტორიული წყაროებისა და არქეოლოგიური მასალებით დასტურდება, რომ თელავისა და მის მიმდებარე მიდამოებში ადამიანს ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულში უცხოვრია;

2. ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნეში თელავი მოიხსენიება უცხოელ ავტორთა შრომებში, როგორც საჭირო დასახლებული პუნქტი;

3. ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნისათვის თელავი უკვე საქართველოს მნიშვნელოვანი პუნქტია;

4. VIII საუკუნის დასასრულს კახეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილმა ფეოდალურმა სამთავრომ ხელი შეუწყო თელავის გაძლიერებას, ის წარმოადგენდა ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკურ ცენტრს, კახთა ქორეპისკოპოსების საჯდომს.

5. IX საუკუნის მეორე ნახევრისათვის თელავი უკვე ქალაქად მოიხსენიება, რასაც მიაწერენ კახეთის ფეოდალური სამთავროს ქორეპისკოპოსის კვირიკე პირველი (893-918 წ.წ.)

6. კახეთის ფეოდალურმა სამთავრომ და ქ. თელავმა დიდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიძლიერეს მიაღწია ქორეპისკოპოსის კვირიკე III დროს (1010-1039 წ.წ.)

7. დავით აღმაშენებელის მეფობის დროს (1089-1125 წ.წ.), კერძოდ 1104 წელს დიდ მოხელე აზნაურმა ქავთარმა და მისმა დისწულებმა არიშიანმა და ბარამმა საქართველოს მეფეს მიჰგვარეს შეპყრობილი ჰერეთ-კახეთის მეფე აღსართანი, რითაც კახეთი და ცხადია თელავი ერთიან სამეფო ხელისუფლებას დაექვემდებარა. ისე, რომ ამ დროიდან თელავი არის გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი და არა ერთადერთი მნიშვნელოვანი ქალაქი.

8. მეფე დავით ულუს გარდაცვალების (1270 წ. შემდეგ მონღოლთა ყაენმა აბაღამ საქართველოს მეფედ დაამტკიცა უფლისწული დემეტრე დავითის ძე, რომელსაც მზრუნველად სადუნ მანკაბერდელი დაუნიშნა. ქართველი ჟამთაღმწერლის მოწმობით 1278 წლის ახლო პერიოდში სადუნმა დემეტრესაგან მიიღო თელავი. ე.ი. XIII-ს. 70-იან წლებში თელავის პატრონი და მფლობელი ხდება სადუნ მანკაბერდელი.

9. 1466 წელს წარმოიქმნა კახეთის ახალი სამეფო. ამ წლიდან თელავის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება. ამიერიდან იგი კახეთის სამეფოში შემავალი ქალაქია.

10. განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა კახეთში არჩილის მოღვაწეობა (1664-1675 წ.წ.). ის იყო უფროსი შვილი შაჰნავაზად წოდებული ქართლის მეფის ვახტანგ V-ის (1658-1675) არჩილმა კახეთის სამეფო ქალაქად კვლავ თელავი გახადა. მასვე მიეწერება თელავში დიდი აღმშენებლობის ჩატარება. ა დროს თელავი უძლიერეს ქალაქად ითვლება არა მარტო კახეთში, საქართველოში, არამედ სამხრეს კავკასიაში.

11. 1706 წლიდან კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქად თელავი ხდება და აქ არის ადგილისმყოფელი კახთა მეფეების სახლობისა.

12. XVIII საუკუნეში კახეთში მხოლოდ ორი ქალაქია თელავი და სიღნაღი. ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გადაქცევის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქს თელავი წარმოადგენდა თავისი პოლიტიკური, სოციალური, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონის მიხედვით.

XX-საუკუნის 60-იანი წლების მეცნიერთა (თ. პაპუაშვილის, შ. მეგრელაძის, ვ. ელანიძის) პუბლიკაციები — თელავის ისტორიიდან

გაეცნოთ თელავს, მის წარსულს!

პროფესორი თ. პაპუაშვილი:

საქართველოს ქალაქების მდიდარი და საინტერესი ისტორია ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი და გამორკვეული არ არის. ამ მხრივ ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება თელავის ისტორიის შესწავლა. იგი დღემდე არავის არ გაუხდია სპეციალური შესწავლის საგნად.

რევოლუციამდელ ქართველ ისტორიკოსთა უმრავლესობა (პლ. იოსელიანი, ალ. ხახანაშვილი, ექვთ. თაყაიშვილი და სხვები) და ცნობილი ფრანგი მკვლევარი მარი ფელისიტე ბროსსე უმთავრესად დაინტერესებული იყვნენ თელავის ტერიტორიაზე არსებული სიძველეთა აღწერით (თავიანთ შრომებში ისინი არ ეხებიან თელავის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხებს).

თანამედროვე ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც ჯერჯერობით ვერ ჰპოვა თელავის ისტორიამ გაშუქება. ამ ხარვეზის ნაწილობრივ შვსებას ისახავს მიზნად ჩვენი წინამდებარე სტატია. ავტორს განზრახული აქვს ხელმისაწვდომი ისტორიული წყაროების საფუძველზე წარმოადგინოს ქ. თელავის პოლიტიკური განვითარების ძირითადი ეტაპები.

თელავი საქართველოს სხვა ქალაქთა შორის ერთ-ერთი ეძველესთაგანია. თელავის დღევანდელ ტერიტორიასა და მის მიდამოებს თავისი მოხერხებული მდებარეობით ადრევე მიუქცევია ქართველ ტომთა წინაპრების ყურაღება და ამიტომაც თელავსა და მის მიდამოებში მოსახლეობა უძველესი დროიდანვე გაჩენილა.

თელავის დღევანდელ ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს მიკვლეულია უძველესი დროის ადამიანის ცხოვრების კვალი. შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენებით აქ დადასტურებულია ბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები (ნადიკვრის, ბატონის ციხის, ძაფსახვევი ფაბრიკის ეზოს (ტერიტორიაზე და სხვაგან) ე.ი. არქეოლოგიური მასალებით დასტურდება, რომ თელავსა და მის მოდამოებში ადამიანს ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულში უცხოვრია. ამ დროიდან მოკიდებული თელავის ტერიტორიაზე ცხოვრება არა თუ შეწყდა, არამედ კიდევ უფრო გაიშალა და განვითარდა. ხალი წელთაღრიცხვის VI საუკუნისათვის თელავი უკვე მნიშვნელოვან პუნქტს უნდა წარმოადგენდეს. მაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ თელავის ტერიტორიაზე VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე აგებულია მნიშვნელოვანი ხურითმოძღვრული ძეგლი – „ღვთაების" ეკლესია.

თელავის შემდგომ ზრდას, მის გადაქცევას ქალაქად განსაკუთრებით ხელი შეუწყო იმან, რომ VIII საუკუნის დასასრულს კახეთის ტერიტორიაზე წარმოიქმნა ახალი ფეოდალური სამთავრო, კახეთის ფეოდალური სამთავროს არსებობის მანძილზე თელავი წარმოადგენდა ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკურ ცენტრს, „კახთა ქორეპისკოპოსების" რეზიდენცია.

ჩვენთვის დღემდე ცნობილ ქართულ წერილობით წყაროებში თელავი პირველად IX საუკუნის მეორე ნახევრის ამბებთან დაკავშირებით მოიხსენიება. ამ დროისათვის იგი უკვე ქალაქი იყო. საისტორიო წყაროები თელავის ქალაქად გადაქცევას მიაწერენ კახეთის ფეოდალური სამთავროს ქორეპისკოპოსს კვირიკე პირველს. XVIII საუკუნის ქართველი ისტოროკოსის ვახუშტი ბაგრატიონის ქრონოლოგიით კახთა ქორიკოზი კვირიკე პირველი

მოღვაწეობდა 893-918 წლებში. ვახუშტი აღნიშნავს – „ხოლო გულგულას ქვევით, თურდოს ხევის სამხრით, არს თელავი, რომელ ჰყო კვირიკემ, პირველ გამეფებულმან კახეთს და ჰერეთს... ვითარცა ქალაქი".

ამრიგად, როგორც ვხედავთ, თელავის ქალაქად გადაქცევა ხდება IX საუკუნის მეორე ნახევარში. მის 90-იან წლებში, კახთა ქოროკოზის კვირიკე პირველი დროს.

განსაკუთრებით დიდ ეკონომიურ და პოლიტიკურ სიძლიერეს მიაღწია კახეთის ფეოდალურმა სამთავრომ დიდი ქორეპისკოპოსის კვირიკე III დროს (1010-1030 წ.წ). ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, – „ამან კვირიკემ დაიპყრა კახეთი და ჰერეთიცა და იწოდა მეფედ კახთა" ე.ი. კახეთი იმდენად გაძლიერდა პოლიტიკური თვალსაზრისით, რომ მისი ხელისუფალნი უკვე „მეფედ" იწოდებიან. ქედან გამომდინარე თელავი ხდება გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის სამეფოს პოლიტიკური ცენტრი, „მეფეთა საჯდომი". ვახუშტისავე სიტყვით „ამანვე (კვირიკემ) ჰყო თელავი სასახლედ და ტახტად კახეთისა და ჰერეთისა. ყოველითურთ და ამისათვის ეწოდა დიდი კვირიკე".

თელავის, როგორც დამოუკიდებელიჰერეთ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური ცენტრის არსებობა გრძელდება 1104 წლამდე. . ი. იმ დრომდე, როდესაც განზე მდგომი კახეთ-ჰერეთი საბოლოოდ შეუერთდა გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს მონარქიას.

შემდეგ:

როგორც ცნობილია, XI საუკუნეში, ბაგრატ III დროს (975-1014 წ.წ) ძირითადად დასრულდა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. მაგრამ გაერთიანებული საქართველოს ფეოდალური მონარქიის პოლიტიკური ფარგლის გარეთ ჯერ კიდევ იმყოფებოდა კახეთ-ჰერეთის სამეფო. კახეთ-ჰერეთის შემოერთების საკითხი განსაკუთრებით აქტიურად დაისვა დავით აღმაშენებლის მეფობის ხანაში (1089-1125 წ.წ.). დავითი კარგად ხედავდა, რომ აუცილებელი იყო მისი შემოყვანა საქართველოს ერთიან სახელმწიფო ორგანიზაციაში. იმ დროს ჰერეთ-კახეთში ბევრი იყო ისეთი, ვინც მხარს უჭერდა საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას და მზად იყო ამ ეროვნული საქმისათვის ებრძოლა. დავით აღმაშენებელმა ჰერეთ-კახეთის დიდმოხელე აზნაურთა შორისაც გაიჩინა მომხრეები. 1104 წელს დიდმოხელე აზნაურმა ქავთარმა და მისმა დისწულებმა არიშიანმა და ბარამმა შეიპყრეს და საქართველოს მეფეს მიჰგვარეს ჰერეთ-კახეთის მეფე აღსართანი. დავით მეფემ ჰერეთ-კახეთი დაიჭირა, მაგრამ ამ ქვეყნისათვის საბოლოო ომი საქართველოს მეფეს ჯერ კიდევ წინ ედო. ჰერეთ-კახეთის შემოერთებით დავით მეფე თურქ-სელჩუკთა სულთანს მნიშვნელოვან მოხარკე ქვეყანას ართმევდა და თან შესამჩნევად ასუსტებდა თურქების საბრძოლო პოზიციას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

ამიტომ სულთანის დიდმოხელემ, განძის ათაბაგმა, სასწრაფოდ გამოილაშქრა, რათა საქართველოს მეფე ჰერეთ-კახეთიდან გაედევნა. დავით აღმაშენებელს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული მოსალოდნელი ბრძოლა და ის მომზადებული დაუხვდა მტერს. ომი მოხდა იმავე 1104 წელს ერწუხში (საინგილოში) და ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. ჰერეთ-კახეთი საბოლოოდ შეუერთდა ფეოდალურ საქართველოს.

ვახუშტი ბაგრატიონი ასე მოგვითხრობს ჰერეთ-კახეთის შემოერთების შესახებ: –„შეიპყრეს წარჩინებულთა ჰერეთ-კახთა უგუნურებისათვის ესე აღსართან და მისცეს მეფესა დავით აღმაშენებელსა, მაშინ დავით აღმაშენებელმან დაიპყრა ყოველი ჰერეთი და კახეთი და ამიერ ჟამითაგან იყო ერთ-მეფობასა შინა".

ამრიგად, 1104 წლიდან, ჰერეთ-კახეთის საბოლოო შემოერთების შემდეგ, თელავის ისტორიაში ახალი პერიოდი იწყება. იგი აღარ წარმოადგენს ჰერეთ-კახეთის ფეოდალური

სამეფოს პოლიტიკურ ცენტრს. ამიერიდან თელავი არის გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი. თელავის ისტორიის ეს პერიოდი გრძელდება კახეთის ახალი სამეფოს წარმოქმნამდე ე. ი. 1466 წლამდე.

და შემდეგ:

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შემდეგაც, თელავი დიდი პოლიტიკური და ეკონომიური პუნქტი იყო.

აღსანიშნავია, რომ XI-XIII საუკუნეები ხელოსნობისა და აღებ-მიცემობის შემდგომი განვითარება-გაცხოველების შედეგად, ქალაქთა რიცხვმა საქართველოში სწრაფად იმატა.

ქართველი ფეოდალური არისტოკრატია დიდად იყო მოწადინებული ხელთ ეგდო და შეენარჩუნებინა სიმდიდრისა და სოციალური ბატონობის ისეთი მნიშვნელოვანი წყარო, როგორიც იყო ქალაქები. ამიტომ იყო, რომ ფეოდალური არისტოკრატია თავგამოდებით იბრძოდა ქალაქების დაუფლებისათვის. ამ ბრძოლის შედეგად XII-XIII ს.ს. ფეოდალური საქართველოს ქალაქების უმეტესობა დიდებულთა ხელში აღმონდა. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი: ქალაქი ანტაანი თამარის დროს სამცხის სპასალარს ყვარყვარე ჯაყელს ჰქონია. ქალაქ ოძრხეს ბაგრატ IV დროს (1027-1072 წ.წ.) ფლობდა ერთ-ერთი ქართველი დიდებული სულა კალმახელი. ქალაქ სამშვილდის პატრონი გიორგი II დროს (1072-1089 წ.წ.) ყოფილა კლდეკარის ერისთავი ივანე. ხორნაბუჯიც საპატრონო ქალაქი იყო. თამარის დროისათვის იგი საღირ მახტალის-ძეს ჰკუთვნებია, რომელიც ხორნაბუჯის პატრონად არის მოხსენებული.

ქალაქების ხელში ჩაგდების მიზნით ფეოდალების ბრძოლის ერთ საუკეთესო მაგალითს ქ. თელავის ისტორიაც იძლევა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის თელავის ისტორია დემეტრე II თავდადებულის ხანაში (1270-1289 წ.წ.).

1270 წელს, დავით ულუს გარდაცვალების შემდეგ, მონღოლთა ყაენმა აბაღამ საქართველოს მეფედ დაამტკიცა უფლისწული დემეტრე დავითის-ძე და მას, მცირეწლოვანების გამო,მზრუნველად სადუნ მანკაბერდელი დაუნიშნა. ახალგაზრდა დემეტრე მეფემ სადუნს ათაბაგობა მისცა. ამით სადუნ მანკაბერდელი საქართველოში პირველი კაცი გახდა. ასპარეზზე გამოვიდა მედროვე ქვეყნის მმართველი. სადუნ მანკაბერდელი შთამომავლობით გასომხებული ქურთი იყო. სომხურის გარდა ქართულის, სპარსულისა და მონღოლურის კარგი მცოდნე სადუნ მანკაბერდელი ამავე დროს მხნე და შეუდრეკელი ნებისყოფით აღჭურვილი, ნიჭიერი ადამიანი იყო.

აკად. ივ. ჯავახიშვილი ასე ახასიათებს სადუნ მანკაბერდელს: „დაწინაურება-გამდიდრებისათვის მისთვის გამოსადეგი საშუალების ზნეობრივი ღირებულების განრჩევით თავს ის მაინც და მაინც არ იწუხებდა. მისი ეროვნებაც თითქოს საჭიროებისამებრ იცვლებოდა და მონღოლს ის თანამოძმე მონღოლი ეჩვენებოდა, სომეხთან სომეხი, ქართველთან ქართველი იყო. სადაც რა უჯობდა, იმის გამოყენება იცოდა. იმ ხანისათვის დამახასიათებელი უეროვნებო, საკუთარ აღზევება-გამდიდრების წადილით შეპყრობილი პიროვნებათაგანი გახლდათ“.

და შემდეგ:

სადუნმა მარჯვედ გამოიყენა თავისი მდგომარეობა და მონღოლთა ბატონობის ხანაში ქვეყნის საერთო გაღატაკება – გავერანების დროს უზომოდ გამდიდრდა. სადუნ მანკაბერდელი ყოველნაირი შემთხვევით სარგებლობდა, რომ თავისი ქონებრივი ავლადიდება გაემრავლებინა და გაედიდებინა. ამის მისაღწევად იგი ჭაბუკი მეფის დემეტრე

II-ის გაჭირვებით სარგებლობასაც არ მორიდებია.

და აი, ქართველი ჟამთაღმწერის მოწმობით 1278 წლის ახლო ხანებში სადუნ მანკაბერდელმა დემეტრე II-ისაგან თელავის, ბელაქნისა და ბევრი სხვა ადგილის მიღება მოახერხა. ამრიგად, ჩვენ გავეცანით თელავის ისტორიის მეტად საინტერესო მონაკვეთს XIII საუკუნის 70-80-იან წლებს, როდესაც თელავის პატრონი და მფლობელი ხდება ჩვენს მიერ ზემოთ დახასიათებული პიროვნება სადუნ მანკაბერდელი.

XV საუკუნეში საქართველოს ერთიანი სამეფო პოლიტიკურად დაიშალა და საბოლოოდ დაირღვა. გაჩნდა ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგო.

XV საუკუნე საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა. 1453 წელს ოსმალო-თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღებამ საქართველო მოწყვიტა კულტურულ მსოფლიოს. დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, ევროპიდან ინდოეთში ამიერკავკასიისა და მცირე აზიის გავლით მომავალი გზის გაქრობამ და მის მაგიერ ჩრდილოეთის გზის აღმოჩენამ მახლობელი აღმოსავლეთი თანდათანობით გამოთიშა ევროპის ქვეყნების ეკონომიური ინტერესებისაგან. ყოველივე ამან შეამცირა საქართველოს ქალაქების მნიშვნელობა, გადაიკეტა უმთავრესი სავაჭრო გზები, დაეცა აღებმიცემობა და ხელოსნური წარმოება. ზოგი ქალაქი სავსებით გაქრა, ზოგმა კიდევ თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა.

დაქვეითება დაეტყო ამ ხანაში თბილისსაც. მცირე ქალაქებად იქცნენ XV საუკუნეში ქუთაისი, ახალციხე, გორი და სხვა. განსაკითრებით დაკნინდა შავი ზღვის პირის ქალაქები–ბათუმი, სოხუმი და ფოთი. ქართლში მცირე ქალაქებად იქცნენ აგფრეთვე ატენი, ალი, ზოფრეთი და სხვ.

საქართველოს პოლიტიკური დაშლის შედეგად წარმოქმნილ სამეფოთა შორის ჩვენ უმთავრესად კახეთის სამეფო გვაინტერესებს, რადგან სწორედ ამასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული თელავის ისტორია. კახეთის ახალი სამეფო წარმოიქმნა 1466 წელს. ამ წლიდან მოკიდებული თელავის ისტორიაში კვლავ ახალი ხანა იწყება. ამიერიდან იგი კახეთის სამეფოში შემავალი ქალაქია. XV-XVI საუკუნეების კახეთი, საქართველოს სხვა კუთხეებიდან შედარებით, გაცილებით წინ იდგა. სოფლის მეურნეობის და ხელოსნობის განვითარება კახეთში, მისი ქალაქების სიახლოვე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე გამავალ სავაჭრო-საქარავნო გზასთან და მათი მჭიდრო ურთიერთობა ამიერკავკასიის იმდროინდელ დანინაურებულ ქალაქებთან (შამახიასთან, დარუბანდთან, არეშთან, შაბურანთან, ჯულფასთან და სხვ.) ხელს უწყობდა კახეთში საქალაქო ცხოვრების განვითარებას.

ამას გარდა, კახეთის სოფლები და ქალაქები იმერეთიდან თუ ქართლიდან აყრილ და გამოქცეულ ყმა გლეხთა და ხელოსანთა თავშესაფრად იქცა. ეს კი ქალაქების გაძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იყო.

დააკვირდით:

XV-საუკუნეში კახეთის მნიშვნელოვან ქალაქად იქცა ბაზარი (ზაგემი), XV-XVI საუკუნეებში განსაკუთრებით გაძლიერდა და კახეთის უმთავრესი ქალაქი გახდა გრემი. კახეთის მეფის გიორგი მე-8 დროს (1466-1476 წ. წ.) გრემი კახეთის სატახტო ქალაქი ხდება. ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით, გიორგი კახთა მეფემ – „კვლავ ჰყო“ გრემი ქალაქი და ტახტი ჰერეთ-კახთა და შენობა დიდი“.

კახეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა ყარაღაჯი, რომელსაც XIV საუკუნეში თავისი ზარაფხანაც კი ჰქონდა.

იმ ხანად ძველი ქალაქი თელავიც ინარჩუნებდა ეკონომიური ცენტრის როლს, XVI

საუკუნის კახეთის ქალაქების შესახებ აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „Города Загеми, Греми, Телави представляют собой оживленные торгово-ремесленые пункты". ამრიგად, XV-XVI საუკუნეების კახეთში საქალაქო ცხოვრება არათუ არ დაქვეითებულა, არამედ იმ დროის კვალობაზე, დაწინაურდა კიდეც, მაგრამ კახეთის ქალაქების აღმავლობა არც ისე დიდხანს გაგრძელებულა.

XVII საუკუნის დამდეგს შაჰ-აბასის რამდენიმე გზის ლაშქრობამ კახეთის ქალაქებს რამდენიმე გზის ლაშქრობამ კახეთის ქალაქებს არა მარტო ეკონომიური საფუძვლები მოუშალა, არამედ თვით ქალაქებიც დაანგფრია. ერთ დროს მჭიდროდ დასახლებულ ბაზარში (ზაგემში) XVII საუკუნის 30-40-იან წლებისათვის ნანგრევებიღა იყო. ასევე განადგურდა გრემიც. კახეთში თითქმის აღარ დარჩა და ვაჭრულ – ხელოსნური მოსახლეობაც გადაშენდა.

საქალაქო ცხოვრების ერთგვარი აღმავლობა კახეთში მხოლოდ XVII საუკუნის 60-70-იანი წლებიდან შეინიშნება. ამ პერიოდში კახეთი საგრძნობლად გაძლიერდა ეკონომიურად. სამეფოში მშვიდობიანობა დამყარდა. კახეთის მმართველებმა (როსტომი, არჩილი) შეძლეს ბოლო მოეღოთ ლეკთა თარეშებისათვის; შექმნილმა ხელსაყრელმა პირობებმა ხელი შეუწყოს კახეთში საქალაქო ცხოვრების განვითარებას, განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა კახეთში არჩილის მოღვაწეობა (1664-1675 წ.წ).

არჩილი ბაგრატიონთა დინასტიის გვერდითი შტოს, მუხრანბატონების წარმომადგენელი იყო. ის იყო უფროსი შვილი შაჰნავაზად წოდებული ქართლის მეფის ვახტანგ V-ისა (1658-1675 წ.წ.). საგარეო ურთიერთობაში შაჰნავაზად წოდებული ქართლის მეფის ვახტანგ V-ისა (1658-1675 წ.წ.). საგარეო ურთიერთობაში შაჰნავაზს ირანის მხარე ეჭირა, შინ კი ქვეყნის გაერთიანებისათვის ზრუნავდა. 1661 წელს მან დალაშქრა დასავლეთ საქართველო და იქ გაამეფა 14 წლის არჩილი. ოსმალეთის მოთხოვნით არჩილი გაიწვიეს იმერეთიდან. ირანის შაჰმა მას სამავიეროდ კახეთის ტახტი აღუქვა. 1664 წელს არჩილი შეუდგა კახეთის გამგებლობას. ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით, არჩილის დროს – „იყო მშვიდობა და უმტრობა და ნიჭვიდა და სწყალობდა ყეენი არჩილს და... შენდებოდა კახეთი". არჩილმა კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქად ისევ ქ. თელავი გახადა, რადგან იმ ხანად გრემი დანგრეული იყო. არჩილისავე მიეწერება დიდი აღმშენებლობითი-მუშაობის ჩატარება თელავში, ვახუშტის სიტყვით – „ამან არჩილ ჰყო სასახლე თელავს და განაახლნა ეკლესიანი ყოველნი კახეთისანი და დასხნა ეპისკოპოსნი, მატა სჯულსა და შენობასა ქვეყნისასა".

XVII საუკუნის 60-იანი წლების არჩილის დროინდელი ნაგებობანია თვით მეფის სასახლე (ამჟამად პედინსტიტუტისა და მუზეუმის შენობის კორპუსში მოქცეული) და ზღუდის აღმისავლეთის ჭიშკარი ზედანაგებობითურთ.

კახეთის სამეფს მომძლავრება და მოღონიერება სრულებითაც არ შედიოდა სპარსეთის შაჰის ინტერესებში. შაჰი ეჭვით უყურებდა არჩილის კახეთში მოღვაწეობას, მისმა მთავრობამ არჩილს დაუპირისპირა კახეთის ბაგრატიონთა ჩამომავალი ერეკლე პირველი ნაზარალხანი. არჩილი იძულებული შეიქმნა კახეთს გასცლოდა 1675 წელს. ხოლო 1677 წლიდან მოყოლებული ვიდრე XVII საუკუნის დასასრულამდე, შაჰი კახეთის მმართველებად ნიშნავდა ან განჯის ბეგლარბეგებს ან სხვა ყიზილბაშ ხანებს.

ყიზილბაში ხანების მმართველობის პერიოდში თელავის როლი კვლავ იცვლება. იგი უკანა პლანზე გადადის, რადგანაც ყიზილბაშმა ხანებმა თავიანთ რეზიდენციად ქ. ყარაღაჯი აირჩიეს. პირველივე ყიზილბაში მმართველი, რომელიც კახეთში 1677 წელს მოვიდა. ბეჟან ხანი, ჯდება ქ. ყარაღაჯს. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „წარმოავლინეს ბეჟან-ხან, მოვიდა რა დასჯდა ყარაღაჯს ქს. ჩქოს... ამან ჰქნა სასახლე სპარსთა რიგისა

ყარაღაჯს და უბრძანა კახთა ცა მუნ სახლთა გებანი". . ყარაღაჯი კახეთის მმართველთა რეზიდენციად არის 1677-1706 წლებში.

და კვლავ:

1703 წელს ირანის შაჰმა კახეთის ტახტი მისცა დავით იმამ-ყული-ხანს. მისმა მმართველობამ კახეთში გასტანა 1722 წლამდე. დავით იმამ-ყული-ხანიც თავისი მეფობის დასაწყისში ყარაღაჯში ზის. ვახუშტი მოგვითხრობს: „მოვიდა დავით იმამ-ყული-ხან წლისა კე, დაჯდა ყარაღაჯს მეფედ და დაიპყრა სრულად კახეთი". მაგრამ შემდგომ ხანებში, სახელდობრ, 1796 წლიდან დავით იმამ-ყული-ხანმა თავისი რეზიდენცია ყარაღაჯიდან ისევ თელავს გადმოიტანა. ამ ამბის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი ასე მოგვითხრობს: „რამე თუ დაუთევა იმამ-ყული ხან ყარაღაჯი დაჰყო სასახლე თავისი თელავს და მანავს და იყოფიდა ზამთარს მუნ და ზაფხულს მაღაროს". ამრიგად, 1706 წლიდან კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქად კვლავ თელავი ხდება. ასე გრძელდება დავით იმამ-ყული-ხანის მეფობის მთელ მანძილზე. თელავში არის ადგილსამყოფელი კახთა მეფეების სახლობისა. გარდა ამისა, ამ ხანებში თელავში იყო ძლიერი ციხე-სიმაგრე, რომელშიც თავს აფარებდნენ მტრის შემოსევის დროს. ასე მაგალითად, როდესაც 1721 წელს და მის მომდევნო ხანაში ჭარელი ლეკების მიერ კახეთის „ოხრებამ და კირთებამ" გამძაფრებული ხასიათი მიიღო. როგორც ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს, კახეთის მოსახლეობა „აიყრებოდიან და ჰყოფდნენ ციხე-სიმაგრეთა და გამაგრდებოდიან მათ შინა თელავს, ალავერდს, ლალისყურს, შილდაყვარელს, გავაზს, ვეჯინს, საგარეჯოს, ხაშმს და სხვათა ადგილებთა შინა".

დავით იმამ-ყული-ხანის შემდეგ კახეთის ტახტი მიიღო კონსტანტინე მაჰმად-ყული ხანმა (1722-1733 წ. წ.). 1722 წელს, ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით, კონსტანტინე მაჰმად-ყული ხანი თავისი „სახლეულით და დედაწულით მოვიდა თელავს". მისი მეფობის დასაწყისში, 1723 წელს, კახეთს ლეკები შემოესივნენ. ვახუშტის მოთხრობით – „იყო ლაშქრობა ლეკთაგან ძლიერი, ხდომანი, სრვანი, ტყვევნანი, ოხრებანი დაუცადებელნი და იავარნი კახეთსა შინა".

ლეკთა თარეშს ისე შეუწუხებია კონსტანტინე მაჰმადყული ხანი, რომ იგი იძულებული გამხდარა თელავი მიეტოვებინა და თიანეთს გახიზნულიყო: „ვერღარა მდგომი მაჰმადყული ხანი თელავს წარვიდა დედოფალით და დედაწულით და წარჩინებულით თიანეთს". ვახუშტი ბაგრატიონის მოთხრობით, 1724 წელს, კონსტანტინე მაჰმად-ყული ხანი ისევ ბრუნდება თელავს და ამაგრებს მას.

ამასობაში ჭარელმა ლეკებმა თითქმის მთელი კახეთი დაიპყრეს და გაამაჰმადიანეს. ჭარელთა თარეშმა კახეთში ისეთ დიდ მასშტაბს მიაღწია. რომ „შეკრებენ ჭარელნი და მოიყვანეს დაღესტნელნიცა და მოადგნენ თელავს სპანი დიდნი და ბრძოდენ კვირა ერთი". კახეთის მოსახლეობას საშინელი საფრთხე დაიმუქრა. კახეთში იფეთქა მრისხანე აჯანყებამ ჭარელი ლეკების წინააღმდეგ. აჯანყება თელაველებმა დაიწყეს.

არჩილმა კახეთის სამეფო ქალაქად კვლავ თელავი გახადა, მასვე მიეწერება თელავში დიდი აღმშენებლობის ჩატარება. ამ დროის თელავი უძლიერეს ქალაქად ითვლებოდა.

1706 წლიდან კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქად თელავი ხდება. თელავში არის ადგილსამყოფელი კახთა მეფეების სახლობისა.

XVIII საუკუნეში კახეთში მხოლოდ ორი ქალაქია თელავი და სიღნაღი, ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გადაქცევის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქად ითვლებოდა ქ. თელავი.

ასეთ შეხედულებას ვავითარებდით ჯერ კიდევ 2007 წელს გამოცემული წიგნის „თელავი XX ს. 40-50-იანი წლებში", რედაქტორობისას.

თ. ხუციშვილი
თელავის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი

თელავის სტამბის ისტორიიდან

თუმცა ქართულ ენაზე წიგნების ბეჭდვა უცხოეთში იწყება (1629 წელს იტალიაში პირველად დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ლექსიკონი), მაგრამ იგი სულ მალე პოვებს მოქალაქეობრივ უფლებას საქართველოშიც.

საქართველოში პირველი სტამბა დაარსა ვახტანგ მეექვსემ. აქ 1709 წელს დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი. ამ დროიდან ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეს მკვიდრი საფუძველი ეყრება, ვახტანგ VI შემდეგ ერეკლეს და კათალიკოს ანტონ პირველის მიერ განახლებულ იქნა ვახტანგისეული სტამბა 1749 წელს. სტამბის აღდგენა საქართველოში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია. იგი მოწმობს, რომ სტამბის მოწყობის საქმე საქართველოში შემთხვევითი არ ყოფილა.

1795 წელს აღა მაჰმად ხანის შემოსევისას დანგრეულ იქნა თბილისის სტამბა და აქედან მოკიდებული 1817 წლამდე საქართველოში არაფერი დაბეჭდილა ქართულ ენაზე. მხოლოდ 1817 წელს გამოდის პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი", რომელსაც მოსდევს გაზეთი „თბილისის უწყებანი" (1828 წ.).

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან თბილისში მტკიცე საფუძველი ეყრება ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების ბეჭდვის საქმეს, ხოლო ამავე საუკუნის 80-იანი წლებიდან ბეჭდვის საქმე სცილდება დედაქალაქის საზღვრებს და იგი თანდთან იკიდებს ფეხს პროვინციებშიც, მათ შორის თელავშიც.

1890 წელს თელავში სტამბას აარსებს ცნობილი მესტამბე ექვთიმე ხელაძე, რომელსაც იმავე დროს თბილისშიც ჰქონდა სტამბა და ქუთაისშიც, სტამბა მოთავსებული იყო დაქირავებულ შენობაში (დღევანდელი ჯუღაშვილის ქ. №7).

აღნიშნული სტამბა ემსახურებოდა მთელ მაზრას. აქ იბეჭდებოდა სხვადასხვა დაწესებულებების განცხადებები, სამგლოვიარო ფურცლები, აფიშები სცენისმოყვარულთა სპექტაკლებისათვის და პატარა ზომის წიგნებიც. ექვთიმე ხელაძის თელავის სტამბაში დაბეჭდილი წიგნი „ჯიბის წიგნი თელავის ხელოსანთა ამქართათვის" დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში. ამავე სტამბაში იბეჭდება. ი.გ. ბაქრაძის, ა. შიუკოვის და სხვათა ლექსთა კრებულები 1890-1891 წლებში. სტამბას გააჩნდა როგორც ქართული, ასევე რუსული შრიფტიც. განცხადებები, ბრძანებები, აფიშები იბეჭდებოდა რუსულ და ქართულ ენებზე, ხან ორივე ენაზე ერთად.

1893 წელს ექვთიმე ხელაძეს სტამბა მიუყიდია გ. ი. გეურქოვისათვის, მისი სტამბის ნაბეჭდებიდან ჩვენამდე მოუღწევია ვ. ძამუკოვის წიგნს „სიზმარი ანუ ახალი ლექსები", ცნობისმოყვარეთა აფიშებს, რომელიც დაცულია თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, შეწირული ერთ-ერთი სცენისმოყვარის – კოტე ჭელიძის მიერ.

1905-1907 წლების რევოლუციის დღეებში თელავში ბოლშევიკები აარსებენ არალეგალურ სტამბას. 1905 წ. სტამბის დაარსებას ხელმძღვანელობენ ტ. და მ. კიკნაძეები. 1906 წლის ბოლოსათვის თელავიდან სტამბა გადააქვთ კურდღელაურში, ხოლო 1907 წლის პირველ იანვარს სტამბა გადმოტანილ იქნა თელავში ზეინკალ არჩილ საბას-ძე ფარსადანოვის ბინაზე. 1907 წ. 21 თებერვალს, ღამით, ჟანდარმერიამ ალყა შემოარტყა არჩილ ფარსადანოვს პროკლამაციების ბეჭდვის დროს მოუსწრეს, იგი ოჯახის წევრებითურთ დააპატიმრეს, სტამბა თავისი მოწყობილობით წაიღეს, არჩილ ფარსადანოვი გადაასახლეს ენისეის გუბერნიაში, სადაც იგი გარდაიცვალა.

1905 წელს გეურქოვის სტამბა დაიწვა. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს რაიმე დამამტკიცებელი საბუთი 1905-1908 წ. წ. თელავში ლეგალური სტამბის არსებობის შესახებ. შესაძლებელია სტამბის დაწვის შემდეგ, ამ აფორიაქებულ პერიოდში აღარავის უცდია მისი აღდგენა.

მხოლოდ 1908 წლიდან მოქმედებს სტამბა, რომელიც ეკუთვნის მ. ს. ეგოროვს, სტამბა მოთავსებული იყო დღევანდელი მეორე აფთიაქის სარდაფში, რომლის ზედა სართული ეკავა „გარადსკოე უპრავლენიეს" (პირველი მაისის ქ. № 1). მ. ეგოროვი სტამბას ფლობდა 1911 წლამდე. შემდეგ სტამბა შეუძენია გ. ბ. თათუზოვს. გ. თათუზოვის სტამბა მოქმედებდა 1911-დან 1915 წლამდე. 1915 წელს თათუზოვი კეტავს სტამბას და სამუშაოდ გადადის თბილისში, სტამბის მოწყობილობა და საბეჭდი მანქანები გადააქვს თავის ბინაზე. აქედან მოყოლებული 1919 წლამდე თელავში სტამბას აღარ უმოქმედია.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ მენშევიკებმა დაიწყეს თავისუფლად თარეში მთელ საქართველოში, მათ მიაგნეს გ. თათუზოვის ბინაზე არსებულ სტამბის მოწყობილობას ჩამოართვეს მას საბეჭდი მანქანები „ამერიკანკა" და „გუტენბერგი" თავისი საამკინძაო მასალებით და გადასცეს ერობას. ერობის დროს სტამბა მოთავსებული იყო პოლიციის შენობაში (დღევანდელი რაიმილიციის შენობაში). ზემოაღნიშნულ სტამბებს ცენზურის ნებართვის გარეშე არ შეეძლო აფიშების დაბეჭდვაც კი. აფიშებს, რომელიც მუზეუმშია დაცული, ბოლოში აწერია „Печатать разрешаетТелавский Уездный начальник Галсевичь".

ცენზორის როლს მაზრის უფროსი ასრულებდა, იგი რა თქმა უნდა, არ შეურიგდებოდა მთავრობის საწინააღმდეგო ხასიათის წიგნების ბეჭდვას, ამიტომ თელავის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები წარმოადგენენ აშულურ-ყარაჩოღულ ლექსთა კრებულებსა და მოკლებულნი არიან ყოველგვარ სოციალურ მოტივებს.

ზ. მეგრელიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, 1960 წელს წერს

თელავის წარსულიდან

სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ თელავი, როგორც ქალაქი მი-10 საუკუნეში აღმოცენდა, ხოლო მნიშვნელოვან ეკონომიურ და პოლიტიკურ ცენტრად მე-10 საუკუნის შემდგომ პერიოდში იქცა. საერთოდ თელავი, თმოგვი და ახალციხე ეკუთვნის იმ ქალაქთა რიცხვს, რომლებიც საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების პერიოდში აღმოცენდნენ.

მე-11-12 საუკენეებში, საქართველოს ფეოდალური ეპოქის ძლიერების პერიოდში მკვეთრად იზრდება არსებული ქალაქების ძლიერება. ამ პერიოდის ისეთ დიდ ქალაქთა შორის, როგორიც არის თბილისი, რუსთავი, დმანისი, ახალციხე, ახალქალაქი და ქუთაისი თელავიცაა ცნობილი. მე-12-13 საუკუნეებში კი თელავი აღინიშნება იმ ერთეულ ქალაქთა შორის, რომლებიც საქართველოს ხელოსნობის ცენტრად ითვლებოდნენ.

მე-16 საუკენეში კახეთში ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მესაქონლეობისა და მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის. მაღალხარისხოვანი საღებავების, ქსოვილების და სხვა საგნების დამუშავება ძირითადად თელავში ხდებოდა.

აღსანიშნავია, რომ კახეთში ფეოდალურ ურთიერთობას არ მიუღია ისეთი მახინჯი სახე, როგორც დასავლეთ საქართველოში. კახეთის მეფეების მიერ გატარებული პოლიტიკური და ეკონომიური ღონისძიებანი ხელს უწყობდნენ ქვეყნის ძლიერებას. ამის გამო კახეთში თავს იყრიდნენ დასავლეთ საქართველოდან გამოქცეული გლეხები, ხელოსნები და ვაჭრები. ამიტომ ამ პერიოდში კახეთის მოსახლეობის სწრაფ ზრდას აქვს ადგილი.

ეკონომიკური ძლიერების ზრდასთან დაკავშირებით კახეთში აღმოცენდა ახალი ქალაქები. გაძლიერდა და კახეთის მთავარ ქალაქად გადაიქცა გრემი. მე-15 საუკუნიდან მეფეთა რეზიდენციამაც თელავიდან გრემში გადაინაცვლა. გრემის მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლამ დაადასტურა, რომ იგი ადრევე მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი იყო, მაგრამ როგორც ქალაქი მე-15 საუკუნიდან გახდა ცნობილი. ამ პერიოდიდან გახდა ცნობილი. ამ პერიოდიდან გრემი მე-17 საუკუნის 70-იან წლებამდე კახეთის პოლიტიკერ ცენტრს წარმოადგენდა.

მართალია, კახეთის პოლიტიკურმა ცენტრმა გრემში გადაინაცვლა, მაგრამ თელავი მე-17 საუკუნის ბოლომდე მაინც ინარჩუნებს თავის ეკონომიკურ როლს – რჩებოდა კახთა მეფეების საზაფხულო სარეზიდენციო ადგილად;. ამ ორ სტრატეგიულ და პილოტიკერ ცენტრს მდინარე ალაზანი ჰყოფდა. მათ შორის კავშირისათვის გიორგი მეორემ ხიდი ააშენა სოფელ კურდღელაურსა და შაქრიანს შორის. მე-19 საუკუნეში ხიდის მხოლოდ ნანგრევებიღა იყო შემორჩენილი. ახლანდელი ხიდი (შაქრიანის ხიდს რომ ეძახიან) იმავე ადგილსაა აშენებული.

კახეთის აყვავებას ბოლო მოუღო შაჰაბასის გამანადგურებელმა შემოსევებმა.

კახეთში ალექსანდრეს მეფობის დროს შაჰაბასს გრემში გაუგზავნია ალექსანდრეს გამაჰმადიანებული ვაჟიშვილი კონსტანტინე და მისი ძმის დავითის შვილი თეიმურაზი, რომლებიც შაჰის კარზე მძევლად იყვნენ დატოვებული. შაჰმა ბატონიშვილებს თავიანთი ნათესავების მოკვლა დაავალა, რის სისრულეში მოყვანის შემდეგაც კონსტანტინემ სამეფო ტახტი მიიღო. გამეფების შემდეგ კონსტანტინეს ხალხის გამაჰმადიანებაც მოუსურვებია, მაგრამ იგი შემახაში ლაშქრობის დროს მოუკლავთ.

შაჰმა ტახტი თეიმურაზს გადასცა, რომელმაც ხალხის ერთგულება და სიყვარული არჩია და შაჰს განუდგა. მე-17 საუკუნის დასაწყისში განრისხებული შაჰაბასი ზედიზედ რამდენჯერმე შემოესია კახეთს და მიწასთან გაასწორა ყველაფერი. კახეთის ქალაქი გრემი ამ შემოსევებმა იმდენად გაანადგურა, რომ სოფლად იწოდებოდა.

მე-17 საუკუნეში კახეთში ერთადერთი ქალაქი თელავი იყო, რომელიც გადაურჩა შაჰაბასის შემმუსვრელ ლაშქრობებს. მე-15-მე-17 საუკუნეები დაკარგული მნიშვნელობა თელავმა აღიდგინა. კახეთის მეფე არჩილმა 1650-იან წლებში რეზიდენცია კვლავ თელავში გადმოიტანა. არჩილის დროს იზრდება და ძლიერდება ძველი თელავი. ემატება ახალი ნაგებობანი. მე-17 საუკუნიდან კი თელავი არამცთუ კახეთის, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ–ერთ უძლიერეს ქალაქად ითვლება.

მე-10 საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის ძველი ქალაქის ხორნაბუჯის ნანგრევებზე სიღნაღის აღმოცენება. სიღნაღის კედლებიც ერეკლე მე-2 მიერაა აშენებული. ქალაქად კი 1770 წლიდანაა ცნობილი. ამრიგად, მე-18 საუკუნეში კახეთში ფაქტიურად ორი ქალაქი იყო – თელავი და სიღნაღი. იყო აგრეთვე ქალაქური ტიპის დასახლებები, რომელთა შორის გამოირჩეოდა საგარეჯო.

ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გადაქცევის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქად თელავი ითვლებოდა.

შემდეგ კვლავ:

თელავის სტამბის ისტორიიდან[1]

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სამაზრო კომიტეტმა პოლიციის შენობიდან სტამბა გადაიტანა დღევანდელი სტამბის შენობაში (თავისუფლების მოედანი №7). საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში სამაზრო კომიტეტის სტამბაში ჯერ კიდევ არ იბეჭდებოდა გაზეთი. ხოლოდ 1921 წლის 10 ივლისს გამოდის თელავში პირველი გაზეთი, ეს იყო თელავის ცხოვრებაში ახალი ხანის დასაწყისი. თელავში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას თან მოჰყვა პირველი საბჭოთა გაზეთი; გაზეთი გამოდიოდა „წითელი მშრომელის“ სახელწოდებით მხოლოდ დღესასწაულების დროს. 1923 წლამდე გაზეთის გამომცემელი იყო თელავის სამაზრო და რევოლუციური კომიტეტები.

1921 წლის 13 სექტემბრიდან თელავში გამოსვლას იწყებს რუსეთის დეპეშათა სააგენტოს საქართველოს განყოფილების ორგანო „კავკასიის კომუნა“.

1923 წელს თელავში გამოდის „საბჭოთა კახეთი“ – სკპ (ბ) თელავის სამაზრო კომიტეტისა და აღმასკომის ყოველთვიური ორგანო. გამომცემელი იყო თელავის მაზრის კომუნალური მეირნეობა. გაზეთი გამოდიოდა 4-გვერდიანი, 500 ცალი ტირაჟით ამ პერიოდში სტამბას ხელმძღვანელობდა გიორგი ბერძენიშვილი, სტამბის თანამშრომლები იყვნენ გრიგორ ენუქოვი, შაქრო მარგალიტაშვილი და ლევან მორბედაძე.

1923 წლის პირველ მაისს თელავში გამოვიდა სკპ (ბ) თელავის სამაზრო კომიტეტისა და აღმასკომის ყოველთვიური გაზეთი „მუშა და გლეხი“. ამ წელს სამაზრო კომიტეტის მდივანი იყო გიორგი ელისაბედაშვილი, რომელიც იმავე დროს ხელმძღვანელობდა გაზეთის გამოცემას.

1925 წლიდან გამოსვლას იწყებს თელავის სამაზრო პროფკავშირების ყოველკვირეული კედლის გაზეთი „ახალი კახეთი“. შემდეგში მას ეწოდება „წითელი კახეთი“, რომელიც გამოდიოდა 1932 წლამდე დღესასწაულების დროს.

---

1 გაგრძელება. დასაწყისი გაზ. №124.

1930 წელს, კოლექტივიზაციის წელს, სკპ (ბ) თელავის რაიკომმა აგიტკოლონა გააგზავნა სოფლად, რომელსაც დავალებული ჰქონდა გაეწია აგიტაცია მერყეე გლეხთა შორის, დაეჩქარებინა სოფლის მთლიანი კოლექტივიზაცია. მასში გაერთიანებული იყვნენ აკ. ბახტაძე, განათლების ინსტრუქტორი გ. მელითაური და ძაფსახვევი ფაბრიკის მუშა იმანოვა, აგიტკოლონას თან ჰქონდა მოძრავი სტამბა. სტამბას ხელმძღვანელობდა გ. მელითაური, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოეშვა საველე ნაბეჭდი გაზეთი. აგიტკოლონამ გამოუშვა (200 ცალი ტირაჟით) გაზეთი „ახალ ცხოვრებას ვაშენებთ" სოფლებში: იყალთოში, ზემო ხოდაშენში, ქისტაურში, ახმეტასა და მატანში.

1931 წლიდან იწყებს გამოსვლას საქართველოს კპ (ბ) თელავის რაიკომის და რაიაღმასკომის და კოლმეურნე კავშირის სარაიონო გაზეთი „გადამწყვეტი წელი". გაზეთი გამოდიოდა 5 დღეში ერთხელ. რედაქტორი იყო გ. მარქაროვი – კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი: აღნიშნულ გაზეთში თანამშრომლობდნენ გ. მელითაური, კ. ბუაჩიძე და კ. გეგელიძე, ისინი თანამშრომლობდნენ ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე. 1932 წლიდან გაზეთის ხელმძღვანელად დაინიშნა კ. ბუაჩიძე და დაენიშნა ხელფასი. სტამბის გამგე იყო არშაკ გალუსტოვი, მესტამბეები გრ. ენუქოვი და ლ. მორბედაძე.

1933 წლიდან გაზეთ გადამწყვეტ წელს" დაერქვა „კოლმეურნის ხმა".

1933 წლის 14 მარტიდან გაზეთის რედაქტორია ვ. დევაძე, იგი ამ პოსტზე მუშაობს 1934 წლის 2 იანვრამდე. 10 იანვრიდან 5 მაისამდე გაზეთი რედკოლეგიის ხელმოწერით გამოდის, 5 მაისიდან რედაქტორია არ. კოკილაშვილი. რედაქციის მისამართი: თავისუფლების მოედანი №7.

1933 წლის მარტში კომკავშირის ძირეული ორგანიზაციების საანგარიშო-საგადარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით საქართველოს ალკკ თელავის რაიკომმა გამოუშვა ერთდროული გაზეთი „ლენინური ტემპით", გამოვიდა სულ ორი ნომერი

ამავე წლის 3 მარტიდან გამოდის წითელი არმიის რევსაბჭოს და ქართული ნაწილების წითელარმიელთა ორგანოს გამსვლელი რედაქციის ორდღიანი გაზეთი „წითელი არმიელი" და „Красный воин" რესულ და ქართულ ენებზე 200 ცალი ტირაჟით.

1934 წ. თელავის სტამბაში იბეჭდება „ახალგაზრდა კომუნისტი", რომელიც გამოუშვა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გამსვლელმა რედაქციამ.

1933 წელს თელავში დაარსდა მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რომელსაც ჰქონდა საკუთარი ორგანო „სტალინელი", მისი პასუხისმგებელი რედაქტორი იყო კ. ნ. ჩარკვიანი. 6 ნომერი გამოვიდა 1933 წელს და 52 ნომერი 1934 წელს.

თელავის სტამბის ისტორიიდან

და კვლავ:

1934 წელს თელავის რაიონში, სოფ. ალავერდში დაარსდა მელორეობის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტი", მეურნეობის პოლიტგანყოფილებას ჰქონდა საკუთარი ორგანო „საბჭოთა მეურნე"; გაზეთის რედაქტორი იყო ს. რაზმაძე (მეურნეობის დირექტორი). გაზეთი იბეჭდება „კოლმეურნის ხმის" სტამბაში 500 ცალი ტირაჟით.

1934-1935 წლებში თელავის პედაგოგიური ტექნიკუმის მასწავლებელთა თაოსნობით გამოდიოდა განათლების განყოფილებისა და განკავშირის ყოველკვირეული პედაგოგიურ-მეთოდური ორგანო „საბჭოთა მასწავლებელი". ჟურნალი გამოდიოდა კ. გეგელიძის და გ. მელითაურის ხელმძღვანელობით, გამოვიდა სულ 8 ნომერი.

ამავე ტექნიკუმის პროფკომი და ალკკ კომიტეტი უშვებდა ყოველკვირეულ გაზეთს „წითელ პედაგოგს". სულ გამოვიდა 14 ნომერი. უკანასკნელი ნომერი გამოვიდა 1935 წ. 25 მაისს.

1934-1935-1936 წლებში თელავში მუშაობდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი რეს-პუბლიკური კერსები, რომლის მსმენელებმაც გამოუშვეს ერთდროული გაზეთი „კვალი-ფიკაციის ამაღლებისათვის". გაზეთი იბეჭდებოდა „კოლმეურნის ხმის" სტამბაში.

1936 წ. საშემოდგომო ხვნა-თესვასთან დაკავშირებით გაზეთმა „კომუნისტმა" თე-ლავის რაიონში მოაწყო გამსვლელი სესია, გამოცემულ იქნა ერთდროული გაზეთი, სულ 12 ნომერი.

1937 წლის 3 ნოემბრიდან გაზეთ „კოლმეურნის ხმის" რედაქტორი იყო კ. ჩხიკვაძე, რომელიც მუშაობდა 1941 წლის 10 ივლისამდე. 1941 წლიდან რედაქტორია ს. ქოჩლაძე. დიდი სამამულო ომის პერიოდში გაზეთის ტირაჟი შემცირდა. ამ პერიოდში გაზეთის ძირი-თადი მუშაობა მიმართული იყო საბჭოთა ფრონტისა და ზურგის ერთიანობის განმტკიცე-ბისაკენ. „კოლმეურნის ხმის" მუშაკები პრაქტიკული მოქმედებით აძლევდნენ რაიონის მშრომელებს მაგალითს საბჭოთა ფრონტისა და ზურგის ერთიანობისათვის ბრძოლაში.

1944 წელს „კოლმეურნის ხმის" მუშაკებმა ავიოესკადრილია „პრესის მუშაკის" ასაგე-ბად შეაგროვეს და მთავრობას გადასცეს 100 ათას მანეთზე მეტი, რითაც თავიანთი წვ-ლილი შეიტანეს გერმანელი ფაშისტების განადგურების დაჩქარებაში.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალისიმუსმა ამხ-ანაგმა ი. ბ. სტალინმა მადლობა გამოუცხადა გაზეთ „კოლმეურნის ხმის" რედაქტორს ამხ. ს. ქოჩლაძეს.

სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ გაზეთი „კოლმეურნის ხმა" დიდ მუშაობას აწარმოებს ომით მიყენებული ჭრილობებისა ომის შემდგომი ხუთწლედის წარმატებით შესრულების საქმეში.

1947 წლის ივლისამდე გაზეთის რედაქტორი იყო ს. ქოჩლაძე, 1947 წლის სექტემბრი-დან 1953 წლის აგვისტომდე გაზეთის რედაქტორია გ. კირვალიძე.

1954 წლის იანვრიდან გაზეთის ფორმატი გაიზარდა, იგი გამოდის ოთხ გვერდზე.

1957 წლის 5 მაისიდან „კოლმეურნის ხმის" სტამბაში იბეჭდება სოფელ კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის ათდღი-ური ორგანო „ალაზნის განთიადი". გაზეთი გამოდის 500 ცალი ტირაჟი.

მონოგრაფიაში „წლები", ჩამოვაყალიბე ჩემი დამოკიდებულება თელავის ისტორი-ისადმი ასეთი ფორმით:

საქართველოში, კახეთში თელავი უძველესი დასახელებაა:
მას თავისი მომაჯადოებელი ხიბლი შემორჩა შორეთიდან;
მას ზღაპრული სილამაზე აქვს ღამით მთვარიანზე;
მას აბრწყინებს მოციმციმე სანთლების შუქი:
მას დიდებას მატებს ღამაზი და მშრომელი ხალხი.
ის ცივ-გომბორის მთის ჩრდილოეთ ფერდობზე დამკვიდრებულია:
ის ხუთ ცალკე ბორცვზეა შეფენილი:
ის მოუქანცავად გადასცქერის ალაზნის მდიდარ ველ-მინდვრებს;
ის გვირგვინად ადგას მთელს კახეთს:
ის საქართველოს ძლიერი მოჭირნახულე და ახალი ქალაქია.
ის დიდია და ნათელი.

ის შენდება და ფართოვდება:
ის გამორჩეულია ნიჭიერი, შემოქმედი, ლამაზი ადამიანებით.
ის მოვიდა შორეული ისტორიიდან ძნელი თავგადასავლებით.
ის მყარად აგრძელებს ცხოვრებასა და სიცოცხლეს.
ის წერს თავის ახალ ისტორიას სამომავლოდ.

ბალბურ ზეპირ სიტყვიერებაში შემორჩენილია თელავის თაობაზე რამდენიმე თქმულება – ერთის მიხედვით თელავს თელავი დაერქვა თელების (თელა ხის ჯიში) გამო; მეორეთა თქმით აქ მრავლად ცხოვრობდნენ ხელოსანი ადამიანები ნაბადის, თექის მთელავები, ამიტომ გავრცელდა მოსაქმეობის ამსახველი გამოთქმა; მესამეთაგან არის მცდელობა თელავის ტოპონიმის განმარტება დაუკავშიროს სომეხთა ჩამოსახლებას საქართველოში, კახეთში და კერძოდ თელავში. თითქოს სომხურიდან – „თელავი“ (აქ კარგია) მოდის ქალაქის სახელი.

მიგვაჩნია ზეპირმეტყველებაში გავრცობილი შეხედულებები დაკვირვებას, ანალიზს, სინამდვილესთან მათს სიახლოვეში ეჭვგარეშე დასტურებას მოითხოვს.

თავი IV. თელავის მთავარი წინაპრები

ისტორია გვამცნობს: ,,VIII-საუკუნის დამლევისათვის კახელებმა უკვე თავიანთი მთავრობაც გაიჩინეს და საკუთარი მართვა-გამგეობა მოაწყეს".

იყო კვირიკე პირველი – ქორიკოზი და იქცა თელავი ქალაქად (საეჭვოა).

იყო კვირიკე მესამე (დიდი) – დაიპყრო ჰერეთიც და იწოდა კახთა მეფედ.

და მან ჰყო თელავი ქალაქი.

და მან ჰყო თელავი სახელად.

იყო კვირიკე მესამე (დიდი) კახეთის ქორიკოზის დავითის ძე.

იყო კვირიკე მესამე (დიდი) კახეთის ქორიკოზი დავითის შემდგომ.

და ჰყო მან თიანეთს სასახლე ხელოვანი.

და ჰყო მან თელავი სასახლედ და ტახტად კახეთ-ჰერეთისა.

იყო კვირიკე მესამე (დიდი) გამდიდრდა, მოირჭმო ყოვლითურთ და ეწოდა დიდი.

იყო კვირიკე მესამე (დიდი) რამეთუ გამეფდა ესე პირველად კახეთს და ჰერეთს.

და 1104 წლამდე კვირიკე III-დიდად წოდებულმა სახელმწიფო დაყო შვიდ საერისთაოდ:

რუსთავის,

კვეტერის,

პანკისის,

შტორის,

ვეჯინის,

ხორნაბუჯის,

მაჭის.

გამოჩნდა შემდგომ ვინმე სანდუნ მანკაბერდელი გასომხებული ქურთი თელავს.

გამოჩნდა დავით ულუს გარდაცვალების შემდეგ (1270)

და მოვიდა მეფე დემეტრე II-ე დავითის ძის მცირე წლოვანების გამო.

და მოვიდა მონღოლთა ყაენის აბაღას ნებით, სურვილით.

და ებოძა დემეტრე II-ე ახალგაზრდა მეფისგან ათაბაგობა.

და ებოძა პირველ კაცობა საქართველოში.

და მოევლინა მედროვე ვინმე ქვეყნის მმართველად – საქართველოში.

და მიიღო სანდუნმა მეფისგან თელავი, ბელაქანი და სხვა ადგილნი.

და იცოდა სანდუნმა კარგად ქართული, სპარსული, მონღოლური ენა.

იყო ის მხნე და შეუდრეკელი ნებისა.

იყო ის იმ დროს ნიჭიერი ადამიანი.

იყო ის სომეხთან სომეხი,

და ქართველთან ქართველი,

და მონღოლთან მონღოლი.

გამოჩნდა სანდუნი თელავს და იცოდა სადაც რას როგორ გამოიყენებდა.

გამოჩნდა სანდუნი აღზევება-გამდიდრების ზნით შეპყრობილი.

ქ. თელავის შემომტკიცებაში უშურველად დაშვრა არჩილ მეფე.

არჩილ მეფე – მუხრან ბატონების (ბაგრატოვანთა დინასტიის გვერდითი შტო) შტოდან იყო.

არჩილ მეფე – შვილი ქართლის მეფის ვახტანგ V-ე შაჰნავაზისა.

არჩილ მეფე – სპარსეთის შაჰმა გაამწესა კახეთის ტახტზე 1661 წელს.

და შემდგომ იწყო მართვა კახეთისა 1664 წელს,

და შემდგომ გაეცალა კახეთს (ერეკლე I ნაზარალი-ხანის გამო) 1675 წელს.
მან ჰყო სასახლე თელავს.
მან განაახლა ეკლესიანი ყოველნი კახეთისანი.
მან დასხნა ეპისკოპოსნი.
მან მატა სჯულსა და შენებას ქვეყნისა.
მან ააგო თელავს ციხე-გალავანი. რაც ურყევად დგას დღესაც ქალაქის გულში.
ის გამოირჩეოდა გარეგნულად.
ის გამოირჩეოდა სათვალიოდ.
ის გამორჩეოდა ახოვანებით.
ასევე მშვენიერებით.
ასევე სიმხნევით.
ასევე ყოველი სამხედრო-სანადიმო ზნით.
ასევე შემართებულობით.
ასევე სიძლიერით.
ასევე სილაღით.
ასევე სიამაყით.
შემდგომად სპარსეთის შაჰმა კახეთის ტახტი მისცა დავით იმამ-ყული-ხანს (1703-22).
და დაჯდა დავით იმამ-ყული-ხანი ყარაღაჯს.
და გადმოიტანა დავით იმამუ-ყული-ხანმა სატახტო ყარაღაჯიდან.
და გახდა თელავი სატახტო კახეთისა კვლავ.
და წავიდა დავით იმამ-ყული-ხანი.
შემდგომად მოვიდა თელავს სახლეულით, დედაწულით კონსტანტინე მაჰმად-ყული-ხანი.
და იწყო მეფობა კონსტანტინე იმამ-ყული-ხანმა თელავში 1722 წელს.
მანამდე კი – სპარსეთის შაჰმა ტახტი კახეთისა წაჰგლიჯა ალექსანდრე დიდს.
სპარსეთის შაჰმა ტახტი კახეთისა მიუბოძა თეიმურაზს.
სპარსეთის შაჰს განუდგა თეიმურაზი.
სპარსეთის შაჰს ემძლავრა მრისხანება ამის გამო.
შემოესია ურდოთი კახეთს
შემოესია მძლავრობით.
შემოესია დაანგრია დასანგრევი რამ,
შემოესია დაწვა დასაწველი რამ,
შემოესია ააწიოკა თავადი და გლეხი
შემოესია აქცია ნასოფლარად გრემ ქალაქი.
შემოესია კახეთს და გალალა კახელები.
შემოესია და განგების ძალით გადაურჩა თელავი შაჰ აბასის მრისხანებას.
შფოთავდა საქართველო ძნელ ბედობით.
შფოთავდა კახეთი ტკივილიანად.
შფოთავდა მეფეთა სახლი აზრთა ძიებით.
კახეთის მეფეთათვის
გიორგი I (VIII) 1466-1476
ალექსანდრე I (1476-1511), გიორგი I-ის შვილი
გიორგი II (1511-1520) ავგიორგი, ალექსანდრე I-ის შვილი.
ლევან I (1520-1574) გიორგი II-ის შვილი.

ალექსანდრე II (1574-1605) ლევან I-ის შვილი.

დავით I (1606) ალექსანდრე II-ის შვილი.

კონსტანტინე I (1605) ალექსანდრე II-ის შვილი.

თეიმურაზ I (1606-1648) დავით I-ის შვილი.

ერეკლე I (1688-1703) ნაზარალი ხანი, თეიმურაზ I-ის შვილის (დავითის) შვილი.

დავით II (1703-1722) იმამ-ყული-ხანი, ერეკლე I-ის შვილი.

კონსტანტინე II (1722-1733) მაჰმად-ყული-ხანი, ერეკლე I-ის შვილი.

თეიმურაზ II (1709-1715) კახეთის გამგებელი, ხოლო მეფე 1733-1744, ერეკლე პირველის შვილი. ქართლის მეფე 1744-1762.

ერეკლე II (1744-1762) თეიმურაზ II-ის შვილი, ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798.

გიორგი XII (1978-1800) ერეკლე II-ის შვილი.

ამის შემდგომ 1801 წლიდან შეწყდა მეფობა კახეთში.

მეფე ხელისუფალთაგან გამორჩევით გამორჩეული შეიქნა ერეკლე II., პატარა კახი, დიდი მოაზროვნე, დიპლომატი, სამხედრო სტრატეგოსი, მხედართ მთავარი, სახელმწიფო მოღვაწე მფარველად მოევლინა კახეთს.



კახთა მეფეთაგან გამორჩევით გამორჩეული.
დაიბადა თელავში (1720)
გარდაიცვალა თელავში (1798)

მოევლინა სამყაროს ახალი სიცოცხლე თელავში 1720 წელს.
მოევლინა კახეთის სამეფო ოჯახს ვაჟიშვილი.
მოევლინა ერეკლედ სახელდებული ყმაწვილი.
მოევლინა ძლიერი ერეკლე „პატარა კახი" კახეთს.
მოევლინა მხსნელად მეფე ერეკლე II კახეთს.
მოევლინა მეფე ერეკლე II ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოს (1762 წ. 29 ივნისი).
მოევლინა და დაიწყო ახალი ხანა ქართლ-კახეთის ცხოვრებაში.
და დაიწყო დრო ხალხის აღდგენისა
და დაიწყო დრო სარწმუნოების აღორძინებისა
და დაიწყო დრო ზნეობის სიმტკიცისა
და დაიწყო დრო იმედთა აღფრთოვანებისა
და დაიწყო დრო მეფე ერეკლე II-ის ხანგრძლივი მოღვაწეობისა
და დაიწყო დრო მეფე ერეკლეს ხმალამოწვდილი ბრძოლისა,
და დაიწყო დრო მეფე ერეკლეს სახელმწიფო საქმეთა გაცხადებისა.
ერეკლე II-ე მთელი სამოცდახუთი წელი დარაჯობდა საქართველოს.
ერეკლე II-ე შეიქმნა ძლიერი მეფე.
ერეკლე II-ე შეიქმნა სახელდებული აზია-ევროპაში.
ერეკლე II-ე შეიქმნა დიდი მეომარი.
ერეკლე II-ე შეიქმნა დიდი დიპლომატი.
ერეკლე II-ე შეიქმნა ნიჭიერი მხედართმთავარი.
ერეკლე 99-ე შეიქმნა გამჭრიახი პოლიტიკოსი.
ერეკლე II-ე შეიქმნა ქვეყნის დაუღალავი მშენებელი.
ერეკლე II-ე შეიქმნა ჭეშმარიტი სახე მისი დროისა.
ერეკლე II-ე შეიქმნა სათაყვანო გლეხთათვის.
ერეკლე II-ე შეიქმნა მისაბაძი დარბაისელთათვის.
ერეკლე II-ე შეიქმნა მრისხანე მეომარი მტერთათვის.
ერეკლე II-ე შეიქმნა სახალხო დატირების საგანი.
ერეკლე II-ე შეიქმნა ქართველთა სულიერების ბურჯი.
ერეკლე II-ე შეიქმნა ქართლის გულში მცხეთის „სვეტიცხოველში" განსვენების დიდებული ღირსი წინაპარი.
და ბჭობენ ქართველნი მის შემდგომ მისმიერ საქმეებზე.
და ბჭობენ ერთნი მართლად.
და ბჭობენ სხვანი ფლიდობით.
და ბჭობენ თაობები ერეკლე II-ის დიდებაზე.
და ამაყობენ ქართველნი ზოგნი
და ქილიკობენ მათგან ნაკლები.

XX საუკუნის 60-იან წლებში განსაკუთრებით გახშირდა მეფე ერეკლე II-ის პიროვნების შეფასებისადმი სხვადასხვა შეხედულებების ჩამოყალიბება, რამაც ერთგვარი მკაცრი ხასიათი მიიღო. თითქოს დაუნდობელი კამათი გრძელდებოდა რაიონის გაზეთის „კოლმეურნის ხმის" ფურცლებზე. საბაბი ასეთი ცხარე აზრთა დაპირისპირებისა გახდა კონსტანტინე (კოწია) გამსახურდიას მიერ სახალხოდ გაცხადებული უაღრესად დამამცირებელი და ცინიკური დახასიათება ერეკლე მეორის მთელი მოღვაწეობისა.

კ. გამსახურდიას შეგონებებს თითქოს ერეკლე მეორეს არც სახელმწიფო მართვაში, არც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში, არც რუსეთთან დიპლომატიურ საქმი-

ანობაში, არც სამხედრო ხელოვნების სტრატეგიასა და ტაქტიკაში არანაირი სასახელო არ გაუკეთებია, მალე გამოეხმაურა ქართველი ინტელიგენცია. მათ შორის ეს შეგონებები მტკივნეულად მიიღო თელავის საზოგადოებამ.

კ. გამსახურდიას დაუპირისპირდნენ თელავში მოღვაწე ისტორიკოსი მეცნიერები პროფ. ნ. ქრთუა, პროფ. გრ. პაპავა, პროფ. ა. მეტრეველი, საზოგადოების ძირითადი ნაწილი, მათი სამეცნიერო სტატიები სისტემატურად ქვეყნდებოდა რაიონის პრესის ფურცლებზე (ნიმუშად მოგვაქვს 1960 წლის გაზ. „კოლმეურნის ხმის" N20. ა. მეტრეველის წერილი – „ვის ჭირდება ეს?". N48. ვ. მაისურაძის წერილი – „ასპინძის ომი". (მისი 190 წლისთავი) მასალას ვურთავთ.

ჩვენეული დამოკიდებულება ერეკლე მეორის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის კ. გამსახურდიასეული შეფასების მიმართ ჩამოვაყალიბეთ სამეცნიერო სესიის მოხსენებაში – „განსხვავებული აზრი ერეკლე II-ის მიმართ". სადაც ვაცხადებდით: „ვერ გავიზიარებთ და ვერ დავეთანხმებით საქართველოს ისტორიაში დიდი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწის ცალმხრივ დამამცირებელ შეფასება-შეხედულებას. ასეთი შეფასებები ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების მიმართ სრულიად საპირისპიროა ქართული ეროვნული სულიერებისათვის". დღესაც სრულიად კანონზომიერად მიგვაჩნია ჩვენს მიერ ადრე ჩამოყალიბებული აზრი – გავუფრთხილდეთ საქართველოს ისტორიულ წარსულს!

ვის ჭირდება ეს?

(კ. გამსახურდიას წერილის და ჰონორემ საბა ორბელიანი-ს გამო).

მკითხველის აღშფოთებას იწვევს კ. გამსახურდიას მიერ გამოთქმული დამამცირებელი აზრი საქართველოს ამაგდარი მეფის ერეკლე II შესახებ.

საკვირველი ის არის, რომ ისეთი დიდი ინტელექტის მქონე ხელოვანი, როგორიც კონსტანტინეა, სუბიექტურ-იდეალისტურად ხსნის ისტორიულ მოვლენებს, ცდილობს ჩრდილი მიაყენოს საქვეყნოდ განთქმული ერეკლეს სახელს.

ყოველივე ამის შემდეგ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ვ.ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ „მარქსიზმის მთელი სული, მთელი მისი სისტემა მოითხოვს, რომ ყოველი დებულება განხილულ იქნას მხოლოდ ისტორიულად, მხოლოდ სხვებთან კავშირში, მხოლოდ ისტორიის კონკრეტულ გამოცდილებასთან კავშირში".

ერეკლეს დროინდელი საქართველოს კონკრეტულ -ისტორიული მდგომარეობის ანალიზისათვის აუცილებელია გავიხსენოთ რამდენიმე ფაქტი:

1453 წელს თურქ-ოსმალთა მიერ კონსტანტინეპოლის აღება, ბიზანტიისა და ტრაპიზუნის სახელმწიფოების მოსპობა საქართველოსათვის საბედისწერო გამოდგა.

ამიერიდან პატარა ქრისტიანულ საქართველოს მუსლიმანური სამყაროს ორი დიდი მტაცებელი – თურქეთი და სპარსეთი დაემუქრნენ.

1590 წელს სპარსეთ-თურქეთის ზავით ოსმალებმა ფეოდალურ საქართველოსაგან მიიტაცეს სამცხე-საათაბაგო – სამშობლო ექვთიმე და გიორგი ათონელებისა, ბექა ოპიზარისა და შოთა რუსთაველისა.

1877 წელს ილია ჭავჭავაძე წერდა:

„ეგრეთ, – მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები, – ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი".

სპარსეთისა და თურქეთის ბარბაროსული შემოსევები ფიზიკურ განადგურებას უქადდა საქართველოს.

მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში შაჰ აბას I კახეთიდან აჰყარა და სპარსეთის სხ-

ვადასხვა მხარეში გადაასახლა 40.000 კომლი, რომელთა ერთმა ნაწილმა ფერეიდანში დღემდე შეინარჩუნა მშობლიური ენა.

იმ დროს გურიიდან ოსმალეთის ბაზრობაზე წელიწადში 10-12 ათასი ქართველი ტყვე გაჰყავდა, ხოლო ოდიშიდან – 12 ათასი.

1735 წელს შაჰ ნადირმა ქართლიდან აჰყარა 1.300 კომლი და მათთან ერთად 6.500 ტყვე სპარსეთს გადაასახლა. იმავე წლის ნოემბერში კახეთიდან ხორასანში გადაასახლეს 12 ათასი კომლი.

ამ ნამდვილი სახალხო უბედურების შემდეგ საქართველოს ორიენტაცია რუსეთისაკენ განა დასაძრახისია? რა თქმა უნდა, არა!

1736 წელს თეიმურაზ მეორის სასულიერო პირნი რუსეთის იმპერატორს წერდნენ: „მტრისაგან შეწუხებულნი, დიდად საქმე გაჭირვებულნი, და მაგათს მოწყალებას გარდა ყოველი გზით იმედ მოღებულნი კახნი ეპისკოპოზნი, არქიმანდრიტნი, თავადნი, აზნაურნი და გლეხნი, აწე მაღალისადა ჩვენთვის მოწყალედ დიდის ხელმწიფის ბედნიერს კარზე ეს მოვახსენოთ: ღმერთმან ასე მაგათს ორგულს გაუჭიროს საქმე, როგორც ჩვენი ქვეყანა საქმე გაჭირვებული ვიყოთ, მაგათს მოწყალების გარდა მისამართი და საიმედო არა გვაქვს რა“.

რუსეთთათნ დაკავშირებით იდეა თანდათან ფართოვდებოდა, საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხი დარწმუნდა, რომ მხოლოდ რუსეთში იპოვის თავისი ჭრილობის მოსაშუშებელ მალამოს. „რუსეთი იყო ის აღთქმის ქვეყანა, სადაც ყოველი ადგილობრივი გაჭირვებული, ცხოვრებით თავ-მობეზრებული ეძებდა თავშესაფარს და მიისწრაფოდა გარდასახვეწად“. („კვალი“ N39. 1895 წ.).

1762 წლის 29 ივნისს ერეკლე II გამოცხადდა გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფედ. ამიერიდან ქართლ-კახეთის ისტორიაში იწყება ახალი ხანა, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავდა ისტორიკოსი ვ. პოტტო:

„დრო ხალხის აღდგენისა, სარწმუნოებისა და ზნეობის აღორძინებისა, იმედთა აღფრთოვანებისა, მეფე ერეკლე თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობით და მოქმედებით იყო ჭეშმარიტი წარმომადგენელი ამ დროისა“ („კვალი“ N17, 1895 წ.).

ერეკლე მთელი სამოცდახუთი წლის მანძილზე ხმალამოწვდილი დარაჯად ედგა საქართველოს უშიშროებას და მის კეთილდღეობას.

საგმირო საქმეებმა ერეკლეს სახელი გაუთქვა აზიასა და ევროპაში. ხონთქარი ერეკლეს „მცირე აზიის ლომს“ უწოდებდა. გამოჩენილი გერმანელი დრამატურგის ლესინგის სიტყვით „ერეკლე ისეთი ძლიერი მეფე შეიქმნა, ისეთი მამაცი გმირი გამოდგა, რომ წადილი აქვს ოტომანიის იმპერია დაიპყროსო“. („კვალი“ N50. 1895 წ.).

1753 წელს 23 ნოემბერს „სანკტპეტერბურგსკი ვედემოსტი“-ში მოთავსებული იყო მოსკოვიდან მიღებული კორესპონდენცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ უცხოეთის ცნობებით მთელს ევროპაში დიდების სახელით არის შემკული და თითქმის ალექსანდრე მაკედონელს არის შედარებული პრინცი ერეკლე.

1770 წლის 19 იანვარს ეკატერინე II ვოლტერისადმი მიწერილ წერილში ერეკლეს თვლიდა ჭკვიან, მამაც და საქართველოს მეფეთა შორის ყველაზე ძლიერ მეფედ.

დღემდე არავის არ მიუჩნევია ერეკლე უნიჭო დიპლომატად. საოცარია, რატომ დასჭირდა კ. გამსახურდიას ერეკლეს პოლიტიკური გამჭრიახობისა და მისი ღვაწლის დაჩრდილვა?

განა ეს რაიმეს შემატებს ჩვენი ერის მდიდარ ისტორიას?

აკ. მეტრეველი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ასპინძის ომი

(190 წლისთავი)

190 წელი გვაშორებს ასპინძის გმირულ ეპოპეას. მრავალი მძიმე ომი გადაუტანია უცხოელ მოძალებულ მტრებთან მამაც ქართველ ხალხს, მაგრამ 1770 წლის აპრილში ასპინძასთან მომხდარ ომსა და მოპოვებულ გამარჯვებას თაობები ვერასოდეს დაივიწყებენ. განსაკუთრებული სიყვარულით და კმაყოფილებით მოსავს ქართველი ხალხი ამ გამარჯვების სულისჩამდგმელის, ერის დიდი მოჭირნახულის ერეკლე II სახელს.

მძიმე ისტორიულ ვითარებაში მოუხდა მეფობის დაწყება ერეკლე II. საქართველო პოლიტიკურად დანაწილებული იყო, ხოლო მისი სამხრეთ-აღმოსავლეთის ტერიტორია მესხეთ-ჯავახეთი თურქთა ბატონობის უღელქვეშ გმინავდა. ერეკლე მეფის მიზანი მთელი საქართველოს გაერთიანება იყო. ის განსაკუთრებით ზრუნავდა მტრის მიერ ძალით მიტაცებული ტერიტორიის განთავისუფლებისათვის. ყოველივე ამის განხორციელება მაშინდელ მძიმე ვითარებაში მარტო საქართველოს არ შეეძლო. ამას კარგად გრძნობდა მეფე ერეკლე და სრულიად მართებულად თვალი მიაპყრო დიდ რუსეთს.

ასპინძის ომთან

იგონებს ნ. გოგოჭური

ხევსურთაგან თქმულს

დაბრუნდა იარანელ (გენერალ),
მაგას რა მაეგვრებისა
შესწუხდა ბატონიშვილი
ჯარ რაით (ვაითუ) გამიწყრებისა,
ერეკლეს უთხრეს ხევსურთა
დღეს ჩვენი გადაგვხდებისა
ჩამეერჩევნეს (გამოცალკევდნენ) ხევსურნი
ერეკლე ჩამუძღვრებისა.

მეტი აღარ მახსოვს
23.03.2012

მესხეთ-ჯავახეთის განთავისუფლებისათვის ერეკლეს შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამოყენება სურდა და მან გაითვალისწინა რა, რომ რუსეთი საომარ მოქმედებაში იყო ჩაბმული თურქეთთან, სამხედრო კავშირი დაამყარა ეკატერინე მეორესთან, ჯარისა და საომარი იარაღის მიღების შემდეგ მეფე ერეკლე კისრულობდა სამხედრო ვალდებულებას – დაეწყო საომარი მოქმედება ოსმალეთის წინააღმდეგ. რუსეთის მთავრობა უყოყმანოდ დათანხმდა ამ წინადადებაზე, რადგან ქართველთა ჩაბმა საომარ მოქმედებაში თურქთა გარკვეული ძალების დაბანდებას გამოიწვევდა. ერეკლეც კმაყოფილი იყო იმით, რომ რუსეთის სამხედრო დახმარებით დაიბრუნებდა დაკარგულ ტერიტორიას, რომელიც მტრებისათვის დიდ პლაცდარმს წარმოადგენდა.

1769 წლის შემოდგომაზე მოზდოკიდან საქართველოსაკენ დაიძრა რუსეთის ჯარი,

რომელსაც სათავეში ავანტურისტი და უნიჭო სარდალი გრაფი ტოტლებენი ედგა. ერეკლე II მას კობში შეეგება და დიდი პატივით მიიღო.

ტოტლებენმა არ იცოდა არც რუსული და არც ქართული ენა. მას ორი თარჯიმანი სჭირდებოდა. იყო მეტად გულზვიადი და ამაყი, რის გამოც ერეკლეს მასთან მორიგება გაუძნელდა. ტოტლებენს გამიზნული ჰქონდა შავი ზღვის სანაპიროებიდან შეეტია თურქებისათვის. ეს კი გააძნელებდა მოძრაობას კოლხეთის ჭაობიან ადგილებში.

მეფე ერეკლე შეტევის დაწყებას ახალციხის მიმართულებით ვარაუდობდა, რაც გამოიწვევდა მტრის მთავარი ბუდის განადგურებას. დიდი ყოყმანის შემდეგ ტოტლებენი დათანხმდა ერეკლეს და რუს-ქართველთა შეერთებული ლაშქარი ბოჯომის ხეობით დაიძრა.

საომარი მოქმედება 1770 წლის გაზაფხულზე დაიწყო. ერეკლეს გეგმა გზას ხსნიდა არტაანისა და ყარსისაკენ, რაზეც თავიდან თანახმა იყო ტოტლებენიც, მაგრამ მოხდა სულ სხვა რამ...

გზად მიმავალმა ტოტლებენმა გადაწყვიტა ალყა შემოერტყა აწყურის ციხისათვის, რომელშიც თურქი მეციხოვნენი იყვნენ დაბანაკებული. მეფე ამის წინააღმდეგი იყო, მაგრამ უთანხმოების თავიდან ასაცილებლად მოქმედების დაწყებას დათანხმდა.

17 აპრილს დაიწყო ალყა. ციხის აღება ერთი დარტყმით არ მოხერხდა. მესამე დღეს კი ახალციხიდან მეციხოვნეებს თურქებისა და ლეკების ლაშქარი მოეშველა. ტოტლებენი შეშინდა და სურამისაკენ გამობრუნდა. ერეკლე სასტიკი წინააღმდეგი იყო უკან დახევისა, მაგრამ ტოტლებენმა თავისი არ დაიშალა. როგორც შემდეგ გამოირკვა ტოტლებენს ერეკლეს სახელის გატეხა, ტახტიდან ჩამოგდება და ამ გზით თავისი მზაკვრული მიზნების განხორციელება სურდა.

ქართველები მარტოდ დარჩნენ ბრძოლის ველზე, რამაც ერთგვარი დაბნეულობა შეიტანა ჯარის ნაწილებში. არ დაბნეულა დიდი მხედართმთავარი ერეკლე. მან მრავალი ღონისძიება იხმარა ჯარის გასამხნევებლად და წესრიგის დასამყარებლად. სწრაფად მოხსნა ალყა და ბრძოლით დაიწყო მოძრაობა ასპინძის მიმართულებით. თურქ-ლეკთა ლაშქარი შეეცადა გზა მოეჭრა ქართველებისათვის და 1.500 კაცით ჩაუსაფრდა მას. ერეკლე თვით დაესხა მომხდურებს და სანამ მას ახალი ძალა მოემატებოდა, მტერი სასტიკად დაამარცხა. მტრის დევნა დამთავრებულიც არ იყო, როცა ასპინძის ხიდს თურქებისა და ლეკების მთავარი ლაშქარი მოადგა. ერეკლემ ადროვა, რომ მარჯვენა ნაპირზე, რაც შეიძლება მეტი ჯარი გადმოსულიყო. მან განზრახ დაიხია უკან. დაღამდა. ამით ისარგებლა ერეკლემ, მამაცთა მცირე რაზმით შეძლო ხიდის მთლიანად აყრა. გათენდა თუ არა, ქართველები შეტევაზე გადავიდნენ. მტერი შედრკა და უკან დაიხია, მაგრამ ხიდი აყრილი დახვდა. თურქთა ლაშქარი მორალურად დაეცა. ქართველებმა მუსრი გაავლეს დაბნეულ მტერს, ზოგიც ტყვედ ჩაიგდეს.

მეტად საინტერესოა კოხტა ბელადთან ერეკლეს შერკინება, რომელიც ქართველ ხალხს ნახევრად გაულეგენდარულებია და თაობიდან თაობებზე გადაუტანია.

მეფე ერეკლეს ისე მძლავრად და სწრაფად შემოუკრავს ხმალი კისერზე კოხტა ბელადისათვის, რომ თავი ადგილიდან არ დაძრულა. ქართველ მეომრებს გაკვირვების შეძახილი აღმოხდენიათ: პატარა კახმა კოხტას ხმალი დააცილაო. თვით კოხტას გაუცინია კიდეც და ერეკლესათვის გადმოუძახია: გიაურო, ხმალიც მიჭირავს და თავიც მაბიაო. მერე ცხენისათვის დეზი უკრავს, მაგრამ ცხენი რომ გამხტარა, კოხტას თავი ტანს მოსცილებია და დაბლა გადმოვარდნილა, მაშინ იქვე მყოფ მეომრებს უხუმრიათ: „შენც იტყვი რაღა, თავი მაბიაო".

1770 წლის 20 აპრილს ასპინძის ველზე მომხარმა ბრძოლამ დიდების შარავანდედით შემოსა მამულისათვის ღვაწლმოსილი ერეკლეს სახელი.

ვ. მაისურაძე. თელავის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი.

თელავის მუზეუმი. ასპინძის გმირის სურათთან.

ფოტო ი. ტორისა.

გაზ. „კოლმეურნის ხმა", 1960 წ. N48.

საქართველო ისტორიულად არის მრავალ ეროვნული სახელმწიფო, დღეისათვის, 2011 წლისათვის, აქ 120-ზე მეტი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს.

მრავალ ეროვნულ საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განათლების დონის ამაღლებას; 2002-2003 სასწავლო წელს საქართველოში მოქმედებდა 3261 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა; 180 უმაღლესი (სახელმწიფო და კერძო) სასწავლებელი; 148 საშუალო სპეციალური სასწავლებელი. მათი რიცხვი, კეთილმოწყობილი სკოლების, მუდმივად იზრდება. სასწავლო დაწესებულებები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, პირველი კლასიდანვე მოსწავლე ერკვევა კომპიუტერის გამოყენებაში, სწავლება იწყება ხუთი წლის ასაკიდან. გაძლიერდა ინგლისური ენის სწავლება. მცირდება კერძო უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი.

ყოველივე ეს სრულიად ახალი მეთოდების გამოყენებას მოითხოვს, რისთვისაც ადრეულ ისტორიულ გამოცდილებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მონღოლთა ბატონობის დროს დაქვეითებულმა ქართულმა განათლება-კულტურამ მხოლოდ XVII საუკუნიდან დაიწყო ერთგვარად შესამჩნევი აღორძინება. 60-იან წლებში მცირერიცხოვან სასწავლო კერებთან ერთად კათოლიკე მისიონერებმაც გახსნეს თბილისში სკოლა; 1629 წელს მისიონერთა და ნიკიფორე ჩოლოყაშვილის თანამშრომლობით რომში მოწყობილ სტამბაში დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი; ქართველ დიდგვაროვანთა შვილები განათლებას ღებულობდნენ რუსეთში; XVII საუკუნის საქართველოს საზოგადოებაში გაძლიერდა ინტერესი „სამოქალაქო მეცნიერების" მიმართ, ამ დროს შეიქმნა ფარსადან გორგიჯანიძის მიერ „საქართველოს ისტორია", გადაიწერა „ქართლის ცხოვრება" და სხვ.

XVII საუკუნემ ერთგვარი ბიძგი მისცა ქართული განათლების, კულტურის, მეცნიერების აღორძინებას.

XVII-XVIII საუკუნეებიდან თავისი სამეცნიერო-სამწერლო და საზოგადოებრივი საქმიანობით ღირსეული კვალი დატოვეს მოღვაწეებმა, მათ შორის გამოირჩევიან:

1. არჩილ მეფე (1647-1713)
2. სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725)
3. ვახტანგ VI (1675-1737)
4. ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1760)
5. დავით გურამიშვილი (1705-1792)
6. დავით ბატონიშვილი (1769-1819)
7. პეტრე ბაგრატიონი (1818-1876)
8. სოლომონ დოდაშვილი (1805-1836). მათს მოღვაწეობას უშედეგოდ არ ჩაუვლია ქართული სულიერების განმტკიცების გზაზე.

დიდი იყო ღვაწლი ანტონ I კათალიკოსის (1778 წელს მოაწყო სკოლა თბილისში) რეორგანიზაცია გაუკეთა 1755 წელს დაარსებულ სემინარიას, 1782 წელს თელავში სემინარიის დაარსებაში.

მეფე ერეკლე II თელავში გახსნილ „საღვთისმეტყველო სკოლის" დირექტორად დანიშნა ფილიპე ყაითმაზაშვილი. ამ სკოლის სემინარიად გადაკეთების (1782) შემდეგ სათავეში ჩაუყენა გაიოზ რექტორი.

XIX – საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში არსებობდა მხოლოდ ერთი გიმნაზია (თბილისში), რამდენიმე სამაზრო ორკლასიანი სასწავლებელი.

1846 წელს ყოფილი მეფის ნაცვლის მიხეილ ვორონცოვის მეუღლის ელისაბედ ქსაველის ასულის ინიციატივით თბილისში დაარსდა წმინდა ნინოს საქველმოქმედო საზოგადოება, რომელმაც თანდათან დააარსა ქალთა სასწავლებლები:

ა) 1846 წელს თბილისში

ბ) 1847 წელს ქუთაისში

გ) 1847 წელს ბაქოში

დ) 1850 წელს ერევანში.

ამავე საზოგადოების მიერ ქ. თელავშიც მოხერხდა სასწავლებლის გახსნა. 1860 წლისათვის კახეთის მეფეთა სასახლე მთლიანად გადაეცა საქველმომქმედო საზოგადოებას (არქიტექტორ ზალცმანის პროექტით დაიწყო სასახლის შეკეთება). აქ, 1865 წლის მარტის თვეში დაარსდა თელავის წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელი, თბილისის ანალოგიური სასწავლებლის პროგრამით.

XX-ს. დასაწყისში საქართველოში განათლების საკითხებს ხელმძღვანელობდა კავკასიის „სასწავლო ოლქი", რომელიც 7 გუბერნიის, 5 მხარისა და 2 ადმინისტრაციული ოლქისაგან შედგებოდა.

სასკოლო ქსელი (1901-1917)

ა) დაწყებითი სკოლები – 1901-1902 წ. თბილისის გუბერნიაში სულ 197 სკოლა იყო.

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები. 1900-1901 სასწავლო წლისათვის კავკასიის სასწავლო ოლქში არსებული ვაჟთა სასწავლებლიდან საქართველოში მოქმედება 5 გიმნაზია) 1908 წ. კავკასიის ვაჟთა 16 გიმნაზიიდან და პროგიმნაზიიდან საქართველოში არსებობდა:

ა). თბილისში – ვაჟთა 4 გიმნაზია და 1 ექვსკლასიანი პროგიმნაზია;

ბ). ბათუმში – 1 გიმნაზია;

გ). ქუთაისში – 1;

დ). ფოთში – 1;

ე). გორში – 1 ოთხკლასიანი პროგიმნაზია;

ვ). ხონში – 1 ოთხკლასიანი პროგიმნაზია.

1901 წლისათვის საქართველოში არსებობდა ქალთა 9 სასწავლებელი. მათ შორის.

ა) თბილისის ქალთა პირველი გიმნაზია (1870)

მეორე გიმნაზია (1872)

მესამე გიმნაზია (1900)

ბ) ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელი (1847)

გ) გორის (1881);

დ) სოხუმის (1870);

ე) თელავის (1865).

მომდევნო წლებში სახალხო განათლების ქსელი მცირედით გაფართოვდა. 1913 წლისათვის საქართველოში ირიცხებოდა:

თბილისის გუბერნიაში – 321 პირველდაწყებითი სკოლა

ქუთაისის გუბერნიაში – 365

ბათუმის ოლქში – 33

სოხუმის ოლქში – 54.

საშუალო განათლების მხრივ არსებობდა:

ვაჟთა 10 გიმნაზია და 3 პროგიმნაზია

ქალთა 13 გიმნაზია, 1 პროგიმნაზია, 3 რეალური სასწავლებელი, 2 სამასწავლებლო სემინარია, 1 სამასწავლებლო ინსტიტუტი, ქალთა უმაღლესი კურსები.

თელავის სასწავლებელი 1917 წელს გადაკეთდა გიმნაზიად. ეს იყო 8 კლასიანი. მისი ტრადიციების გამგრძელებელი გახდა IV საშუალო სკოლა.

1921-1922 წლებში თელავის რაიონში არსებობდა 21 სკოლა:

ა) დაწყებითი – 10;

ბ) შვიდწლიანი – 2;

გ) საშუალო – 1.

1924 წელს თელავში დაარსდა პედაგოგიური ტექნიკუმი. რომელმაც იარსება 15 წელი, ის გადაკეთდა სამასწავლებლო სასწავლებლად 1939 წელს, პედაგოგიურ ინსტიტუტად 1951 წელს, რომელიც გახდა სახელმწიფო უნივერსიტეტი და მაღალნაყოფიერად აგრძელებს სამეცნიერო, შემოქმედებით მოღვაწეობას. 1999 წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელწოდებით.

მანამდე კი, განათლების პრობლემები საქართველოსა და მის ცალკეულ მხარეებში, რაიონებსა და ქალაქებში მრავალი მეცნიერის კვლევა-ძიების ინტერესს შეადგენდა. მათ შორის კახეთში, თელავში სასწავლო დაწესებულებების შექმნასა და მოღვაწეობის ცალკეული საკითხები გახდა მსჯელობის საფუძველი.

ჩვენს მიერ გამოცემული მონოგრაფიულ გამოკვლევაში „ცოდნის კერა“ შესაბამისი მოცულობით წარმოვაჩინეთ სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების შექმნა, აქ მოღვაწე განათლებული და გამოცდილ-გამოჩენილი მეცნიერ-მასწავლებლების კეთილშობილური ღვაწლი ახალგაზრდა თაობის დაკვალიანებაში.

მათგან ზოგი რამ: თელავის პედტექნიკუმის მოღვაწეობა 1924-1939 წლების მანძილზე ცალკე კვლევის ინტერესს წარმოადგენს.

თელავის პედტექნიკუმის 15 წლიანი მუშაობის შედეგებზე

არქივი გვიდასტურებს:

პედტექნიკუმის საზოგადოებრივი საქმიანობიდან: დირექციის თაოსნობით გაიხსნა საბავშვო ბაღები:

ა) თელავის ძაფსაღებ ქარხანასთან (თელავის მეოთხე საბავშვო ბაღი);

ბ) სარენაო კოოპერაციასთან (თელავის მეხუთე საბავშვო ბაღი);

გ) ლეგიონთან (სამხ. ქალაქი) – პირველი ბაგა-ბაღი;

დ) ვარდისუბნის;

ე) დუმასტურის;

ვ) დუისის;

ზ) ლაფანყურის;

თ) გულგულის და სხვა სოფლებში.

ასევე ტექნიკუმმა გულისხმიერება გამოიჩინა მოზარდი ახალგაზრდობის მიმართ, მათთვის გახსნა საზოგადოებრივ საწყისებზე მაღალი ტიპის სკოლა (შვიდწლედი). არქივის მასალებში მოიპოვება ცნობები თუ რამდენმა დაამთავრა ეს სკოლა ან ვინ უძღვებოდა მას. ასეთები იყვნენ ტექნიკუმის კურსდამთავრებულები: გამოჩენილი პედაგოგ-აღმზრდელები – დ. კირვალიძე, მ. ლეკიშვილი, მ. ოვჩარენკო და სხვ.

ასევე საფუძველი ჩაეყარა თელავის სამაზრო მხარეთმცოდნეობის საზოგადოების შექმნას და მის ბაზაზე ჩამოყალიბდა მუზეუმი.

აქვე აღვნიშნავთ თელავში მასწავლებლის სახლის დაარსებას კვლავ პედტექნიკუმის ინიციატივით. ის 1929 წელს მოთავსდა ჯერ კიდევ ჯუღაშვილის ქუჩაზე, შემდეგ გოშაძეთა ბინაში.

არქივის ხელნაწერთა ფონდების შესწავლისას აღმოვაჩინეთ გაკრული ხელნაწერით შემორჩენილი სამგვერდიანი მრავლის მაუწყებელი დოკუმენტი, ცნობა: –

გ. მელითაურის სიტყვა:

თქმული 30 წლის წინ თელავის პედტექნიკუმდამთავრებულთა შეხვედრაზე 1963 წლის 23 ნოემბერს.

თავის მიმართვაში გ. მელითაური წერს: – ძვირფასო ამხანაგებო! 15 წელი არსებობდა ის სასწავლებელი, რომელიც თქვენ 30 წლის წინათ დაამთავრეთ, 15 წელი თითქოს ძალიან მცირე, უმნიშვნელო დროის მონაკვეთია, მაგრამ როგორი შემართებით, როგორი ენთუზიაზმით და გატაცებით ეწეოდა შემოქმედებით მუშაობას ამ სასწავლებლის პედაგოგიური კოლექტივი ამ მოკლე მანძილზე.

...პედტექნიკუმის მსმენელთაგან შრომობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე, არა ზუსტი ცნობების მიხედვით: 25 ინჟინერი, 8 ექიმი, 3 ვეტექიმი, მათემატიკოსი 6, იურისტი 4, ეკონომისტი 4, აგრონომი 8, მცენარეთა დაცვა 4, ფარმაცევტი 1, მასწავლებელი უმაღლესი განათლებით 200, მასწავლებელი საშუალო განათლებით 188, მსახიობი 1, რედაქციის მუშაკი 2, ფინმუშაკი 4, დიასახლისი 25, საბჭოთა და პარტიული მუშაკი 16, მეცნიერების კანდიდატი 2, სამამულო ომში დაიღუპა 8, ომიდან დაბრუნდა 17, გამოურკვეველია 247-ის ბედი, პედტექნიკუმის 786 კურსდამთავრებულთაგან.

თქვენი, დღეს შეკრებილთა, გამოშვება რიგით მეშვიდე იყო.

დაამთავრა სულ 83 კაცმა: მათგან მასწავლებელი 28, ინჟინერი 2, ფარმაცევტი 1, ექიმი 1, საბჭოთა და პარტიული მუშაკი 6, გარდაიცვალა 7, არ ვიცი 35-ის შესახებ.

თქვენ ერთმანეთს გაუზიარეთ თავისი ავიც და კარგიც.

მეც გავიხარებ თქვენი სიხარულით...

აქვე დასახელებულია ნაწილი პედტექნიკუმის დამთავრებულების: აბულაძე (ექიმი სამამულო ომის მონაწილე), ჟორა როსტომოვი – ფშაველის სკოლის დირექტორი, მიხეილ სესიკაშვილი – მეაბრეშუმე, იანოშ გურგენოვი – მუშა ახალგაზრდობის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე და სხვ.

გ. მელითაური რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი თავის მოხსენებაში მასწავლებელთა აქტივის კრებაზე, 1966 წელს ამბობდა: ...მე ჩემი ცხოვრების მანძილზე მიხდებოდა მუშაობა გიმნაზიაში, ჰუმანიტარულ ტექნიკუმში, განათლების განყოფილებაში, თუმცა არც მაშინ ჩამოვცილებულვარ სკოლას, პედტექნიკუმში და ბოლოს საშუალო სკოლაში. (ტექსტი ამოღებულია საარქივო მასალიდან უცვლელად)... მე როგორც სკოლის ყოფილი ხელმძღვანელი მაგალითებს მოვიტან წარსულიდან: -

პედაგოგიურ ტექნიკუმში მოდიოდნენ შვიდწლედდამთავრებულები სხვადასხვა რაიონებიდან. ტექნიკუმს ურიგო სახელი არ ჰქონდა, ამიტომ იყო, რომ ამ ტექნიკუმში მოდიოდნენ ლაგოდეხიდან, სიღნაღიდან, გურჯაანის რაიონიდან, მიუხედავად იმისა, რომ სიღნაღშიც იყო პედტექნიკუმი და გურჯაანშიც. ვიდრე გამოცდებზე დავუშვებდით ახალგაზრდებს, ჯერ სკოლის პროფილს ვაცნობდით, ჩვენს მოთხოვნილებებს ვუყენებდით, მუშაობის შინაარსს ვუხსნიდით.

პედტექნიკუმს კარგად შეკრული მოსწავლეთა ორგანიზაციები ჰყავდა – კომკავშირის და პროფკომის.

პედტექნიკუმს გააჩნდა ბევრი საშუალება მოსწავლეთა მასის ორგანიზებისათვის... ტექნიკუმს გააჩნდა თავისი საკუთარი ნაბეჭდი მრავალტირაჟიანი გაზეთიც, რომელიც ასახავდა მსმენელთა ცხოვრებას და არ ერიდებოდა პედტექნიკუმის ნაკლოვან მხარეებს. სანიმუშოდ მოტანილი მაქვს ამ გაზეთის – „წითელი პედაგოგის“ რამდენიმე ნომერი, სადაც მოტანილია რამდენიმე მოწაფის არამოწაფური გამოვლინებანი და აქვე მეორე ნორმერიც არის, სადაც მოტანილია ის ღონისძიება, რომელიც გაზეთის მიერ მხილებულ მოწაფეებზე მიიღეს ტექნიკუმის ორგანიზაციებმა.

როდესაც მსმენელთა მასა გრძნობდა პედკოლექტივის მხრივ გულისხმიერებას, მზრუნველობას, მოსწავლეთა ორგანიზაციების მიერ ფხიზელ თვალს, ის მოსწავლენი,რომელთაც მიდრეკილება ჰქონდათ ცუდისაკენ ძალაუნებურად დარაზმულ მოსწავლეთა კოლექივს ემორჩილებოდნენ.

პედტექნიკუმმა ერთი ღონისძიებაც გაატარა მოწაფეთა ორგანიზებისათვის: – დააარსა საღამოს შვიდწლედი, სადაც ასაკგადაცილებული ხალხი სწავლობდა".

გ. მელითაურის ცხოვრების გზა ყოველთვის იყო შრომისა და შემოქმედებითი ძიების, მომავალი თაობის აღზრდა-განათლებაზე მოუღლელი ზრუნვის, კეთილშობილური დამოკიდებულების, საზოგადოების სასარგებლო ხანგრძლივი მოღვაწეობის გრძელი და რთული გზა. ბავშვობა გაატარა თბილისში, პირველი მსოფლიო ომის დროს ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა, დაბრუნებული გადმოვიდა თელავში. აქ, თელავში მასწავლებლობდა, ეაჟთა და ქალთა გიმნაზიაში ასწავლიდა ფიზიკას, კოსმოგრაფიას. მალე მას, გ. მელითაურს ვხედავთ:

თელავის მაზრის განათლების განყოფილების ინსტრუქტორად, მერე გამგედ, პედტექნიკუმის დირექტორად, რუსული საშუალო სკოლის დირექტორად. მრავალი სასარგებლო და საჭირო წამოწყების დამწყებად, საზოგადოებრივ საწყისებზე მის მიერ დაარსებული მუზეუმის, პედკაბინეტის ხელმძღვანელად, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების დამაარსებლად ახმეტაში, შილდაში, წინანდალში, შრომაში, მას ეკუთვნის იდეა სატყეო ტექნიკუმის გახსნის შესახებ ყვარელში, სასოფლო-სამეურნეო სკოლისა ენისელში, მან პირველმა დააყენა საკითხი ფიქალების წარმოების შესახებ მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროსა და კავკასიონის სამხრეთ ნაწილში და სხვ.

ზრუნვა ადამიანებზე, სოფელში კულტურის შეტანა, ადამიანებთან თავმდაბლური დამოკიდებულება გახდა საფუძველი გ. მელითაურის პიროვნული ღირსების ამაღლებული დაფასებისა, მან უშურველი შრომით უშურველი პატივი დაიმკვიდრა თელავის საზოგადოებაში. ის, **გ. მელითაური ეალერსებოდა თელავს, მის ქუჩებს, მის შემოგარენს. წერდა წერილებს თელავის წარსულსა და თანადროულობაზე. ასეთები იყო:** – ნადიკვრის ქუჩა" (გაზ. „ალაზნის განთიადი", 1968 წე. N140), თელავი და თელაველები კ. მარქსის ქუჩა (გაზ. „ალაზნის განთიადი", 1971 წ. იანვარი), გაზეთის ისტორიიდან მაშინ ასე იყო" (გაზ. „ალაზნის განთიადი", 1971 წ. 13 თებერვალი).

1988 წელი, 18 თებერვალი, გაზეთი „ალაზნის განთიადი" მოწიწებით იხსენებს პედტექნიკუმის ამაგდარ ქალბატონს.

ზინაიდა მკევლიშვილი – 1904 წელს შევიდა თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. 1908 წელს თბილისის ქალთა მესამე გიმნაზიის დამთავრებისას მიიღო მასწავლებლის კვალიფიკაცია. 1910 წელს სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა პეტერბურგში და ჩაირიცხა პ.ფ. ლესგაფტის უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც 1917 წელს დაამთავრა ისტორიის სპეციალობით.

1918 წელს ბრუნდება მშობლიურ თელავში და ინიშნება თელავის წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელში. შემდეგ მუშაობდა სკოლის გამგედ, ჰუმანიტარულ ტექნიკუმში და 1924-30 წლებში ასწავლის თელავის პედაგოგიურ ტექნიკუმში რუსულ ენას, მეთოდიკას და ისტორიას. 1939 წლიდან 1957 წლამდე იგი პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორია. მის მიერ ჩატარებული ლექციები რუსულ ენასა და მეთოდიკაში სამაგალითო იყო, და სანიმუშო პედაგოგიურ პრაქტიკებზე მისი გაანალიზებული გაკვეთილები.

თბილისის ქართული გიმნაზიის წარმომადგენლებთან თელავის პედტექნიკუმის ურთიერთობის ზოგიერთი ცნობა:-

თბილისის ქართული გიმნაზიის კურსდამთავრებულთაგან ყურადღებას იპყრობენ:

1. ზაქარია კლიმიაშვილი – თელავში ვაჟთა გიმნაზიაში ასწავლიდა ისტორიასა და ლათინურ ენას. 1917 წლის შემდეგ გაერთიანებული სკოლების პედაგოგიურმა საბჭომ იგი დირექტორად ამოირჩია. სამინისტრომ ზაქარია დაამტკიცა. 1920 წლიდან იგი გადავიდა თბილისში განათლების სამინისტროს ინსტრუქტორად. მან ერთ-ერთმა პირველმა დაწერა გეოგრაფიის სახელმძღვანელო სკოლებისათვის.

ზ. კლიმიაშვილს დარჩა ორი ქალიშვილი: ერთი მათგანი მისთხოვდა პროფესორ მეჯრელიძეს, მეორე კი აკადემიკოს შ. ნუცუბიძის მეუღლე გახდა.

ზ. კლიმიაშვილი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი იყო თელავში. მასზე დიდი გავლენა ჰქონდა იმავე გიმნაზიის დამთავრებულ გიორგი ციციშვილს. ისინი ერთმანეთს ეცილებოდნენ. ამის გამო ზაქარიამ თავი გაარიდა თელავს.

2. გიორგი ციციშვილი – ქართულ ენას ასწავლიდა. თელავის ვაჟთა გიმნაზიაში მოსწავლეთა უმრავლესობა ნაციონალ-დემოკრატები იყვნენ, იწერდნენ გაზეთ „საქართველოს". მენშევიკების დროს მოსწავლეები გამეტებით მიდიოდნენ მოხალისეებად ჯარში გიორგის მეოხებით. მას უმაღლესი განათლება არა ჰქონდა. 1924 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს.

3. ნიკო როსტომაშვილი – თელავში სომხურ სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენას. სომხური სკოლის დახურვის შემდეგ რუსულ სკოლაში გადავიდა. ნიკოს უმაღლესი განათლება არ მიუღია. იგი მასწავლებელთა მომღერალთა გუნდში იღებდა მონაწილეობას.

4. გიორგი დავითაშვილი – ინჟინერ-გეოლოგი ქართული გიმნაზიის კურსდამთავრებული ხანგრძლივად მოღვაწეობდა თელავში.

5. ვასილ ეგნატაშვილი – ერთ წელიწადს მოღვაწეობდა თელავში. იგი თელავის პირველი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე იყო და პედტექნიკუმის ქართული ენის მასწავლებელი. ამ წელს ის საზოგადოებრივ საწყისებზე გახსნილ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პირველი გამგეც იყო.

6. დიმიტრი მაღალაშვილი – საინტერესო საქმიანობით გამოირჩეოდა, მართალია გიმნაზია არ დაუმთავრებია, მაგრამ ის იყო თვითნასწავლი ენერგეტიკოსი, ასევე თვითნასწავლი სკულპტორ-არქიტექტორი, უშურველად აძლევდა ელექტრო შუქს ახმეტის, თელავის, თიანეთის, ყვარლის რაიონებს.

7. კოტე გეგელიძე – 17 წლის მანძილზე თელავში მოღვაწეობდა. კიევის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ხაშურიდან გადმოიყვანეს. ის ისტორიკოსი იყო... ერთი წელი გიმნაზიის ინსპექტორი ხოლო შემდეგ ადმინისტრაციული თანამდებობები ეკავა; ცხრაწლედის დირექტორი, პედტექნიკუმის დირექტორი 1928 წლამდე, კახეთის განათლების განყოფილების გამგე, შემდეგ კახეთის ოლქის გაუქმების შედეგად თელავის რაიგანათლების განყოფილების გამგე.

მან, კოტემ საუკეთესო სახელი დატოვა თელავში. ის გადასახლებაში გარდაიცვალა.

8. დავით ჩხეიძე (თურდოსპირედი) – რაჭიდან გადმოვიდა თელავში. აქ იგი დაინიშნა პირველი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, შემდეგში ამავე სკოლის დირექტორი გახდა.

9. შალვა შათირიშვილი – გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ის შედის კიევის უნივერსიტეტში, მერე კი დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და მოღვაწეობდა თელავში.

იგი რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი და სამამულო ომის მონაწილე იყო.

10. ნიკოლოზ გოგიტიძე – ერთხანს ის როსტოვში გადასახლდა. იქ მუშაობდა კლასიკურ გიმნაზიაში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ სამინისტრომ დანიშნა თელავის ვაჟთა გიმნაზიაში დირექტორად. რევოლუციის შემდეგ მუშაობა გაუძნელდა, მაგრამ მაინც

გაართვა თავი.

გარდაიცვალა თელავში, აქვე დაკრძალეს.

11. სოსო ლომიძე – თელავის ვაჟთა გიმნაზიის ინსპექტორი, მას ქ. კიევში ჰქონდა დამთავრებული ტექნიკური ინსტიტუტი პირველი ხარისხის დიპლომით.

სრულიად მოგვაქვს საარქივო მასალა:

ამონაწერი

ბრძანება N016

15 სექტემბერი 1928 წ.

პედტეხნიკუმის გამგეთ კ. გეგელიძის მაგიერ, – დაინიშნოს ამხ. გ. მელითაური.

ამავე ტეხნიკუმის მათემატიკის მასწავლებელი ი. ჯიშკარიანი განთავისუფლებულ იქნას და მის მაგიერ დაინიშნოს ამხანაგი ძაგნიძე 15 სექტემბრიდან.

გან. სახ. კომისარი დ. კანდელაკი

საქმეთა მმართველი ალ. მიქაბერიძე

საარქივო დოკუმენტი უცვლელად დავტოვეთ, რადგან ის ზუსტად ასახავს მაშინდელი განათლების დონესა და სახელისუფლებო დაწესებულების ზრუნვას თელავის პედტექნიკუმის საქმიანობაზე.

განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა შეიძინა პედტექნიკუმის ბაზაზე შექმნილმა სამასწავლებო სასწავლებელმა, ეს სასწავლებელი შემდეგში გახდა სახელმწიფო სასწავლებელი იაკობ გოგებაშვილის სახელობისა, მერე პედაგოგიური ინსტიტუტი, ახლა (1999 წლიდან) სახელმწიფო უნივერსიტეტი. ზოგი რამ სამასწავლებლო სასწავლებლის საქმიანობიდან.

1. შაფაქიძე დიმიტრი შერმადინის ძე – საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტი, სასწავლებლის დირექტორი.

2. გვენცაძე ალექსანდრე ერასტის ძე – ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

3. გურგენიძე ნოე დავითის ძე – ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

4. ვაკანტური იყო ისტორიის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა, რომელიც დაიკავა გრ. პაპავამ (იხ. ბრძანება N4903).

თელავის სამასწავლებლო სასწავლებელი (1939-1940 წწ.)

(რუსულის თარგმანი)

№	კათედრათა დასახელება	კათედრაზე შემავალი სასწავლო დისციპლინები	კათედრათა შემადგენლობა				კათედრის გამგეთა გვარი, სახელი, მამის სახელი
			პროფ.	დოც.	უფრ. მასწ.	მასწ.	
1.	მარქსიზმ-ლენინიზმისა და ისტორიის	მარქსიზმ-ლენინიზმის (ისტ. ფ. შეკ. საკ. და ახალი)		3	-	-	ნახევრიანი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე
2.	ქართული ენისა და ლიტერატურის	ქართ. ენა, ლიტ. ენათმეცნ. ლიტმცოდნეობა		3	1,5	11	ცაბაძეანიძე ამბერკი ნიკოლოზის-ძე
3.	რუსული ენა და ლიტერატურა	რუსული ენა და ლიტერატურა		2,5	1	0,5	ჯაფარიძე გიორგი მიხეილის-ძე
4.	ფიზიკის	ფიზიკა. მათემატიკა. ისტორია		1,5	1,5	-	კაკუბაძე ტურენტი ისიდორეს-ძე
5.	ბიოლოგიის	ბოტანიკა, ზოოლოგია, მეთოდიკა	1	2,5	-	0,5	ლომახიძე ლაზი ნესტორის-ძე
6.	მათემატიკის	ელემენტ. მათემატიკა. უმაღლესი მათ. მეთოდიკა		1,5	1,5	-	ხახიაშვილი გალაქტიონ პოლიკარპეს-ძე
7.	გეოგრაფიის	გეოგრაფია, მეთოდიკა		2,5	2,5	-	ქიქილაშვილი თებრონე ზაურის ასული
8.	პედაგოგიის	პედაგოგიკა, ფსიქოლოგია		1,5	0,5	-	ბეჟიაშვილი ვლადიმერ ლეონიდეს-ძე
9.	სამხედრო და ფიზიკური მომზადება	სამხედრო და ფიზიკური მომზადება		-	-	-	წოწორია ტრიფონ ლეონტის-ძე

риказ №581/н

Всесоюзного комитета по делам
Высшей школы при СНК СССР
Москва. 11 апреля 1940г.
Утвердить по Телавскому Учительскому институту:
1.Т. Сигуа Сергея Носвича И.О. зав кафедрой педагогики.
2.Доцента Шапакидзе Дмитрия Шермандиновича - зав. кафедрой - Географии.
3.Доцента Джанашвили Арчила Гавриловича зав.кафедрой истории.

Председатель Всесоюзного комитета
по делам Высшей школы при СНК СССР
А.Жуков
д.№1 стр.6

1940 წლის დეკემბერში სიგუა და ჯანაშვილი დაინიშნენ თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტში შეთავსებით. ბრძანება N2907/11 ხელს აწერს ა.რიაშინი, 1940 წლის 27 დეკემბერს.

საქმე N1. გვ. 43, 43.

თელავის რაიონული არქივის ძირითადი საარქივო ფონდების მასალები გვიდასტურებენ პირველი სასწავლო წლისთვის სამასწავლებლო სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა ხარისხობრივი შეადგენლობის ზრდის შესაძლებლობას მომავლისთვის. რაც განსაზღვრავდა. სსრკ სახალხო კომისარიატის უმაღლესი სკოლების საკავშირო კომიტეტი ასეთი გადაწყვეტილების ნიმუშია:

Паспорт

Телавского государственного учительского института

1939г. г.Телави. площадь Свободы №7

Факультеты: 1940 г.

1.Языка и литературы;

2.Физики и математики;

3.Естествознания - География.

№	Название фта и сектора	Количество студентов										
		на 1939-1940										
		1 курс		2 курс		3 курс	4 курс	всего		грузин	армян	и другие
		всего	из них муж.	всего	из них муж.	-	-	всего	из них муж			
1	Языка и Литературы	90	14	41	2	-	-	131	16	123	5	3
2	Физика-математика	43	2	21	-	-	-	64	2	52	-	2
3	Естествознаний и географи	40	2	30	2	-	-	70	4	68	2	-
	Всего	173	18	92	4	-	-	165	22	2443	17	5

მასალა მიკვლეული და გამოყენებულია თელავის სარაინო არქივის ფონდებში (1939-1940 წლების) დაცული დოკუმენტაციიდან.ამდენად, თელავის სამასწავლებლო სასწავლებლის, შემდგომში სამასწავლებლო ინსტიტუტის, საქმიანობა პირველი სასწავლო წლიდანვე მიიმართებოდა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის და საკავშირო უმაღლესი სკოლების კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით. ცხადია განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სამეცნიერო პედაგოგიური კადრების პირად შერჩევას, პროფესორ-მასწავლებელთა პიროვნულ და მეთოდოლოგიურ შეხედულებებს, ადამიანურ ღირსებებსა და საქმისადმი პრინციპულ მიდგომას. ამასთან ხშირ შემთხვევაში თანამშრომელთა პიროვნული შერჩევა ხდებოდა საქ.კბ(ბ) ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციების საფუძველზე. ამის მაგალითია არქივში დაცული და ცენტრალურ კომიტეტში გადაგზავნილი სამასწავლებლო ინსტიტუტის ლექტორთა მოკლე დახასიათებები, საქართველოს განსახკომის ბრძანებები.

იხილეთ საარქივო მასალა: (სტილი და შინაარსი დაცულია).

საქ.კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. თოფურიძეს

როგორც მოგეხსენებათ თელავის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტი დაარსდა წარსულ წელს და 1939/40 სასწავლო წელს ჰქონდა მხოლოდ პირველი კურსი. მიმდინ-

არე წელს ინსტიტუტს ექნება მეორე კურსიც, ამიტომ მიმდინარე წელს წარსულ წელთან შედარებით გათვალისწინებულია მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ხაზით ლექტორთა შტატის გაზრდა, ერთი შეთავსებით მომუშავე ლექტორის დამატებით.

აქვე მოგვყავს თელავის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ლექტორთა მოკლე დახასიათება:

1. მატარაძე დიმიტრი ივანეს ძე საკ.კ.პ.(ბ) წევრი 1938 წლიდან. დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიკური ფაკულტეტი 1929 წელს. პედაგოგიურ მუშაობას აწარმოებს საშუალო სკოლებში 10 წელია. მუშაობს თელავის პირველი საშუალო სკოლის დირექტორად და 1939 წლის სექტემბრიადან მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ლექტორად, თელავის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტში.

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს წელს კითხულობდა დამაკმაყოფილებლად.

2. დუნდუა გიორგი კონსტანტინეს ძე – საკ.კ.პ. (ბ) წევრი 1929 წლიდან. დამთავრებული აქვს საკ.კ.პ. (ბ) ცეკასთან არსებული პროპაგანდისტთა უმაღლესი სკოლის პარტიული განყოფილება. მუშაობს საკქ.კ.პ.(ბ) თელავის რაიონული კომიტეტის მესამე მდივნად და შეთავსებით 1939 წლის ოქტომბრიდან კითხულობს თელავის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტში. ამხ. გიორგი დუნდუას მიერ წაკითხული ლექციები ყოველთვის იყო მაღალ ხარისხოვანი და საინტერესო.

3. შაფაქიძე დიმიტრი შერმანდინის ძე, საკ.კ.პ.(ბ) წევრი 1939 წლიდან; დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო უნივერსიტეტის სოციალუ-ეკონომიური ფაკულტეტი 1928 წელში, აგრეთვე მოსკოვის უმაღლესი პედაგოგიური ინსტიტუტი 1933 წელს. 17 წლის პედაგოგიური მუშაობის სტაჟით, აქედან უმაღლეს სკოლებში 10 წელი. 1931 წლიდან 1939 წლამდე მუშაობდა თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტში, როგორც ლექტორი და დაუსწრებელი სექტორის სასწავლო ნაწილის გამგე. 1932 წლიდან აქვს დოცენტის წოდება. 1939 წლიდან ითვლება თელავის სახ. სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორად და მსოფლიო ეკონომიური და პოლიტიკური გეოგრაფიის ლექტორად.

ამხ. დ. შაფაქიძე ითვლება საქ.კ.პ.(ბ) თელავის რაიკომის ლექტორად.

ამხ. დ. შაფაქიძემ დიდი უნარი გამოიჩინა ორგანიზაციულ-სააღმზრდელო მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებაში, აგრეთვე მის მიერ წაკითხული ლექციები დამაკმაყოფილებელია.

1939-1940 სასწავლო წლის მოსწრება, სასწავლო დისციპლინები.

ცალკეული დისციპლინების % მოსწრება:

1. ფსიქოლოგია – 100%
2. მსოფლიო ისტორია – 100%
3. ლიტერატურის თეორია – 100%
4. ენათმეცნიერება – 100%
5. რუსული ენა – 100%
6. მ/ლენ – 96%
7. პედაგოგიკა – 100%
8. სსრკ ისტორია – 100%
9. ქართული ენა – 71%
10. ქართული ლიტერატურა – 95%
11. ქართული ენის მეთოდიკა – 98%
12. სამხედრო საქმე – 100%
13. ჩათვლები – 100%

ფაკულტეტის აბსოლუტური მოსწრება – 67%.

ასეთი შედეგები სასწავლო საგნებში, გამოცდების მაღალი მომთხოვნელობის, სტუდენტთა შემოქმედების, მეცადინეობის სწორი ორგანიზაციისა და ფაკულტეტების დეკანატების საშემსრულებლო დისციპლინის, კათედრათა პროფესორ-მასწავლებლების ხანგრძლივი ზრუნვით იყო განპირობებული.

თელავის პირველი სამასწავლებლო სასწავლებლის პირველი წლის მანძილზე გაწეული სასწავლო, სამეცნიერო, საზოგადოებრივი საქმიანობა სრულად ასახავდა მთლიანად ქვეყანაში დაკერძოდ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა მომდევნო 1940-1941 სასწავლო წლის სწორი ორგანიზაციისათვის.

1940-1941 სასწავლო წლისათვის სასწავლებელმა მიიღო ორსართულიანი შენობა სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისათვის. შენობაში განთავსდა სხვა რაიონებიდან ჩამოსული 70 სტუდენტი. ასეთმა ღონისძიებამ კიდევ უფრო აუმაღლა სახელი სასწავლებელს და განაპირობა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ლტოლვა სასწავლებლის სხვადასხვა სპეციალობაზე.

პირველი სასწავლო წლის მანძილზე სასწავლებელი გაიზარდა და გაძლიერდა: – გაფართოვდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აღიჭურვა სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორიები, სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა, რამაც ხელი შეუწყო სასწავლელის საერთო საქმიანობას.

სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა მეცადინეობის შედეგად თელავის სამასწავლებლო სასწავლებელი აღმოჩნდა მოწინავეთა რიგებში საქართველოში არსებულ 2 წლიან სამასწავლებლო სასწავლებელთა შორის. ყოველივე ამან შექმნა საუკეთესო პირობები ახალი სასწავლო წლის ნორმალური საქმიანობისათვის.

საკავშირო სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ განსახკომის გადაწყვეტილებით (ოქმი N2, 1940 წ.) დამტკიცდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში 1940-1941 სასწავლო წელს მისაღები კონტიგენტი, მათგან თელავის სამასწავლებლო სასწავლებელს გამოეყო 180 ადგილი:

1. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტს – 60,
2. ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტს – 60,
3. ისტორიის ფაკულტეტს – 30,
4. ბუნებისმეტყველების ფაკულტეტს – 30.

ეს მონაცემები აშკარად ცხადყოფენ ზრდის ტემპს პირველ სასწავლო წელთან შედარებით 12%-ით.

სასწავლებლის მეორე სასწავლო წლისათვის 180 ვაკანტურ ადგილზე შეტანილი იყო 338 განცხადება. ცხადი გახდა კონკურსი. საკონკურსო შერჩევითი გამოცდების შედეგად ჩაირიცხა 205 სტუდენტი: – მათგან:

1. ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე – 73,
2. ისტორიის ფაკულტეტზე – 41,
3. ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტზე – 43,
4. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე – 48.

სულ 205

საერთოდ სწავლების მეორე წლისათვის სასწავლებლის სტუდენტთა რაოდენობა ასეთი სახით წარმოგვიდგება: – 1939-1940 წლის მიღების 1 კურსიდან II კურსზე გადავიდა 151. სულ I და II კურსებზე 1940-1941 სასწავლო წლისათვის სწავლობდა – 356 სტუდენტი, მათგან: -

1. ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე – 112,

2. ისტორიის ფაკულტეტზე – 71,
3. ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტზე – 74,
4. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე – 48.
სულ 356
სასწავლებლის ოთხივე ფაკულტეტს ხელმძღვანელობდნენ დეკანები:
1. ა.ე. გვენცაძე – ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი,
2. დ.შ. შაფაქიძე – ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტი,
3. გრ.ზ. პაპავა – ისტორიის ფაკულტეტი,
4. ნ.დ. გურგენიძე – ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.
სასწავლებელს ემსახურებოდა 6 კათედრა. კათედრათა გამგეებად მუშაობდნენ:
1. შაფაქიძე დ.შ. – გეოგრაფიის კათედრა,
2. ფოფხაძე გრ. – პედაგოგიკის კათედრა,
3. ჩაჩანიძე გ.ზ. – ისტორიის კათედრა,
4. მახარაძე აპ. – ენისა და ლიტერატურის კათედრა,
5. ჯანაშვილი არ.გ. – საბუნებისმეტყველო კათედრა,
6. ჩახტაური ა. – ფიზიკა-მათემატიკის კათედრა.

1940 წლის ოქტომბრის თვეში თელავის სამასწავლებლო სასწავლებელს მიენიჭა იაკობ გოგებაშვილის სახელი (იაკობ გოგებაშვილის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით) და რეორგანიზებული იქნა სამასწავლებლო ინსტიტუტად.

ახლა უკვე იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სამასწავლებლო სახელმწიფო ინსტიტუტის 1940-1941 წწ. ჰყავდა ლექტორთა შემადგენლობა:

დოცენტი	მეცნიერებათა კანდიდატი	უფრ. მასწავლებელი	საკპ(ბ) წევრი და კანდიდატი
17	11	24	21

სხვაგვარი ცხოვრებით ცხოვრობდა XX-საუკუნის 20-იანი წლების საქართველო. ქვეყანა ეგუებოდა 1918-1921 წლების დემოკრატიულობას. რუსეთში, პეტერბურგში მომხდარმა რევოლუციურმა გადატრიალებამ გარდაქმნა რუსეთის დიდი ქვეყნის განვითარება, მასთან ერთად საქართველოს ცხოვრება.

იქ, რუსეთის ჩრდილოეთის ქალაქში დაწყებული მოძრაობა მისწვდა განაპირა მხარეების ხალხთა ცხოვრებას. ასე, რუსეთში მომხდარმა რევოლუციურმა გადატრიალებამ (1917 წლის ოქტომბერში) იერსახე უცვალა მაშინდელი საქართველოს მთელს სახალხო მეურნეობას. ჩვენი ქვეყნისათვის ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი გახდა განათლებული ადგილობრივი კადრების მომზადება. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პედაგოგიური კადრებით, პედაგოგიური კონტინგენტით სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების უზრუნველყოფას. ეს დიდი სამომავლო სახელმწიფოებრივი საქმე აშკარად დროულ გადაწყვეტას მოითხოვდა.

აღმოსავლეთ საქართველოს კახეთის მხარის უძველესი ქალაქის თელავის ისტორიულ წარსულს საკმაოდ მდიდარი გამოცდილება გააჩნდა ამ პერიოდში. სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობა თელავში უფრო ადრე მიმდინარეობდასაქართველოს სხვა ქალაქებთან განსხვავებით.

XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, 1939 წლისათვის ჩამოყალიბდა აქ, თელავში სამასწავლებლო სასწავლებელი. საარქივო მასალების მიხედვით, პირველ ხანებში ამ სასწავლებელს დროებით ხელმძღვანელობდა ნიჭიერი მოღვაწე, პრინციპული მუშაკი, დარ-

ბაისელი ადამიანი დიმიტრი მატარაძე. მის მოადგილედ ითვლებოდა დიდი გამოცდილების, სასკოლო საქმის მცოდნე, უნარიანი და განათლებული პიროვნება გიორგი მელითაური.

XX საუკუნის 40-იან წლებში, მთელი ათი წლის მანძილზე (1939-1951 წწ.) თელავის სამასწავლებლო სასწავლებლის, შემდეგ სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორად მუშაობდნენ:

1. დიმიტრი შაფაქიძე (1939-1941), (1946-1950).
2. ტიტე სარიშვილი (1941-1942).
3. შოთა სიხარულიძე (1942-1943).
4. ნიკოლოზ ჩახვაშვილი (1943-1946).

საარქივო ფონდებში მიკვლეული მასალების საფუძველზე ზოგი რამ თვითოეულის ორგანიზატორული, პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობიდან. დირექტორთა პიროვნული სახე (აი, საარქივო მასალა).

ამრიგად:

XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ქ. თელავში ჩამოყალიბდა სამასწავლებლო სასწავლებელი, იგი, ეს სასწავლებელი ემყარებოდა ჯერ კიდევ 20-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოს კახეთის რეგიონში, თელავში 1924წელს დაარსებული პირველი პედაგოგიური ტექნიკუმის გამოცდილებას (ტექნიკუმმა იარსება 15 წლის მანძილზე) სწორედ ამ ტექნიკუმის ბაზაზე 1939 წელს გაიხსნა სამასწავლებლო სასწავლებელი. იგი განთავსდა „კახეთის სამეფო სასახლის" შენობაში. ასე შეიქმნა განათლების დიდი კერა საქართველოში, ქ. თელავში.

1939 წლიდან 2009 წლამდე 70 წლიანი მოღვაწეობის მანძილზე სასწავლებელმა რამდენიმე ეტაპი გაიარა: 1939-1940 წლების – სამასწავლებლო სასწავლებელი, 1940-1950 წლები – სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი, 1951-1999 წლები – სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, 1999 წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ასე, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 70 წლიანი დაუღალავი შრომის, ბრძოლის, შემოქმედებითი ძიების, ახალგაზრდა თაობის დაკვალიანების, თავისი განვითარების ძნელი და საინტერესო გრძელი გზა განვლო. გადაიტანა მეორე მსოფლიო ომში დიდი სამამულო ომის მძიმე წლები, ომის შემდგომი ურთულესი დღეები და მთელ ქართველ ხალხთან ერთად შექმნა 70 წლიანი ისტორია.

ეს ისტორია ადამიანების, შემომქმედი, ენერგიული, ბრძენი, პატრიოტი ადამიანების მიერ შექმნილი ისტორიაა.

XX საუკუნის დაუვიწყარი საქმიანობის ისტორიაა.

XX საუკუნის საქართველოს ისტორიაა.

ქართველების ისტორიაა!

უნივერსიტეტის ისტორიაა!

უნივერსიტეტში წარსულ მოღვაწეთა თუ დღევანდელთა ისტორიაა!

მათი ისტორიაა ვინც იბრძოდა და შრომობდა.

მათი ისტორიაა ვინც ახლა შრომობს და მოღვაწეობს.

მათი ისტორიაა ვინც მომავალში გააგრძელებს დაწყებულს.

ასე, თელავის სამასწავლებლო სასწავლებლის ისტორია იწყება შორეული 1939 წლიდან.

ძნელი გზა განვლო სასწავლებლის პირველმა დირექტორმა – დიმიტრი შაფაქიძემ (აი, არქივიდან) ვცადეთ უცვლელად მოგვეტანა მასალები.

მეორე მსოფლიო ომი (1939-1945) და მცირე მიმოხილვა ქართველთა ბრძოლის.

საქართველოდან ომის პერიოდში გაიწვიეს 790 ათასამდე კაცი (ამ მაჩვენებელში იგუ-

ლისხმება ომის დაწყებამდე შეიარაღებულ ძალებში უკვე მყოფი 126039 რიგითი ჯარისკაცი და ოფიცერი). შემდეგში აღმოჩნდა, რომ მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან გაწვეულთაგან დაღუპულების და უგზოუკვლოდ დაკარგულების რაოდენობამ საერთოდ შეადგინა 163311 კაცი, ანუ გაწვეულთა საერთო რაოდენობის 23,3%, მათგან ქართველების რიცხვმა – 117031 კაცი, ანუ დაკარგულთა საერთო რაოდენობის 66%.

მათთან ერთად გარკვეული წვლილი გაიღო თელავის სამასწავლებლო სასწავლებელმა, ფრონტზე წავიდნენ სტუდენტები, მასწავლებლები, და თვით სასწავლებლის დირექტორი.

შ. სამწუხაროდ მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში ევროპის ქვეყნებში შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ აშკარად განაპირობა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენელთა ორად გაყოფა: 1)ემიგრანტთა ერთმა ნაწილმა გამოიჩინა კეთილგონიერება, დიდი თავდაჭერა, გონიერება, სიბრძნე, სისხლისღვრისადმი სიძულვილი და მხარი არაფრით არ დაუჭირა გერმანიის აგრესიას. ეს იყო უაღრესად პროგრესული, განათლებული და სამშობლოზე, საქართველოზე შეყვარებული ინტელექტუალური ნაწილი. მათ, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ხელმძღვანელ-წარმომადგენლებს გაცნობიერებული ჰქონდათ ფაშიზმის ნამდვილი დამპყრობლური არსი და იგი დამღუპველად მიაჩნდათ საქართველოსათვის. მათ ესმოდათ, საქართველოს „კიდევ უფრო დიდი უბედურება დაატყდებოდა თავს, გერმანელები და მისი მოკავშირეები თუ საქართველოში შემოვარდებოდნენ". ეს იყო მათი ფიქრისა და განცდის საგანი. ნათელი საგანი... სამშობლოს სიყვარულის გაუნელებელი გრძნობა.

2) ევროპაში, საფრანგეთში, პოლონეთში ქართული ემიგრაციის მეორე ნაწილს საქართველოს ინტერესებისათვის ბრძოლის პერსპექტივა და შედეგი სხვაგვარად ჰქონდათ წარმოდგენილი. ისინი პირად გამდიდრებაზე, პირად გამორჩენაზე, პირადი თვისებებისა თუ ნიჭიერების აღიარებაზე ზრუნავდნენ, ვიდრე საქართველოზე. ემიგრანტთა ეს ნაწილი გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყებას სიხარულით შეეგება. ფარისევლურად აცხადებდა დიდ სურვილს და „...საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ომში გერმანიის გამარჯვებას უკავშირებდა..." ასეთი მცდარი შეხედულების გამოუცნობი შედეგები მათთვის გაუგებარი რჩებოდა. მაინც გერმანიის მხარდაჭერის მოსაპოვებლად ემიგრანტთა ეს ნაწილი საჭიროდ მიიჩნევდა გერმანელებთან თანამშრომლობას. ამის განსახორციელებლად 1942 წლიდან გერმანიაში შეიქმნა პოლიტიკური ორგანიზაციები. მათგან გამოირჩეოდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან გრაფ შულენბურგის ინიციატივით შექმნილი: – „ქართული პოლიტიკური კომიტეტი" მ. წერეთლის, ზ. ავალიშვილის, სპ. კედიას და გ. მაღალაშვილის შემადგენლობით. გარდა ამისა, გერმანიის აღმოსავლეთის-სამინისტროსთან დაარსდა „ქართული ეროვნული კომიტეტი" ის უდღეური იყო და მალევე დაიშალა. ბერლინში დაიწყო ჟურნალ „ქართველი ერის" გამოცემა; 1943 წლის ნოემბერში ბერლინში შეიქმნა სამხედრო ხასიათის „საკავშირო შტაბი" მ. კედიას ხელმძღვანელობით. შტაბს ჰქონდა პოლიტიკური განყოფილება – „ქართული ცენტრი" გ. მაღალაშვილის თავმჯდომარეობით.

ისინი, ქართული ემიგრაციის ეს ერთი ნაწილი:

სპ. კედია,

ზ. ავალიშვილი,

რ. გაზაშვილი,

შ. ამირეჯიბი,

გენერალი გ. კვინიტაძე,

მ. კედია თანამშრომლობდნენ ორგანიზაცია „კავკასიასთან". ამ ორგანიზაციას კი

პროქართული ხასიათი ჰქონდა.

აღნიშნული ორგანიზაცია ადგენდა ეროვნულ ლეგიონებს სამხედრო ტყვეებისაგან. ქართველებმა ჩაიცვეს გერმანელთა სამხედრო ფორმა, გადაიკიდეს ავტომატები და მოექცნენ ქართული ემიგრაციის გავლენის ქვეშ. ქართველები ჩადგნენ უცხო ტომის, გერმანელების სამსახურში. ეს მცირე ნაწილი ქართველებისა, ეს მცირე ქართველები თანამშრომლობდნენ ფაშისტებთან. ეგონათ! ეგონათ, იმედი ჰქონდათ გერმანიის გამარჯვებისა, ამ იმედს ისინი გერმანელთა უმაღლესი სარდლობის მიერ 1942 წლის თებერვალში შექმნილი კავკასიური ლეგიონების მოქმედებასაც უკავშირებდნენ, ხოლო გერმანიის არმიის საქართველოს ტერიტორიაზე მოსვლისას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ხელსაყრელ პირობად მიიჩნევდნენ: ეგონათ! ეგონათ და არ უნდოდათ გაეგოთ არჩეული გზის სიმცდარე. ქართველთა ძირითადი უმრავლესობა ებრძოდა ფაშისტურ გერმანიას, ქართველთა მცირე ნაწილი ებრძოდა საქართველოს გერმანელთა სამსახურიდან.

ეს ვერ გაეგოთ.

ეს ისტორიამ დაგმო.

ეს ქართველების თავგადასავალია.

იმედი ჰქონდათ ტყვეებისაგან შექმნილი „ეროვნული ბატალიონების" მოქმედებისა: კავკასიური ლეგიონებისაგან შეიქმნა 12 ქართული, 10 სომხური, 8 აზერბაიჯანული ბატალიონი. ამ ლეგიონებისა და საველე ბატალიონების ჯარისკაცთა რიცხვი 48700 შეადგენდა. მათგან ქართველთა რაოდენობა – 14000 სჭარბობდა. 1943 წლის ბოლოსათვის არსებობდა ქართული სამხედრო ტყვეებისა და ემიგრანტებისაგან შემდგარი 7 ბატალიონი.

პირველი ბატალიონი – შ. მაღლაკელიძის სახელობის;

მეორე ბატალიონი – გ. სააკაძის სახელობის;

მესამე ბატალიონი – დავით აღმაშენებლის;

მეოთხე ბატალიონი – თამარ მეფის;

მეხუთე ბატალიონი – მეფე ერეკლეს;

მეექვსე ბატალიონი – შ. რუსთაველის;

მეშვიდე ბატალიონი – ი. ჭავჭავაძის სახელობისა.

ასეთნაირად ინიღბებოდა ამ ბატალიონების დანიშნულების ნამდვილი მიზნები. ეს მზაკვრული პოლიტიკური ფანდი ემსახურებოდა გერმანელთა ინტერესებს და არა ქართულს. ისინი, ეს ბატალიონები კავკასიაში დაუპირისპირდნენ საქართველოში ქართველთაგან დაკომპლექტებულ ქართულ ეროვნულ დივიზიებს.

ქართველები ხოცავდნენ ქართველებს, –

გერმანულ ფორმიანები არ ინდობდნენ თანამოძმეებს.

ესეც ქართველთა ისტორიაა!

ფაშისტურ ფორმიანები ერთგულებას უმტკიცებდნენ უცხოელებს, გერმანელებს.

ეს ქართველთა ისტორიაა!

საბედისწერო ისტორია!

შემდეგ წლებში სხვაგვარად განმარტებული ისტორია.

გამცემ-მოღალატეთა სამარცხვინო ისტორია!

ქვეყნის ერთგულ დამცველთა სამაგალითო ისტორია!

საბედისწერო ისტორიას წერდნენ ქართველი ემიგრანტი მოაზროვნეები, მწერლები, ვინც მონის თვინიერი მორჩილებით ელაქუცებოდა გერმანულ ფაზიზმს.

ასე იწერებოდა ისტორია ქართველებისა ევროპაში.

ისტორია სულია კაცობრიობისა!

მკაცრია ისტორიული სინამდვილე!

მკაცრია სიმართლე! სიმართლე კი ერთია სამყაროში!

გერმანიის მხარეზე მებრძოლი ქართველების, განათლებულის თუ უწიგნურის, მეთაურის თუ რიგითის, გენერლისა თუ ჯარისკაცის მიმართული იყო ქართველების წინააღმდეგ, საქართველოს თანამოძმეთა მიმართ, საქართველოს საპირისპიროდ. ისინი; -

გერმანულ ფორმიანი მოტყუებულნი თუ გაბრიყვებულნი,

მხდალნი თუ გულუბრყვილოები მაინც ქართველი მეომრები იყვნენ საქართველოს მტრების ხელში.

ობიექტურად მაინც დანაშაულებრივი, სატანური სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესების სამსახურში იყვნენ ჩაბმულნი და გამოყენებულნი.

ასეთია პოლიტიკური ემიგრანტების, ქართველი ემიგრანტების ერთი ნაწილის პოლიტიკური მოღვაწეობის ძირითადი მიმართულების მოკლე მიმოხილვა.

ერთიც! თუ პოლიტიკური ემიგრაცია ემყარებოდა და იყენებდა სამხედრო ტყვეთა საბრძოლო შესაძლებლობებს თბილისში და საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ომის პირველ წლებში წარმოიშვა არალეგალური ანტისაბჭოთა ჯგუფები. თბილისის ასეთ ჯგუფს „1942 წლის შეთქმულებად""იხსენიებდნენ.თბილისში შეიქმნა „საქართველოს ეროვნული თავდაცვის კომიტეტი", რომელშიც გაერთიანდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტი, ასპირანტი, კურსდამთავრებული.

რა გამოლევს უგონოსა და უკმაყოფილოს. ჯერ კიდევ 1941 წლის სექტემბერში გამჟღავნდა 33 კაციანი „არალეგალური სამხედრო-მეამბოხური ფაშისტური ორგანიზაცია". მეორე გაერთიანება, რომლის შექმნა უშუალოდ იყო დაკავშირებული თბილისის არალეგალურ ჯგუფთან, იწოდებოდა – „სამანი" (საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ნაციონალისტები) დაფუძნდა თუშეთში თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტის ინიციატივით. „სამანში" – ომის დეზერტირთა ჯგუფიც შედიოდა.

ორივე გაერთიანებაში, თუ ორგანიზაციაში არც ერთი მუშა,

არც ერთი გლეხი,

არც ერთი დიასახლისი, არც ერთი მწყემსი,

არც ერთი მატერიალური დოვლათის შემქმნელი -

იყვნენ უნივერსიტეტის სტუდენტთა მცირეოდენი ნაწილი,

ასპირანტები,

მასწავლებლები,

მწერლები,

ცალკე ჯგუფებად არსებობდა ეს ორი გაერთიანება, ომის წლებში ის პოლიტიკურ მოძრაობად არ ჩამოყალიბებულა.

მათი მოქმედება უაღრესად შეზღუდული იყო,

მათ არ ჰქონდათ სრულყოფილი ან რაიმე კავშირი სხვა რეგიონებთან,

არც ჩრდილოეთ კავკასიის,

არც სამხრეთ კავკასიის – სომხეთისა და აზერბაიჯანის ანალოგიურ მოძრაობასთან თუ ისინი საერთოდ არსებობდა,

არც ქართულ ემიგრაციასთან,

არც გერმანიის არმიასა და დაზვერვასთან,

ისინი უდღეური,

უნიადაგო,

უსუსური და ქართველთათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი დაჟინებით ცდილობს გაზვიადებული ფორმით შექმნას ამ ორგანიზაციების უსახური სახის ისტორია.

ქართველთა XX საუკუნის 30-იანი წლების ისტორია: ერთნი, –

ერის ძირითადი ენერგიული,

შემომქმედი,

განათლებული,

შეგნებული ნაწილი გერმანელთა პოლიტიკური გავლენის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი;

მეორენი, – ქართული პოლიტიკური ემიგრანტები ფაშიზმის იდეურ სამსახურში;

მესამენი, – ქართული პოლიტიკური ემიგრანტებისა და სამხედრო ქართველი ტყვეებისაგან შექმნილ საბრძოლო ბატალიონებში ქართველების საპირისპირო ომში ჩაბმულნი;

მეოთხენი, – საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მომქმედი არალეგალური,

გაბოროტებული,

გაბუტული ადამიანების, სულთმობრძავი ე.წ. ორგანიზაციები.

ასეთია 30-იანი წლების გაკვეთილი!

PS. მეორე მსოფლიო ომმა დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს განათლების, მეცნიერებასა და კულტურაზე – ოფიციალური მონაცემების მიხედვით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა რესპუბლიკაში ომის ბოლოს – 1945-1946 სასწავლო წლისათვის შემცირდა 397 ერთეულით, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა 1381 ათასით 1940-1941 სასწავლო წელთან შედარებით (4114 სკოლა 766,8 ათასი მოსწავლე).

დიდი იყო მოსწავლეთა განთესვის მაჩვენებელი, რის გამოც გაფართოვდა საღამოს სკოლების ქსელი: – თუ ომის დაწყებამდე საქართველოში ითვლებოდა 260 საღამოს სკოლა 26 ათასი მოსწავლით, 1944 წლისათვის ასეთი სკოლების რიცხვი გაიზარდა 495-მდე, მოსწავლეთა რიცხვი 39 ათასამდე.

ასე, დიდი სიძნელეების მიუხედავად არ შეწყვეტილა სკოლათმშენებლობა. 1942-45 წლებში საქართველოში აშენდა 27 ახალი სკოლა 7,4 ათასი მოსწავლისათვის. ასევე, 1945 წელს ახალციხეში გაიხსნა პედაგოგიური ტექნიკუმი, ქართული დრამატული თეატრი. ამავე დროს ამ რეგიონისათვის დაწესდა სწავლაში გამორჩეული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულის გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში:

1) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – 11;

2) სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში – 6;

3) სამედიცინო ინსტიტუტში – 5;

4) ინდუსტრიულ ინსტიტუტში – 3.

მაშ ასე!

საქართველოს საზოგადოება ზრუნავდა საინგილოს განათლებული კადრების მომზადებაზეც. 1944-45 სასწავლო წელს იქ გაიხსნა 15 სკოლა, მათ შორის 3 საშუალო, 7 შვიდწლიანი და 5 დაწყებითი სკოლა სულ 4161 მოსწავლით. ასევე, 1945-1946 სასწავლო წელს თბილისის უნივერსიტეტში სასწავლებლად გაიგზავნა 19 ინგილო, პედაგოგიურ ინსტიტუტში – 9, სამედიცინო ინსტიტუტში – 8, ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში – 4, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში – 3 და ინდუსტრიულ ინსტიტუში – 2.

სამამულო ომის პერიოდში განათლების სისტემაში საქართველოში დაშვებული იქნა შეცდომებიც, უფრო: – აფხაზური და ოსური სკოლების რეორგანიზაციაში. 1945-46 სასწავლო წლიდან აფხაზური და ოსური სკოლების დაწყებით კლასებში სწავლება გადაყვანილი იქნა ქართულ ენაზე; რეორგანიზაციასთან დაკავშირებით აფხაზური სკოლების მასწავლებლები გაანთავისუფლეს, მათ მაგიერ გაიგზავნენ ქართველი მასწავლებლები. ალბათ ერთგვარად ამანაც განაპირობა (მოსწავლეებს არ ჰქონდათ შესაბამისი სახელმძ-

ღვანელოები) ის, რომ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულების მხოლოდ მცირე ნაწილი შედიოდა უმაღლეს სასწავლებელში, მათ უმრავლესობას კი არ შეეძლო უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამების დაუფლება, ამ ვითარებით იყო გამოწვეული,რომ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში ომის წლებში სწავლობდა მხოლოდ 12 აფხაზი, ხოლო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი 1945 წელს მხოლოდ ერთმა აფხაზმა დაამთავრა. სკოლების დახურვასთან ერთად სოხუმისა და აფხაზეთის პედაგოგიური სასწავლებლები გაერთიანდნენ ერთ პედაგოგიურ სასწავლებლად, ხოლო 1945 წლის 1 ოქტომბრიდან გაიხსნა პედაგოგიური სასწავლებლები ოჩამჩირესა და გუდაუთაში.

ასე: – მიმდინარეობდა ქართული ეროვნული სულიერების სრულყოფილი გამოხატვის ხელშეწყობის პროცესი საქართველოს განათლების სისტემაში.

ქართული მეცნიერება უდიდესი და რთული ამოცანეაბის წინაშე აღმოჩნდა ომის პირველსავე დღეებიდან. და, მაინც შეიქმნა ამიერკავკასიის გეოლოგიურ-გეოგრაფიული და გეოგრაფიულ-გეოდეზიური კომისიები, მათ დაეკისრათ ფრონტის დასახმარებლად გეოგრაფიულ-გეოლოგიური მუშაობის ორგანიზაცია მთელს ამიერკავკასიაში. საბუნებისმეტყველო პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების უმრავლესობა დახმარებას უწევდა სამრეწველო საწარმოებს ახალი სახის პროდუქციის ათვისებაში. ნაგებობათა ჰიდროტექნიკის თბილისის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უკვე 1942 წლის დასაწყისში დამუშავდა მაღალი ხარისხის ცემენტისაგან საავიაციო ბომბების წარმოების ტექნოლოგია, ავიაბომბების სტაბილიზატორების ლითონი შეიცვალა ცემენტით და სხვ.

ქიმიის ინსტიტუტის ელექტრო-ქიმიის ლაბორატორიაში, მეტალურგიულ ლაბორატორიაში მუშავდებოდა ახალი მეთოდები წარმოებაში დანერგვისათვის.

ასევე დიდი წარმატებები ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას; ფიზიოლოგიის ინსტიტუტის; ზოოლოგიის ინსტიტუტის საქმიანობას.

ახალი ამოცანების გადაჭრას ემსახურებოდა ჰუმანიტარული მეცნიერება: – ენის ინსტიტუტი, საენათმეცნიერო დარგების შესწავლას; აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი გაიყო ორ დამოუკიდებელ, ისტორიისა და ენის ინსტიტუტებად; შეიქმნა საისტორიო პროფილის ახალი დანესებულებანი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ 1941 წლის მარტში შეიქმნა გეოგრაფიის, სატყეო, მემინდვრეობის და თელავის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტები; 1943 წელს შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტები; 1944 წელს ეკონომიკის ისნტიტუტი, სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; 1945 წლის მარტში შეიქმნა ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტები. ამასთან გაიზარდა მეცნიერ მუშაკთა რიცხვი.

საქართველოს წარგზავნილთა საბრძოლო თავდადება ნათლად აისახა ქართულ პოეზიასა და პროზაში. ომის მოთხოვნათა ყაიდაზე გარდაიქმნა საქართველოს თეატრალური ცხოვრება; საომარ თემატიკას ასახავდა ქართული მუსიკალური ხელოვნება; ნაყოფიერად მუშაობდა ქართველ კინემატოგრაფისტთა თაობა; ასევე ქართული რადიომაუწყებლობა და პრესა.

ასეთ რთულ პირობებში შეუფერხებლად საქმიანობდა თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტი. მას, ინსტიტუტს პირდაპირი ურთიერთობა ჰქონდა კახეთის მხარის სკოლებთან, წარმოება-დაწესებულებებთან, კოლმეურნეობებთან, რის თაობაზეც შემორჩენილია საკმაოდ მდიდარი საარქივო ცნობები.

თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტის სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო-მეთოდური და ორგანიზაციული მუშაობა ემყარებოდა, მკაცრად იყო განსაზღვრული შინაგანაწესი, საინსტიტუტო წესდებით. არქივში აღმოჩნდა ასეთი წესდება. შედგენილი XX-ს. 40-იან წლებში.

საქართველოსათვის ურთულეს დღეებში 1942-1943 წლებში, კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილებზე გამოჩენილი გერმანული საჯარისო ნაწილები ემუქრებოდნენ სოხუმსა და თბილისს, მიმდინარეობდა დაძაბული საომარი ოპერაციები აფხაზეთის მაღალმთიან სოფელ ფსოუსთან, რითაც საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია უშუალოდ გახდა საბრძოლო ასპარეზი, საქართველო ერთდროულად გახდა ფრონტიც და ზურგიც. როცა უჭირდა ქვეყანას უამრავი რამ, თელავის სამასწავლებო ინსტიტუტი აგრძელებდა შემოქმედებით მოღვაწეობას სრულიად განსხვავებულ, უჩვეულო ვითარებაში.

ახალი ამოცანების წინაშე დადგა სამასწავლებლო ინსტიტუტი ამ წლებში: მაინც გრძელდებოდა შემოქმედებითი საქმიანობა: ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ განიხილა 36 საკითხი, ენისა და ლიტერატურის კათედრამ ჩაატარა 7 სხდომა, საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის კათედრამ 10 სხდომა.

სამასწავლებლო ინსტიტუტს ჰქონდა 4 კათედრა: მარქსიზმ-ლენინიზმისა და ისტორიის, ენისა და ლიტერატურის, გეოგრაფიის და ფიზიკა-მათემატიკის; ასევე ორი დამოუკიდებელი დისციპლინა: პედაგოგიკა (პედაგოგიკა, სასკოლო ჰიგიენა, ფსიქოლოგია) და სამხედრო-ფიზკულტურული მომზადება.

კათედრის წევრთა შემადგენლობა:

კათედრის დასახელება	კათედრის წევრები	დოც.	უფრ. მასწ.	ასისტენტი
1. მარქსიზმ-ლენინიზმის და ისტ.	5	3	2	-
2. ენისა და ლიტერატურის	6	-	6	-
3. ფიზიკა-მათემატიკის	5	2	3	1
4. გეოგრაფიის	7	4	3	-
სულ	24	9	14	1

1942-1943 სასწავლო წელს იხილებოდა ორგანიზაციული, სასწავლო პედაგოგიური და სამეცნიერო კვლევით მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც მაგალითად: კათედრის სამუშაო გეგმების განხილვა და დამტკიცება, კათედრის წევრთა შორის დატვირთვათა განაწილება, ლაბორანტების სამუშაო გეგმების განხილვა-დამტკიცება, პრაქტიკული მუშაობის დაყენების შესახებ, სასწავლო გეგმების განხილვა, სტუდენტთა სამეცნიერო წრეების სამუშაო კალენდარული გეგმების განხილვა დამტკიცება, საჯარო მოხსენებების მოსმენა, ლექტორთა მოხსენებები საგნის სწავლების მდგომარეობის შესახებ; სამეცნიერო კვლევითი ინდივიდუალური გეგმების განხილვა-დამტკიცება, სოცშეჯიბრის გაშლის შესახებ, სამეცნიერო მივლინებების შესახებ, ზამთრის სესიებისათვის მზადება, საგნის ხელმძღვანელთა ანგარიში, ლექტორთა სამეცნიერო წოდებაზე წარდგენის შესახებ, მომართვებისა და ცირკულარების განხილვა, ფიზიკის ლაბორატორიის მუშაობის შესახებ, ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია და კავშირგარეშე ქვეყნების ფიზიკური გეოგრაფიისსწავლების შესახებ, ფოლკლორისა და ახალი ისტორიის პროგრამების განხილვა, ლიტერატურის მეთოდიკის სწავლების შესახებ, I-ლ სემესტრში დასამთავრებელ დისციპლინებში პროგრამების შესრულება. ზამთრის სესიებისათვის სამზადისის შესახებ, პირველ სემესტრის შედეგების შესახებ, ზოოლოგიის სწავლების შესახებ I-ლ სემესტრში, ბუნებისმეტყველების სწავლების შესახებ, სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შესახებ, ანგარიში კარტოგრაფია-ტოპოგრაფიაში, ბუნებისმეტყველების მეთოდიკასა და მინერალოგია-

გეოლოგიაში, კათედრის სამეცნიერო თემატიკის შესახებ, პრაქტიკულ ლაბორატორიულ მუშაობათა შესახებ, კაბინეტის წესრიგში მოყვანის შესახებ, მომავალი სასწავლო წლისათვის სამზადისის შესახებ, სახელმწიფო გამოცდებისათვის და სესიებისათვის მზადების შესახებ, სესიებისა და სახელმწიფო გამოცდების შედეგების შესახებ და სხვა.

საჯარო მოხსენებები: –

კათედრებს საანგარიშო სემესტრის განმავლობაში უნდა მოესმინა 18 საჯარო მოხსენება, ჩატარებულია 19 საჯარო მოხსენება.

კათედრის საჯარო სხდომებზე წაკითხულ იქნა საბჭოთა ხალხის სამამულო ომთან დაკავშირებული აქტუალური თემები:

1. დოც. ალ. გორგაძის მიერ – „ერეკლე მეორე როგორც სარდალი"
2. დოც. ალ. გორგაძის მიერ – „ბაგრატიონი"
3. დოც. ალ. გორგაძის მიერ – „კრწანისის ომი"
4. დოც. ს. ძიმისტარიშვილის მიერ – „გიორგი საакაძე"
5. დოც. ალ. გორგაძის მიერ – „ასპინძისა და ჩხერის ომები"
6. დოც. ნ. კანდელაკის მიერ – „ვეფხისტყაოსნის საკაცობრიო მოტივები" სპეციალურ საკითხებიდან საჯარო სხდომაზე წაკითხულ იქნა:
7. უფ. მასწ. ს. გაჩეჩილაძის მიერ – „გ. ერისთავის ადგილი ქართულ დრამატურგიის ისტორიაში"
8. დოც. ალ. გორგაძის მიერ – „წიგნზე მუშაობის ხერხები და მეთოდები"
9. დოც. ა. ჯანაშვილის მიერ – „თელავის რაიონის სარეწაო ძუძუმწოვარა ცხოველები"
10. დოც. ა. ჯანაშვილის მიერ – „ადამიანის წარმოშობა"
11. დოც. თ. კიკლაშვილის მიერ – „მდინარე მტკვრის ზემოწელის ჰიდროლოგიური დარაიონება"
12. უფ. მასწ. თალაკვაძის მიერ – „გოგირდწყალბადის გამოყენება სოფლის მეურნეობაში"
13. დოც. ტ. კაკუშაძის მიერ – „სასწაული არ არსებობს"
14. დოც. ტ. კაკუშაძის მიერ – „მეცნიერება და რელიგია"
15. დოც. ტ. კაკუშაძის მიერ – „ალბათობათა თეორიის ზოგიერთი გამოყენებანი პრაქტიკაში"
16. ასისტენტ ვ. სიმონიას მიერ – „ფაშიზმი მეცნიერების წინააღმდეგ"
17. დოც. გ. ხახუბიას მიერ – „სინგულარული ინტეგრალური განტოლება"
19. დოც. ა. გაჩეჩილაძის მიერ – „ერისთავის დრამატურგიის კომპოზიცია"

25 მაისს ჩატარდა აგრეთვე ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო სესია სტუდენტთა მონაწილეობით:

სესიაზე წაკითხულ იქნა მოხსენებები:

1. დოც. კანდელაკი – „სიტყვაკაზმული მჭევრმეტყველება მხატვრულ ლიტერატურაში"
2. დოც. ა. გაჩეჩილაძე – „გ. ერისთავის დრამატურგიის კომპოზიცია"
3. დოც. გ. ხახუბია – „სინგულარული ინტეგრალური განტოლება"
4. უფ. მასწ. გვენცაძე – „ლოკალური ბრუნვების შემოტანის საფუძველი ქართულში"
5. სტ. გრემელაშვილი – „ხანმეტი და ჰაემეტი" ძეგლების მნიშვნელობა ქართველ

სალიტერატურო ენის ისტორიისათვის.

6. სტ. მ. აზიკური – „უჯრედი“

7. სტ. მ. სამიტაშვილი – „ღერო“

8. სტ. თ. რცხილაძე – „ოპტიკა სამხედრო საქმეში“

9. ლ. ციბაძე – „გმირთა სახეები აკაკი წერეთლის შემოქმედებაში“

10. სტ. მარტირუზოვი – „მსოფლიო სივრცეში სიცოცხლის არსებობის შესახებ“

კათედრის წევრები აგრეთვე ეხმარებოდნენ კათედრების დავალებით რაიონულ პარტორგანიზაციას – ქალაქ თელავის წარმოება-დაწესებულებებში, სამხედრო ნაწილებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ლექციების, საუბრების და მოხსენებების ჩატარებით ჩვენი სამშობლოს გმირულ წარსულზე და დიდ სამამულო ომთან დაკავშირებულ თემებზე: ჩატარებულია სულ 51 მოხსენება.

ლექციები: 1. შ. სიხარულიძის მიერ

1. I და მე-2 გოსპიტალი – „სამამულო ომის მიმდინარე მომენტები“

2. I გოსპიტალში – „ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა“

3. I გოსპიტალში – „სამამულო ომის მიმდინარე მომენტები“

4. მე-2 გოსპიტალში – „გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 18 წელში“

5. I გოსპიტალში – „გერმანელი ოკუპანტები საქართველოში“

5. მე-2 გოსპიტალში – „სამამულო ომის მიმდინარე მომენტები“

7. მე-2 გოსპიტალში – „ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა“

8. I გოსპიტალში – „ოქტომბრის რევოლუციის 25 წლისთავი“

9. მე-2 გოსპიტალში – „ოქტომბრის რევოლუციის 25 წლისთავი“

10. I გოსპიტალში – „წ/არმიის 25 წლისთავი და საქ. გასაბ. 23 წლისთავი“

11. მე-2 გოსპიტალში – -„-

12. I გოსპიტალში – „პირველი მაისის საერთაშორისო მნიშვნელობა და სამამულო ომის მიმდინარე მომენტი“

13. I გოსპიტალში – „სამამულო მოის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები“

14. მე-2 გოსპიტალში – -„-

15. რაიკავშირის პარტორგანიზაციაში – „გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წელში“

16. ბატალიონში – -„-

ლექტორ ტ. სარიშვილის მიერ

1. სოფ. ჯოყოლოში – „საბჭოთა პატრიოტიზმი“

2. სოფ. ვანთაში – „სამამულო ომის მიმდინარე მომენტი“

3. ინსტიტუტის კლუბში ქალაქის დიასახლისებისათვის და მუშა-მოსამსახურეებისათვის – „სამამულო ომის მიმდინარე მომენტი“

4. სოფ. ფშაველში – „საერთაშორისო მდგომარეობა“

5. სოფ. ლალისყურში – „საერთაშორისო მდგომარეობა“

6. სოფ. ქისტაურში – „საბჭოთა პატრიოტიზმი“

7. გამსახლში – „გერმანიის სამეურნეო რეზერვების გამოფიტვა“

ლექტორ ალ. გვენცაძის მიერ

1. სოფ. ახმეტაში – „ქართველი მწერლები პატრიოტიზმის შესახებ"
2. სოფ. ყარაჯალაში – „საერთაშორისო მდგომარეობა სამამულო ომამდე"
3. სოფ. კურდღელაურში – „სამამულო ომის მიმდინარე მომენტი"
4. სოფ. დუისში – „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ"
5. სოფ. ჯოყოლოში – ‚სამამულო ომის მიმდინარე მომენტი"
6. თელავის მტს-ის ტრაქტორისტებისათვის – „სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები"
7. მტს-ის ტრაქტორისტთა კურსებზე – „საერთაშორისო მდგომარეობა"
8. თელავის მტრის გამანადგურებელი ბატალიონი – „საერთაშორისო მდგომარეობა"

ლექტორ ს. ხუცაიძის მიერ

1. სოფ. დუმასტურში – „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი"
2. სოფ. ნაფარეულში – „საერთაშორისო მდგომარეობა"
3. სოფ. ფშაველში – „საერთაშორისო მდგომარეობა"
4. სოფ. ლალისყურში – „საბჭოთა კავშირის სამამულო ომი და მიმ.ამოცანები"
5. სოფ. ზ. ალვანში – „საერთაშორისო მდგომარეობა"
6. სოფ. დუისში – „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა"
7. პირველ გოსპიტალში – „საერთაშორისო მდგომარეობა"
8. პირველ გოსპიტალში – „ამხანაგ სტალინის საოქტომბრო ბრძანების გაცნობა"
9. მეორე გოსპიტალში – „საერთაშორისო მდგომარეობა"
10. მეორე გოსპიტალში – „ამხ. სტალინის საოქტომბრო ბრძანების გაცნობა"
11. სოფ. ვარდისუბანში – „საერთაშორისო მდგომარეობა"
12. მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა შორის – „საერთაშორისო მდგომარეობა"

ისტორიის ფურცლებიდან

უაღრესად საინტერესოდ მიგვაჩნია თელაველ მოღვაწეთაგან შემორჩენილი შეფასებები ისტორიის, განათლების და ცალკეული ადამიანების საქმიანობის თაობაზე. ამჯერად მხედველობაში გვაქვს გ. მელითაურის, ვ. პაატაშვილის, ალ. გვენცაძის, ა. სპარსიაშვილის მიერ შემოთავაზებული შეფასებები. გთავაზობთ ზოგიერთ ნიმუშს:

თელავის პირველი ქალთა სასწავლებელი

წელს შესრულდა 90 წელი ქ. თელავში ქალთა პირველი სასწავლებლის – „წმინდა ნინოს დედათა ზავედენიის“ დაარსებიდან.

იმ დროს წინანდალში ცხოვრობდა დიდი ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის რძალი და საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილიშვილი – ანა ილიას ასული ჭავჭავაძე, რომელიც 1854 წლის 3 ივნისს ტყვედ წაიყვანეს შამილის ურდოებმა, მისი სახლ-კარი კი გაძარცვეს და დაწვეს.

8 თვის ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ ანა ილიას ასული კვლავ წინანდალში დასახლდა. სწორედ მან იდვა თავს კახეთის მოსახლეობისათვის ქალთა სასწავლებლის დაარსება. ეს საქმე იოლი როდი იყო, რადგან სასწავლებელს კერძო შეწირულებით უნდა ეარსებნა.

ანა ჭავჭავაძემ პოეტ გრიგოლ ორბელიანის მეშვეობით აღძრა შუამდგომლობა თელავის მეფეთა ყოფილი სასახლის სასწავლებლისათვის გადაცემის შესახებ და იმავდროულად დაიწყო შეწირულებათა შეგროვება.

1860 წელს მეფეთა ყოფილი სასახლე სასწავლებელს გადაეცა, ხოლო შეწირულებათა თანხამ 5.000 მანეთს მიაღწია. შენობის შეკეთებისათვის კი 11.000 მანეთი იყო საჭირო. შეკეთების პროცესში გამოირკვა, რომ არსებული ნაგებობა 10 ქალის სწავლებისათვის არ იყო საკმარისი. საჭირო გახდა მეორე სართულის დაშენებაც.

მშენებლობა 2 წელიწადს გრძელდებოდა, ამიტომ სასწავლებლისათვის დროებით სხვა შენობა (ნადიკვარზე – ვახვახიშვილის სახლი) დაიქირავეს, სადაც 1865 წლის 5 სექტემბერს გაიხსნა ქალთა სასწავლებელი.

საკუთარ შენობაში სწავლის დაწყება მხოლოდ 1867 წლის 5 ოქტომბრიდან მოხერხდა.

პირველ წელს სასწავლებელში 12 ქალი მიიღეს; მეორე სასწავლო წლიდან დაწყებული მთელი 25 წლის მანძილზე სასწავლებელს ხელმძღვანელობდა ბარბარე მიხეილის ასული თურქესტანიშვილი.

ძლიერ ხშირად იდგა საკითხი ქალთა სასწავლებლის დახურვის შესახებ, რადგან მოსწავლეთა სწავლის ქირა ყველა ხარჯებს არ ყოფნიდა, მეფის მთავრობა კი ამ მიზნისათვის თანხებს არ გაიღებდა.ანა ჭავჭავაძე მოწადინებასა და ენერგიას არ ზოგავდა და დაარსებიდან 1887 წლამდე (საცხოვრებლად თბილისში გადასვლამდე) სასწავლებელს შეწირულებათა შეგროვების გზით ინახავდა.

ამ სასწავლებელს 1898 წელს მიენიჭა პროგიმნაზიის უფლებები.

თელავის პირველი ქალთა სასწავლებლის სულისჩამდგმელი ანა ჭავჭავაძე გარდაიცვალა 1905 წელს და დაკრძალულია შუამთის საგვარეულო აკადემიაში.

ისტორიის ეს მცირე მაგალითიც საკმაო სიცხადით მეტყველებს იმაზე, თუ როგორ უსულგულოდ ეკიდებოდა მეფის მთავრობა მოსახლეობის სწავლა-აღზრდის საქმეს.

ივ. პაატაშვილი
„კოლმეურნის ხმა“

ქალთა პირველი ამხანაგობა თელავში

ჩაკეტილი იყო რევოლუციამდელი ქალის ცხოვრება. დღენიადაგ ოჯახისათვის ზრუნვა ევალა მხოლოდ... თანდათანობით ყველაფერი შეიცვალა. ქალებმა ჯერ გაუბედავად, შემდეგ კი მკაცრად დაიწყეს ბრძოლა თავიანთი უფლებებისათვის.

65 წლის წინათ თელავის არც ერთ დაწესებულებაში არ მუშაობდნენ ქალები. მხოლოდ წმ. ნინოს პანსიონში მგალობლიშვილების ორი ქალი მასწავლებლობდა, რომლებმაც ოჯახების შექმნის შემდეგ მიატოვეს სამსახური, როგორც ქალისათვის სამარცხვინო საქმე.

თავისუფლებისა და უფლებების მოპოვების სურვილებს მალე საქმეც მოჰყვა. შეიქმნა ქალთა ამხანაგობა, რომელსაც „ქალთა ერთობა" ეწოდებოდა. ამხანაგობაში შემსვლელს არაფერი ევალებოდა იმის გარდა, რომ კვირაში ერთხელ – შაბათს – მისულიყო დანიშნულ ადგილას, სადაც კითხულობდნენ წიგნებს, ახალ ჟურნალ-გაზეთებს, მსჯელობდნენ საჭირბოროტო საკითხებზე.

ამხანაგობამ მუშაობა იმით დაიწყო, რომ აბრეშუმის ჭიის მოყვანის შესასწავლად ორი ქალი დასავლეთ საქართველოში გაგზავნა. მდიდარი გამოცდილების გაცნობის შემდეგ ამხანაგობამ ხელი მოკიდა აბრეშუმის ჭიის მოყვანის საქმეს.

ერთობის საქმიანობაში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ ბ. სულხანიშვილი, ქ. ზარაფიშვილი, ა. კურდღელაშვილი, ა. და თ. პაატაშვილები, ს. იაშვილი (რომელიც ახლაც ცოცხალია) და სხვები.

მალე ქალთა ამხანაგობამ ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ ქალაქის არისტოკრატმა ქალებმაც მოინდომეთს გაწევრიანება. მაგრამ რამდენიმე შეკრების შემდეგ ბევრმა მათგანმა ითაკილა ნაყმევის ცოლებთან ერთად ჯდომა და დაიწყეს ფიქრი საკუთარი ამხანაგობის დაარსებაზე.

პირველის მიბაძვით მეორე და მესამე ამხანაგობაც შეიქმნა, სადაც სხვა საქმიანობასთან ერთად სწავლობდნენ ჭრა-კერვასაც.

ახლად დაარსებული ქალთა ამხანაგობები პირველად დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ მუშაობას, მრავალი კარგი საქმეც წამოიწყეს, მაგრამ არ ინდომეს საერთო ძალით ჭაპანის წევა... გაქრა პირველი დღეების აღტაცება და ამხანაგობებიც დაიშალა.

მიუხედავად ამისა, ამხანაგობამ თავისი საქმე მაინც გააკეთა.

ქართველი ქალის სურვილებს მხოლოდ დიდმა ოქტომბერმა შეასხა ფრთები.

ვ. პაატაშვილი
გაზ. „კოლმეურნის ხმა" 1960 წ. N35

ისტორიის ფურცლებიდან

ყადორი

თელავის დასავლეთ ნაწილს ადრიდანვე „ძველგალავანი" ეწოდება. აქ IX საუკუნეში ქალაქის დაარსებასთან დაკავშირებით კახეთის მეფე კვირიკეს ამჟამად „გორიჯვრად" წოდებული ციხე-გალავანი აუშენებია.

XVII საუკუნეში არჩილ მეფის მიერ ახალი ციხე-გალავანის აგების შემდეგ კვირიკეს დროს აშენებულის მახლობელ მიდამოებს „ძველი გალავნის" სახელი შერჩა.

„ძველგალავნის" ცენტრში, ქალაქის დონიდან ამაღლებულ ადგილას მდებარეობს მოზრდილი მინდორი – „ყადორი". მას სამხრეთიდან დაჰყურებს ცივგომბორის მთები საიდანაც თითქმის მუდმივად ჰქრის გრილი ნიავი, ყადორიდან აღმოსავლეთით მოჩანს

თითქმის მთელი ქალაქი, ხოლო ჩრდილოეთით – კახეთის გადაშლილი ველი და კავკასიონის ქედი – თეთრქუდა მწვერვალებამდე.

ეს შესანიშნავი ადგილი ძველ დროში უსაქმური, საეჭვო საქმიანობის მქონე ადამიანების მუდმივსამყოფელად იყო გამხდარი. ისინი დილიდან დაღამებამდე კოჭაობა-ჯალავარდის აზარტულ თამაშში ატარებდნენ დროს, ხოლო სიბნელეში გამვლელ-გამომვლელთა ჯიბეებზე „ნადირობდნენ". დაღამების შემდეგ იქ გავლა საშიში იყო. „ყადორზე" ასასვლელი გზა – „გორა" რომ ეწოდებოდა, მართლაც გორა-კლდე იყო და მასზე ასვლა-ჩამოსვლა საკმაო სიძნელეს წარმოადგენდა.

ყოველივე ეს დიდიხანია, რაც წარსულს ჩაბარდა.

თელავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო (თავმჯდომარე გ. ჯაშიაშვილი) „ყადორის" კეთილმოწყობის სამუშაოთა ჩატარებას შეუდგა, რაც განსაკუთრებული ინტენსიურობით წელს მიმდინარეობდა.

ახლა „ყადორზე" კარგად მოწყობილი პარკია – მწვანე ნარგავებით, გაზონებით, ყვავილნარებითა და ბილიკებით მოკაზმული. მის ცენტრში აღმართულია უკვდავი ბელადის ი.ბ. სტალინის მონუმენტი, რაც ქალაქის უმრავლესი ადგილებიდან მოჩანს.

პარკამდე მისასვლელი გზა თლილი ქვის კიბეებითაა დამშვენებული.

„ძველგალავნის" მცხოვრებლებმა კარგისაჩუქარი მიიღეს, „ყადორი" მათი დასვენებისა და გართობის ადგილად გადაიქცევა.

ივ. პაატაშვილი.
გაზ. „კოლმეურნის ხმა" 1955 წ. N110

სოლომონ გოშაძე

(1903) (1958)

ს. გოშაძემ მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება ხალხისადმი სამსახურს შესწირა. მისი ყოველი ლექსი თვითმპყრობელობისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებით, მშრომელი ხალხისადმი, თავისუფლებისადმი მგზნებარე სიყვარულითაა გამსჭვალული.

ქართველი საზოგადოებრიობა დიდად აფასებს და პატივს ცემს მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ს. გოშაძის შემოქმედების ზოგიერთ ნიმუშს და მოგონებებს მის შესახებ.

ს. გოშაძის შესახებ

„მოქალაქეობრივ მოტივებზე მომღერალ ძველ პოეტთა შორის ჩემი ბალღობის პოეტურ ფონზე სამი პოეტი ანათებდა: ირ. ევდოშვილი, გ. ახოსპირელი, სოლო გოშაძე".

* * *

„საჭიროა ითქვას, რომ სოლო გოშაძე იმ დროის მიხედვით ერთი თვალსაჩინო პოეტური ფიგურაა, თემის მხრივ თავისთავადი და ფორმით დამოუკიდებელი მგოსანი. სოლო გოშაძეს აქვს თავისებური პოეტური ხედვა.

მას არა აქვს ცალკეული სტრიქონები. მას აქვს მთელი ხანები. მის ლექსებში ადგილი არ აქვს ფუყე, უშინაარსო, დაპუდრულ სიტყვებს. მისი ფანტაზია მდიდარია და ბუნების საგანთა შეფარდება, პოეტური აზრის გამოთქმისათვის, – მეტად მოხერხებულად და ძალდაუტანებლივ აქვს ჩამოსხმული".

ი. გრიშაშვილი.

დაჰქროლე, ქარო, დაჰბერე!

დაჰქროლე, ქარო, დაჰბერე,
რომ ჰქუხდეს მთა და ბარია,
თანგადიტანე ღრუბელი –
მამულს რომ გადაჰფარია!...
ახადე შავი მანდილი,
იკმარე გლოვა ცხარია;
ამგვარი ყოფა-სიცოცხლე –
ვისთვის რა გასახარია!

1898 წ. ქ. ბაქო.

სამშობლოს

სამშობლოვ, ტურფა ქვეყანავ!
სულთქმას რად მოუხშირეო?
ნუთუ გგონია შვილთაგან
მუდმისად გაიწირეო!
შენთვის გავწყდებით ყველანი –
დიდი, პატარა, მცირეო,
მამულიშვილთა სიცოცხლე
შენ მსხვერპლად შეიწირეო!...

1897 წ.

გმირი

გმირი ის არის, ვისაც ოდესმე
ღვთიური ძალა მსწრაფლ აღგზნებია,
ვისაც სიყრმითვე სამშობლოსადმი
მოყვრული ვალი გულში ჰნთებია!
ვინც მამულის მტერს ხელში ფარ-ხმალით
ამაყი გულით მიჰგებებია,
ვისაც ქვა, ბუჩქნი, მთლად ბრძოლის ველი
მტრის სისხლით წითლად შეუღებია!
ვისაც თვის ერის კვლავ სიყვარული
გულში უშლელად ღრმად დასჩნევია,
ვისაც მისთვისვე სიკვდილი მწარე
ნეტარ სიცოცხლედ მიუჩნევია!
ვინცა ტანჯულა მამულისათვის,
მაგრამ ის სხვაზე არ გაუცვლია,
ვისაც მისსავე სადღეგრძელოდა
მწარე ნაღველი მთლად დაუცლია!

1899 წ.

სოლო გოშაძე
(მოგონება)

ს. გოშაძე ჩემი სიყრმის მეგობარი იყო; დაბადებულნი ვართ ერთ წელს, სკოლაში ერთად ვსწავლობდით და ერთ მერხზე ვისხედით, ცხოვრების ასპარეზზეც ერთად გამოვედით.

ს. გოშაძე სრულიად ახალგაზრდა იყო ლექსების ბეჭდვა რომ დაიწყო მაშინდელ პროგრესულ პრესაში; მას სიკვდილამდე არ გაუგდია ხელიდან კალამი. გარდა ამისა, იგი იყო ნიჭიერი მხატვარი, კარიკატურისტი, ფოტოსაქმის ოსტატი. მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა პოეზიას, სადაც მჩაგვრელთა წინააღმდეგ მედგარი ბრძოლის ხმა ისმის. იყო გატაცებული სცენისმოყვარე და დიდ საგანმანალებლო მუშაობას ეწეოდა მშრომელ ხალხში.

1905-1907 წლების რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა და ბევრი კარგი საქმის მოთავე იყო. პოლიციის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის დააპატიმრეს და მხოლოდ მიძმე ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს. სიკვდილის პირზე ვინახულე, მითხრა: „ჩემს ლექსებს გაუფრთხილდითო". სიტყვის თქმა ძალიან უძნელდებოდა.

დასაფლავებას ბევრი ხალხი დაესწრო. პირადად მე მხვდა წილად სიტყვის წარმოთქმა. ყველა პატიოსან ადამიანს თვალზე ცრემლს ჰგვრიდა მისი კუბოს სამარეში ჩაშვება.

ვ. პაატაშვილი.
„კოლმეურნის ხმა" 1958 წ. N47

ვასილ ბარნოვი თელავში
(მოგონება)

ქართული მხატვრული პროზის დიდოსტატმა ვასილ ბარნოვმა თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები თელავში გაატარა. იგი აქ მუშაობდა მეოთხედი საუკუნის მანძილზე – მასწავლებლობდა სასულიერო სასწავლებელში, აქვე ქმნიდა ქართული ბელეტრისტიკის უკვდავ ქმნილებებს და ბოლოს, ჩვენი სასიქადულო მწერალი თელავში დაცოლშვილიანდა.

მე ბედმა მარგუნა მასთან დაახლოვება. მთელი 15-20 წელიწადი მასთან ახლო მეგობრული ურთიერთობა არ გამიწყვეტია. გარდა იმისა, რომ ვასილი ჩემი ნათესავი იყო, 4 წლის მანძილზე მასწავლიდა მშობლიურ ლიტერატურას.

მინდა მკითხველის წინაშე წარვადგინო ვასილ ბარნოვი, როგორც მასწავლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ მე ქართული ლიტერატურა ძალიან მიყვარდა და კარგადაც ვსწავლობდი, რომ უფროს კლასში სწავლის დროს თავის ხელით დამიწერა წლიური ნიშანი „4", ხოლო გამოცდებზე – „5", მაინც საშემოდგომო გამოცდა გამომაყოლა.

ზაფხული გამიმწარდა. თავს ვაკლავდი წიგნებს, მისიეე რჩევით ვმუშაობდი ცალკეულ ნაწარმოებებზე. დადგა საშემოდგომო გამოცდების დღე. გამოვცხადდი სკოლაში, მაგრამ გამოცდები ისე დამთავრდა, რომ მე არავინ გამომიძახა.

მივედი მასთან და მივმართე: ვასილ ზაქარიას-ძევ! დილას აქეთ ველოდები, მაგრამ არავინ გამომიძახა გამოცდის ჩასაბარებლად, ნუთუ არ მოვიდა ჩემი რიგი?

ვასილმა მხარზე ხელი დამკრა, გამიღიმა და მითხრა: ეგ ჩემი ფანდი იყო. მინდოდა უკეთესად გესწავლა მშობლიური ლიტერატურა, ამასთან ვიცოდი, რომ მთელ ზაფხულს წიგნს ხელში არ აიღებდი და „გამოცდა" იმიტომ გამოგაყოლეო.

ვ. ბარნოვი მეტად უბრალოდ გვექცეოდა მოსწავლეებს. სხვა მასწავლებლებივით მას ზედმეტი სახელი ვერ შევარქვით, მაგრამ „ბასილას" მაინც ვეძახდით.

მოსწავლეებთან გადამეტებულ საუბარს ერიდებოდა, მაგრამ როცა გველაპარაკებოდა, ისე მახლობელი, ისე მოსიყვარულე იყო, რომ ერთ წუთსაც ვერ მოვარიდებდით თვალსა და ყურს.

თუ ოდესმე გულს მოვაყვანინებდით, ისეთი მწარე ენით გვიმასპინძლდებოდა, რომ ხმის ამოღებასაც ვეღარ ვახერხებდით.

მაშინდელ სკოლაში მასწავლებლები არც თუ ისე იშვიათად მიმართავდნენ მოსწავლეთა ცემა-ტყეპას, მაგრამ ვასილის ხელი არავის შეხებია. თუ ძალიან მოაბეზრდებდა ვინმე თავს, ეტყოდა: „რ უ ს უ ლ ი" და ეს საკმარი იყო იმისათვის, რომ აბეზარი მოწაფე მერხზე გაყინულიყო.

ჩვენს ეპოქაში ისეთი თვალსაჩინო მოღვაწეები, როგორიც ვასილ ბარნოვია, ღირსეულად ფასდებიან. ამისი მკაფიო დადასტურებაა მისი დაბადებისთ 100 წლისთავის ზეიმი, რაც თელავშიც ფართოდ აღინიშნება მიმდინარე წლის 7 და 8 ივნ.ისს.

ვ. პაატაშვილი.
გაზ. „კოლმეურნის ხმა" 1958 წ. N67.

პოეტი ზაქარია ნემსაძე

პოეტი ზ. ნემსაძე, რომელიც მოღვაწეობდა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგს, თითქმის დავიწყებას მიეცა. ბევრმა თელაველმა შეიძლება არც იცოდეს, რომ იგი დაიბადა თელავში და ცხოვრებაც კახეთში გაატარა.

ზაქარია ნემსაძე დაიბადება 1863 წლის 23 მარტს თელავში, მამამისი ივანე იმერეთიდან იყო გადმოსული და მევენახეების მოჯამაგირეობით ირჩენდა თავს. ზაქარიას მამა ადრე, 10 წლისას გარდაეცვალა. დედის ამარა დატოვებული ოჯახი დიდ გაჭირვებას განიცდიდა.

მომვალი მგოსანი 1872 წელს მიაბარეს თელავის სამოქალაქო სასწავლებელში, საიდანაც დათხოვნილ იქნა სწავლის ქირის გადაუხდელობის გამო. ამასთან მას თვალებიც დაუავადდა, აკი ნაღვლიანად მოთქვამდა იგი ერთ ლექსში:

„სწავლის დროს თვალთა მიმუხთლეს
მით უფრო მომცეს ზიანი".

მაგრამ დასძენს:

„სწავლისთვის კვლავ გული არ ნელდებოდა,
ვითარცა ბავშვსა ძუძუი,
სიზმრადაც ის მელანდებოდა,
ვერ შევითვისე სხვა საქმე,
სწავლისთვის გული კვდებოდა".

ზაქარია ფართოდ დაეწაფა თვითგანვითარებას.
ზ. ნემსაძე ლიტერატურაში ცნობილია „კახ-იმერის" (ან „კახ-ლებესლის") ფსევდო-

ნიმით. მისი ლექსები 1898-1901 წლების ჟურანლ „ჯეჯილის“ თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა.

მისი ლიტერატურული მემკუვიდრეობა დაცულია თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, რომლის შესწავლისა და გამომზეურების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის მუზეუმის ყოფილ მეცნიერ მუშაკს ნ. ყაზახაშვილს. იგი საინტერესოა, როგორც პოეტის ცხოვრების, ისე მისი დროის სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის შესასწავლად.

ზ. ნემსაძე განსაკუთრებით ეხება მშრომელი გლეხობის მწარე ხვედრს და ხოტბას ასხამს მის გამრჯე მარჯვენას:

„შენი ჭირიმე გლეხკაცო
და შენი მხნე მარჯვენისა
მთისა და ბარის მებრძოლის
და ქვეყნის დამარჩენისა,
ჭირის დროს ჭირი გიხდება,
ლხინის დროს ლხინი გშვენისა
ჭირიმე შენი ღვაწლისა
და შენი ტკბილი ენისა...
შენი ჭირიმე, გლეხკაცო
მხვნელო, მთესველო მინდვრისა,
ტკბი ლი არს შენი ნაღვაწი,
გამაძღობელი მშივრისა
თუ შენ არა ხარ ძმობილო,
სჯობს, რომ ჩვენც გავწყდეთ ყველანი“.

მას ჰქონია პროზაული ნაწარმოებებიც. 1917 წელს იგი წერს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორს ი. იმედაშვილს: „პროზაცა მაქვს ბევრი, მოთხრობები და არაკებიო“.

ზ. ნემსაძე 1894 წლიდან მსახურობდა საფოსტო გზის საყარაულოში, შემდეგ პოეტ ვაჟა-ფშაველას დახმარებით (რომელიც მას მეგობრობდა და ლექსებსაც უსწორებდა), თიანეთში მოეწყო სოფლის მწერლად. აქედან გადმოვიდა ყარაჯალაში, შემდეგ – ქისტაურში, სადაც გარდაიცვალა 1919 წლის 23 მარტს და იქვეა დასაფლავებული.

სამწუხაროდ, ზ. ნემსაძის საფლავი დაკარგულია. საჭირო იქნება მისი საფლავის მიგნება, ამაზე ალბათ ცნობებს მოგვაწვდის პოეტის თანამედროვე და მეგობარი ზ. შაოშვილი.

ეს საქმე უნდა ითავოს რ. ერისთავის ქისტაურის სახლ-მუზეუმის დირექციამ ადგილობრივი ინტელიგენციის მონაწილეობით.

ვ. პაატაშვილი.
გაზ. „კოლმეურნის ხმა“ 1958 წ. N45

ორმოცდაათი წლის წინათ, 1908 წლის 11 აპრილს (ძვ. სტ. 29 მარტს) თელავში გარდაიცვალა სოლომონ (სოლო) ესტატეს ძე გოშაძე. თელავის მოწინავე საზოგადოება დიდი მწუხარებით შეხვდა ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტის უდროოდ დაკარგვას. მაშინდელი პროგრესული პრესა ჯეროვნად გამოეხმაურა ს. გოშაძის გარდაცვალებას.

ს. გოშაძე დაიბადა თელავში 1879 წლის 16 აპრილს. სწავლობდა სამოქალაქო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ სახელმწიფო სამსახურში არ შესულა; თავისი ხანმოკლე სიცოცხლე მთლიანად შესწირა პოეზიას და მშრომელ ხალხში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. მან საკმაოდ ძლიერი პირებისაგან ჩამოაყალიბა დრამატული დასი და სახალხო წარმოდგენებს მართავდა თელავსა და კახეთის სოფლებში.

სახალხო წარმოდგენების შემოსავალი (ხშირად უფასოდ იმართებოდა) საქველმოქმედოდ იყო განკუთვნილი. თელავში დაარსებულ იქნა „უფასო ბიბლიოთეკა". გარკვეულ ხანს ამ ბიბლიოთეკის გამგედ თვითონ ს. გოშაძე მუშაობდა. მშრომელთა მომსახურების მიზნით ბიბლიოთეკიდან წიგნადი ფონდით სარგებლობა უფასო იყო. გარდა ამისა, ბიბლიოთეკის გარშემო თავს იყრიდნენ რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდები და არალეგალურ ლიტერატურასა და პროკლამაციებსაც ავრცელებდნენ მშრომელებში.

ს. გოშაძემ ბავშვობიდანვე დაიმსახურა თელავის მოსახლეობის პატივისცემა და ნდობა. ამის შედეგი იყო, რომ იგი ქალაქის გამგეობაში ხმოსნადაც აირჩიეს. ს. გოშაძე ყველგან მშრომელთა ინტერესების დამცველად გამოდიოდა. პოლიციასთან შეტაკების დროს მოკლული იქნა რევოლუციონერი ეფ. ახპატელოვი; მისიდასაფლავება გადაიქცა საპროტესტო დემონსტრაციად, ხელისუფლების ორგანოებმა სასტიკი ზედამხედველობა დააწესეს ეფ. ახპატელოვის დასაფლავებაზე, მაგრამ სასაფლაოზე მაინც შეძლო ს. გოშაძემ წითელი დროშის აფრიალება. იგი იქვე იქნა დაპატიმრებული „საეჭვო" პირებთან ერთად. სამ თვეს იჯდა ციხეში ს. გოშაძე. აქ მან მიიღო ყელის ჭლექი და მალე სიცოცხლე მოუსპო ამ სენმა.

ს. გოშაძის ლექსი პირველად დაიბეჭდა 1897 წელს „კვალის" N47-ში. ამის შემდეგ ათი წლის მანძილზე სისტემატურად ბეჭდავენ: „ცნობის ფურცელი", „შრომა", „მეგობარი", „ისარი", „ჯეჯილი" და სხვა ჟურნალ-გაზეთები. ზოგიერთი მისი ლექსი შევიდა ქრესტომათიებსა და კრებულებში ავტორის სიცოცხლეშივე.

ს. გოშაძის გამოქვეყნებული ლექსების დიდი ნაწილი 1927 წელს ცალკე წიგნად გამოსცა პოეტმა ი. გრიშაშვილმა. გარდა ამისა, ს. გოშაძის კალამს ეკუთვნის 100-ზე მეტი გამოუქვეყნებელი ლექსი. მას დაუწერია პიესებიც, რომლებიც ცენზურას არ გაუშვია და საარქივო მასალებშია გაბნეული.

ს. გოშაძის ნაწერების მთლიანად გამოქვეყნება თვალსაჩინოდ გაამდიდრებდა ქართული მწერლობის საგანძურს.

ს. გოშაძის შემოქმედებაში ძირითად მოტივად გაერთიანებულია ბრძოლა თვითმპყრობელობისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. იგი სამიჯნურო გრძნობასაც კი იმის მიხედვით აფასებს, თუ რამდენადაა გამსჭვალული საზოგადოებრივი კეთილდღეობის შინაარსით. ასეთივე მიდგომითაა შექმნილი პოეტის საბავშვო ლექსებიც.

რუსეთის პირველი რევოლუციის მგზნებარე ძალა წინასწარ იგრძნო პოეტმა და აღტაცებით უმღერა მას:

„ქარიშხალო, მეხი სტყორცნე,
ნაპერწკალი დააკვესე,
იბობოქრე და სიბრაზით
შხამ-ნაღველში ეშვი ლესე!
მაინცგველის განთიადი,–
მით ხალისობს ჩვენი მაჯა;
უნაყოფოდ არ ჩაივლის
ამდენი ხნის შრომა-გარჯა".

მწერალს სწამს, რომ ბედნიერების მომტანი იქნება მოპოვებული მომავალი;

„ხედავ... ხედავ, ჩემო კარგო,
ცის ტატნობზე სხივი მოჩანს,
გაუმარჯოს წინამორბედს,
გაუმარჯოს შვების მომტანს!"

რევოლუციის პერიოდში ხალხის მასების აზვირთება უსაზღვრო სიხარულს იწვევს პოეტის მგზნებარე გულში და სიყვარულით აღავსებს მას:

„ზღვავ უპოვარო, მაშინ მიყვარხარ,
აბობოქრებულს რომ გადმოგყურებ,
შავ-კლდეს გულს უპობ შხამით გავსებულს,
შემზღუდველ კიდეს წამს ანადგურებ!..."

მგოსნის ხმა ძლიერ მოწოდებად გაისმის, მას წითელი დროშა უძლეველობის სიმბოლოდ მიაჩნია:

„ძლიერია ჩვენი დროშა,
გულს უღელვებს გრძნობით მრავალს, –
ზედ სწერია: „ბრძოლა მჩაგვრელს
და დამხობა ქვეყნის მტარვალს!..."

რევოლუციის დროებითმა დამარცხებამ მგოსნის სულში ვერ შეაკრთო მომავლის ცხოველი იმედი და სიყვარული; სამარეშიც კი გაიხარებს მისი დამიწებული გული მშრომელთა თავისუფლების მოპოვების შემდეგ:

„თავისუფალო სიოვ, შენ გვედრი,
თუ ადრე შემხვდეს სიცოცხლის ბოლო,
ეს ხმა ერისა გულში ჩაიკარ
და ოდეს ჩემკენ გამოიქროლო,
სამარის კარზე ყვავილის ბუჩქი
აამღელვარე, ააბიბინე, –
უამბე შვება ჩაგრული ხალხის,
ნეტარი ცრემლით ააქვითინე.
მე კი, ვით სატრფოს ცივ სამარეში,

მკერდს მომაპკურებს ამ წმინდა ცვარებს,
და გამარჯვებას დიადი აზრის
გაცივებულ გულს მაინც ახარებს!...“

სოლო გოშაძის შემოქმედების ხანმოკლე პერიოდიც კი ნათელისურათია იმისა, თუ იგი როგორც მოქალაქე და პოეტი რა ჭეშმარიტი ძალით იყო დაკავშირებული თავისი ჴამშობლოს და მშრომელიხალხის მომავალთან, რომლის სიყვარულით გამთბარია მისი პოეზიის ყველა სიტყვა.

ალ.გვენცაძე
გაზ. „კოლმეურნის ხმა“ 1958 წ. N47

აკაკი თელავში

გაზეთი „ივერია“ 1896 წლის 18 სექტემბერს (N200) შემდეგს აცხადებს ქრონიკაში: „თელავი: 13 სექტემბერს საღამოს 11 საათზედ, აქ მოვიდა თავ. აკაკი წერეთელი. მეორე დღეს, 14 სექტემბერს, აკაკი ალავერდში წავიდა. ჩვენი პოეტი კახეთ-ქიზიყის მოვლას აპირებს“.

ჩვენ დავძებნეთ ამის დამადასტურებელი სხვა ცნობები, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს წავაწყდით. აკაკი წერეთლის ვრცელ ბიოგრაფიებშიც არაა ამის მსგავსი გაკვრითი ჩვენებაც კი. თუ „ივერიის“ ქრონიკის ცნობა რეალურია, მაშინ გამოდის, რომ 1898 წელს აკაკი მესამედ ყოფილა კახეთში.

* * *

ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობის შემდეგ ყოველ 20 ივლისს (ძვ. სტილით) თელავში იმართებოდა „ილიაობა“. 1911 წელს მომწყობ კომისიას მიუღია ცნობა, რომ აკაკის აქვს სურვილი „ილიაობას“ დაესწროსო. ამ სასიხარულო ცნობის შემდეგ შეუდგენიათ მგოსანთან შეხვედრის გეგმა, რომელიც უაღრესად ფართო ჩანაფიქრს წარმოადგენდა. შეხვედრის ცერემონიალში მონაწილეობას მიიღებდა 40-50 ცხენოსანი. ერთ-ერთი ჭაღარა ცხენოსანი გამოწყობილი იქნებოდა თეთრ ტანსაცმელში. ორივე მხარეზე მასთან იქნებოდნენ შავებში გამოწყობილი მხედრები. ყოველივე ეს სიმბოლიურად ასახავდა იმ ფაქტს, რომ საქართველო კოლონიურ ტყვეობაში ჰყავს მეფის ორთავიან არწივს და საჭიროა მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლა. შეხვედრა უნდა მომხდარიყო შუამთასთან.

შეხვედრა აღარ განხორციელებულა, რადგან აკაკი, ერიდებოდა რა ასეთ ფორმალურ ამბებს, შეუმჩნევლად შემოსულიყო თელავში და სასტუმროში დაბინავებულიყო. „სახალხო გაზეთი“ (N351) 14 ივლისს წერდა: 8 ივლისს აკაკი მოვიდა თელავში. თბილისიდან იმგზავრა „ომნიბუსით“. 13 ივლისს წაიკითხავს ლექციას. 20 ივლისს დაესწრება „ილიაობას“.

კორესპონდენციას ხელს აწერს „დავიწყებული“. ცნობილია, რომ ამ ფსევდონიმით მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობდა ჩვენი მხცხოვანი პრესის მუშაკი და საზოგადო მოღვაწე ივანე დიმიტრის ძე პაატაშვილი.

აკაკის ამ მოგზაურობას ფართოდ აშუქებდა „დავიწყებული“ პრესაში. გარდა ამისა, თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს წერილობით მოეპოვება ივ. პაატაშვილის ვრცელი მოგონება აკაკის ყოფნის შესახებ კახეთში.

„სახალხო გაზეთი“ 29 ივლისის ნომერში აქვეყნებს „დავიწყებულის“ კორესპონდენციას სათაურით: „ილიას საღამო თელავში“.

აკაკის ამ უკანასკნელ მოგზაურობას ის თავისებურება ახლდა, რომ დიდი ილია უკვე სამარეში განისვენებდა. თელაველებმა ახლა განსაკუთრებული ელფერი მისცეს „ილიაობას“, რადგან ილიას საქმისათვის დიდი თანამებრძოლი ესწრებოდა მას. „ილიაობას“ მზადებაში გულისხმიერად ჩაებნენ: ვ. კახიძე, ნ. მამინაიშვილი, ივ. პაატაშვილი, შ. დადიანი და სხვ.

„ილიაობა“ ჩატარდა 20 ივლისს კლუბში. აკაკის ცოტა დაჰგვიანებოდა ილიას საღამოზე მოსლვა (სოფელში ყოფილიყო). დარბაზში აკაკის გამოჩენას დიდი აღტაცებით შეხვდნენ თელაველები. შოპენის სამგლოვიარო ჰიმნის ქვეშ აკაკი სცენაზე ავიდა და დაფნის გვირგვინით შეამკო ილიას სურათი. საზოგადოებამ ფეხზე ადგომით, სამარისებური სიჩუმით ნახა და მოისმინა ყოველივე ეს. შემდეგ პოეტი ჩამოიყვანეს სცენიდან და დარბაზში საგანგებოდ მომზადებული სავარძელი შესთავაზეს. საზოგადოების ოვაციებს დასასრული არ ჰქონდა. ილიას საღამოს დამთავრების შემდეგ გაიმართა ვახშამი, რომელსაც აკაკიც ესწრებოდა. აკაკის წაუკითხავს ლექსი „მთაწმინდა“, რასაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია საზოგადოებაზე.

„ილიაობის“ შემდეგ აკაკის საპატივსაცემოდ თელაველებმა მოამზადეს დიდი ნადიმი, რომელიც 21 ივლისს ჩატარდა. აკაკის რომ გაუგია სანადიმო თადარიგი, უარი განუცხადებია და უთქვამს: უმჯობესია, თელავში შექმენით საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების განყოფილება და ნადიმისათვის საჭირო ხარჯების ფული იქ შეიტანეთო. ივ. პაატაშვილი მოგვითხრობს: სასწრაფოდ შევაგროვეთ 30 წევრი, შევკრიბეთ 3-3 მანეთი, გადავუგზავნეთ თანხა ამ საზოგადოების გამგეობას. წევრთა სია და ფულის გადაგზავნის ქვითარი წარვუდგინეთ აკაკის და ვთხოვეთ ნადიმის ნებართვა. მანბოდიში მოიხადა და გვითხრა: ეს ხომ ორმაგ ხარჯებში ჩაგაგდეთო.

ნადიმი გაიმართა ისტორიული ჭადრის ქვეშ. ნადიმს ხელმძღვანელობდა ვ. კახიძე, მწერალ რაფიელ ერისთავის სიძე, რომელიც მანამდეც კარგად იცნობდა აკაკის.

ნადიმზე აკაკისათვის სიტყვით მიუმართავთ: ვ. კახიძეს, შ. დადიანს, ნ. მამინაიშვილს, ნ. მთვარელიშვილსა და სხვებს.

ნადიმში მონაწილეობდა მომღერალთა სამი გუნდი, იყო დუდუკიც, მოწვეული იყო „დედას ლევანას“ გუნდი შილდიდან, მეორე გუნდი ნაფარეულიდან, მესამე გუნდი შედგა თელაველი საუკეთესო მომღერლებისაგანკომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის ხელმძღვანელობით. როდესაც კახურ ხალხურ სიმღერებს ისმენდა მხცოვანი მგოსანი, აღტაცებაში მოდიოდა და ჩუმ-ჩუმად ცრემლებიც სცვიოდა თვალთაგან. აკაკიმ ნადიმზე წარმოთქვა სიტყვა, რომელიც შემდეგ გამოქვეყნდა „სახალხო გაზეთის“ 3 აგვისტოს ნომერში (N368).

თელაველებმა სპეციალურად გამართეს „აკაკის საღამო“ 21 ივლისს. ამის შესახებ ცნობას აქვეყნებს „სახალხო გაზეთი“ 4 აგვისტოს ნომერში (N369). სცენის მოყვარულთა ადგილობრივ დასს დაუდგამს აკაკის „თამარ ცბიერი“. წარმოდგენის შემდეგ ავტორს „თამარ ცბიერის“ დახასიათება წაუკითხავს. საზოგადოებამ ფეხზე ადგომით ოვაციები გაუმართა მგოსანს და მიართვა დაფნის გვირგვინი; მსმენელებმა ვარდ-ყვავილებით აავსეს სცენა. „თამარ ცბიერის“ წარმოდგენაში მონაწილეობდნენ: შ. დადიანი, პელაგია მამინაიშვილი, კანდელაკი (ქალია) და სხვ.

31 ივლისს აკაკი ყვარელში მიიწვიეს. ილიას სამშობლო ყვარელმა დიდ საზეიმო ვითარებაში მიიღო აკაკი. აკაკის თან ახლდნენ: მამინაიშვილი, ე. ანდრონიკაშვილი და შ. დადიანი.

„სახალხო გაზეთის" 9 აგვისტოს ნომერში (N372) „დავიწყებული" კორესპონდენციაში წერს: 6 აგვისტოს გაიმართა სეირნობა, რომელსაც ესწრებოდნენ: ბ. ახოსპირელი, დ. თურდოსპირელი, გ. ქუჩიშვილი, ნ. შიუკაშვილი, შ. დადიანი; თან დასძენს, რომ აკაკიც თელავში იმყოფებაო. როგორც ჩანს, თელავში აკაკი თითქმის ერთ თვეს დარჩენილა.

თელავში ყოფნით უსარგებლია აკაკი წერეთელს, ყოფილა რ. ერისთავის სამშობლო სოფელში – ქისტაურში. უნახავს რაფიელის საფლავი და დიდი პატივისცემით მოუხსენებია მისი შემოქმედება. აკაკის უსაუბრია რაფიელის მომსწრე ქისტაურელ გლეხებთან.

აკაკი სტუმრად მიუწვევია კისისხეველ ს. ქობულაშვილს. ნადიმზე ყოფილან გლეხებიც, რომლებიც ცალკე მსხდარან ეზოში. აკაკი მისულა გლეხების სუფრასთან, დაულევია მათი სადღეგრძელო და წარმოუთქვამს „მთაწმინდა". გლეხებს იმდენად მოსწონებიათ ეს ნაბიჯი და ლექსის შინაარსი, რომ აღტაცებულებს გულწრფელი მადლობა უთქვამთ პოეტისათვის.

კისისხევიდან წამოსულ მგოსანს შარა-გზაზე დახვედრია მ. ჭავჭავაძე, რომელმაც აკაკი მიიწვია ოჯახში. წინანდალში ძვირფასმა სტუმარმა დაათვალიერა ალ. ჭავჭავაძის კარმიდამო და ჭავჭავაძისეული საუფლისწულო მამული.

1911 წლის 21 ივლისს თელავში ნადიმზე თქმულ სიტყვაში აკაკი მომავლის დიდ რწმენას გამოხატავს. მგოსანი ამბობს, რომ ხალხი ჩემისთანებს გმირებად გვთვლის, მაგრამ ჩვენ მხოლოდ აჩრდილები ვართ იმ გმირებისა, მაგრამ წინამორბედნი: „დიახ ჩვენ ვართ მხოლოდ წინამორბედი, ძალიან სუსტი წინამორბედი და მახარობელი მათი!... შემიძლია გიმახარობლოთ, რომ ის გმირი მოგევლინებათ. ამ შავ დღეში, როგორც ახალგაზრდა ქალებში, ასე ახალგაზრდა კაცებშიაც მე ვხედავ ნიშნებს!" და შემდეგ: „მე ვერ მოვესწრები იმ მომავალი გმირის მირქმას, მაგრამ გულში იმედებით კი ჩავალ საფლავში და ჩემიუკანასკნელი სიმღერა იქნება: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს".

* * *

აკაკისათვის ეს უკანასკნელი მგზავრობა იყო თელავში. ახლა უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ აკაკი სამჯერ მაინც იყო თელავში (1882, 1897, 1911 წ.წ.); ხოლო თუ 1898 წლის „ივეგრიის" ქრონიკის ცნობასარწმუნოა, მაშინ გამოდის, რომ აკაკი წერეთელი ოთხჯერ ყოფილა თელავში.

შესაძლებელია, რომ 1898 წელს აკაკიმ მართლაც იმოგზაურა კახეთში, მაგრამ იგი დაკმაყოფილდა მხოლოდ ალავერდობაზე დასწრებით, შეხვედრები არ ჰქონია და პრესაშიც არ ასახულა ეს ყოფნა სათანადოდ.

უნდა შევეხოთ ერთ მოვლენასაც: გაზეთი „ხმა კახეთისა" (გამოდიოდა სიღნაღში (1913 წლის N74-ში (პირველი აგვისტო) ბეჭდავს აკაკი წერეთლის ლექსს „კახელებს". ამ ლექსს გაზეთში თარიღი არ უზის. ლექსში ნახსენებია გაზეთი „ხმა კახეთისა", რომელმაც გამოსვლა დაიწყო 1912 წლის შემოდგომიდან. უნდა ვიგულისხმოთ რომ, ლექსი „კახელებს"1912 წელზე ადრე არ იქნებოდა დაწერილი, მაგრამ ანგარიში უნდა გავუწიოთ ერთ ფაქტს, ლექსი იწყება ასე:

„ორჯერ ვყოფილვარ კახეთში
მე მგზავრად ცოტა ხნობითა!
და ისევ დავბრუნებულვარ
სხვადასხვა გვარის გრძნობითა".

როგორც ცნობილია, 1882 წელს კახეთში ყოფნის შემდეგ აკაკი დიდი აღტაცებით ბრუნდება უკან და ბევრი რამ კარგი შენიშნა საზოგადოების პატრიოტულ განწყობილებებში; მაგრამ 1897 წელს კახეთში მოგზაურობამ პოეტს დაანახვა, რომ ჩარჩ-ვაჭრებისაგან ძალიან შევიწროვებულია ხალხი; გარდა ამისა, მან შეამჩნია, რომ თავად – აზნაურობის დაცემა სწრაფი ნაბიჯით ხდებოდა, მათი მამულები ბურჟუაზიას უვარდებოდა ხელში. სწორედ ასეთი შინაარსითაა გამსჭვალული ლექსი „კახელებს".

ახლა, შეიძლება, გამოითქვას სავარაუდო მოსაზრება, რომ ლექსი „კახელებს" დაწერილია 1897 წელს, მაგრამ არ გამოუქვეყნებია. როდესაც „ხმა კახეთის" რედაქციამ 1913 წელს შეუკვეთა აკაკის ლექსი, მგოსანმა ისარგებლა და ძველ ლექსს მიუმატა ერთი სტროფიც:

„დეს კი მომეცა ნუგეში
მომავლის უკეთესისა!...
და ამ ტკბილ ნუგეშს იძლევა
გაზეთი „ხმა კახეთისა".

რა თქმა უნდა, სიღნაღში იმ დროს გაზეთის გამოცემა აკაკი წერეთელს ძალიან მნიშვნელოვან მოვლენად მიუჩნევია, მაგრამ პირველ სტრიქონში მანამდე არსებული სიტყვა „ორჯერ" არ გაუსწორებია და მექანიკურად ძველი რედაქციით დარჩა. თორემ უდავოა, რომ 1913 წლამდე აკაკი ოთხჯერ თუ არა, სამჯერ მაინც აუცილებლად იყო კახეთში.

შემდეგისათვის ჩვენ კიდევ მოგვიხდება მასალების შეკრება და დაზუსტება აკაკი წერეთლის კახეთში მოგზაურობათა შესახებ. ყოველივე ახალს, გარკვეულ ცნობას ვაუწყებთ გაზეთ „კოლმეურნის ხმის" მკითხველებს.

* * *

ჩვენ გულწრფელად გვწამს, რომ თელაველები ამაყობენ აკაკი წერეთლის რამდენჯერმე ყოფნით თელავში. ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი როსტომის ძე წერეთელი 1911 წელს ყვარელში რომ იმყოფებოდა, ილიას მშობლიური სოფლის მოსახლეობისაგან ხშირად ესმოდა: ჩვენი ილია, ჩვენი შვილი, ყვარლის მზე!

ამის შესახებ აკაკიმ ყვარლელებს ასეთი არაკი უთხრა: ერთ გლეხს ეგონა, რომ მზე მათი სოფლის გორაკიდან ამოდიოდა, ავიდა ამ გორაკზე მზის დასაჭერად, ხედავს რომ მზე მეორე გორაკიდან ამოდის, ახლა იქ ავიდა; დაინახა, რომ მესამე გორიდან ამოდის მზე... და ასე გაგრძელდა მეოთხე, მეხუთე გორებზედაც. ბოლოს გლეხმა ამის შესახებ შესჩივლა ერთ განდეგილს, რომელმაც უპასუხა: მზეს ვერავინ დაიჭერს, იგი ყველგან ამოდის და ყველასათვის ანათებსო.

აკაკიმ დაასკვნა: მზესავით დიდებულია ილიას სახელი, მისი სამშობლო მხოლოდ ყვარელი კი არა, არამედ საქართველოს ყველა კუთხეა და ყველასათვის ანათებსო!

დიდებული აკაკის შესახებ მისივე სიტყვებით უნდა ვთქვათ: აკაკი წერეთლის სამშობლო საქართველოს ყველა კუთხეშია, და მისი ნიჭის უკვდავი ნაყოფი ყველასათვის მგზნებარედ ანათებს.

ალ. გვენცაძე.

„კოლმეურნის ხმა" 1960 წ. N133

სად ცხოვრობდა ვაჟა-ფშაველა?
შევისწავლოთ თელავი, მისი წარსული!

ჩვენი ქალაქი დიდი წარსულის მქონეა. იგი მრავალი ქართველი მწერლისა თუ საზოგადო მოღვაწის გამზრდელი და დამკაცებელია. წლების განმავლობაში აქ ცხოვრობდნენ და მხატვრული სიტყვის შედევრებს ქმნიდნენ ვასილ ბარნოვი, რაფიელ ერისთავი და სხვები.

თელავის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდნენ ალ. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და სხვები. ვაჟა რვა წლისა ყოფილა, როცა მშობლებს აღნიშნულ სასწავლებელში მიუბარებიათ. აქ მას 1869 წლიდან 1875 წლამდე უსწავლია.

ექვსი წლის განმავლობაში ვაჟა თელავის მაშინდელი მოწინავე საზოგადოების სიხარულით ხარობდა და ოცნებობდა.

ყველა ჩვენთაგანისათვის ნათელზე ნათელია, თუ როგორ დიდად აფასებს ხალხი, ჩვენი მშობლიური მთავრობა ვაჟას ღვაწლსა და ამაგს. .

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ვიცოდეთ, სად ცხოვრობდა ვაჟა-ფშაველა მაშინ, როცა აქ, თელავის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. თელავში ვაჟას საცხოვრებელი სახლის მოკვლევა და მასზე მემორიალური დაფის გაკეთება კიდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენი ქალაქის ისტორიულ ადგილებს, მის ღირსშესანიშნაობებს.

არ. სპარსიაშვილი,
პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი.
„კოლმეურნის ხმა“ 1959 წ. N141

თავი V. განმარტება-ძიებანი

&1. „ალავერდის“ სახელწოდებისათვის

სახელწოდება ალავერდის ეტიმოლოგიაზე სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული. მკვლევართა ნაწილი ამ სახელს უკავშირებს ალვანს (ან ალბანეთი კავკასიისა, ან აზერბაიჯანს); ალვანგვერდს (ვახუშტი ბატონიშვილი, ს. ჯანაშია, ვ. ელანიძე); ზოგი მას მიიჩნევს ინგუშურ სიტყვად (ბ. ალბოროვი); ზოგი – ნოვა-თუშურად (ა. შანიძე). მიანიშნებს ეკა კაჭარავა სტატიაში „ალავერდის საეპისკოპოსო“1, თავად არ გვთავაზობს საკუთარ დამოკიდებულებას.

„ალავერდის“ განმარტების მცდელობაა დ. მერკვილაძის სტატიაში – „ალავერდის სავანის დაარსების ისტორიიდან და მისი სახელწოდების შესახებ.“2

ა). სახელწოდება „ალავერდის“ მნიშვნელობას პირველად ვახუშტი ბატონიშვილი შეეხო – ალავერდმა „მოიგო სახელი ალონის გამო, რომელ არს ალონ გუერდს, და შემდგომად ყრუსა უწოდეს ალავერდი“.

ჩვენ სასურველად მიგვაჩნია ერთგვარად, მცირედ მაინც განმარტებულიყო სიტყვა „ალონი“-ს შინაარსი, რაც მოგვცემდა შესაძლებლობას გაგვერკვია გეოგრაფიული ადგილმდებარეობის თუ დასახლებული სოფლის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა იგი. ვახუშტის მტკიცებაში ეჭვი არავის არ შეუტანია დღემდე. ჩვენი ვერსია სრულიად განსხვავებული სახით გვაქვს ჩამოყალიბებული ცნობილი განმარტებების შესწავლის შედეგად.

ბ). „ალავერდის“ შინაარსის გამოკვლევა კვლავ შეადგენს მკვლევარ-მეცნიერთა დაინტერესების საგანს: 1. XIX-ს-ის პირველ ნახევარშიც ჩანს სიტყვა „ალავერდის“ ისლამურ-რელიგიურ საწყისებზე ყოფილა გავრცელებული. ასეთი შეხედულების საპირისპიროდ პლ. იოსელიანი აღნიშნავს – მონასტრის სახელწოდება მომდინარეობს არა „თათრულ“ სიტყვა ალავერდიდან, რაც ნიშნავს „ღმერთმა მოგვცა“, არამედ სოფელ ალვანიდან, რომელიც მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს მდებარეობს ტაძრიდან ოთხ ვერსზე. მისი მტკიცებით, მდინარის მთელ გაღმა მხარეს ძველად ალვანის გვერდი ერქვა, საიდანაც მომდინარეობს სახელწოდება ალავერდი.


კვლავ საეჭვოდ მიგვაჩნია „ალავერდის“ გაიგივება ალვანის გვერდთან, რადგანაც, ვფიქრობთ „ალავ-ერდი“ და „ალვან-გვერდი“ სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელი ცნებებია, განსხვავებული ვითარების თუ მდგომარეობის აღსანიშნავად. პლ. იოსელიანი თითქმის ზუსტად იმეორებს და ემყარება ვახუშტის ცნობას. ამასვე იყენებს გ. ჩუბინაშვილი ალავერდის შესწავლისას.


2009 წელს გამოცემულ ნაშრომში – „საეპარქიო სავანეები კახეთში“ მივუთითებდით: „უძველესმა ქართულმა აზროვნებამ – მწერლობამ, ლეგენდა-თქმულებებმა, ზეპირსიტყვიერებამ თაობებს შემოუნახა ქრისტიანობის დამცველთა თავგადასავლები. ცხადია ისტორიული ეპოქების მოვლენები ახალ მოთხოვნებს უყენებდა საერთოდ საქართველოს სახელმწიფოებრიობას და მასთან ერთად ქართულ სულიერებას. ქართული ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესია თავისი ბრძენი სასულიერო მამების მეოხებით იცავდა ქვეყნის ქრისტიანულ სიწმინდეებს და ამასთან მთლიანად საქართველოს ყველაზე ძნელ წლებში“.

ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად არის მცდელობა თავისი უზენაესი ღირსებებით წარმოჩინდეს კახეთში მოღვაწე სულიერ მამათა მდიდარი გამოცდილება. ასევე პირველად არის გაანალიზებული მდიდარი საარქივო მასალა პირადი ოჯახური არქივიდან

კახეთში მომქმედი ადრეული თუ ახლად შექმნილი ქრისტიანული ეპარქიების – ალავერდის ეპარქია, ბოდბის ეპარქია, ნეკრეს-ჰერეთის ეპარქია, გურჯაანი-ველისციხის ეპარქია, საგარეჯო-ნინოწმინდის ეპარქია, – მოღვაწეობის შესახებ.

ქართლის ცხოვრების IV ტომში ვ. ბატონიშვილი გვაცნობებს ალავერდისათვის: – „ამ შტორის ხევს ზეით, ალაზნის დასავლით, არს ალავერდი, კახეთის მთის კალთის ველთა ზედა, დიდშენი, ზღუდე-პალატებიანი, გუმბათიანი, რომელმანც მოიგო სახელი ალონის გამო, რომელ არს ალონგუერდს, და შემდგომად ყრუსა უწოდეს ალავერდი".





N1. ძველი თელავის და ალავერდის კახეთის ხედი
N2. განახლებული თელავი

გ). სახელწოდება ალავერდის მნიშვნელობა აკაკი შანიძემ შესაძლებლად მიიჩნია წოვა-თუშური ენის საფუძველზე (წოვა-თუშური ენა მიჩნეულია ქისტურ-ბასბური ენის შტოდ, იგი უნიკალურია, მას იყენებენ მხოლოდ ერთი სოფლის მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლები), რადგან იგი ისეთ სახელებს ემსგავსება, „როგორებიცაა გაბერდი და ტყაბაერდი".

ვფიქრობთ, ასეთი მსგავსება ნაკლებად მისაღებია „ალავერდის" ეტიმოლოგიასთან მიმართებაში და წოვა-თუშური უძველესი ენის საფუძველზე მისი ახსნა სრულყოფილი არ იქნება.

დ). „ალავერდის" სახელწოდებას სრულიად განსხვავებულ და უცნაურ სახელწოდებად მიიჩნევს გ. ჩუბინაშვილი – „ვახუშტისეული ალონგვერდი" მან ახსნა როგორც ალონის ანუ ალბანელების მომიჯნავე".

ჩვენი ვარაუდით მეცნიერი ეძებს ალბანელებთან (კავკასიის ალბანეთი) ურთიერთობის ეკონომიკურ, სოციალურ და სარწმუნოებრივ საფუძვლებს. გ. ჩუბინაშვილისათვის ტერმინი „ალავერდის" მნიშვნელობა ქართული ენის ფუძეების საფუძველზე გაუგებარი იყო.

ე). ტერმინ „ალავერდის" ახსნა სცადა ა. ალბოროვმა ინგუშური ენის მოშველიებით. მეცნიერმა მოიმარჯვა ინგუშურიდან სიტყვები: „ალაუ" და „ერდი" („ალა" ქართულად ნიშნავს ალს), ამით სცადა სრულიად დაესაბუთებინა ალავერდის ინგუშური წარმომავლობა და თარგმნა, როგორც „ცეცხლის (ან კერის) ღმერთი".

ცხადია ასეთი შეხედულების არსებობას აქვს უფლება. ის ჩვენთვის სრულიად მიუღებელია, რადგან ასეთ მოსაზრებას ქართული სულიერება გადაჰყავს ე.წ. „ცეცხლთაყვანისმცემლობის" ხანაში, რაც არასდროს არ ყოფილა დამახასიათებელი საქართველოს არც ერთი მხარისათვის. ამდენად, ასეთი ხელოვნური შეერთება-შერწყმა უცხო (ინგუშური) სიტყვებისა ვერ ჩასწვდება ალავერდის შინაარსს.

ვ). სიტყვა ალავერდი სამ ნაწილიან ერთეულად დაყო ლეონ მელიქსეთბეგმა: – „ალ-ევერ-დო". ეს თითოეული ცალ-ცალკე დაუკავშირა სხვადასხვა გეოგრაფიულ სივრცეს. ასე, მაგ.: „ალ" კომპონენტი ჩანს „ალვან" („ალბან"-სა და „ალაზან", „ალაზონში"). „ევერ" კი „ბერ"-ის სახესხვაობაა (შულავერი, წაღვერი), მესამე ნაწილი „დო" ჩნდება სახელწოდებებში (დოდო, დიდო, ლადო, თურდო).

არ არის გამორიცხული თითოეული კომპონენტი შეიცავდეს რაიმე მინიშნებას ადგილმდებარეობის აღსანიშნავად, მაგრამ ვერ გავიზიარებთ აღნიშნულ კომპონენტების შეგროვება-შერწყმის მეთოდით ალავერდის განმარტების ვერსიას.

ზ). XX-საუკუნის 70-იანი წლებიდან გამოჩნდა ამ სახელწოდების „ალავერდის" ბუნდოვანი წარმომავლობის ახსნის მცდელობა უძველესიქართული ბოტანიკური მონაცემების გამოყენებით:

1. ჯ. ლომაშვილი გამორიცხავს „ქრისტიანული სარწმუნოების ერთერთ ცენტრს" ჰრქმეოდა არაბული სახელი – ალაჰვერდი. არაბები გამოჩნდნენ ერთი საუკუნით გვიან „ვიდრე საეპისკოპოსო ეპარქიები (მათთან ალავერდისაც) დააარსა ვახტანგ გორგასალმა. V-VI-საუკუნეთა მიჯნაზე, ისლამი, როგორც რელიგია, ასპარეზზე გამოდის VII-საუკუნიდან.

ვფიქრობთ ვახტანგ გორგასალის ქრისტიანული სარწმუნოების სიყვარული განპირობებული იყო ეპოქის მოთხოვნით, მიუხედავად პირადი ოჯახური გარემოებისა: მისი მამა მირდატი დაქორწინებული იყო რანის ერისთავის ბარზაბოდის ასულ საგდუხტზე. ვახტანგის დედამ, წარმოშობით სპარსმა საგდუხტ დედოფალმა საქართველოს მომავალი მეფე აღზარდა ქრისტეს სიყვარულით, ხოლო ვახტანგის მეუღლე ბალუნდუხტი იყო

სპარსეთის შაჰის ჰორმოზის ასული.

იგი, ჯ. ლომაშვილი იშველიებს სულხან-საბაორბელიანის სიტყვის კონას, სადაც ალავერდი ბალახად არის მოხსენებული – „ალავერდი" – „თათრული იონჯას აღმნიშვნელი-შესატყვისია". თათრულში ნაგულისხმევია სპარსული, სწორედ სპარსეთი იყო საკვები ბალახეულის იონჯას სამშობლო, ამიტომ შეიძლება „ალავერდობა ძველი წარმართული დღესასწაული ყოფილიყო იონჯას მოსავლის აღსანიშნავად".

ავტორი სხვა, განსხვავებულ ვერსიასაც გვთავაზობს, ქართულ ხალხულ ზეპირსიტყვიერებაზე დაყრდნობით აცხადებს – „ალავერდი შეიძლება სპილენძის სასმისსაც რქმეოდა", რადგანაც სუფრასთან სადღეგრძელოს გადასვლის აღსანიშნავად ითქმის – „ალავერდს შენთან მოვდივარ", რაც რაიმეს გადაცემას უნდა ნიშნავდეს.

გამორიცხული არ არის შემოთავაზებულ ვერსიებში არსებობდეს სინამდვილის რაიმე მარცვალი, მაგრამ შეუძლებლად მიგვაჩნია ასეთი შეხედულებები დამკვიდრებულიყო ერის ცხოვრებაში.

2.6. წულეისკირი საუბრობს ერთ პატარა ეკლესიაზე მარტვილის რაიონში, სახელწოდებით „ალერტი", დიდ დღესასწაულზე საჭყონდიდოში – „ალერტობაზე". ამ ალერტობას აიგივებს ალავერდობასთან: „ალერტიც და ალავერდიც ორივე წმინდა გიორგის სალოცავია". ორივე სალოცავის სახელს ძირად „ალერდ"-ს ვარაუდობს, რაც სულხან-საბას მიხედვით არის ნედლი თივა, ხოლო ა. მაყაშვილის ვარაუდით იონჯა უნდა იყოს.

ასე გამოიხატება მცენარეული კულტის შესაძლო ვერსია ალავერდის სახელწოდების გაგებისათვის. ვფიქრობთ მოტანილი მაგალითები გვიტოვებენ დაეჭვების, დაუჯერებლობისა და კრიტიკის განცდას.

ისტორიკოსი და ფილოლოგი მეცნიერები გვთავაზობენ კახეთის ეტიმოლოგიურ თავისებურ და მეტად მნიშვნელოვან განმარტებებს:

ფილოლოგიის პროფესორი ნ. გოგოჭური სიტყვა „კახეთის" წარმომავლობის ძირს ეძებს ქართულ, ფხოვურ ლექსიკაში. არც თუ უსაფუძვლოდ მიიჩნევს ხევსურთა მეტყველებაში ოდითგანვე შემორჩენილი სიტყვის – „კოხი" (რაც ნიშნავს უხეშ, კუშტ გამოთქმას და არა დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ სიტყვებს, რაც სეტყვის გამომხატველია).

ხევსურთაგან საუბარში გამოთქმულ უკმეხ სიტყვაზე ხმარობენ „კოხად საუბრობას" ამიტომ ხალხის მეტყველებაში შემორჩენილი და ხმარებაში მოქცეული სიტყვის – კოხი – მიაჩნია კახეთის გეოგრაფიული მდებარეობის, კახეთის სახელწოდების, კახეთის სამთავროს, შემდეგ კახეთის სამეფოს და საერთოდ საქართველოს ერთერთი ძლიერი მხარის აღმნიშვნელ ძირძველ სიტყვად. რაც გარკვეული ფონეტიკური ცვლილებების გამო შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო ქართული ენისათვის მისაღებ ცნებად – „კახეთი".

ვფიქრობთ, მეცნიერის ამ დაკვირვების სასარგებლოდ მიიჩნევა დღესაც ხევსურთა (ფხოველთა) მეტყველებაში გამოყენებული სიტყვის – კოხი – ფონეტიკური ტონალობა.

კახეთის ადგილმდებარეობისა და მატერიალური კულტურის ძეგლების ამსახველი ტოპონიმების გააზრებისას იგი, ნ. გოგოჭური ემყარება არამარტო არსებულ თუ ცნობილ შეხედულებებს, არამედ გვთავაზობს ქართულ ხალხურ მეხსიერებაში შემჩნეულ ორიგინალურ მიდგომას. კერძოდ – „ალავერდის" ტაძრის ეტიმოლოგიის ახსნის საფუძველს ეძებს ქართულ ზეპირსიტყვიერებაში აღიარებული მეტად საყურადღებო სიტყვების შინაარსზე დაკვირვებით.

„ალავერდის" ეტიმოლოგიური განმარტებისათვის იშველიებს ქართულ ლეგენდაში დამკვიდრებულ ნადირობის ქალღმერთის დალის სახელწოდებას, ამასთან ადასტურებს ხევსურთა მეტყველებაში შემორჩენილ ღრმა შინაარსიან შეგონებას – ვედრება – ვედრებული (რაც ღვთიური ძალებისადმი განსაკუთრებულ პატივს, მოწიწებას, თაყვანისცემას,

ქომაგ-მფარველობის თხოვნას უდრის). ამ შეგონებათა გაერთიანება-ერთობლიობა ასე ჩამოუყალიბდება: – ა). დალი–ვედრი (ქალღმერთ დალის სამლოცველო) ბ). დალის ვედრება – ვედრებელი (დალის სავედრებელი); გ). რაც სრულიად შესაძლებელია მივიჩნიოთ წინაქრისტიანულ, თუნდაც წარმართული რელიგიის ნიმუშად; დ). არ არის გამორიცხული, თუ ლეგენდებში შემორჩენილ თხრობას ალავერდის მშენებლობის შესახებ ეჭვით შევხედავთ, ვირწმუნოთ ალავერდის ტაძრის აგებამდე არსებობდა დალის სავედრებელი რაიმე ნიში.

ასეთი მიდგომები ჩამოყალიბდა ზეპირი საუბრისას 2011 წლის 20 ოქტომბერს.

გულმოდგინეთ შევისწავლეთ და გავაანალიზეთ დ. მერკვილაძის შეხედულებები, რომელთა ძირითად შინაარსსა და დასკვნებს მეტნაკლები სისრულით ვიზიარებთ, ვიყენებთ, ვემყარებით.

გთავაზობთ ერთი შეხედვით მარტივს, მაგრამ საინტერესო ჩვენეულ ვერსიას უცხო მკვლევართა მონაცემების გამოყენებით:

ა) ქართულ და უცხოურ სამეცნიერო წყაროებში არსებულმა აზრთა სხვადასხვაობამ გვიბიძგა სრულიად სხვაგვარად, რაც შეიძლება სრულყოფილად გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრები და ტოპონიმები ისეთი მხარეების როგორიც არის კახეთი, ჰერეთი, ალბანეთი (კავკასიისა).

ბ) ჩვენს ნაშრომში „ცოდნისკერა 70" (1939-2009), ვრცლად გადმოვეცით კახეთის და ჰერეთის უძველესი ხანის ისტორიის ჩვენეული ვერსია, სადაც სათანადო ადგილი დავუთმეთ ალბანეთის (კავკასიის) თაობაზე არსებულ და გავრცელებულ შეხედულებებს. მათ, ამ განსხვავებულ კონცეფციებს უშუალო და პირდაპირი მიმართება აქვთ ალავერდის სახელწოდების საიდუმლოს ამოხსნასთან.

გ) თეიმურაზ ბაგრატიონი გვარწმუნებს: – „ალვანია არის ერთი უკვე ნაწილი ივერიისა (ვფიქრობთ მისი დროის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფით ე.მ.), ესე იგი ყოველი კერძო კახეთი,შაქისისა, რომელი ნაწილივე კახეთის არს (აწ უწოდებენ შაქს). შარვანი ანუ შირვანი (რომელსა აწ შირვანს უწოდებენ) ვიდრე ზღვამდე კასპიისა და ვიდრე დარუბანდამდე და იგიცა".

მიგვაჩნია, საკმაოდ გავრცობილია ალბანეთის (კავკასიის ალბანეთი) საზღვრები.

დ) ნ. ლომოურის აზრით – პომპეუსი უკვე მტკვარზე გადასვლისთანავე ალბანეთის ტერიტორიაზე შევიდა. მას მიაჩნია – „იმ პერიოდში ალბანეთის ტერიტორია არა მარტო ალაზნის, არამედ ივრის დასავლეთითაც ვრცელდებოდა".

ე) თ. პაპუაშვილი ირწმუნება: – „როგორც ჩვენ დადგენილი გვაქვს ქართველთა მონათესავე (და არა ნათესავი – ე.მ.) ჰერული ტომები: თვით ჰერები, სუჯები, ლიბინიები, უტიები (იგივე უდინები), ჭილბები წარმოადგენენ იმ ეთნიკურ ჯგუფებს, რომლებიც თავდაპირველად, გარკვეულ პერიოდში (გაუგებარია რომელ პერიოდს გულისხმობს – ე.მ.) სხვა მრავალრიცხოვან ტომებთან ერთად ალბანურ გაერთიანებაში შედიოდნენ".

ამ მტკიცებულებაში არ ჩანს კახეთი თავის ტერიტორიითა და გავლენით, დააკვირდით, ვფიქრობთ დაზუსტებას ექვემდებარება შემოთავაზებული შეხედულება.

კახეთის გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული საზღვრების დადგენის ცდა არა ერთ მეცნიერ-მკვლევარს აქვს მოცემული. თავის ისტორიულ-გეოგრაფიულ გამოკვლევებში: 1. ვახუშტი ბატონიშვილი: ხოლო კახეთი და კუხეთი არიან ნაწილნი ქართლოსისა... და მისცა კახოსს საზღვარი: აღმოსავლეთით კვკასი; სამხრეთით საზღვარი ჰერეთისა, თურდო-შტორის ხევი, ვიდრე კავკასამდე; დასავლეთით მთა კახეთისა, რომელსა განჰკუეთეს, ერწო-თიანეთს, თორის მდინარე და მერმე მზღვრის მდინარე არაგვი და ჩრდილოთ მთა კავკასი. და ამათ შორის ქვეყანა არს კახეთი, ნაწილი კახოსისა და მისი სახელის გამო

ეწოდა ამას სახელი ესე, არამედ აწ უწოდებენ ფშავ-ხევსურსა (რომელთა პირველ ეწოდა ფხოელნი, თიანეთს, ერწოს, ირტოსხევს, პანკისის ხეობას, საყდრიონს და ალონს (ქართლის ცხოვრება ტ.IV, 1973. გვ. 283).

შიგნი კახეთის საზღვრებს ვახუშტი ასე წარმოგვიდგენს: „ლოპოტის წყლის შესართავს ზეით ალაზანს მიერთვის თურდოს ხევი, გამომდინარე შუამთიდამ. ეს ხევი არს საზღვარი ჰერეთისა და კახეთისა".

გარე კახეთისათვის იგი, ვახუშტი წერს: „ნინოწმინდას ზეით ერთვის იორს სამების ხევი... ესევე ხევი არს საზღვარი ჰერეთისა და კახეთისა".

2. პროფ. თ. პაპუაშვილს მიაჩნია: „...ამ შტორის ხევისა და თურდოს-ხევის ჩრდილოთი ქვეყანა არს კახეთი, ამათ სამხრითი – ჰერეთი".

3. პროფ. დ. მუსხელიშვილი კახეთ-ჰერეთის საზღვართან დაკავშირებით ამბობს: ქართლისა და ჰერეთის საზღვარი – უკიდურესი სამხრეთი პუნქტია ხუნანი, აქედან მტკვრის გასწვრივ რუსთავამდე, შემდეგ სამგორ-ჩადივრისა და გარეჯის მთის შორისი ხაზით მდ. იორამდე; აქედან სამების ხევით გომბორის გადასასვლელამდე, შემდეგ თურდოს ხევით ალაზნამდე, აქედან ალაზნის გაყოლებით დასავლეთისაკენ, ვიდრე ბახტრიონამდე, შემდეგ ალაზან მაჭარეულის წყალ-გამყოფი მთით, ალაზან შტორის წყალგამყოფი ქედის მიმართულებით კავკასიონამდე" (დ. მუსხელიშვილი – ციხე-ქალაქი უჯარმა, თბილისი 1966).

4. კვლავ ვახუშტი მისი თანამედროვე კახეთის საზღვრების შესახებ: – „და არს სრულიად აწინდელის კახეთისა საზღვარი: სამხრით დიდის ალაზნისა და პატარა ალაზნის შესართავი დაშუნიდამ ხაზი კავკასამდენ გავლილი და კუალად ხაზი მტკვრამდე მისული; აღმოსავლით მთაკავკასი, ლეკეთსა და კახეთს შორის; დასავლით საზღვარი ქართლისა"... (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973. გვ. 524).

ვახუშტი ბატონიშვილი: – „კუალად თურდოს ხევის ჩრდილოთ არს იყალთოს ხევი, გამომდინარე კახეთის მთისა და მიმდინარე აღმოსავლეთად, არამედ ვერ მიერთვის ალაზანს სიმცირით. ამ ხევზედ, კახეთის მთის კალთას, არს იყალთოს მონასტერი, კეთილშენგუმბათიანი, ქმნული იაგ მამათაგანის წმინდის ზენონისა, და დაფლულ არს მუნვე; და წმიდა არსენიცა, რომელიყო ქვეყნით კახი"1.

კახეთ-ჰერეთის საზღვრისათვის დასაკვირვებელია: – კუალად თურდოს ხევის შესართავს ზეით ალაზანს მოერთვის შტორის ხევი... სად მიერთვის ალაზანს ეს ხევი, მუნ არს ლალისყურის ციხე (ვგონებ ნახჭევნად). ამ შტორის-ხევისა და თურდოს-ხევის ჩრდილოთი ქვეყანა არს კახეთი, ამათ სამხრითი-ჰერეთი.

და შემდეგ: – „და მისცა კახოსს საზღვარი: აღმოსავლით მთა კავკასი; სამხრით საზღვარი ჰერეთისა, თურდო-შტორის ხევი, ვიდრე კავკასამდე; დასავლით მთა კახეთისა, რომელსა განჰკუეთს, ერწო-თიანეთს, იორის მდინარე, და მერმე მზღვრის მდინარე არაგვი, და ჩრდილოთ მთა კავკასი. და ამათ-შორისი ქვეყანა არს კახეთი, წილი კახოსისა, და მისის სახელის გამო ეწოდა ამას სახელი ესე, არამედ აწ უწოდებენ ფშავ-ხევსურს (რომელთა პირველ ეწოდათ ფხოელნი), თიანეთს, ერწოს, ირტოს-ხევს, პანკისის ხეობას, საყდრიონს და ალონს"2.

ცალკე გამოიყოფა ჰერეთის გეოგრაფიული მდებარეობა ვ. ბატონიშვილის მიერ: – „და ჰერეთს უწოდებენ შემდგომად აწამდე განყოფით ესრეთ: გაღმა მხარს, ელისენსა, შიგნით-კახეთს, ქისიყს და გარეთს კახეთს. და არს სრულიად აწინდელის კახეთის საზღვარი: სამხრით დიდის ალაზნისა და პატარას ალაზნის შესართავი და მუნიდამ ხაზი კავკასამდენ გავლილი, და კუალად ხაზი მტკურამდე მისული; აღმოსავლით მთა კავკასი, ლეკეთსა და კახეთს შორისი; დასავლით საზღვარი ქართლისა..."

კვლავ საზღვრისათვის: „...ხოლო მტკურისა და ალაზნის შესართავს ზეით, ჩრდილოთკენ, მოერთვის ალაზანს მცირე-ალაზანი ანუ იორი, და ამათ შესართავს შორის არს ჰერეთი...“2

ბატონი ი. ჯავახიშვილი სრულიად სამართლიანად და ღრმა მეცნიერული დაკვირვების საფუძველზე გვთავაზობს: საკუთარ განზოგადებას კახეთის, ჰერეთის ფიზიკური გეოგრაფიისა და დასახლებათა შესახებ. ფრთხილი შეგონებით იძლევა შესაძლებლობას სრულიად ცალკ-ცალკე შევისწავლოთ კახეთის განვითარების ისტორიული პროცესი, ე.წ. „კუხეთის“ და ჰერეთის გავრცობის დონე, ამ სამი ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულების ურთიერთობები სხვადასხვა დროის მანძილზე. მაინც მეცნიერს მიაჩნია, რომ საერთოდ ძნელია დადგინდეს ამა სამივე კუთხის საზღვრები, რადგან ისინი ხშირად იცვლებოდა და ირეოდა ერთმანეთში.

ჩვენ სრულიად მართლზომიერად მიგვაჩნია კახეთის, კუხეთის, ჰერეთის საზღვრების დადგენისათვის ი. ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებული შეხედულება.

5. აკად. ი. ჯავახიშვილი ტერმინებს – „კახეთი“, „კუხეთი“ და „ჰერეთი“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა, და, რომ საქართველოს ამ სამი კუთხის საზღვრები ერთმანეთში ირევა და ძნელია გაგება იმისა, თუ რომელი პუნქტი სადაა, კახეთში, კუხეთში თუ ჰერეთში“ (საქართველოს ატლასი, თბ. 1992, გვ. 33, 96, 99).

6. კვლავ დ. მუსხელიშვილი – კახეთისა და „კახების“ ლოკალიზაცია ასეთია:

ა) თავდაპირველი კახეთი მოიცავს ივრის ხეობის აუზს, მის ზემო ნაწილს, ზემო წელს, დაახლოვებით უჯარმამდე, დღევანდელ შიგნი კახეთის ნაწილს (ალაზან-თურდოს შორისი) და ჩრდილოეთიდან მიმდებარე მთიანეთს.

ბ) დღევანდელი კახეთის დიდ ნაწილს რაც შეეხება, ისევე როგორც საინგილოსა და ჩრდილო-დასავლეთ აზერბაიჯანს (ყოფილი შაქის ოლქი ანუ ნუბის მაზრა), ეს ქვეყანა, უძველესი დროიდან დასახლებულია ქართველთა მონათესავე ტომებით, შეადგენდა ქართული წყაროებით ჰერეთს (დ. მუსხელიშვილი – ციხე-გალავანი უჯარმა, თბილისი, 1966 წ. გვ. 23-24).

7. მ. ქებაძე – ასეთია ძირითადად ის ცნობები კახეთის ისტორიული საზღვრების შესახებ ზოგადად... „საუკუნეთა სიგრძეზე ეს საზღვრები ყოველთვის ერთნაირი არ იყო. იგი იცვლებოდა დროის გარკვეულ მონაკვეთში, ცალკეულ ათწლეულებში, გარკვეულ პოლიტიკურ ვითარებაში. ამის გამო ეს საზღვრები სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირად უნდა იყოს გაგებული“ (მ. ქებაძე – კახეთი ლევან მეფის პერიოდში 1520-1574. 2008, გვ. 31).

ამრიგად ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულიად განსხვავებული შეხედულებები, კონცეფციები, შეფასებებია კახეთის, კუხეთის, ჰერეთის და ალბანეთის (კავკასიის) ისტორიული გეოგრაფიისა და მეზობლებთან ურთიერთობის თაობაზე. ვფიქრობთ თითოეულ წარმონაქმნს თავისი საკუთარი განვითარების მატერიალური და სულიერი გზა ჰქონდა ჩამოყალიბებული, ცხადია ეს არ გამორიცხავდა სამეზობლო ეკონომიურ-პოლიტიკურ ურთიერთობასა და ზემოქმედებას.

ალბანეთის (კავკასიის ალბანეთი) ისტორიულ-გეოგრაფიულ მდებარეობისა და ჰერეთთან მისი ურთიერთობის მასალის გაანალიზების მცდელობას წარმოადგენს გ. მარჯანიშვილის ნაშრომი „ჰერეთი“. ავტორი ძირითადად განიხილავს ისტორიულ მასალას და შემორჩენილ თქმულებებს, ჰერეთის ტერიტორიაზე შემორჩენილ ქრისტიანულ რელიგიის კულტურის ძეგლებს. ავტორი იძლევა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ტოპონიმების შესაძლო მიმართებას და კავშირს საქართველოს ადრეულ სახელმწიფო საზღვრებთან. „წუქეთი ანუ იგივე წახეთი ანუ იგივე წახური წარმოადგენდა დღევანდელი დაღესტნის თემს მდ. სამურის სათავეებში (იმიერ კავკასია). უფრო მეტიც, „ქართლის ცხოვრების“ ცნობით

XIII-ს-ის ქართველთა მეფე არჩილის მოღვაწეობის შესახებ, საფიქრებელია, რომ წაქეთი ეწოდებოდა კავკასიის მთიანეთს თუშეთიდან ვიდრე მდ. სამურის სათავეებამდე"...1

ელისენი მოიცავდა ტერიტორიას ვიდრე გიშის-წყლამდე. ვახუშტი ბატონიშვილის დროს ელისენი უკვე შემცირებული იყო. მას გამოაკლდა შაჰ-აბასის მიერ ჩამორთმეული და ელისეს სასულტნოდ ქცეული მიწა-წყალი... ვიდრე გიშის-წყლამდე.2

მკვლევარი გ. მარჯანიშვილი მიიჩნევს, რომ ისტორიული კახეთის ამ მხარემ (ჰერეთი – ე.მ.) განვითარების მეტად რთული და სიძნელეებით აღვსილი გზა განვლო და მან მრავალი სახელი გამოიცვალა. „იგი ცნობილი იყო ჰერეთის, წუქეთის, კაკ-ელისენისა და სხვა სახელწოდებით. ამ ოლქის დღესაც ქართველებით დასახლებული ნაწილი (აზერბაიჯანის სსრ ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონები) საინგილოდ იწოდება. უძველეს დროში კი იგი ამიერკავკასიის ერთერთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო – ალბანეთში შედიოდა". და შემდეგ „...ეს ტრადიცია გვაფიქრებინებს, რომ ჰერეთისა და ქართლის (იბერიის) მოსახლეობა თავდაპირველად ეთნიკურად შეიძლება სხვადასხვა ყოფილიყო და მხოლოდ უძველეს ხანიდან მომდინარე, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პროცესებმა შექმნა ჰერეთში აღმოსავლურ ქართული ტომების მიგრაციის პირობები. VIII ს-ისათვის უკვე დასრულებული ჩანს ჰერეთის გაქართველების პროცესი".

ვფიქრობთ აქ განვითარებული შეხედულება დაკვირვებასა და დაზუსტებას საჭიროებს, რადგან ჰერეთისა და ალბანეთის ურთიერთ მიმართება გამოკვეთილად არ ჩანს.

საინტერესოდ გვევლინება VII-ს-ის საისტორიო თხზულების, ე.წ. „სომხური გეოგრაფიის" („აშხარაცურცის") მიხედვით მოცემული მინიშნება. ეს ნაწარმოები ალბანეთში მცხოვრებ ტომებს შორის იხსენიებს ხენუკებს (იგივე ხენოკებსა თუ ხენავკებს), რომელთა სახელიც აღიბეჭდა თანამედროვე აზერბაიჯანის ტოპონიმიკაში (დღეს=შექის რაიონის სოფლებში ბაშ და აშაგაგენიუკის, მდ. გენიუკის, XII ს-ის ქართული წყაროებით ცნობილი პუნქტი ღანუხის სახელწოდებებში. სომეხი მკვლევარი ს. ტერემიანი სახელწოდება ღანუხს ძველ ალბანური ოლქის ხენის სახელს უდარებს და ათავსებს მას აზერბაიჯარის ზაქათალის რაიონში.

ცალკე დაკვირვების საგნად მიგვაჩნია აზერბაიჯანელი მეცნიერის ს.ბ. ანურბუილის მსჯელობა. ის ხენუკებს აიგივებს შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ კოლხურ ტომებთან – ჰენიოხებთან და თვლის რომ ისინი ალბანეთში გადასახლდნენ ახ. წ. აღ. დასაწყისში.

ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ბერძნულ ისტორიულ-მითოლოგიურ ლექსიკონში „იონია", რომელსაც ადრეულად მიიჩნევენ, განვითარებული შეხედულება, რომელიც აიგივებს ალბანელებს მეგრელთა ტომთან: – „ალბანელები იგივე მეგრელები არიან" – აცხადებს ლექსიკონი.

ასეთი შეხედულების მიმართ თავისი დამოკიდებულება გამოხატა ა. ურუშაძემ – იგი წერს: – „ეს ცნობა არ უნდა იყოს შემთხვევითი, როგორც ჩანს არსებობდა ტრადიცია, რომელიც გენეტიკურად აკავშირებდა (გაუგებარია ტრადიციამ გენეტიკურად როგორ უნდა დააკავშიროს განსხვავებული ეთნიკური წარმონაქმნები – ე.მ.) მეგრელებსა და კავკასიის ალბანელებს".1 ვერ გავიზიარებთ მეცნიერის მოსაზრებას ალბანელებისა და მეგრელების გენეტიკური კავშირის რაიმე საფუძვლის თაობაზე. საერთოდ ალბანეთის (კავკასიის ალბანეთი) მოსახლეობის ეთნიკურ მრავალგვარობას ნათელს ჰფენს ჯერ კიდევ XVIII-საუკუნეში რუსეთის იმპერატორ პეტრე პირველისადმი ნიჯსა და ვართაშენში მცხოვრები უდების მიერ (XVIII-ს-ის მდგომარეობით) გაგზავნილი წერილი. მათი თქმით ისინი, უდინები „ალბანელები და ეროვნებით უტიელები" არიან. აქ, ალბანელების ცნებაში ზოგადი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცნება, ხოლო უდებისა კი ვიწრო, ეთნიკური კუთვნილების

ამსახველია.

ამდენად მეცნიერთათვის ჯერ კიდევ გასარკვევია ალბანეთის მდებარეობისა და ალბანთა ეთნიკური შემადგენლობის ბევრი საკითხი.

დაკვირვება გვიჩვენებს ალბანელი (კავკასიის ალბანეთი) ეთნოსის შემადგენლობის სიჭრელეს, რაც აუცილებელს ხდის ალბანელთა ცხოვრების პირობები ს მრავალი მხარით შესწავლას. ეს რთული საკითხი კიდევ უფრო გართულდა ცნობილი ბერძენი მოაზროვნის სტრაბონის (ახ. წ. აღ. ი. ს.) მიერ შემოთავაზებული დახასიათებით: „...მათ (კავკასიის ალბანელებს – ე.მ.) აქვთ 26 ენა, იმიტომ, რომ ერთმანეთს არ ერევიან“... აორი განსხვავებული დამოკიდებულება ჩანს: ა) ენათა სიმრავლე; ბ) ეთნიკური კუთვნილების გენეტიკური დამოუკიდებლობა.

ვფიქრობთ ადრიდანვე არსებული გაურკვევლობის მიზეზით სტრაბონი არ, ან ვერ, იძლევა პასუხს თუ ვინ იგულისხმებიან აღნიშნულ 26 ტომის ქვეშ. ეს კი უამრავი შესაძლო ვერსიების წამოყენებას უწყობს ხელს.

სრულიად ვემყარებით აკად. ი. ჯავახიშვილის მიერ შესწავლილი ტოპონიმების მსგავსებას დაღესტანში (დღევანდელი საინგილოს ბოლოსართიანი ტოპონიმების მსგავს დაბოლოებას – ე.მ.). მან ეს სახელები (კუნხი, ხარახი, კახი, ხუნზახი, მუსრუხი, ანწუხი და სხვ.) დაუკავშირა ურარტულ წარწერებში მოხსენიებულ სახელებს: ერიახი, იგანეხი, კუმუხი, ვიტირუხი და სხვ. და გამოთქვა ვარაუდი ასეთი სახელების დამრქმევი შესაძლებელია მხოლოდ ქართულ-შარომატული ტომები (შარომატები მისი აზრით ჩრდ. კავკასიაში მოსახლე ქართველთა ნათესავი ტომები) უნდა ყოფილიყვნენ. ცხადია საქართველოს კუთხეებში მრავლად მოიპოვება ასეთი მსგავსი სახელები (ლაგოდეხი, გუდარეხი, წინარეხი და სხვ.).

ჩვენ მოვიშველიებთ გ. მელიქიშვილის ვარაუდს, რაც ემყარება ბერძენი ისტორიკოსის აპოლოდორის (ძვ.წ.II ს.) ცნობას, რომ იბერია მდ. არაქსამდე ვრცელდებოდა, იგი წერს: „...სრულებითაც არაა გასაკვირი, რომ ალბანეთის ეს ნაწილი იმ თავითვე როგორც ჩანს ნაწილობრივ მაინც ქართველური მოდგმის ტომებით დასახლებული ეს მხარე იბერიის სახელმწიფოში შედის ძვ.წ.III.ს-ში. ეს ვარაუდია, რომელიც რეალობას მოკლებული არ უნდა იყოს მხოლოდ ისტორიული ურთიერთობის რომელიღაც დროში. აქვე გვინდა გულისყური მივაპყროთ იმას, რომ მეცნიერ-მკვლევართა მიერ გამოკვეთილად არ არის დადასტურებული, რას ნიშნავს „ქართველთა მონათესავე“ ან „ქართველური მოდგმის ტომები“. ეს ხომ არ მიუთითებს მათს ძირითადად არაქართულ წარმომავლობას და მცდელობაზე თეორიულად მაინც ქართველთა წინაპრებით დასახლებულად მივიჩნიოთ ალბანეთის (კავკასიის ალბანეთის) მხარე ან მისი ცალკეული ნაწილი.

ვ) ზოგი მკვლევარი პირდაპირ მიუთითებს: – ალბანთა სამეფოს დასავლეთი საზღვარი იმ ტერიტორიით, სადაც წინარე საუკუნეში ქ. თელავი დაფუძნდა და მისგან დასავლეთით 4-5 კმ-ით მდინარე თურდომდე ვრცელდებოდა, და იქიდან კი, ე.ი. მდინარე თურდოს სანაპიროდან იწყებოდა იბერიის (ქართლის) სახელმწიფო“.

ვფიქრობთ სრული გაუგებრობაა. სად იყო ალბანთა სახელმწიფო?! ალბანთა რა ტომებით იყო დასახლებული?! რატომ აიგივებენ თუ აერთიანებენ ჰერეთს-ალბანეთს-კახეთს თავისი ტერიტორიებით?! ეს კითხვები განმარტებას საჭიროებენ.

ზ) კავკასიის ალბანეთი, ანტიკური მწერლებისა და სომეხ ისტორიკოსთა მიხედვით, მოიცავდა მდინარეების – მტკვრისა და არაქსის ქვემო დინებას, ჩრდილოეთით იგი აღწევდა კავკასიონის მთავარ ქედამდე, აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე, დასავლეთით იგი ქართლის სამეფოს ესაზღვრებოდა, ხოლო სამხრეთით მის ფარგლებში შედიოდა მდ. არაქსისა და სულიანის ველები“ – აღნიშნავს თ. პაპუაშვილი.

მიგვაჩნია, ეს საზღვრები უფრო მეტად სრულად წარმოგვიდგენს ალბანეთის (კავკასიის) გავრცელების დონეს.

ახლა აზრთა სხვაობიდან: 1. სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი – „სახელწოდება ალუან-ქი მომდინარეობს „ალუ"-დან, რაც კეთილს, სასიამოვნოს, ტკბილს უდრის.

2: აზერბაიჯანელი ისტორიკოსი აბას-ყული-აღა ბაკოსანოვ-კუდსი: ა) იმის გამო, რომ სახელწოდებანი „ალანი" და „ალბანი" ძალზე ემსგავსებიან ერთმანეთს, შესაძლოა ვიფიქროთ ისინი ერთი მეორისაგან არიან წარმოქმნილნი: ბ) ანდა „ალბანია" ამ ქვეყანას რომაელებმა შეარქვეს, სიტყვა ალვი (რაც ნიშნავს „თეთრს");

3. ნ. მარის მიხედვით „ალბანეთი" უნდა ნიშნავდეს მთიან ქვეყანას.

4. თ. ბაგრატიონი – „ალვანეთი" წარმოდგება კახეთთა გეოგრაფიული პუნქტის „ალვანისაგან".

5. კ.ვ. ტრეველი – შოტლანდიის ტოპონიმიკიდან – შოტლანდიის ძველი კელტური სახელი იყო „ალბანია". იგი ამ სახელწოდებას უკავშირებს სიტყვა ალპებს, რაც მისი აზრით კელტურია და ნიშნავს „მთას", „მაღალს".

6. ვ. მირონსკის აზრით „ალბანეთი" ბერძნულ-ლათინურ წყაროებში აღნიშნავდა ქვეყანას, რომელიც მდებარეობდა: მდინარეების: მტკვრისა და არაქსის ქვემო დინების აუზში, იბერიასა და კასპიის ზღვას შორის.

7. რ. ერემიანის მიხედვით „ალბანეთს" საფუძვლად დაედო ერთ-ერთი ალბანური ტომის სახელწოდება, რომელიც სომხურში „ლბინებს" ან „ლფნიქ"-ის ფორმით იხსენიება.

8. ზ. იამპოლსკის მიხედვით სახელწოდება „ალბანები" და „ალბანეთი" ამ ქვეყანას შეარქვეს უცხოელებმა, თვით ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა თავის თავს „უტიებს" უწოდებდა".

9. გ. კლაპორტი (1814) ალანებს აიგივებდა ალბანებთან, მას ალბანეთის საზღვრებში შეჰქონდა არა მარტო დაღესტანი, არამედ ჩრდილო კავკასიის ტერიტორია, სადაც ალანთა ტომი ცხდოვრობდა.

10. ვ. ბარტოლდი (1925) ფიქრობდა – ალბანეთში ჩრდილო აზერბაიჯანის გარდა შედიოდა დაღესტანის ნაწილი, მისი ჩრდილოეთი საზღვარი დერბენდის ოლქის იქით აღარ ვრცელდებოდა.

11. ედუარდ ეიხვალდი (1838) ალბანეთის საზღვრებად ასახელებს: აღმოსავლეთით – კასპიის ზღვა, დასავლეთით – იბერია, ჩრდილოეთით – კავკასიონის ქედი, სამხრეთით – სომხეთი.

12. ალბერტ ფორბიგერის (1894) მიხედვით, ალბანეთი მოიცავდა შირვანისა და დაღესტანის ნაწილს.

13. ვ. ტომაშეკი (1894) ჩეხი მკვლევარი ამბობს: ალბანეთის ჩრდილოეთი საზღვარია კავკასიონის მთავარი ქედი. კერძოდ, მისი აღმოსავლეთი განტოტებაა – კერაუნის მთები; აღმოსავლეთით კასპიის ზღვა – მდ. სულაკისა და მტკვრის შესართავამდე; სამხრეთით მტკვრისქვემო დინება, დასავლეთით იორსა და ალაზანს შორის მდებარე ქედი.

ჩვენი დასკვნა: ალბანეთი კავკასიისა, ერთ-ერთი უძველესი ადრინდელი კლასობრივი სახელმწიფო ამიერკავკასიაში მოიცავდა ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიას და დაღესტნის სამხრეთ ნაწილს (მცირე კავკასიის მთიანეთიდან და მდ. არაქსისა და მტკვრის ქვემო წელიდან მოკიდებული კავკასიონის ქედის ჩრდ. აღმოსავლეთ მონაკვეთამდე და კასპიის ზღვიდან ვიდრე იორ-ალაზნის ქვემო წელამდე ანუ იბერიის სამეფოს საზღვრამდე).

ალვანია კი ალბანეთის საზღვრებში არასოდეს არ ყოფილა კახეთის ტერიტორია, მდ. ალაზნის მარცხენა სანაპირო მიწები.

ალბანელები არასოდეს არ მოიხსენებიან კახელებად. მისი, ალბანეთის მოსახლეობა: ალბანელები, გარგარელები, გელები, ლეგები, ჰერები, სუჯები და სხვ. სულ 26 ენაზე მოლაპარაკე ხალხი იყო. მათი, ალბანალების ენა მიიჩნევა თანამედროვე უდიური ენის, ან მისი ახლო მონათესავე მთის კავკასიური ენების: – წახური, მუხადური ან რუთული, აღულური, ლეზგიური, ბუდუხური, ჯეკურ-კრიწულის... წინაპარი ენა. არსებულ ენათა ლექსიკური, ისტორიულ-ეთნოგრაფიული უძველესი მონაცემების მოშველიებითა და მათზე დაყრდნობით შესაძლებლობა გვაქვს შემოგთავაზოთ ალავერდის სახელწოდების ამოხსნის შესაძლო სარწმუნო ვერსია.

ჩვენი ვერსიის შინაარსი: ალბანეთის (კავკასიის ალბანეთი) დასახლებაში გასაიდუმლოებული შინაარსი: – კეთილი, სასიამოვნო, ტკბილი, თეთრი, მაღალი, გვაფიქრებინებს, რომ „ალონ-გვერდი“ (ან ალვან-გვერდი), „ალანი", „ალბანი“ ტერმინი შემოსულია ალბანური (კავკასიის ალბანეთი) ენიდან და ნიშნავს: მაღალს, თეთრს, სასიამოვნოს. ყოველივე ეს კი სრულიად ასახავს ალავერდის (ალან გვერდის = თეთრი გვერდების მქონე ნაგებობის) დიდებულებას.

თუ მივიღებთ სარწმუნოდ, ყველა სხვა ვერსია გამოირიცხება.

ასეთად გვესახება სახელწოდება ალავერდის საიდუმლოს ამოხსნის შესაძლო მიმართულება.

მიუხედავად სამხრეთ კავკასიაში არსებული მსგავსი ტოპონიმებისა (ალავერდი ქალაქი სომხეთში მდინარე დებედის ხეობაში; ალავერდი სოფელი ზესტაფონის რაიონში, გვართა წარმოებაში ალავერდიანი, ალავერდი ხანი), ვფიქრობთ ამ სახელწოდებაში ჩამარხული საიდუმლო სრულყოფილად არ არის ამოხსნილი. გ. ჩუბინაშვილი განმარტავს: – პროფ. ბ. ალბოროვმა მოიშველია ინგუშური ენის მონაცემები, განალაგა ალავერდი ინგუშურ ალაუ და ერდი, სადაც „ალა“ ინგუშურად ცეცხლის ალი, როგორც ქართული „ალი", და გადაიტანა სახელწოდება, როგორც „ნათელი ღმერთი", ცეცხლის ღმერთი, წმინდა ღმერთი, კერიის ღმერთი.

ამდენად მიგვაჩნია ჩვენეული ვერსია არის დაბეჯითებით მცდელობა ალავერდის სახელწოდების ამოხსნისა.

&2. ალავერდის ეპარქიის მნიშვნელოვანი ეკლესია-მონასტრები

1. იყალთოს მონასტერი და აკადემია – იყალთოს სახელგანთქმული მონასტერი საქართველოს ისტორიაში უკვე VI-საუკუნიდან არის ცნობილი. მის დამაარსებლად მიჩნეულია სირიელი მამათა ერთ-ერთი წარმომადგენელი ზენონი. შემდგომ წლებში, XI-XII-საუკუნეებში, იყალთოს მონასტერი გახდა საქართველოს, კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოში კახეთში მძლავრი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი.

აქ, იყალთოს მონასტერში საფუძველი ჩაეყარა უმაღლეს სასწავლებელს – აკადემიას, როგორც კ. კეკელიძე მიუთითებს „აკადემია-გელათს გარდა ყოფილა იყალთოშიც, არსენ იყალთოელის მიერ დაარსებული".

მეფე დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) მოწვევით სამშობლოში დაბრუნდა ნიჭიერი ფილოსოფოსი, კანონიკური სამართლის ძეგლების მთარგმნელი, მწერალი, „განმანათლებელი ყოველთა ეკლესიათა",არსენ იყალთოელი. იგი სწავლობდა კონსტანტინეპოლში – მანგანის წმ. გიორგის მონასტერთან არსებულ აკადემიაში. იქ მას საფუძვლიანი ცოდნა მიუღია. იგი ყოფილა ფილოსოფოსი, იურისტი. 1114 წელს დაბრუნებულა საქართველოში და მოღვაწეობა დაუწყია გელათის აკადემიაში იოანე პეტრიწთან, ცნობილ დიდ ფილოსოფოსთან. შემდეგ გადმოსულა კახეთში იყალთოს მონასტერში და აკადემია დაუარსებია. სადაც გადმოცემის მიხედვით სწავლა-განათლებას შოთა რუსთაველი ეუფლებოდა.

არსენ იყალთოელი გვარად ვაჩნაძე შიომღვიმის მონასტერში დამკვიდრებულა, გარდაცვალების შემდეგ დაუკრძალავთ იყალთოს მონასტერის შემოგარენში, აკადემიის ეზოში, სამების ეკლესიაში, სადაც დღესაც მიუთითებენ მის გაძარცვულ აკლდამაზე.

გასული XX-საუკუნის 20-იან წლებში იყალთოს მონასტრის მეცნიერული კვლევა და შესწავლა დაიწყო აკად. გ. ჩუბინაშვილმა, ხოლო 60-იან წლებში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამმართველომ ჩაატარა აღდგენითი სამუშაოები.

ვახუშტი არსენის სწავლულობის თაობაზე უმატებს აშიაზე: ესე არსენ იყო გვარად ვაჩნაძე იბადის ძე, კაცი ბრძენი და მეცნიერი და ელინურისა ენისა ზედმიწევნილი, აქუნდა შკოლა იყალთოს მონასტერსა და იყო მოძღვარი სამეცნიერო დავით აღმაშენებელისა მეფისა, უკეთუ გნებავს, დიდის სჯულის კანონის ბოლოს შესხმად მისწერს თავის მოწაფეს დავით აღმაშენებელს, რომლისა თავი ესრეთ არს: „ამათდა მომართ რასა იტყვ, რასა სიბრძნის მოყვარებ".

2. ალავერდის ეპარქიის სამწყსოში შედიოდა

გრემის მთავარ ანგელოზთა ტაძარი – ის ერთადერთი იმ უძველეს ნაგებობათა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც შთამბეჭდავი ბრწყინვალებით არს ჩაფლული კავკასიონის მთაგრეხილის სამხრეთ განშტოების ბორცვზე მდინარე ინწობის სანაპიროზე. აქ, ამ სათაყვანებელ საოცნებოში შეურჩევიათ ჩვენს წინაპრებს ქალაქ გრემისათვის ადგილი XV-საუკუნის შუახანებში.

ისტორიულ წყაროებში ჩანს ქალაქი გრემი აღმოცენებულა 1466 წელს როგორც ახლად აღიარებული თუ ცალკე გამოყოფილი კახეთის სამეფოს დედაქალაქი. მისი ციტადელისათვის შეურჩევიათ ინწობაზე ჩამომავალი ქედის შემაღლებული ბოლო, რითაც კარგად იყო განსაზღვრული შიშიანობის დროს მისი დაცვა.

ერთ დროს გაბრწყინებულმა გრემ ქალაქმა არსებობა შეწყვიტა 1616 წელს შაჰაბასის დამანგრეველი ლაშქრობის შედეგად. მუხანათურმა დარბევამ ისე დაანგრია და მოსპო

რომ ნაქალაქარად დარჩა საქართველოს შემდგომ ცხოვრებაში, მისი აღდგენა მერე აღარ უცდიათ. ღვთიური საოცრებით ნაცრად ქცეულ ნაქალაქარზე გადარჩა სხვებზე უკეთ გადარჩა მთავარანგელოზთა საეკლესიო ანსაბლი. ის დღესაც მომაჯადოებელი სიამაყით აღმატებული მოჩანს ალაზნის სანახებიდან.

ქართული ისტორიოგრაფიასა და ხელოვნებისმცოდნეობის ლიტერატურაში გრემის ტაძარი პირველად გ. ჩუბინაშვილმა მოიხსენია XX-საუკუნის 30-იან წლებში. მიუხედვად მცდელობისა მისი, ტაძრის, აგების ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის. გ. ჩუბინაშვილმა მიაქცია ყურადღება ეკლესიის დასავლეთის კარის თავზე შიგნიდან არსებულ ბერძნულ წარწერას, რომელიც ასეა თარგმნილი: – „ქ. აღიმართა და განახლდა ღვთაებრივი და ყოვლადწმინდა ტაძარი ყოველთა უდიდესთა მიქაელისა და გაბრიელისა; სახელოვანი მეფის ლეონის შეწევნით, ხარჯით გულისმოდგინებითა და შრომით, მაშინ, როდესაც მღვდელმთავარი იყო ნიკოლოზი, 7085 წელს აგვისტოს თვის 29-ს, მეოთხე დღეს საბას წინამძღვრობის დროს...“ აქ, წარწერაში მოცემული თარიღი 7085 ბიზანტიური ანგარიშით 1577 წელს უდრის. ამასთან ტაძრის აგების თარიღის გასარკვევად გ. ჩუბინაშვილი იშველიებს რუსი ელჩების ცნობას, ეს ელჩობა იყო 1589\90 წლებში, ამ დროს მათ არქიმანდრიტმა ათანასემ უთხრა ტაძარი „ოცდახუთი წლის წინ არისო აშენებული“. ე. ი. ეს მომხდარა 1565 წელს.

ივ. ჯავახიშვილის მიერ „მატეანე ქართლისას“ ერთი ცნობის, სადაც მოხსენიებულია „მთა მიქელ გაბრიელისა“, რომელიც ეხება ბაგრატ მეოთხის (1027-1072) ბრძოლას კახეთის შემომტკიცებისათვის, ანალიზისას გ. ჩუბინაშვილი გამოთქვამს ვარაუდს გრემის თაობაზე და მას XI-საუკუნეს უკავშირებს. ცნობის მიხედვით იმ დროს უკვე მდგარა მიქე-გაბრიელის სახელობის ეკლესია.

ვფიქრობთ დადასტურებას საჭიროებს მეცნიერის ეს ვარაუდი.

გრემის ნაქალაქარზე შემორჩენილია რამდენიმე ეკლესია, რომლებიც საინტერესოა არა მარტო რელიგიური, არამედ ისტორიული და ენათმეცნიერული ღირებულებითაც. ასეთის ნიმუში შეიძლება იყოს გრემის ეკლესიის ნანგრევების სამ ენოვანი წარწერა (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III. თბ. 1977, გვ. 261-262); ასეთივე მნიშვნელობისაა გრემის მთავარანგელოზთა ტაძრის (1565 წელი) წარწერები: ა) ტაძრის შიგნით ლევან კახთა მეფის საფლავზე შემორჩენილი წარწერა, ბ) ეკლესიის დასავლეთის კარის თავზე შიგნიდან არსებული ბერძნული წარწერა. არის სომხურიც.

კახეთის მეფეთა ერთ დროს სატახტო ქალაქის ნანგრევების გადარჩენილი ტაძრის შემორჩენილი წარწერების შესწავლა-გაანალიზება მეცნიერთა დიდი დაინტერესების საგანი შეიქნა: გ. ჩუბინაშვილი – კახეთის არქიტექტურა 1959 (რუს.); პ. ზაქარაია – ნაქალაქარ გრემის არქიტექტურა. თბ. 1975; თ. ყაუხჩიშვილი – ბერძნული წარწერები საქართველოში. თბ., 1951, გვ. 332-337); შ. ამირანაშვილი – ქართული ხელოვნების ისტორია, თბ. 1961, გვ. 397... და სხვ. გრემის მთავარანგელოზთა (მიქელ-გაბრიელის) ტაძარი საუკეთესოდ არის დღემდე შემორჩენილი. მეორე ტაძარი, ასევე ავბედობას გადარჩენილი, დგას ალაზნის მარცხენა სანაპიროზე მდ. ინწობის შესართავთან, იგი დიდი ზომის ნაგებობაა. ის შიხიანის სახელწოდებით არის ცნობილი, მაგრამ მას „აღდგომის“ სახელით იხსენებენ. შიხიანი კი მომდინარეობს ადრეულ ხანაში ამ მიდამოში არსებული სოფლის „შიხიანის“ გამო.

საერთოდ გრემის ადგილმდებარეობას და კერძოდ ტაძრის დიდებულებას არა ერთი მგოსნის, მოგზაურის, დაკვირვებული ადამიანის აღტაცება გამოუწვევია. ამას გარდა ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოსთვის სტრატეგიულ დანიშნულებასთან ერთად სავაჭრო-საქარავნო გზაზე ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი იყო. და, იგი, გრემ-ქალაქი ადრეული ეპოქის კულტურის მაღალი დონითაც გამოირჩევა, რაზეც მეტყველებს შემორჩენილი მასალები ჭედური ხელოვნების, ოქრომჭედლობის, ხატწერის და სხვ.

3. აქვე გრემ ქალაქის მახლობლად სოფელ საბუეში შემორჩენილია სამეკლესოვანი ბაზილიკა, რომელიც ატარებს 13 სირიელ მამათაგან ერთ-ერთი წმინდანის – შიოს სახელს. ეკლესია აშენებულია რიყის ქვით, აგურის გარეშე, რაც მისი აშენების უძველეს პერიოდზე მიუთითებს. აქ, ვრცელდებოდა ალავერდის ეპარქიის ღვთისმსახურების წესი და გავლენა.

4. ალავერდის ეპარქიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია ახალშუამთის მონასტერი – „რაც უფრო ბევრი იქნება საკუთარი თავის, საკუთარი ცოდვის მიმართ უკომპრომისო ადამიანი, მით უკეთესია ჩვენი ერისათვის“

(ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი)

ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის მონასტერი:

ალავერდელი ეპისკოპოსი (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი), მღვდელთა მონამე კირიონი (საძაგლიშვილი 1989-1900 წწ.) შუამთის მონასტერში ცხოვრობდა.

XX-საუკუნის დასაწყისიდან აქ გამოცდილი ბერები მოღვაწეობდნენ: 1904-1907 წწ. ახალი შუამთის მონასტერში მსახურობდა იოსებ მაზანაშვილი (შემდგომში თელავის ღვთაების ტაძრის დიაკვანი). მისი მოგონებიდან ჩანს, რომ სავანის კრებულის წევრი ნიკოლოზ სარაჯიშვილი მორჩილებს კითხვასა და გალობაში ამეცადინებდა.

მღვდელ-მონაზონი ილარიონი (ჩოლოყაშვილი) არიგებდა ახალგაზრდებს: „თავმოწონებამ არ გძლიოთ, ღმერთს უმადლოდეთ და ადიდებდეთ“.

1890 წელს ალავერდელი მღვდელმთავრის ბესარიონის (დადიანი) ლოცვა-კურთხევით მონაზვნობა მიიღო კირილე ცინცაძემ, მან ზედმიწევნით შეისწავლა საეკლესიო გალობა და ტიპიკონი.

1899 წელს ალავერდელმა ეპისკოპოსმა კირიონმა ახალი შუამთის მორჩილი მიხეილ ცელაძე მონაზვნად აკურთხა, აღკვეცა მელქისედეკის სახელით.

1904 წლის 7 ივლისს მონასტრის წინამძღვარმა, მღვდელ-მონაზონმა ნიკოლოზმა (მიქელაძე) მონაზვნად აღკვეცა მორჩილი იოანე ლამაზიშვილი და იოსები უწოდა.

აქვე მოღვაწეობდნენ მღვდელმონაზონი არჩილი (თარაშვილი), იოსები (ლამაზიშვილი), პიმენი (ფარსადანიშვილი).

ახალი შუამთის მონასტერი მდებარეობს ქ. თელავის სამხრეთით ათიოდე კილომეტრზე. გაბრწყინებული ტაძრისა და სამრეკლოს მწვერვალები შორიდანვე იპყრობს გულისყურს.

ალავერდის ეპარქიის ახალი შუამთის მონასტრის დაარსების ისტორია ლეგენდების სახით უფროა წარმოდგენილი ქართულ ქრისტიანულ სამყაროში. ლეგენდა ჩვენებას კი მიაწერენ გურიელის ასულ თინათინს. ამას აღწერს ბერი ეგნატაშვილი1, ამავე ფაქტს აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი. და, მაინც მის ცნობებში არ არის თარიღი მოცემული. ისე, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში საბოლოოდ დადგენილი არა ჩანს ლევან კახთა მეფისა და თინათინის შეუღლების წლები და შესაბამისად ახალი შუამთის აგების წლებიც. ტაძრის აგების თარიღის დადგენას ცდილობდა აკად. გ. ჩუბინაშვილიც.

ახალი შუამთის ტაძარი თავდაპირველად მთავარი კორპუსისა და გარშემოსავლელისგან შედგებოდა. ტაძარში წლების მანძილზე მოღვაწეობდნენ ალავერდის ეპარქიის მღვდელმსახურები, რომლებმაც სხვადასხვა დროს დატოვეს კეთილშობილი საქმიანობის კვალი.

მანამდე კი შუამთის შემოგარენში დაარსებული იყო ე.წ. „ძველი შუამთის მონასტერი“. ძველი შუამთის მონასტერი მდებარეობს ახალი მონასტრის აღმოსავლეთით რამდენიმე კილომეტრზე. ეს არის უძველესი მინიატურული მშენებლობის ნიმუში, რომლის

არქიტექტურული მნიშვნელობის აღწერა მოგვცა გ. ჩუბინაშვილმა. იგი, გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს ეს ეკლესია გარკვეულ წილად განეკუთვნება უძველესი ნიმუშების შედარებით ანალიზს 590-620 წლების (30-იანი წლის) მშენებლობის ტიპს, ამასთან წარმოადგენს ერთერთ პირველ ნიმუშს, რომელიც შემორჩენილია კახეთის საეკლესიო მშენებლობაში.

ძველი შუამთის მონასტრის სამსახური დროთა განმავლობაში თანდათან შემცირდა. საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებამ და მღვდელთმსახურებამ გადაინაცვლა ახალი შუამთის მონასტერში, რამაც გარკვეულწილად მივიწყებას მისცა ძველი შუამთის უძველესი მონასტრის მოვლა-პატრონობა. ისე, რომ უძველესი მონასტრის შემორჩენის აუცილებულობა, მისი დაცვა დღეს საჭირო და აუცილებელია.

ასეთივე მდგომარეობაშია X-XIII საუკუნეების ძეგლი თურდოს ხევის სათავეებთან ნანგრევების სახით შემორჩენილი, რომელსაც „კუნტურის საყდარი" თუ „კუნძულის საყდარი" სოფელ თეთრიწყლების მახლობლად.

ისტორიული წყაროს – „ქართლის ცხოვრების" უცნობი გამგრძელებელი გვაუწყებს: „მაშინ ლევან მტკიცედ იპყრა კახეთი და შემდგომად მცირედისა დაემძახლა ლევან, მპყრობელი კახეთისა, გურიელსა და მოიყვანა ასული გურიელისა ცოლად. და ეწოდა თინათინ. და ამან გურიელის ასულმან თინათინ, ჟამსა სიყრმისა თვისისა იხილა ჩვენებასა შინა ესრეთ, რომე მიჰყვანდათ იგი სძლათ კაცსა ვისმე მთავართაგანსა და გზასა ზედა დაისადგურეს დღესა ერთსა და მას ადგილსა, რომელსა მდგომარე იყვნეს, იხილა მუნ შინდი ერთი მდგომარე და იყო შინდი იგი თეთრი. და აუწყებდა ვინმე კაცი სამღუდელოთაგანი, რათამცა აღუშენოს მონასტერი დედასა ღვთისასა, ადგილსა მას, სადა იდგა შინდი იგი თეთრი და ესრეთ იხილა ჩვენება იგი".

უცნობი მეისტორიე აგრძელებს თუ როგორ აღსრულდა ლეგენდაში აღწერილი და ამბობს: „ხოლო რა ჟამს ჰსთხოვა ლევან მპყრობელმან კახეთისამან გურიელსა ასული იგი მისი თინათინ ცოლად, მაშინ მოსცა გურიელმან და წამოიყვანეს კახეთს. მაშინ მიიწიფნეს იგინი (კახეთს) შუამთას და მუნ განისვენეს მას დღესა. ხოლო მიმოხედვიდა ასული იგი გურიელისა თინათინ და იხილა მუნ შუამთას შინდი იგი თეთრი, რომელი პირველ ეხილა ჩვენებასა შინა. და მოეხსენა ჩვენება იგი და შინდი, რომელი მდგომარე იყო ნიშნად ეკლესიისა მის მომასწავებელად. მაშინ გულისხმა ჰყო და სარწმუნო იქმნა განგებულებასა მას ზედა. ხოლო რაჟამს იქორწინა, შემდგომად მცირედისა ჟამისა იწყო შენებად შუამთას მონასტერსა დედისა ღვთისასა, რამეთუ ფრიადი მოსწრაფება აჩვენა და ჟამსა რაოდენთამე შინა აღაშენა იგი, შეასრულა და შეამკო ყოვლისავე სამინისტროსა წესითა და სამკაულითა. და შესწირნა აგარაკნი და დაბანი და დაადგინა მას ზედა მოძღუართ მოძღუარი და იგი შემზადა სამარხოდ თვისად"...

ახალი შუამთის მონასტრის დაარსება მეტად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ქართული ქრისტიანული სამყაროს გაძლიერებისათვის, აღნიშნული გადმოცემა ისტორიული მნიშვნელობის მასალას შეიცავს კახეთის, კერძოდ ალავერდის ეპარქიის გავლენის შესახებ. „ქართლის ცხოვრების" უცნობი გამგრძელებლის ეს ცნობა ფრანგულად უთარგმნია აკად. მარი ბროსეს, რომელსაც ემყარება და იხსენებს აკად. გ. ჩუბინაშვილი.

კახეთის ეპარქიებიდან, თავისი მრევლითა და ეკლესია-მონასტრებით, გამოირჩევა ალავერდის ეპარქია. მისი მიტროპოლიტი ერთგვარად პრივილეგირებული ჩანს – კათოლიკოსის, ჭყონდიდელის, სომხითის მიტროპოლიტის, მთავარ ეპისკოპოსისა და მაწყველის რიგში.

ალავერდის ეპარქიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტაძარი გახდა ახალი შუამთის ტაძარი... „რომელი აღაშენა მეფის ლევანის ცოლმან, გურიელის ასულმან თინათინ, და დაეფლა მუნვე". ტაძარს სათავეში ედგა მოძღვართ-მოძღვარი.

არსებობს შემორჩენილი და გავრცელებული თქმულება, ლეგენდა ახალი შუამთის მონასტერის დედოფალ თინათინის მიერ აშენების თაობაზე, ადგილი სიზმრად უნახავს თინათინს და შემდეგ აქ, ამ ადგილას აუშენებია ახალი მონასტერი, ძველი მონასტრის (ძველი შუამთა) მახლობლად. ეკლესიის ჩრდილოეთის კედელზე შიგნიდან არის წარწერა ასომთავრულით შესრულებული, დასავლეთის შესასვლელის თავზე მხედრული დამწერლობით.

5. ალავერდის ეპარქიის მრევლს განეკუთვნებოდა საინტერესო „ცხრაკარა" (XVI-ს-ის საერო ნაგებობა) მის გვერდით კი „ნათლისმცემლის" ეკლესია. ეკლესიის ფრესკებზე არის ქართული წარწერები.

6. ალავერდის ეპარქიის უმნიშვნელოვანესი ტაძარი სახელგანთქმული იყო თავისი გავლენით კახეთს გარეთაც მოკლე დასახელებით „თეთრი გიორგი", რომელიც აგებულია და განმარტოებით დგას კახეთის მთაგრეხილის შემაღლებული ბორცვის ველიანში სოფლების ზემოთ. საიდანაც თვალწარმტაცად მოსჩანს ჩრდილოეთით კავკასიის დათოვლილი მწვერვალები და მდ. ალაზნის ნაყოფიერი ველები, მთის ფერდობებზე შეფენილი სოფლები და გემოვნებით გაშენებულ ბაღ-ვენახები.

ალავერდის ეპარქიის თელავის მაზრის აწყურის თავის წმინდა თეთრი გიორგის ეკლესიას თითქმის არასოდეს შეუწყვეტია მღვდელთმსახურება მიუხედავად ერთ დროს ქვეყანაში არსებული ანტირელიგიური საქმიანობისა. რაც მნიშვნელოვან წილად განპირობებული იყო ღვთისმსახურთა გულისხმიერებით, პირადი თავდადებით და გაჭირვების დათმენით. ამის დასტურად საუკეთესო ცნობებს გვაძლევს საარქივო დოკუმენტი შედგენილი 1926 წლის 12 ივლისს იღუმენის მელქისედეკ ცელაძის მიერ.

&3. ბოდბის ეპარქია

V საუკუნეში დაარსდა ბოდბის საეპისკოპოსო (ბოდბელი ეპისკოპოსი 506 წელს გაერთიანებულ საეკლესიო კრების მონაწილედ მოიხსენება).

ბოდბის ტაძარი აგებულია ქართველთა განმანათლებლის წმიდა ნინოს დაკრძალვის ადგილზე, მეფე ბაქარ მირიანის ძის მიერ.

ბოდბის საეპისკოპოსო მოიცავდა ქიზიყს სოფელ კონდოლის ხაზამდე. XV-XVI ს.ს. კახეთის მეფეებმა ბოდბელ ეპისკოპოსს ერთ-ერთი სადროშოს (სამხედრო ოლქის) მეთაურობა ჩააბარეს. ამავე დროიდან ბოდბელ მღვდელმთავართა პატივი გახდა კახეთის მეფეთა კურთხევა.

1751–1764 წწ. მის განკარგულებაში იყო დავით გარეჯის მონასტერი, რომლის არქიმანდრიტ-წინამძღვრად ბოდბელი ითვლებოდა.

1811 წელს, საქართველოში რუსული მმართველობის მიერ ჩატარებული საეკლესიო რეორგანიზაციის შედეგად, ბოდბის საეპისკოპოსო გაუქმდა და ახლადჩამოყალიბებულ კახეთ-ალავერდის ეპარქიაში შევიდა.

1925 წლის 9 ოქტომბერს ბოდბის ეპარქია კვლავ აღდგა. ბოდბეში მოღვაწეობდნენ მწიგნობარნი: ზაქარია ბოდბელი (XVII ს.), ონოფრე ბოდბელი (XVIII ს.), ივანე ჯორჯაძე (XVIII ს.), დავით ბოდბელი (XVIII ს.), იოანე მაყაშვილი (1743-1837 წწ.) და სხვ.

ეპისკოპოსი ევდემოს დიასამიძე, ეპისკოპოსი ზაქარია ანდრონიკაშვილი, იოანე მაყაშვილი – მიტროპოლიტი.

ბოდბელი მღვდელმთავრები:

ეპისკოპოსი სტეფანე (კარბელაშვილი) – 1925-1928 წწ.
მიტროპოლიტი იოანე (მარგიშვილი) – 1928-1929 წწ.
ეპისკოპოსი იეროთეოზი (აივაზაშვილი) – 1929 წ.
ეპისკოპოსი გაბრიელი (ჩაჩანიძე) – 1951-1953 წწ.
მიტროპოლიტი დიმიტრი (იაშვილი) – 1958-1961 წწ.
ეპისკოპოსი რომანოზი (პეტრიაშვილი) – 1967-1971 წწ.
კათოლიკოს-პატრიარქი დავით V – 1973-1976 წწ.
ეპისკოპოსი ილარიონი (სამხარაძე) – 1976-1978 წწ.
მიტროპოლიტი ათანასე (ჩახვაშვილი) – 1978-1992 წწ.
ეპისკოპოსი დავითი (მახარაძე) – 1992 წლიდან დღემდე.

მაშ ბოდბის ეპარქია

მშვენიერება არს ჭაბუკთა სიბრძნე, ხოლო დიდება მოხუცებულთა მხცოვანება (ბიბლია, 948-9)

&1. ლეგენდა ბოდბის სულიერებაზე
&2. სინამდვილე ისტორიული წყაროებით
&3. მოღვაწენი დიდნი და მცირენი:
ა) მწიგნობარნი:
P.S. 1) ზაქარია ბოდბელი (XVII ს.)
2) ონოფრე ბოდბელი (XVIII ს.)
3) ივანე ჯორჯაძე (XVIII ს.)
4) დავით ბოდბელი (XVIII ს.)
5) იოანე მაყაშვილი (1743-1837 წწ.)
ბ) მღვდელმთავრები:
ეპისკოპოსები:

1. ეფდიმოს დიასამიძე, XVII ს. დასასრული
2. ზაქარია ანდრონიკაშვილი, XVIII ს. ათიანი წლები
3. სტეფანე (კარბელაშვილი) – 1925-1928 წწ.
4. იეროთეოზი (აივაზაშვილი) – 1929 წ.
5. გაბრიელი (ჩაჩანიძე) – 1951-1953 წწ.
6. რომანოზი (პეტრიაშვილი) – 1967-1971 წწ.
7. ილარიონი (სამხარაძე) – 1976-1978 წწ.
8. დავითი (მახარაძე) – 1992 წ.

ბოდბეში 1973-1976 წლებში მოღვაწეობდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V.

მიტროპოლიტები:

1. იოანე (მარგიშვილი) – 1928-1929 წწ.
2. დიმიტრი (იაშვილი) – 1958-1961 წწ.
3. ათანასე (ჩახვაშვილი) – 1978-1992 წწ.

სახელწოდების ძიებისათვის:

ა) საქართველოში გვხვდება ტოპონიმები – ბოდავი, ბოდახევა, ბოდბე, ბოდბის ხევი. თითქოს ძირი სიტყვისა ერთი მნიშვნელობიდან უნდა მომდინარეობდეს.

1. ბოდავი, სოფელი დუშეთის რაიონში. მდ. ბოდავისხევის (არაგვის სისტემა), დუშეთიდან 20 კმ. აქ, მდ. ბოდახევის ნაპირას, ტყეში, დგას ღვთისმშობლის ეკლესია „ფუძნარი", რომელიც აგებული უნდა იყოს XIII-საუკუნის I ნახევარში, ხოლო XV, XVI-XVII-საუკუნეებში ეკლესია შეუკეთებიათ.

2. ბოდახევა, სოფელი თიანეთის რაიონში, მდ. ივრის მარჯვენა ნაპირზე, თიანეთიდან 10 კმ-ზე.

3. ბოდბე, სიღნაღის რაიონის სოფლების ზემო ბოდბისა და ქვემო ბოდბის ძველი სახელწოდება.

4. ბოდბისხევი ძველისძველი სოფელი სიღნაღის რაიონში.

ბოდბისა და ბოდბისხევის სოფლის მკვიდრთა განვითარების ისტორიის ზოგადი ცნობები:

I. ბოდბელი ეპისკოპოსის სამწყო სოფლებში გლეხთა ანტიფეოდალურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ XVII-საუკუნის დასასრულს (1699 წ.). გლეხთა გამოსვლის საბაბი გახდა ე.წ. „რიგის ძროხის" გამოსაღები.

გლეხის კომლის გაყრის შემთხვევაში ბოდბელი ეპისკოპოსისათვის უნდა მიერთმიათ ერთი ხარი, ასისთავისთვის 1 წლის მოზვერი, ხოლო ქევხისათვის – ცხვარი. ეს იყო მძიმე ტვირთი. ამ მძიმე გადასახადის გაუქმების მიზნით სოფ. ბოდბისა და ბოდბისხევის გლეხები პირველად გამოვიდნენ 1699 წელს რამაც აიძულა ბოდბელი ეპისკოპოსი ევდემოს დიასამიძე გაეთავისუფლებინა გლეხები „რიგის ძროხის" ვალდებულებისაგან და სათანადო საბუთებიც მისცა. მაგრამ შემდეგ ქართლის მეფე ერეკლე I, ჩაახშო გლეხთა გამოსვლა და ახალი დოკუმენტით კვლავ დაასაბუთა გლეხთა მიერ „რიგის ძროხის" გადახდის აუცილებლობა.

II. გლეხები მეორედ გამოვიდნენ 1711-1716 წლებში, მათ დაარბიეს ბოდბელი ეპისკოპოსის მოხელეები, ითხოვდნენ „რიგის ძროხის" გადასახადის გაუქმებას. ბოდბელმა ეპისკოპოსმა ზაქარია ანდრონიკაშვილმა თეიმურაზ ბატონიშვილის რჩევით გლეხები გაათავისუფლა ამ ვალდებულებისაგან.

ბოდბის მონასტერი, – წმიდა ნინოს სახელობის სამონასტრო კომპლექსი და საეპისკოპოსო ცენტრი კახეთში, ქ. სიღნაღიდან 2 კმ-ზე.

გადმოცემის მიხედვით მონასტერი აგებულია ქართველთა განმანათლებლის წმიდა

ნინოს დაკრძალვის ადგილზე.

ბოდის მონასტერს მუდმივად დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქართველი მეფეები, განსაკუთრებით კახეთის სამეფო ოჯახი. იგი, მონასტერი მრავალჯერ იქნა აღდგენილი. XVII-XVIII საუკუნეებში ის მნიშვნელოვანი მწიგნობრული კერა იყო.

აქ, ბოდბეში ბოდბის მონასტერში მოღვაწეობდნენ მწიგნობარი ზაქარია ბოდბელი მე-17 ს., ონოფრე ბოდბელი მე-18 ს., იოანე ჯორჯაძე მე-18 ს., დავით ბოდბელი მე-18 ს., იოანე მაყაშვილი (1743-1837).

1837 წლიდან ბოდბის მონასტერი გაუქმდა და სამრევლო ეკლესიად იქცა. 1889 წელს აქ გაიხსნა ბოდბის დედათა მონასტერი, აქვე არსებობდა სამასწავლებლო სკოლა ხელსაქმისა და სამხატვრო განყოფილებებით.

საეპისკოპოსო, – ბოდბის საეპისკოპოსი მდ. ბოდბისხევზე. დაარსებული ჩანს მეხუთე საუკუნეში (ბოდბელი ეპისკოპოსი მოიხსენება ჯერ კიდევ 506 წელს გაერთიანებული საეკლესიო კრების მონაწილედ). ვრცელი გავლენის შესაძლებლობის მქონე XV საუკუნიდან მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კახეთის სამეფოს ისტორიაში. კახეთის მეფეებმა ბოდბელ ეპისკოპოსს ერთ-ერთი სადროშოს მეთაურობა ჩააბარეს.

XIX საუკუნის დასაწყისში ბოდბის საეპისკოპოსოში 100-ზე მეტი სამრევლო ეკლესია ირიცხებოდა.

1811 წელს კი ბოდბის საეპისკოპოსო გაუქმდა და ახლად ჩამოყალიბებული კახეთ-ალავერდის ეპარქიას შეუერთდა.

ბოდბის წმიდა ნინოს სახელობის მონასტრის მნიშვნელობაზე, მისი მშენებლობისა და გარემოს თაობაზე არაერთმა მეცნიერმა გაამახვილა ყურადღება, შეისწავლა და ჩამოაყალიბა თავისი დამოკიდებულება. აკად. გ. ჩუბინაშვილი მოიხსენიებს თავის დიდებულ ნაშრომში „კახეთის არქიტექტურა“ (რუსულად) რამდენიმე მათგანს: ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I.; გამოკვლევა „ბოლნისის სიონის შესახებ", თბ. 1940, ტ. IX.; ვახუშტი ბატონიშვილი (გეოგრაფია ტ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის გამოცემით, 1941; ჯანაშვილის თარგმანს; პლ. იოსელიანს, დიმ. ფურცელაძეს და სხვ,

ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიის ჯანაშვილისეულ თარგმანში (მ. ბროსეს გამოცემა) ბოდბის შესახებ იტყობინება, რომ ეკლესია გუმბათოვანი, დიდებული (დიდშენი) და ლამაზია, ხოლო დავით ინანაშვილის მიერ 1816 წელს გადაწერილ ტექსტში მოცემულია შესწორება და დამატება: – და შემდეგ საუბრობს ბოდბელი ეპისკოპოსის იოანე მაყაშვილის მშენებლობის შესახებ.

გ. ჩუბინაშვილი გადმოგვცემს, რომ ეკლესია მის დროსაც არც თუ დიდი იყო, ხოლო პირველხანებში ახდენდა უფრო პატარის შთაბეჭდილებას. ეკლესია შიგნით სრულიად მოხატულია, მაგრამ ბევრი მათგანი დაზიანებულია, დანარჩენი ეკლესიის ნაწილი მოხატული იქნა XIX საუკუნის 20-იან წლებში სწავლული ოპნე ბოდბელის სურვილით (იოანე მაყაშვილი). შემორჩენილია ხატწერის საინტერესო შინაარსი: – „ხატო და ბრწყინვალებაო ღვთისა ამისაო შეწევნით (...) და წყალობითა ვიწყე ეკლესიისა ამის განახლებად და ორთა კარისბჭეთა და ეკლესიისა ამის გუმბათისა ახლად აღშენებად და ეკლესიისა ამის დახატვად კარის ბჭებითურთ და კანკლისაცა ახლად გაკეთებად და ყოველთავე ეკლესიისა სამკაულითა შემკობად ჩვენ უსამღვდელოესმა სიღნაღის და ქიზიყის მიტროპოლიტ და კავალერმა, მაყაშვილმა ბოდბელმა იოანემ, ვითხოვ აღმომკითხველთაგან, რათა ჰყოფდეთ ხსენებასა ჩემსა“[1]...

უძველესი ქართული ისტორიული წყაროების მოწმობით ბოდბის მონასტერი აღ-

1. როგორც ირკვევა ბოდბის რესტავრაცია XVII საუკუნეში განუზრახავთ, კერძოდ მეფე თეიმურაზის სიგელიონში 1631 წელს ნათქვამია, შაჰ-აბასის მიერ ქვეყნის გაჩანაგების შემდეგ დარჩა ბოდბე დარბეული და გაძარცვული. ს. კაკაბაძე, ისტორიულ დოკუმენტებში. ტ. IV, 1913 წ. მოაქვს ცნობა: – მოვედით კარსა საყდრისასა და სადიდებლის სამარხოსა და ტაძრისა თქუენისასა, ვიხილეთ რომე მოშლილ იყუნეს და იავარქმნილიყო.

მართულია წმინდა ნინოს დაკრძალვის (საფლავის) ადგილზე მეფე მირიანის მიერ, ე.ი. წმინდა ნინოს გარდაცვალებისთანავე. ყოველ შემთხვევაში XII-IX საუკუნეებში აქ იყო ძველი სახელგანთქმული სიწმინდე მთელი საქართველოსი. ისე, რომ ამ ეკლესიის სიძველე მაშინვე იყო მნიშვნელოვანი, ჟამთაღმწერლის დახასიათებით მირიან მეფის მიერ წმინდა ნინოს საფლავზე აღმართული ეკლესია იყო ფრიად დიდი.

ბოდბის ეპარქია თავისი ეკლესია-მონასტრებით ადრიდანვე გამოირჩეოდა კახეთში, ხოლო ეპარქიის მიტროპოლიტს უფლება ჰქონდა ეკურთხებინა კახეთის მეფეები, მას ასევე დარბაზობისას მეფის უახლოესი ადგილი ეკავა, ამასთან იგი იყო ერთერთი ძლიერი სადროშოს მეთაური. ცალკე განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო და არის ბოდბის „წმინდა ნინოს" ეკლესია თავი სიმშვენიერითა და გაელენით.

ბოდბის ეპარქიაში ერთ დროს დიდი გავლენით სარგებლობდა ხირსის მონასტერი, რომელიც არაერთხელ შეუკეთებიათ წინაპრებს. მონასტრის შენობის სამხრეთის ფასადის სამსტრიქონიანი წარწერა იძლევა ცნობას ხირსის ტაძრის გადაკეთება-შერემონტებაზე. უკვე XVI საუკუნეში.

ხირსის ტაძარი წარმოადგენს დიდებულ სამონასტრო ნაგებობას, რომელიც გადმოცემის თანახმად დაუფუძნებია 13 სირიელ მამათაგან ერთ მათგანს სტეფანეს VI საუკუნის შუა წლებში. მონასტერს ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა კახეთის ცხოვრებაში, კერძოდ კი კახეთის რელიგიურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილისათვის. უეჭველია ამითაც იყო განპირობებული ეკლესიის ისტორიის მრავალფეროვნება, ეკლესიისა რომელიც მიძღვნილი იყო დიაკვან სტეფანესადმი. ამასთან საინტერესოა კახეთის სამეფო კარის დამოკიდებულება ხირსის ეკლესიის ბედისადმი.

მონასტერში მიუთითებდნენ მისი დამაარსებლის სტეფანე ხირსელის საფლავზე, ჩრდილოეთის კედელთან.

დღემდე არ გაგვაჩნია სრულყოფილი და დამაჯერებელი სურათი მონასტერის მშენებლობის პერიოდების შესახებ. ცხადია ეს სპეციალური კვლევის საგანია, მაგრამ რამდენიმე ცნობის გათვალისწინება აუცილებლად მიგვაჩნია, იმდენად რამდენადაც ხირსის სტეფანწმინდის მონასტერი არის უდიდესი, მნიშვნელოვანი ძეგლი საქართველოს ქრისტიანული კულტურისა და ის იყო ასეთი მაღალი ღირსებისა ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე.


ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქია – უძველესი ეპარქია თავისი მრავალმხრივი მნიშვნელობით ერთერთი უმთავრესია კახეთში. ერთ დროს მივიწყებული, XX საუკუნის 70-იანი წლებისათვის აქ, ამ ეპარქიის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი ეკლესია იყო მომქმედი. ამჟამად მოქმედებს 7 ეკლესია-მონასტერი, 2011 წლისათვის სრულიად შეკეთდა ნეკრესის სამინისტრო კომპლექსი, მოეწყო კეთილმოწყობილი სამიმოსვლო გზა (მიტროპოლიტი სერგი – ჩეკურიშვილი).


გურჯაანისა და ველისციხის ეპარქია – შეიქმნა წმინდა სინოდის განჩინებით 2002 წლის 14 სექტემბერს. ეპარქიას 2003 წლიდან განაგებს ეპისკოპოსი ექვთიმე – ლეჟავა. 1970-იანი წლებისათვის ეპარქიაში არ იყო არც ერთი მომქმედი ეკლესია, 2007 წლისათვის მათი რიცხვი გაიზარდა ათამდე მომქმედი ეკლესიით.


საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპარქია – აღსდგა 1995 წლის 5 აპრილს ისტორიული ნინოწმინდის ეპარქიის საფუძველზე. ეპარქიას ხელმძღვანელობს ეპისკოპოსი ლუკა – ლომიძე. 1977 წლისათვის არ იყო არც ერთი მომქმედი ეკლესია, 2007 წლისათვის მომქმედი გახდა თერთმეტი.


2012 წლის ქ. თელავი


ძირითადი მთავარი ქუჩა გალამაზებული














P

































































Frontbord







































ლიტერატურა და წყაროები

1. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია. ტ. I
2. ჯავახიშვილი ი. ქართველების ისტორია ტ. I
3. ჯავახიშვილი ი. საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია, ტ. V
4. ჯავახიშვილი ი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1930
5. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოს საქართველოისა, IV, 1946
6. ჯაფარიძე, ო. ჯავახიშვილი, ა. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1966), „მაცნე", N3, 1967
7. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, ნ. ბერძენიშვილის შრომებში, „მაცნე", N2, 1965
8. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. „მეცნიერება", 1977
9. ჩუბინიშვილი ტ. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1966 წ. XVI სამეცნიერო სესია, 1967
10. მუსხელიშვილი დ., ცქიტიშვილი გ., გრიგოლია გ., ტატიშვილი თ. ქვემო ქართლის უძველესი ძეგლები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. 1
11. ჩოჩიევი ვ., კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან XVI ს. 60-იან წლებში. თსუ შრომები, ტ. 118, თბ. 1967
12. მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966
13. ასათიანი ნ., გლეხობა XVI-XVII სს. კახეთის სამეფოში, თბ., 1960
14. ასათიანი ნ., კახეთის სამეფო XV-XVI სს. თბ., 1989
15. ჩუბინაშვილი გ., კახეთის არქიტექტურა (რუსულ ენაზე), თბ., 1959
16. ჭილაშვილი ლ., კახეთის ქალაქები, თბ., 1980
17. ზაქარაია პ., ნაქალაქარ გრემის არქიტექტურა, თბ., 1975
18. კლიმიაშვილი აკ. მასალები XV-XVII საუკუნეების ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის
19. აკოფაშვილი გ., აზნაურთა ფენა XV-XVIII სს კახეთში
20. პაპუაშვილი თ., რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1971
21. ელანიძე ვ., თუშეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში, თბ., 1968
22. ელანიძე ვ., თუშეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1988
23. ელანიძე ვ., კახეთის ისტორიის პრობლემური საკითხები, „ცოდნა", თბ., 2006
24. ჯავახიშვილი გ., ფილტვად აქვს კახეთს თელავი, თბ., 2000
25. ქებაძე მ., კახეთი ლევან მეფის პერიოდში, 1520-1574
26. თამარაშვილი თ., თელავი XX ს. 40-50 წწ.
27. თამარაშვილი თ., კახეთი XX ს. 50-იან წლებში
28. ბიწაძე ნ., სახალხო განათლება და სოციალური გარემო კახეთში (1939-194???) ავტორეფერატი, 2010
29. ჭუმბურიძე დ., საინგილო (ისტორია და თანამედროვეობა), „კრ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები" 11(4)2008
30. ჭუმბურიძე დ., მიხეილ ჯავახიშვილის ერთი წერილი საქართველოს საზღვრების შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 11(4) 2008
31. მამუკელაშვილი ელ., მხედართმთავრები სამთო ომში (რუსულად) 2005
32. მამუკელაშვილი ელ., ერეკლე II სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი (სამეცნიერო

სესიის მასალები)
33. მამუკელაშვილი ელ., განსხვავებული აზრი ერეკლე II-ის შესახებ (სამეცნიერო სესიის მასალები)
34. მამუკელაშვილი ელ., წლები, თბ., 2006
35. მამუკელაშვილი ელ., ჩვენები, 2009
36. მამუკელაშვილი ელ., ცოდნისკერა 70, თბ. 2009
37. მამუკელაშვილი ელ., თამარაშვილი თ., საეპარქიო სავანეები კახეთში, თბ. 2008
38. მამუკელაშვილი ელ., ბეჟიტაშვილი გ., ალავერდელ-ცაგერელი მიტროპოლიტი გრიგოლ ცერცვაძე, თბ. 2011
39. ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, ქართული მწერლობა, ტ. I
40. პაპუაშვილი თ., ჰერეთ-ალბანეთის ისტორიიდან (ქართულ-სომხური წყაროების მიხედვით)
41. რჩეულიშვილი ლ., ქ. თელავი
42. ჩიკოიძე ც. ქ. თელავი
43. ჯვარი ვაზისა, 1991
44. ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები N1. სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2007
45. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973
46. მარჯანიშვილი გ., ჰერეთი, თბ., 2005. გამომც. „არტანუჯი“
47. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია ტ. I
48. მერკვილაძე დ., ალავერდის სავანის დაარსების ისტორიიდან და მისი სახელწოდების შესახებ
49. ნიკოლეიშვილი ი., ალავერდის ტაძრის აღმშენებლის, კვირიკე დიდის გამოსახულება ზედაზნის კანკელის ფილაზე
50. გაგოშიძე გ., ალავერდის ტაძრის თავდაპირველი კანკელის ფრაგმენტები
51. სილოგავა ვ., XII ს-ის კტიტორული წარწერის ფრაგმენტები ალავერდის ტაძრის საკურთხეველში დავით აღმაშენებლის მოხსენიებით
52. ჩხიკვაძე ნ., ალავერდის ოთხთავის ანტიოქიური ნუსხის მნიშვნელობისათვის
53. ქავთარია ნ., ალავერდის ოთხთავის (-484) გაფორმების მხატვრული ასპექტები
54. ბურჭულაძე ნ., მეფეთა პორტრეტები ალავერდის ტაძრის მოხატულობაში
55. ბოლქვაძე გ., წერეთელი კ., ალავერდის მონასტრის მარანი (2006 წლის არქეოლოგიური კვლევის შედეგები)
56. ქაჯაია გ., მეუდაბნოეთა ბერძნული წარწერები ალვანის ეკლესიის მოხატულობაში
57. გაგნიძე ვ., ნატკორის ხუროთმოძღვრული ძეგლი
58. ჯავახიშვილი გ., ორი ნარკვევი ქ. თელავის ისტორიიდან
59. არსენიშვილი ზ., ჩანაწერები თელავისა და თელაველთათვის, თბ., 2011

ილგუჯა მამუკელაშვილი



დაიბადა 1929 წელს თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში. განათლებით ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 32 წელი იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიისა და სამართლის კათედრის გამგე. 180-ზე მეტი პუბლიკაციის, რამდენიმე სახელმძღვანელოს და მონოგრაფიული გამოკვლევის ავტორი.

გამოქვეყნებული აქვს ისტორიული ნარკვევები: „ქართული საფრონტო პრესა“ (1941-1945), „სამხედრო-ორგანიზატორული და იდეოლოგიური მოღვაწეობა კავკასიისათვის ბრძოლაში“ (1941-1943), (რუს); „კავკასია მრისხანე წლებში“ (1941-1945), (რუს); „მხედართმთავრები სამთო ომში“ (რუს); „საქართველო გეოპოლიტიკურ სივრცეში“ (სახელმძღვანელო); „გლობალიზაცია და XXI საუკუნის საქართველო“ (დამხმარე სახელმძღვანელო); „წლები“, „ცოდვა“, „შემოსულ სიტყვათა ანაკრეფი“.

ავტორია, აგრეთვე ორიგინალური, ლექსების კრებულის „ნაფიქრალი“ და მოთხრობების კრებულების: „ამოუცნობი სულები“, „შენ, მე და სული“, „ბედი“. აღსანიშნავია მონოგრაფია-სახელმძღვანელოები: „ჩვენები“, „ცოდნის კერა 70“ (1939-2009), „პოლიტოლოგია“; „აზიისა და აფრიკის ქვეყნების უახლესი ისტორია“, 2010; „ახალი ისტორია“; „უახლესი ისტორია“; „აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია“; „ედელვაისის აღსასრული“, „ალავერდელ-ცაგერელი მიტროპოლიტი გრიგოლ ცერცვაძე“, 2011; „საეპარქიო სავანეები კახეთში“, 2009წ. დაბრუნება, ტ. I. 2012; დაბრუნება, ტ. II. 2012; ნიჭი თავდადებისა, 2012; „ახალი ისტორია“ 2013 წელი.

მისი მეცნიერული კვლევის სფეროა საქართველოს და კავკასიის ხალხთა უახლესი სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის, პოლიტოლოგიის, სოციოლოგიის, ისტორიული დემოგრაფიის თეორიის აქტუალური პრობლემატიკა.

სარჩევი

თავი I. XX-XXI - საუკუნეების საქართველოსთვის 14

თავი II. კახეთის უძველეს დასახლებათა განმარტებისათვის 36

&1. კახეთისა და მისი დედაქალაქის თაობაზე: 42

თავი III კახეთის მთავარი ქალაქი თელავი 56

თელავის მდებარეობის თაობაზე 62

თელავი 81

თელავის მაზრის გლეხთა აჯანყება ცარიზმის წინააღმდეგ 83

ზოგადი შეფასება: 87

& III. კახეთის დედაქალაქის ადგილისათვის: 91

გავეცნოთ თელავს, მის წარსულს! 93

თელავის წარსულიდან 101

თავი IV. თელავის მოღვაწე წინაპრები 106

ისტორიის ფურცლებიდან 137

ქალთა პირველი ამხანაგობა თელავში 138

ისტორიის ფურცლებიდან 138

სოლომონ გოშაძე 139

პოეტი ზაქარია ნემსაძე 142

აკაკი თელავში 146

თავი V. განმარტება-ძიებანი 151

&1. „ალავერდის“ სახელწოდებისათვის 151

&2. ალავერდის ეპარქიის მნიშვნელოვანი ეკლესია-მონასტრები 162

&3. ბოდბის ეპარქია 167

სურათების დანართი 171

ლიტერატურა და წყაროები 195